საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
19 — 25 აგვისტო, 2009 №26

# საქართველო
## & მსოფლიო

www.geworld.net
გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net

მწარე სიმართლე //

2 Конец подкрался незаметно, ანუ საცა არა ჯობს...

# გასროლილები, ანუ მიშას კარუსელი და „ბრეჟნიხას“ პირსახოცი




„მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ იგეგმება კობა სუბელიანის გათავისუფლება“

3

# ამერიკოსოვო

14




10-11



შენი ჰებელსობისა რა ვთქვი, გია(ურო)...

19 - 25 აგვისტო, 2009 წელი. №26
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# Конец подкрался незаметно, ანუ საცა არა ჯობს...

**ჭერათხევის აღმართებს აივლი თუ არა, იქ, სადაც საჩხერის რაიონი იწყება, გზისპირას, ახალი ტერმინოლოგიით — ბანერი, ხოლო იმ დროის ტერმინოლოგიით, როცა გაკეთდა, ტრაფარეტია აღმართული. ახალი, ჭრელი და გაჩახჩახებული ბანერებისგან განსხვავებით, საიდანაც ხან ქართულთან შედარებით დასავლურ ფასეულობათა უპირატესობას გვაპარებენ, ხანაც (წინასაარჩევნოდ) „ნაცების“ „მაღალინტელექტუალური“ სახეები მიწიერ სამოთხეს გვპირდებიან, ძველ ტრაფარეტზე ძლივს ამოიკითხავ ყველაზე დიდი საჩხერელის — აკაკის უკვდავ სიტყვებს — „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“...**


ბაიდენი თბილისში


პუტინი სოხუმში

უკომენტაროდ

**დარწმუნებული ვარ, ვინც ზოგადი, დაწყებითი განათლების მიღება „ვარდების რევოლუციამდე“, ანუ განათლების სისტემის მიხეილისეულ რეფორმამდე მოასწრო, დიდი მგოსნის ეს ლექსი ზეპირად იცის, რასაც ვერ ვიტყვი „თავისუფლების ინსტიტუტის“ უნარჩვევებით თავგზააბნეულ თაობაზე, რომელსაც, თუ ასე გაგრძელდა, თუთბერიძე-თევზაძეების მეცადინეობით მალე ეს ლექსი კი არა, აკაკი წერეთლის ვინაობაც აღარ ეცოდინება.**

სოფლად ყოფნისას ძალიან მიყვარს ადგილობრივ ინტელიგენტთა თუ ხელდაკოჟრილ გლეხკაცთა საოჯახო ბიბლიოთეკებში ქექვა, სადაც, როგორც წესი, ისეთ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ რარიტეტებს წავაწყდები ხოლმე, რომ გაკვირვებული ვრჩები.

ახლაც, აგვისტოს ტრაგედიის წლისთავზე, ცოლეურში, ულამაზეს სოფელ ბჟინევში ჩავედი და ლევი ბარათაშვილის ოჯახში ბიბლიოთეკაც ჩვეულებისამებრ გავქექე. ხელში მომხვდა აკაკი ბაქრაძის ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე“, ციკლიდან „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“.

თითქოს რაღაც ახალი უნდა წამეკითხა და გამეგო დიდი ილიას შესახებ, მაგრამ მართალი ყოფილა — სწავლა სიბერემდეო. ამ წიგნიდან ახალიც ბევრი გავიგე და რაც ვიცოდი, ბევრი სხვა კუთხითაც დავინახე. სწორედ ამ ემოციამ განაპირობა წინამდებარე წერილის დაწერა...

ვატყობ, სიტყვა გამიგრძელდა, ამიტომ მკითხველს ვთხოვ, მომიტევოს ვრცელი შესავალი წერილისა, რომელიც, რომ არა ბჟინევში განცდილი სულიერი განწყობა, არც დაიწერებოდა.

## ერთმორწმუნეობაზე ლაპარაკი კი არა, მხოლოდ ერთმორწმუნეობაზე ლაპარაკია უაზრობა!

**ალბათ, მიხვდით, რომ ამ ქვესათაურით სააკაშვილის ამასწინანდელ, აშკარად გამაღიზიანებელ ნათქვამს ვეხები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. ამ ურთიერთობათა არა ერთადერთ, მაგრამ უმთავრეს საფუძველს — ერთმორწმუნეობას, უკვე მივუძღვენი ვრცელი წერილი, ამიტომ აღარ გავიმეორებ. ამჯერად ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ისტორიულ-პოლიტიკურ-კულტურულ ასპექტებს შევეხები, აწმყოსა და, რაც მთავარია, მომავლის გათვალისწინებით.**

ლაპარაკი, ლაპარაკი და ლაპარაკი! — აი, სურათი დღევანდელი ქართული პოლიტიკისა. ქარავანი კი თავისი გზით მიდის და ჩვენს უმთავრეს ტკივილს — აფხაზეთ-სამაჩაბლოს უფრო და უფრო ვშორდებით.

იმის მაგივრად, რომ მკაცრ სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და შესაბამისად ვიმოქმედოთ, ჯოზეფ ბაიდენის „სადღეგრძელოების“ იმედად ვართ. ამ პოლიტიკურმა ავანტიურამ (სხვას ვერაფერს ვუწოდებ ბაიდენის ვიზიტს), სააკაშვილის სავარძლის გამყარებას თუ არ ჩავთვლით, არც ერთ ქართველს არავითარი ხეირი არ მოუტანა, იოტისოდენადაც არ დაგვაახლოვა სოხუმთან და ცხინვალთან მოლაპარაკების მაგიდას. სამაგიეროდ, შედეგიანი იყო რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი სოხუმში. ამ ვიზიტმა როგორც სოხუმისთვის, ასევე, მოსკოვისთვის კონკრეტული შედეგები მოიტანა — რუსეთი აფხაზეთში ნახევარი მილიარდი დოლარის დახარჯვას აპირებს სამხედრო ბაზისა და საქართველოსთან საზღვრის კეთილმოწყობისთვის...

როგორ მოგწონთ? ბაიდენმა სააკაშვილს სავარძელი გაუმყარა, თან არაორაზროვნად იკითხა — კიდევ ფულს რომ ითხოვთ, ამასწინათ რომ მილიარდი მოგეცით, სად წაიღეთო? პუტინმა კი აფხაზებს ზურგი ხომ გაუმაგრა, ნახევარი მილიარდიც ისე უფეშქაშა, არაფერი წამოუყვედრებია და სამხედრო ბაზისა თუ საზღვრის მოწყობაზეც კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღო. ამაზეა ნათქვამი: ბაიდენი ბჭობდა, პუტინი ასრულებდაო...

მიხეილის „აგიტპროპებმა“ ბაიდენის ბაქიბუქისა და რუსეთის მიერ მოწყობილი ამ ერთგვარი ნიშნისმოგების საპასუხოდ მორიგი განცხადება გამოაცხვეს და ამერიკელ თუ ევროპელ „მეგობრებთან“ აფრინეს, რათა კიდევ ერთხელ დაანახონ მსოფლიოს „რუსეთის ნამდვილი სახე“.

ვერაფერს იტყვი — ღირსეული პასუხია!!!

სხვა რა შეუძლია სააკაშვილის რეჟიმს?! — სამართლიანად იკითხავს მკითხველი და მართალიც იქნება!

მიხეილის ხელისუფლებას, რომელიც საკუთარი უაზრო პოლიტიკიდან გამომდინარე, უკვე აშკარაა, რომ აშშ-ს მძევალია, განცხადებების, აღშფოთების გამოხატვისა თუ საპროტესტო ნოტა-განცხადებების წერის გარდა არა დარჩენია რა... ესენიც წერენ და კითხულობენ, ანუ „კანტორა პიშეტ!“

არადა, დრო არ ითმენს; დრო საქართველოს საწინააღმდეგოდ მუშაობს. **ოპოზიციამ საბოლოოდ მოიჭრა თავი და შერცხვენილი ნამუსის გამართლებას, სააკაშვილის ალტერნატივის საზოგადოებისთვის ვერშეთავაზებას იმით ხსნის, რომ, აქაოდა, ბელადების დრო წავიდაო. ეს ბემურაზები ან თვალში ნაცარს გვაყრიან, ან მართლა არ იციან, რომ ლიდერი და ბელადი სხვადასხვა რამეა და „თავიკაცი“ ნებისმიერი საქმისთვის აუცილებელია...**

უფრო მეტიც, სანამ ქვეყანას ახალი „თავიკაცი“ და ახალი, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, პროქართული ძალა არ ჩაუდგება სათავეში, ვერც აფხაზებს დაველაპარაკებით, ვერც ოსებს და, მითუმეტეს, ვერც რუსებს, რომლებიც გარდა დიალოგისა, ზარბაზნის ენით აფხაზებსა და ოსებთან საუბარს არ დაგვანებებენ და ამის დასტურად შარშანდელი აგვისტოც იკმარებს.

## კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, საქართველოს სჭირდება ახალი, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ჯანსაღი და პროქართული ძალა, რომელიც იქნება ქართველი ერის ნებისა და მისწრაფებების გამომხატველი, თორემ მიშა №2-ს ისევე არავინ დაელაპარაკება, როგორც ახლა არ იკარებენ სათოფეზე სააკაშვილს.

ქართულ პოლიტიკაში უნდა გამოჩნდეს ლიდერი, რომელიც ჩუმ-ჩუმად კი არ იძრომიალებს ვენაში, ბერლინსა თუ კიევში მოსკოვთან კონსპირაციული კონტაქტების დასამყარებლად, არამედ გაბედავს და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ამ „ყველაფერს“ კი რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა ჰქვია. დიახაც, აღდგენა, ანუ ხელახალი დაახლოება და არა ბანალური მოლაპარაკება, რადგანაც არსებული რეალობიდან გამომდინარე, სანამ რუსეთთან, პირველ რიგში, ნორმალური პოლიტიკური (შესაბამისად, ეკონომიკური) ურთიერთობა არ აღდგება, აფხაზეთ-სამაჩაბლოს შესახებ სტრასბურგსა თუ ბრიუსელში არანაირ მოლაპარაკებას აზრი არ აქვს!

**თუ ოდესმე მაინც ვაპირებთ დაკარგულის დაბრუნებას, საქართველოს ამისთვის პოლიტიკური საფასურის გადახდა მოუწევს. ეს საფასური კი, ანტირუსული ორბიტიდან ნებაყოფლობითი გადახვევა და მოსკოვთან, სულ მცირე, კეთილგონივრული პოლიტიკური ურთიერთობის დროული აღდგენაა.**

ნებაყოფლობითი გადახვევა იმადაც ვახსენე, რომ ეს ნაბიჯი დროულად და საკუთარი ნებით უნდა გადავდგათ, თორემ დიდი ალბათობაა, რომ ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს იმ განსხვავებით, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე ვერც ვიოცნებებთ.

**მართალია, ეს ყველაფერი კარგად ესმით და პრივატულ საუბრებში მათი უმრავლესობა აღიარებს კიდეც ამას, მაგრამ ოპოზიციის დღევანდელი ლიდერებიდან ვინმე გაბედავს ამ ელემენტარული ჭეშმარიტების ხმამაღლა თქმას?**

რა თქმა უნდა, ვერა, რადგანაც ამის მთქმელს, როგორც იტყვიან, „ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს“, ვინაიდან კრემლის, კაგებეს აგენტის იარლიყი და შესაბამისი სტრუქტურების „ფხიზელი ყურადღება“ გარანტირებული ექნება. შეკაზმულ ცხენში მტკიცედ დგომას ვგულისხმობ, მაგრამ ეს რომ შეძლო, ანუ ნაცების „აგიტპროპების“ მიერ ნასროლმა ტალახმა რომ არ დაგსვაროს, „კაკ მინიმუმ“, უმწიკვლო რეპუტაცია უნდა გქონდეს და ვანოს კანტორას ყურებით არ უნდა ჰყავდე დაჭერილი. ნამდვილად არ მაქვს უცოდველობის პრეტენზია, არც იარლიყების მოკერების, ტალახის სროლისა და სათანადო სტრუქტურების „ფხიზელი ყურადღებისგან“ გახლავართ დაზღვეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფრო შორს წავალ, რადგანაც

## ისტორიული მეხსიერება და გეოპილიტიკა უფრო მეტს ითხოვს!

**ამ ქვესათაურით ერთგვარად ვეხმიანები „საქართველო და მსოფლიოში“ ბატონების: გივი გურეშიძისა და ნუგზარ ავალიანის წერილების პათოსს, თუმცა ვიმეორებ, უფრო მძაფრი და, აქედან გამომდინარე, ურაპატრიოტებისთვის კატეგორიულად მიუღებელი ვიქნები.**

ციტატა აკაკი ბაქრაძის წიგნიდან „ილია ჭავჭავაძე“:

**„1905 წლის 2 აპრილს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა, რომ 1 აპრილს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება ჩატარდა, რომელმაც რუსეთის იმპერატორს წერილი გაუგზავნა და ნიკოლოზ მეორეს ვაჟის შეძენა მიულოცა, იქვე სთხოვდა: „თავადაზნაურობა ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისთვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველი ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით მასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარი კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნას ადგილობრივ წარმომადეგნლობით კრების მიერ, არჩეულის მთელი საქართველოს მცხოვრებთა საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორი ხმის უფლებით“.**

**ამ წერილს მხარი დაუჭირა 44 კაცმა, წინააღმდეგი იყო 4. ზუსტად ასეთივე წერილი გაუგზავნა იმპერატორს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამაც“.**

მიაქცევდით ყურადღებას, რომ იმდროინდელი საქართველოს მოწინავე აზრი ავტონომიას ითხოვდა და არა სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ავტონომიაზე ოცნების საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდები, რათა უფრო ცხადი გახდეს, რისთვის დამჭირდა ამ ციტატის მოხმობა.

აკაკი ბაქრაძე ამავე ნაშრომში ცნობილ საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძეზე დაყრდნობით და მისი ციტირებით წერს, რომ ავტონომიის იდეა, არც მეტი, არც ნაკლები, ილიას ეკუთვნის და ეს იდეა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში არსებობდა. ამის შესახებ „ოხრანკამაც“ იცოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ილია მაშინ ნაადრევად თვლიდა ამ საკითხის საჯაროდ გაჟღერებას, რაც იქიდანაც ჩანს, რომ 1884 წელს „ნაროდნაია ვოლიას“ ხელმძღვანელები გაუცია პროვოკატორ ვინმე სერგეი დაგაევს, რომელთან დაკავშირებული დოკუმენტის ამონარიდსაც გვთავაზობს ა. ბაქრაძე: **„დაგაევის ჩვენების თანახმად, ილია ჭავჭავაძე და ჟურნალების „ივერიისა“ და „იმედის“ კომპანია შეადგენენ ლიბერალთა ჯგუფს, რომელთაც სურთ საქართველოს ავტონომია იმპერიის ფარგლებში და ოცნებობენ ქართულ პარლამენტზე“.**

1905 წელს ილიამ ვითარება შესაფერისად ჩათვალა და 6 მარტს თავადაზნაურთა თათბირზე საჯაროდ მოითხოვა: **„ჩვენი ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩევნი ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისგან“.**

როგორ ჰგავს ეს ყველაფერი დღევანდელობას და განსხვავდება კიდეც. **დღესაც არიან რეალისტურად მოაზროვნე ადამიანები, მაგრამ მათ ნაციონალი ურაპატრიოტები სჭარბობენ დევიზით „ან ყველაფერი, ან არაფერი!“, რამაც მიგვიყვანა კიდეც აგვისტოს ტრაგედიამდე და ასე გაგრძელების შემთხვევაში წინ უარესი გველოდება.**

ასეთ ხალხთან კამათისას, პოლიტიკურ წრეებში იქნება ეს თუ ყოფით, სამზარეულო დონეზე, მათ ერთადერთი „არგუმენტი“ აქვთ — აბა, თქვენ რა გინდათ, რუსეთის მონობა?

იმაზე, თუ რა გვინდა „ჩვენ“, უკვე მოგახსენეთ, ახლა კი, „მათ კონცეფციას“ გაგაცნობთ:

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ურაპატრიოტების აზრით, დიდიან-პატარიანად ტყეში უნდა გავიჭრათ, ხელში ფიწალ-ნიჩაბი (ან m-16, გააჩნია, ვის რა შეხვდება) ავიღოთ და შევაკვდეთ რუსულ სამხედრო მანქანას ისე, როგორც ეს ჩეჩნებმა გააკეთეს. იმას არად დაგიდევენ, რომ ჩეჩნებზე უკეთესი მაგალითები გვაქვს ჩვენი ისტორიიდან, რასაც ითვალისწინებდნენ ჩვენი წინაპრები და ამის წყალობით გადავრჩით ქართველები. მთავარი მიზეზი ჩვენი გადარჩენისა ხმალზე არანაკლებ (და ხშირად უფრო მეტადაც) ვირტუოზული დიპლომატია იყო...

**ანუ, როცა სხვა გზა არ იყო, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ და თუ აუცილებლობა არ მოითხოვდა — „საცა არა ჯობს, გაცლა ჯობს კარგისა მამაცისაგან“.**

ამ ყველაფერში მთავარი ფარსი ის არის, რომ **„სიკვდილი სახელოვანისკენ“,** ძირითადად, ის ხალხი მოგვიწოდებს, ვინც ამ მოკლე ხანში „შავი დედალივით გაკეთდა“, აურაცხელი ქონებაც დააგროვა და ქვეყნის თავს დამტყდარი კატაკლიზმებისგან არც მათ, არც მათი ოჯახის წევრებს ფრჩხილიც არ სტკენიათ...

## სსრკ, დსთ, ევროკავშირი...

**ყველანაირი კავშირი, სახელწოდების სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი მარტივი პრინციპის გარშემო იკვრება — უნდა დაემორჩილო იმ გაერთიანების თამაშის წესებს, რომლის წევრიც ხარ, ანუ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილზე ნებაყოფლობით უნდა თქვა უარი.**

ასე იყო სსრკ-ში, დსთ-ში, ასე იქნება ევროკავშირშიც, თუ წარმოუდგენელს წარმოვიდგენთ და ოდესმე მისი წევრი გავხდებით, რაც უახლოეს 50 წელიწადში სრული უტოპიაა.

**ასეც რომ არ იყოს და ხვალვე მიგვიღონ ევროკავშირსა და ნატოში, ნიშნავს თუ არა ეს, რომ დაკარგული ტერიტორიები ავტომატურად დაგვიბრუნდება?!**

**რა თქმა უნდა, არა და ამის შესახებ ყოველგვარი შეფარვის გარეშე არა ერთხელ განუცხადებიათ არა რუს, არამედ ევროპელ და ამერიკელ ლიდერებსა თუ ექსპერტებს.**

ერთადერთი გამოსავალი ჩვენთვის ის არის, რომ ნებისმიერი საბაბითა და ფორმით, ნებაყოფლობით ჩამოვშორდეთ ანტირუსულ ვექტორს და ვცადოთ მოსკოვთან პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენა, რათა ეს ურთიერთობები გამოვიყენოთ იმ პოლიტიკის პლატფორმად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სოხუმისა და ცხინვალის პრობლემების დარეგულირება მინიმალური დანაკარგებით საქართველოსთვის.

მინიმალურ დანაკარგებზე იმადაც ვსაუბრობ, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ვერც ეს ნაბიჯი მოგვიტანს მყისიერ შედეგს, მიუხედავად ამისა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იმდენად მაღალი ფსონია, რომ ამისთვის არა თუ რუსეთთან კეთილგონივრული ურთიერთობის აღდგენა, არამედ სოხუმთან და ცხინვალთან კონფედერაციულ პროექტზე ფიქრიც ღირს... **ხაზს ვუსვამ, რუსეთთან კეთილგონივრული პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენის შემთხვევაში, მოსკოვის გეოპოლიტიკური ინტერესებისა და ისტორიულ კანონზომიერებათა გათვალისწინებით, გონივრულ ვადებში შესაძლებელი გახდება ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების საკითხში კონკრეტული შედეგების მიღწევა.**

ხოლო თუ ანტირუსულ ვექტორს არ გადავუხვევთ, იარაღის ჟღარუნს გავაგრძელებთ და აშშ-ს რუსეთსაწინააღმდეგო ინსტრუმენტად თავს გამოვაყენებინებთ, არ არის გამორიცხული, ისევე მოგვიწიოს თურქეთის ვილაიეთობიდან ერთმორწმუნე რუსეთის შემადგენლობაში თუნდაც ავტონომიაზე ოცნება, როგორც საუკუნის წინათ ოცნებობდა დიდი ილია და რაზეც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ.

თუ არსებობს სხვა გზა ხსნისა, ვინმემ მაჩვენოს.

**თუ ისეთი „ძმები“ არიან ამერიკელები, რომ ბაიდენი და მაკკეინი დღედაღამ ქართველებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე დარდობენ, მაშინ მიგვიღონ შტატად აშშ-ში, სადაც დღეს ტურისტული ვიზითაც არ გვიშვებენ; ან ნატოში მიგვიღონ, დაგვიბრუნონ სოხუმი და ცხინვალი; ევროკავშირში მაინც მიგვიღონ — ჩვენ ხომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მაგარი დემოკრატია და „მდგრადად განვითარებადი“ ურყევი ეკონომიკა გვაქვს...**

მომიტევეთ უადგილო ირონიისათვის. რა დროს ქილიკია, როდესაც ბრმისთვისაც კი ნათელია, რომ დღევანდელ მსოფლიოში თავის ჭკუაზე საქართველოს არავინ „აგულავებს“, ანუ ჩვენ ან რუსეთთან უნდა აღვადგინოთ კეთილგონივრული პოლიტიკური ურთიერთობა და გავიჩინოთ ტერიოტორიების დაბრუნების რეალური პერსპექტივა, ან გავაგრძელოთ ანტირუსულ ვექტორზე მოძრაობა, დავრჩეთ აშშ-თან, შესაბამისად, როგორც ყველა ბუფერული სახელმწიფო, მუდმივად ვიყოთ რუსული აგრესიის საფრთხის წინაშე და საბოლოოდ დავკარგოთ ტერიტორიების დაბრუნების იმედი.

## შარშან, აგვისტოში ყველამ კარგად ვნახეთ, თუ რა ძვირი დაგვიჯდა მხოლოდ აშშ ინტერესების გათვალისწინება და რუსეთის უგულებელყოფა.

**მოცემულ რეალობაში ნებისმიერი ჭკუათმყოფელისთვის ცხადია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, ეროვნული ინტერესებისთვის უმჯობესია, სანამ დროა, რეალურად შევაფასოთ ვითარება და აღვადგინოთ რუსეთთან კეთილგონივრული პოლიტიკური ურთიერთობა.**

სხვა არჩევანი არც გვაქვს და ჯერჯერობით არც არავინ გვათავაზობს. მიუხედავად ამისა, მზად ვარ, წინამდებარე წერილში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ ნებისმიერ ოპონენტთან დისკუსიისთვის, თუმცა, სანამ კამათში ჭეშმარიტებას ვიპოვით, ვშიშობ, ძალიან დავაგვიანებთ...

**დავით მხეიძე**

# რა საკადრო კარუსელს დაატრიალებს პრეზიდენტი და რატომ უნდა გადაიფაროს „გრეჩიხამ“ პირსახოცი

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ ღირსეულად იკავებს თავის ნიშას ქართულ მედიასივრცეში. ექსკლუზივები მისი „ექსკლუზივია“. თუ გინდა, გაიგო, რა ხდება პოლიტიკურ კულუარებში, როგორ ებრძვის ერთმანეთს სხვადასხვა ჯგუფი სახელისუფლებო ვერტიკალში და, შესაბამისად, მზის ქვეშ ადგილის დასაკავებლად, რა შიდა დინებებია ოპოზიციურ სპექტრში, უნდა გაეცნო „პირველის“ ინფორმაციებს... „პირველს“ ჩვენი კოლეგა ანი მიროტაძე ხელმძღვანელობს — ჟურნალისტურ წრეებში (და არა მარტო!) ფართოდ აღიარებული პროფესიონალი და ერთ-ერთი კარგად ინფორმირებული ადამიანი. „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მის მოწვევას და დღევანდელ ინტერვიუს საფუძვლად უდევს „პირველის“ ექსკლუზიური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში მორიგი „სამთავრობო კარუსელი“ იგეგმება.**



**„პირველის“ ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პოსტს ყოფილი მოსამართლე და ექს-პარლამენტარი ნაზი არონია დაიკავებს, ახლანდელი გუბერნატორი ზაზა გოროზია კი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სავარძელს „დაამშვენებს“. მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილის მომავალი ბუნდოვანია, ისევე, როგორც ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილისა. ამ პოსტს ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დაუბრუნდება, აღმასრულებელ ხელისუფლებას კი ჩრდილიდან გამოსული „რუხი კარდინალი“ ზურაბ ადეიშვილი უხელმძღვანელებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ გოგა ხაჩიძეს მალე სომხეთში ელჩად გაამწესებენ — მის ადგილს შიდა ქართლის გუბერნატორს ლადო ვარძელაშვილს უთავისუფლებენ. კონფლიქტის რეგიონის მმართველად უშიშროების საბჭოს მდივან ეკა ტყეშელაშვილს ამზადებენ. ეს მერამდენე თანამდებობა იქნება მისთვის სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, უკვე თვითონაც აერია სათვალავი. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, ყოფილმა სტიქაროსანმა და ზვიად გამსახურდიას ცხედრის გადმოსვენების დროს პრეზიდენტისგან „თავიკაცად“ ნაკურთხმა კობა სუბელიანმა კი კარგად იცის, რომ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია. იგი ორი კვირის წინათ აშშ-ში გაემგზავრა „იძულებითი მივლინებით“. „პირველის“ წყარო კატეგორიულად ამტკიცებს, რომ შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები საქართველოდან გაუჩინარებულ სუბელიანს დევნილებისთვის გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ედავებიან...**

**ანი მიროტაძესთან ინტერვიუ სწორედ ასეთი ექსკლუზიური ინფორმაციების წყაროების სანდოობაზე საუბრით დავიწყეთ:**

— თუ არ არის სანდო, იმ ინფორმაციას არ ვავრცელებ. ჩვენთან ბევრი ინფორმაცია იყრის თავს და, უპირველესად, მათ სანდოობას ვაქცევთ ყურადღებას.

**— ამ წყაროებს ყოველთვის სჭირდებათ გარანტიები, რომ მათი ვინაობა არ გამჟღავნდება...**

— სწორედ ჩემი მხრიდან მიცემული გარანტიები განაპირობებს იმას, რომ მუდმივად მაქვს ინფორმაციები მათგან. თუ არ გვენდობა, არც ინფორმაციას მოგვაწვდის. სხვათაშორის, ასეთი ინფორმაცია გარკვეული დროის შემდეგ დასტურდება ხოლმე ოფიციალური პირების მხრიდან. ყველამ იცის, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია კულუარებში ვრცელდება.

**— ანი, დამეთანხმები, რომ ამ კულუარული ინფორმაციების გავრცელება ხშირად სწორედ ხელისუფლების პირველ პირებს აძლევს ხელს, რათა ფონი მოსინჯონ, თუ რა რეაქცია ექნება საზოგადოებას, პრესას და თვით სახელისუფლებო ჯგუფებს ამა თუ იმ საკადრო ცვლილებასთან დაკავშირებით...**

— მე არ ვარ ადამიანი, რომელიც სკანდალზე მუშაობს, ეს არ მჭირდება. როცა არსებობს ინფორმაცია, რომელიც, ჩემი აზრით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, იმის მიუხედავად, რომ ხშირ შემთხვევაში ვერ ვასახელებ წყაროს, ამ ინფორმაციას მაინც ვავრცელებ. თუნდაც არ მიიღონ ის კონკრეტული გადაწყვეტილება, ხალხმა აუცილებლად უნდა იცოდეს, როგორ მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა კულუარებში.

აქვე დავძენ, რომ, თუ არსებობს პოლიტიკურ გუნდებს შორის ბრძოლა, მე ამის მონაწილე არ ვარ. დაინტერესებული ვარ, ყველა მხარესთან მქონდეს ურთიერთობა და მოვიპოვო ინფორმაცია. შესაბამისად, ყველა პოტენციური ინფორმაციის მომწოდებელი შეიძლება ჩაითვალოს ჩემს თანამოაზრედ.

**— ინფორმაციის მოპოვების დროს აწყდებით ბარიერებს?**

— დღეს, პრაქტიკულად, ყველა სტრუქტურა ჩაკეტილია ინფორმაციის თვალსაზრისით. პრესსამსახურის ხელმძღვანელიც კი, არ ვლაპარაკობ მინისტრზე ან მის მოადგილეზე, საუკეთესო შემთხვევაში გეუბნება, რომ მსგავსი არაფერი გაუგია, უარესში კი — ტელეფონსაც არ პასუხობს. ამ დროს ერთადერთი გამოსავალი გრჩება — გაუშვა ინფორმაცია არსებული სახით, უკომენტაროდ.

რაც შეეხება ოპოზიციას, აქაც იგივე პრობლემაა, ოღონდ სხვა კუთხით. როცა ინფორმაციას მოვიპოვებთ, და ეს ყოველთვის დადებითი ვერ იქნება, სულ არის ეჭვი და ბრალდება, რომ მისი გავრცელება ხელისუფლების ინტერესშია.

**— როგორც მახსოვს, ერთხანს ლევან გაჩეჩილაძესთან გქონდათ უსიამოვნება და კომენტარებსაც არ აძლევდა თქვენს სააგენტოს...**

— მოგიყვებით, რა მოხდა და ნებისმიერმა ჟურნალისტმა განსაჯოს, უნდა გაგვევრცელებინა თუ არა ის ინფორმაცია, რომლის გამოც ლევან გაჩეჩილაძე შემოგვწყრა.

ზურაბ ნოღაიდელი ახალი გადამდგარი იყო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან. ჩვენი ჟურნალისტი სრულიად შემთხვევით შეესწრო, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს სახალხოდ რესტორანში ლევან გაჩეჩილაძე, კოკა გუნცაძე და ზურაბ ნოღაიდელი. გულახდილად მითხარით, არსებობს ამქვეყნად ჟურნალისტი, რომელიც არ დაინტერესდებოდა, რაზე ლაპარაკობენ ოპოზიციის ლიდერი, მით უმეტეს, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი და გადამდგარი პრემიერ-მინისტრი? ბუნებრივია, შეკითხვები გაგვიჩნდა და ლევან გაჩეჩილაძე ძალიან გაბრაზდა. შემიძლია, ვურჩიო, რომ, თუ უნდა, მისი სხვადასხვა პერსონებთან შეხვედრები გახმაურდეს, ამისთვის არსებობს ადგილები...

**— და პირსახოცებიც... გადაიფაროს თავზე და ვერავინ დაინახავს...**

— პირსახოცებიც შეიძლება... ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში არ უნდა დაჯდეს. თუ ვინმეს ღიად ხვდები, მაშინ არც ის უნდა გიკვირდეს, რომ მოვა ჟურნალისტი და შეკითხვებს დაგისვამს... ამის შემდეგ ბატონი ლევანი ბრალდებას გვიყენებდა, რომ ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ვანო მერაბიშვილმა მოგვცა.

**— ანი, ბოლო სენსაციურ ინფორმაციაზე ვისაუბროთ. „პირველის“ ინფორმაციამ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით ყველაფრის მოლოდინში მყოფ ხელისუფლების წევრებშიც დიდი შეშფოთება გამოიწვია...**

— შიდა დინებები დიდი ხანია, მიმდინარეობს, თუმცა ახლა გააქტიურდა. მაგალითად, მე ვიცი, რომ კობა სუბელიანი ისე წავიდა ამერიკაში, არც ერთ მის მოადგილეზე არ არის დელეგირებული მინისტრის უფლებამოსილება. ვთქვათ, ოფიციალურ მივლინებაშია, ამ შემთხვევაშიც ხომ აუცილებელია უფლებამოსილების გადანაწილება... მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ იგეგმება კობა სუბელიანის გათავისუფლება.

რაც შეეხება პრეზიდენტის კარზე სხვადასხვა ჯგუფის დაპირისპირებას, ეს არც მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებისთვის არის დამახასიათებელი და არც გასაკვირია. ყველა დროში, და არა მარტო საქართველოში, ეს ბუნებრივი მოვლენაა.

**— ჩვენ ხომ ვიცით, რომ ის ხალხი, ვინც ახლა ხელისუფლებაშია, წინა ხელისუფლების წიაღში იშვა და მეორე ნაწილთან დაპირისპირებასა და ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება.**

— ჟვანია-სააკაშვილის გუნდი წლების მანძილზე ქმნიდა თავის მომავალს და ამაში ვერც დასაძრახს ვხედავ და ვერც გასაკვირს — პოლიტიკური გუნდისთვის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთვის ბრძოლა სრულიად ბუნებრივია. სხვათაშორის, მაშინ ისინი ფრიადოსნები იყვნენ ჟურნალისტებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მათ კარგად იცოდნენ, რომ მედიასთან მეგობრობა მათი წარმატების გარანტი იყო. ამას ვერ ვხედავ დღევანდელ ოპოზიციაში და ეს მაკვირვებს.

**— მედია კარგად გამოიყენეს ე.წ. ვარდების რევოლუციის დროს, თუმცა შემდეგ ამავე მედიის წინააღმდეგ აკრძალული ხერხებით ბრძოლასაც არ მოერიდნენ...**

— ამ შეკითხვის ადრესატები, ალბათ, ის ჟურნალისტები არიან, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში მხარედ გამოდიოდნენ. ყველასთან დიდი ბოდიში, მაგრამ ახლაც ასეა. დღეს ქართულ ჟურნალისტიკაში ორი მხარეა. არ შეიძლება იყო მხარე, თუ გინდა, რომ რეალურად განვითარდეს დემოკრატიული პროცესები. ყველა შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, და ალბათ, უფრო ადრე, ხელისუფლებას მაინც მოუწევს დათმობა. გიგა ბოკერიამაც, გიგი უგულავამაც და სხვებმაც ძალიან კარგად იციან მედიის როლი, რადგან წარმატებით გამოიყენეს, ამიტომაც არ უნდათ ბერკეტების ხელიდან გაშვება, მაგრამ სურთ თუ არა, მათ ამის გაკეთება მაინც მოუწევთ. სხვანაირად, ყველაფერი კატასტროფით დამთავრდება. არ შეიძლება, სამივე მძლავრი ტელეარხი პროპაგანდისტულ მანქანად აქციო. შეიძლება პროცესებმა მართლა უმართავი ხასიათი მიიღოს და ამაში დამნაშავე არც ოპოზიცია იქნება და არც მედია.

**ესაუბრა ბონდო მძინარაშვილი**

# მაღალმთიანი აჭარა მეჩეთ-მედრესეებმა წალეკა,
## მიხეილ გამსხვისებელი კი «ვიტამინში» ნებივრობს



დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა:
„დასავლეთით, სპარსეთის ამბებზე გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი ამბები დიდის სისწრაფით ერთიმეორეს მისდევდა, თუმცა გასაოცარია, მაგრამ იმდროინდელ ქართულ კინკლოსებს თუ დავაკვირდებით, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბები გამოჰპარვოდეთ. თითქოს შინაური ბრძოლითა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი, ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი, დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო, რომელმაც შეუჩერებელი ძლევამოსილებით დედამიწის ზურგიდან აღგავა ოდესღაც ბრწყინვალე მბრძანებელი — ბიზანტია!



**მაშინდელი საქართველო, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა მთელ იმ საშიშროებას, რომელსაც ეს ახლად აღორძინებული სახელმწიფო უქადდა და უდარდელად განაგრძობდა თავის შინაურ, დამაუძლურებელ ბრძოლას. შეუდრეკელი ნებისყოფით აღჭურვილი ოსმალეთი კი თანდათანობით აფართოებდა თავისი ახალი სამფლობელოს საზღვრებს და ბოლოს თვით ბიზანტიის დიდებული სატახტო ქალაქის — კონსტანტინეპოლის ბატონ-პატრონი გახდა!**

**1453 წელი, დიდებული დედაქალაქის, ბრწყინვალე კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან აღების თარიღი, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ბედ-იღბლის გადამწყვეტი შეიქნა... საქართველოსთვისაც იგი საბედისწერო გამოდგა...“**

და მართლაც, აქედან დაიწყო ყველაფერი ის, რაც შემდგომ, ხანგრძლივი დროის, საუკუნეების განმავლობაში საქართველომ, ქართველმა ხალხმა, სახელდობრ კი, აჭარამ გადაიტანა...

1547 წელს ოსმალო დამპყრობლები ჭოროხის გადმოღმა მხარეს დაეპატრონნენ. მათ გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრეს მაღალი გალავანი შემოავლეს, ციხეში ოსმალოები ჩააყენეს და მთელი აჭარის თანდათანობით დაპყრობას შეუდგნენ. აქედან მოყოლებული, ოსმალები მეთოდურად იპყრობდნენ აჭარის სხვა ტერიტორიებსაც. მაგალითად: ზემო აჭარას, ქვემო აჭარას, ქობულეთსა და ა.შ.

მტრისაგან დაკავებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებისა და დამპყრობლების განდევნის სურვილი დიდი იყო, მაგრამ ეს სურვილი ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ სურვილად რჩებოდა და მეტი არაფერი. სამეფოებად და სამთავროებად დაშლილ-დანაწევრებულ საქართველოს არ შეეძლო გაერთიანებულიყო და როგორც ერთიანი, მთლიანი განუყოფელი ქვეყანა, ორგანიზებულად გამოსულიყო დამპყრობელთაგან მითვისებული ქართული ტერიტორიების დასაბრუნებლად. საქართველოს მაშინდელი ეს სავალალო მდგომარეობა დამპყრობელსაც კარგად მოეხსენებოდა და ამით დიდად სარგებლობდნენ! მაშინდელმა ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო იყო ძლიერი მოკავშირის გაჩენა, მასთან შეკავშირება და გაერთიანებული ძალით მტრის წინააღმდეგ გალაშქრება.

**ასეთ მოკავშირედ კი იმხანად ქართველ საზოგადო მოღვაწეებს რუსეთი მიაჩნდათ. ასევე ფიქრობდა ქართლ-კახეთის მეფე — ერეკლე მეორეც, რომელმაც 1783 წელს ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს. ერეკლე დარწმუნებული იყო, რუსეთის დახმარებითა და ძალისხმევით საქართველო შეძლებდა დამპყრობელთაგან სხვადასხვა დროს მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას და გაერთიანებას, მაგრამ იგი ამ ოცნების აღსრულებას ვეღარ მოესწრო. ამის უმთავრესი მიზეზი კი იმხანად არსებული საერთაშორისო ვითარება და თავად რუსეთის მუდმივი ყოყმანი იყო! ეს საკითხი საბოლოოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან გახდა რეალურად განსახორციელებელი და ეს მხოლოდ რუს და ქართველ მებრძოლთა ერთობლივი, გადამწყვეტი ბრძოლებითა და უდიდესი ძალისხმევით მოხერხდა! 1877 წლის 2 აპრილისათვის, ომის დაწყებამდე 10 დღით ადრე, რუსეთის არმია სრულ მზადყოფნაში იდგა შემდეგ პუნქტებში: ოზურგეთში, ახალციხეში, ახალქალაქში, ალექსანდრეპოლსა და ერევანში.**

ქართული პერიოდული პრესა, საქართველოს მოწინავე ადამიანები დიდი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ცდილობდნენ, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე სათანადოდ გაეთვითცნობიერებინათ ქართველი მკითხველი აჭარის საკითხებში, მოეთხროთ იქ მცხოვრებ ქართველებზე, მათ მდგომარეობასა და ყოველივე იმაზე, რაც აჭარასთან, აჭარლებთან იყო დაკავშირებული.

1877 წლის 12 აპრილს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. გენერალმა ოგლობჟიომ ჯარისადმი მიმართვის ტექსტი ასე დაასრულა: **„დე, გვახსოვდეს, რომ ჩვენ წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის მოსახლეობა წარმოშობითა და ენით ეკუთვნის იმ ერთ ოჯახს, რომელთა ათასობით მილიციელები და მოლაშქრეები ამჟამად ჩვენს რიგებში დგას საერთო საქმისთვის“.** მაგრამ, ვიდრე სამხედრო ოპერაციები დაიწყებოდა, არც თურქები ისხდნენ გულხელდაკრეფილები — გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდნენ აჭარაში, აშინებდნენ მოსახლეობას, რომ რუსები მათ ძალით გააქრისტიანებდნენ, ქონებას წაართმევდნენ, ციმბირში გაასახლებდნენ, ცოლ-შვილს გაუბახებდნენ და ა.შ.

**1878 წლის 19 თებერვალს ქალაქ სან-სტეფანოში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რაც 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებას მოასწავებდა, რის შემდგომაც ქალაქები: არტაანი, ყარსი და მთელი ტერიტორია სოღანლუღის მთებამდე განთავისუფლებულ იქნა. განთავისუფლდა, აგრეთვე, სამხრეთ საქართველოს და დასავლეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბათუმის მხარის გარდა, აქ ჯერ კიდევ თურქები რჩებოდნენ.**

ომში რუსეთის მიერ მოპოვებულმა მნიშვნელოვანმა მიღწევებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპის რიგ სახელმწიფოებში. ინგლისის უშუალო ჩარევის შედეგად სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება დროებითი აღმოჩნდა. დადგინდა, რომ იგი ძალაში ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე გადასინჯვის შემდეგ შევიდოდა. ინგლისს მხარს უჭერდნენ საფრანგეთი, ავსტრია, იტალია და გერმანია. ისინი ცდილობდნენ, აეძულებინათ რუსეთი, რაც შეიძლება მეტ დათმობაზე წასულიყო. თურქები კი ამ დროისათვის ინგლისელების დახმარებით ახალი ომისათვის მზადებას იწყებენ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაბრუნების მიზნით...

ბათუმისა და მთლიანად აჭარის, მისი მიდამოების ლამაზი მდებარეობა, მისი შესანიშნავი ჰავა და სუბტროპიკული ხეხილიანი კორდების სიუხვე ხიბლავდა და თავისკენ იზიდავდა ყველა დამპყრობელს. ამიტომ იყო, რომ ყველას მისკენ ეჭირა თვალი და ყველა მის ხელში ჩაგდებას ლამობდა! ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამის დადასტურებად სერგი მესხის „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილიც კმარა: **„სასაცილოა ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ რუსეთისთვის არც კი ჩაუბარებიათ ბათუმი, რომ თბილისელი და ერევნელი სომხები ახლად შეძენილი ბათუმის მაზრაში მამულების შეძენას აპირებენ! იმათ უფიქრიათ, რომ უეჭველია, ზოგიერთი აჭარელი ოსმალეთს გადავლენ, თავიანთ ადგილ-მამულს მიატოვებენ და ამ მიტოვებულ მამულებს თავად ვიყიდითო!“**

ის-ის იყო აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა და უკვე ყველა მის ნაწილ-ნაწილ დაპატრონებაზე ფიქრობდა... შესანიშნავი ლიტერატორი, ეთნოგრაფი, მთარგმნელი და ლექსიკოლოგი თედო სახოკია წიგნში „მოგზაურობანი“ წერს: **„სული კბილით უჭირავსო“, რომ იტყვიან, სწორედ აჭარლებზე ითქმის! ამ მხარეში ადამიანი თითქმის იმიტომ ჩამოთესლებულა, რომ მთელი თავისი დღენი, ძუნწ ბუნებას კრიჭაში უდგეს, შეუსვენებლივ ოფლის წურვით ებრძოლოს, რის ვაივაგლახით იმდენი გამოჰგლიჯოს ხელიდამ, რომ შიმშილით სული არ აღმოხდეს. მთელი ფიქრი აჭარელი გლეხისა, მთელი მისი მხნეობა ხორციელ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უნდება... სახნავ-სათესი ისეთ ციცაბო კლდეებზეა, რომ სახნისის ატანა ჭირს და თესვის დროს აჭარლები ხშირად მიწას კი არ ხნავენ, არამედ თოხნიან და ისე აბარებენ თესლს მიწას! ეს კიდევ არაფერი, ზოგი კაცი იძულებულია, მაღალ ხეს თოკი მოაბას, მეორე წვერი თვითონ მიიბას და ისე თოხნოს, რომ ვინიცობაა, თოხნის დროს ფეხი დაუცურდა, თოკმა შეიმაგროს უფსკრულში გადაჩეხვისაგან! მიუხედავად ყველაფრისა, სასტიკი კლიმატისა და მწირი კლდოვანი ადგილებისა, აჭარლები ამგვარ მიწას მაინც „დედამიწას“ უძახიან და სარჩო-საბადებელის მოსაპოვებლად, დღედაღამ ჯაფაში ღვრიან ოფლსა“.**

ასეა დღესაც, მაგრამ აჭარის მაღალმთიანებში მიმავალი, ჩემს მასპინძელ ილია წულუკიძესთან ერთად განცვიფრებას ვერ ვმალავდი იმ ფაქტის გამო, რომ მიწის ერთი გოჯიც, პატარა ახოც კი არ იყო დაუმუშავებელი, დაუთესავი და მოუვლელი! მშრომელი ხალხია აჭარლები, განსაკუთრებით კი ზემოურები, მშრომელები და სტუმართმოყვარეები...

ქართველების სულიერი მამა და მოძღვარი დიდი ილია ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა: **„რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“.** სწორედ ეს სურდათ ოსმალო დამპყრობლებს, მაგრამ მათი მხრიდან მრავალგვარი ზეწოლისა და რეპრესიების მიუხედავად, ჩვენდა სასიხარულოდ, აჭარლებმა სრულფასოვნად შემოინახეს მშობლიური ქართული ენა, ქართული ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები. ამაში კი დიდია აჭარელი ქალების დამსახურება, ღვაწლი და ამაგი! მთელი 300 წლის განმავლობაში აჭარელი ქალები ძილისწინა „ნანათი“ და მჭადზე გამოსახული ჯვრით ებრძოდნენ ოსმალებს და სწორედ ამ ორი „თილისმის“ წყალობითაა, რომ ზემო აჭარლები დღეს ისეთი ქართულით მეტყველებენ, რომლის დარსაც საქართველოს ვერც ერთ კუთხეში ვერ მოისმენთ.

**როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომამდე და შემდგომ მცირე ხანს აჭარაში არც ერთი ქართული სკოლა არ ფუნქციონირებდა. აქ, ძირითადად, მედრესეები იყო გახსნილი, სადაც, ცხადია, სწავლება უმთავრესად არაბულ და თურქულ ენებზე მიმდინარეობდა. აჭარლებისთვის არაბულიც და თურქულიც სრულიად გაუგებარი იყო და ამიტომაც მოსწავლეებს ხოჯები წკეპლის მუქარით ლოცვებს აზეპირებინებდნენ, რომელთა შინაარსის არაფერი გაეგებოდათ.** არადა, ჩვენს ისტორიაში, როგორც ვიცით, აჭარა ზემო ქართლის, ანუ სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდა და ეს მხარე ქართველ მწიგნობართა აკვნად და სამშობლოდ იყო ცნობილი.

დარჩენილი ნანგრევები დიდებულ ტაძარ-ეკლესიათა უტყვი მოწმენი არიან ძველი ბრწყინვალე დიდებისა, მაგრამ — მხოლოდ მოწმენი...

**„ადრე მთელ აჭარაში 68 მედრესე (სკოლა) იყო. აქედან ზემო აჭარაში — 31, ხოლოდ ქვემო აჭარაში — 37, რომლებშიც 1177 ყმაწვილი სწავლობდა (ზემოში — 320 და ქვემოსაში — 857). წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად მოლა-პედაგოგი თავის შეგირდს გულში უნერგავდა სიძულვილს ყველა იმ ერთა მიმართ, ვინც მაჰმადის მმოსავნი არ არიან. მათთან კავშირის დაჭერა ცოდვა და მაჰმადის საწყენი საქმე იქნებაო!“**

ბათუმისა და აჭარის მხარის შემოერთება დიდ და მძიმე მოვალეობას აკისრებს ჩვენს მაშინდელ განათლებულ საზოგადოებას. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი უბრალო სიტყვებით მიმართავს მათ და ამბობს: **„განათლებაი ეჭირვება, ბატონებო, იმათ. ამდონი ახალგაზრდა კაცები ხართ, წადით, გაეცანით, ზოგი აქ მეიყვანეთ, სკოლები გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა. აბა, როგორი ძმა ხართ, თუ ასე აბდლურად დასტოვთ?!“**

საუბედუროდ, აჭარის დედა-სამშობლოსთან შემოერთების ერთ-ერთი უდიდესი მოამაგის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვები საუკუნეების გადმოღმაც აქტუალური შეიქნა, რადგან დღეს ზემო აჭარაში, ისლამის მომძლავრების რეალური საფრთხეები ისეთივე ხილულია, როგორც აჭარის კლდოვან ქარაფებზე ჩამოშლილი ძველი დიდების უტყუარი მოწმე ეკლესია-მონასტრები, თამარის ხიდები, ციხე-გალავნები და მათ გვერდით აღმართული მეჩეთ-მინარეთები! **რაშია საქმე? ნუთუ ეს მხარე ათასობით დახოცილი ქართველის ფასად იმიტომ დავიბრუნეთ, რომ დღეს — XXI საუკუნის საქართველოში კვლავ ოსმანთა (თურქთა) ბატონობის არეალად ვაქციოთ? განა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ჭეშმარიტად ქართული ინტელიგენცია და საზოგადოების შეძლებული წარმომადგენლები გროშ-გროშ იმიტომ აგროვებდნენ შემოწირულობებს, რომ დღეს აჭარელი ბავშვები ქართული წერა-კითხვის ნაცვლად, ისევ არაბულ და თურქულ ენებზე ყურანის შესწავლაში იხარჯებოდნენ?**

აჭარის დღევანდელი, „ჩარეცხილი“ ინტელიგენცია შეშფოთებას და აღშფოთებას ვერ მალავს იმ ფაქტის გამო, რომ მაღალმთიანი აჭარიდან დღეს თურქეთის რესპუბლიკაში უკვე 1300 ყმაწვილია გაყვანილი სასულიერო მედრესებში „ცოდნის“ მისაღებად და რომლებიც დროთა განმავლობაში უკან, სამშობლოში, ისლამის მქადაგებლებად, ხოჯებად და ალაჰის მადიდებლებად უნდა დაბრუნდნენ!!!

დღეს მდინარე ჭოროხის ულამაზეს ხეობას, მის დაკლაკნილ წყალუხვ კალაპოტს, ვიდრე ბეშუმამდე, ათზე მეტი ახლად აშენებული მეჩეთი „ამშვენებს“. ყველა მათგანი გზასთან ახლოსაა აშენებული, და თითქოს ვიღაცის ჯინაზე, სულ უფრო და უფრო მაღალ ადგილებზე, რათა გამვლელ-გამომვლელმა კარგად დაინახოს, გულარხეინი ქართველობის პარალელურად, სხვა უფრო მდიდარი და თანაც კეთილ მეზობლად შერაცხილი თურქეთის რესპუბლიკა როგორ „იღვწის“ ოდესღაც „მის მფლობელობაში მყოფი“ აჭარის გურჯისტანის თავის გავლენის სფეროში დასაბრუნებლად!!!

**უთოფოდ, ყოველგვარი ომისა და სისხლისღვრის გარეშე შემოდის ოსმანთა იმპერიის, დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის დიდძალი კაპიტალი აჭარაში! თურქული ბანკები უპროცენტო კრედიტებს აძლევენ იმ ბიზნესმენებს, რომლებიც ბათუმსა და მთლიანად აჭარაში „თავიანთი თუ საკუთარი ქვეყნის“ ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენთან სასტუმროებს, რესტორნებს, კაფე-ბარებსა და ათას სხვა საწარმოს აშენებენ. მუშახელი ამ გაჭირვების ჟამს არათუ აკლიათ, ჭარბადაც ჰყავთ და სწორედ ამიტომ თურქი ინჟი-**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ნერ-პერსონალი როგორც მონებს, ისე ეურთიერთებიან ქართველებს და, თუკი ვინმე ხარაჩოებზე ჩამომჯდარი ნახეს, სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებიან!**

ბარებსა და კაფეებში კი პირდაპირ ჰარამხანები აქვთ მოწყობილი, სადაც მიმტანებად, ჭურჭლის მრეცხავებად, დამლაგებლებად და ბოლოს, ხორციელი ვნებების დასაკმაყოფილებლად ახალგაზრდა ქართველი გოგონები ჰყავთ „დასაქმებული", რომლებიც თურქ მეპატრონეებს თვალებში შესციცინებენ სამსახურის დაკარგვის შიშით!!!

**„ვარდების რევოლუციის" გაგრძელება, ალბათ, ასე წარმოუდგენიათ ჩვენს ამერიკელ „პატრონებს", თორემ სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ყოველივე ის, რაც დღეს აჭარასა და მთლიანად საქართველოში ხდება?**

ჩვენი სამშობლო დღესაც დიდი ექსპანსიის მსხვერპლია! ბათუმის ქუჩებში, რესტორნებიდან და კაფეებიდან მხოლოდ თურქული, სომხური და ინგლისურენოვანი მელოდიები ისმის! **ჩვენი „დიდი მხედართმთავარი, გმირი მეფე, უბადლო ორატორი" და მაინც შარახვეტია მიხეილ გამსხვისებელი კი ამ ყველაფერს ზღვისპირა კაფე „ვიტამინიდან" ადევნებს თვალყურს 14-15-16 წლის „პატარა ვიტამინების" გარემოცვაში! ხანდახან ძველი ბათუმის „კრიშაზე" ადის, თავის „ბეჩლამაზა" ვარ შალომის ძესთან ერთად და ფეხებზე კიდია — აჭარა ქართველობას რა სისხლისა და ტანჯვა-წამების ფასად დაუბრუნდა!!! მისი სანდრა კი, ბათუმის უნივერსამში „პიარშოპინგზე" დადის და აჭარელ შრომისაგან წელში გაწყვეტილ ქალს, ბუსჰალტერის ფასის დაკლებაში ეღრიჭება, აქაოდა: „10 ლარი ძალიან ძვირიაო!" „რაიც მაზარალეთ, იგიც მეყოფა," — არ უკლებს ფასს აჭარელი ქალი და სანდრაც შეცბუნებული პირად დაცვასთან ერთად უნივერსამიდან „ნაწყენი" გადის... (ეს ამბავი თვითმხილველმა მიამბო).**

მკითხველი იკითხავს: კი, მაგრამ აჭარაში ბედნიერნიც ხომ არიან? — არიან, ბატონებო, როგორ არ არიან, მაგრამ ისინი საზოგადოების „უმცირესობას" წარმოადგენენ, ანუ სექსუალურად და პოლიტიკურად მცირე ჯგუფს! **ბედნიერთა რიცხვს მიეკუთვნებიან აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეცა და დეპუტატების ჯგუფიც, რომლებიც უწინაც და ახლაც საკუთარი აზრის დეფიციტს იმ მარტივი მიზეზის გამო განიცდიან, რომ მონები იყვნენ და მონებად დარჩნენ!!! მათი თავისუფლება კი მხოლოდ იმაშია, რომ 5000-დოლარიან უნიტაზში მთელი საქართველოს ჯინაზე ყოველდღე საქმობენ და თანაც ურცხვად გვაყვედრიან: „ამდენ რამეს გიკეთებთ და მაინც ვერ ხედავთო!"**

**P.S.**

**ვაი ჩვენს პატრონს, ქართველებო, ვაი ჩვენს პატრონს!!! ვაი, თქვენ, აჭარლებო, მემედ აბაშიძე რომ კიბის ქვეშ შეგიკუჭიათ და მიხეილ დამაქცევარს კი ყოველდღე ყურებამდე გაღრეჭილები ხვდებით! ახია თქვენზეც და ჩვენზეც, რადგან ვერასოდეს ვარჩევდით მოამაგესა და დამაქცევარს; და თანაც ისეთ დამაქცევარს, რომელსაც ჯიბე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ფულით ჰქონდა გატენილი!**

**ახია და ალალია ჩვენზე ყოველივე, ალალია და ღმერთმა შეგვარგოს!!!**

**ირინე გოგოსაშვილი**

სტატიაში გამოყენებულია ფრაგმენტები თეიმურაზ კომახიძის ნაშრომიდან „ილია ჭავჭავაძე, აჭარის დიდი მოამაგე"

# რა აკავშირებს „თვითმფრინავების საქმესთან" თამაზ გაიაშვილს

**2004 წლის 2 ოქტომბრის №01-22/437 წერილით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (მინისტრი ა. ბეჟანიძე) თხოვნით მიმართა (?) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განეხორციელებინა ბათუმის მერიის ბალანსზე მყოფი ორი საჰაერო ხომალდის ЯК 42 (4L AAM და 4L AAR) პრივატიზება. ეს იმ დროს, როცა აღნიშნული თვითმფრინავები ბათუმის მერიის საკუთრება იყო! რაღა თქმა უნდა, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს „საშური" ინიციატივა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უმალ აიტაცა და 2 დღეში მინისტრის პირველი მოადგილის ნათია თურნავასაგან დადებითი პასუხიც მიიღო, წერილი №16/1463/3-4 04.10.2004 წ.).**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების რაც შეიძლება სწრაფად პრივატიზებას (და შემდგომ სიმბოლურ ფასად გაჩუქებას) თავად აჭარელი ჩინოვნიკები უწყობდნენ ხელს და ვიდრე ნათია თურნავას ხელმოწერილი დოკუმენტი ბათუმამდე ჩააღწევდა, იმავე 4 ოქტომბერს ქ. ბათუმის მერი მურმან ბერიძე №195 განკარგულებით იღებს ცნობად ამ ორივე სამინისტროს წინადადებას და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების" შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეაქვს ორივე საჰაერო ხომალდი საპრივატიზაციო ნუსხაში.

**იმავე 4 ოქტომბერს აქვე, თბილისში, შპს „აირზენას" დამფუძნებლებმა (ოქმი №2) სურვილი გამოთქვეს, შეესყიდათ ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული ორი თვითმფრინავი. ამ კრების ოქმით კი ირკვევა, რომ დავით გაიაშვილმა (თამაზ გაიაშვილის ძმა) მგზავრთა ნაკადისა და ტურისტული მიმოსვლის გაზრდასთან დაკავშირებით, აუცილებლადაც კი მიიჩნია, რომ უეჭველად მხოლოდ მათ უნდა შეესყიდათ თვითმფრინავები (?!). არადა, ეს მაშინ, როდესაც შპს „აირზენა" იმ დროს არ იყო ავიაკომპანია, არ ჰქონდა ექსპლუატანტის მოწმობა და არ ახორციელებდა ფრენებს!!! ეს რომ აბსოლუტური სიმართლეა და ჭეშმარიტება, ამას ადასტურებს ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ 15.05.2009 წლის №06/722 წერილის საფუძველზე.**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს „აირზენას" პარტნიორთა ჯგუფის დამფუძნებლები არიან ელენა გაიაშვილი (თამაზ გაიაშვილის მეუღლე), დავით გაიაშვილი (ძმა), ანზორ ბაკურაძე და ვინმე ბესარიონ ჭედია, რომელიც, აგრეთვე, გენერალური დირექტორია, თუმცა მოგვიანებით, როდესაც იმავე ბესარიონ ჭედიას 2 თვითმფრინავის შემდგომი ბედის შესახებ ვკითხეთ, მან საერთოდ ვერ გაიხსენა, რა თვითმფრინავებზე იყო საუბარი და შემდეგი გაურკვეველი ფრაზებით შემოიფარგლა: **მე რა შუაში ვარ, მე მითხრეს, ხელი მომეწერა და მოვაწერეო (?!).**

11 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ა. ბეჟანიძის №196 ბრძანების საფუძველზე გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „აირზენა" საქართველოს ავიახაზებთან (დააკვირდით ბრჭყალებს) და დაევალა ქ. ბათუმის მერიას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. **მეორე დღეს კი, ანუ 12 ოქტომბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ხელს აწერს მინისტრი ა. ბეჟანიძე) ოპერატიულად გამოსცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №239-პ, რომელიც ადასტურებს ორივე საჰაერო ხომალდის საკუთრებაში გადაცემას შპს „აირზენასთვის", მდებარე თბილისში, აეროპორტის დასახლება №79! მკითხველს ვთხოვთ, დააკვირდეს: არსად წერია გაგრძელება „საქართველოს ავიახაზებისათვის", თუნდაც გადაკეთებული ბრჭყალებით, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის №440-ე ბრძანებულებაში ჩანს!!!**

საინტერესოა, არის თუ არა ერთი და იგივე შპს „აირზენა" საქართველოს ავიახაზები (პრეზიდენტის №440-ე ბრძანებულების მიხედვით), შპს „აირზენა" და შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები"? სად და როგორ ამოტივტივდა მთელ ამ აბსურდულ საქმეში ეს სამი სუბიექტი, სადამდე მივიდა ხარბი ადამიანების დაუოკებელი მადა და რა ბედი ეწია ორ საჰაერო ხომალდს მოგვიანებით (დოკუმენტების გაყალბებით, ნაუცბათევი ბრძანებებით და ა.შ.), ამას შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ!!!

2004 წლის 12 ოქტომბერს ქ. ბათუმის მერიის საჰაერო ხომალდის ЯК 42 დ 4L AAR, საქარხნო № 45204223116650 მიღება-ჩაბარების ოქმით ირკვევა, რომ შპს „აირზენას" მხრიდან წარმომადგენლები იყვნენ: ნ. ბეჟუაშვილი — ფრენების უსაფრთხოების ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი და ბ. ჭედია — გენდირექტორი. ნუგზარ ბეჟუაშვილმა ჩვენს შეკითხვაზე: მუშაობდა თუ არა ოდესმე შპს „აირზენაში", განაცხადა: **არა, მე ვმუშაობდი „აირზენა საქართველოს ავიახაზებში"! მაშ, რამდენად ჰქონდა ნ. ბეჟუაშვილს უფლება, ხელი მოეწერა მიღება-ჩაბარების აქტზე, თუკი იგი სტატუსით უფლებამოსილი არ იყო? ჩვენს კითხვაზე: ჰყავდა თუ არა როდესმე ბალანსზე აღნიშნული საჰაერო ხომალდები შპს „აირზენას" ანდა შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზებს", მთავარმა ბუღალტერმა ინგა კაზარიანმა გვიპასუხა: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს საჰაერო ხომალდები არასდროს ყოფილა „აირზენა საქართველოს ავიახაზების" ბალანსზეო!**

იქნებ, ვინმემ (პროკურატურამ, პარლამენტმა, აჭარის მინისტრთა საბჭომ, ბათუმის მერიამ ანდა აჭარის დეპუტატებმა), ბოლოს და ბოლოს, ხმა ამოიღოს და გაარკვიოს, როდის და ვის ბალანსზე იყო 5 მილიონ 800000 დოლარის ღირებულების თვითმფრინავები 2004 წლის 6 ოქტომბრის შემდეგ და დაინტერესდეს, ეს თვითმფრინავები ვინ გაყიდა!

ისინი, ვინც სხვისი ქონების მიტაცების და შემდგომ მათი სარფიანად გაყიდვის გამო დღეს ჩვენი საგაზეთო პუბლიკაციებით ერთობ შეშფოთებულია, ჩემს სამეგობრო წრეში მზრუნველობანარევი მუქარით მითვლიან: გაჩერდეს, თორემ მაგასაც მიხედავენ მალეო!

**ბატონებო, ანუ ე.წ. ძლიერნო! ჩირადაც არ მიღირს თქვენი მუქარა, იმიტომ, რომ რასაც ვწერ, ასპროცენტიანი სიმართლეა და, თანაც, დოკუმენტურად დადასტურებული! მე რომ სრულ ჭეშმარიტებას ვთავაზობ მკითხველს, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ არც ერთი უწყებიდან, მათ შორის, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციიდან, ბათუმის მერიიდან, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და სტატიაში პერსონალურად დასახელებული პირებისაგან, თუნდაც ერთი საპირისპირო დოკუმენტი არ მიმიღია რედაქციაში.** არადა, ტყუილს რომ ვწერდე, ხომ წარმოგიდგენიათ, ყორნებივით როგორ დამასხდებოდით თავზე და რა გნიასს ატეხდით?

**ასე რომ, კვლავაც „დატკბით" ჭეშმარიტებით და თვალყური ადევნეთ, ამის შემდეგ რა სკანდალურ დოკუმენტებს გამოვაქვეყნებ „საქართველო და მსოფლიოს" ფურცლებზე.**

პატივისცემით

**ირინე გოგოსაშვილი**

**გაგრძელება იქნება**


ავიაკომპანია „აირზენა" პარტნიორთა კრების

ოქმი № 2

ქ. თბილისი — 2004წ 04 ოქტომბერი

**ესწრებოდნენ:** ყ. გაიაშვილი, დ. გაიაშვილი, ა. ბაკურაძე და ბ. ჭედია. (კრებას ესწრებოდა ხმათა 100 პროცენტი და იგი გადაწყვეტილებაუნარიანია).

**დღის წესრიგი:** ა/კ „აირზენა"-ს მიერ, ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე არსებული „იაკ-42 (4L-AAM)" და „იაკ-42 (4L-AAR)" თვითმფრინავების შესყიდვის შესახებ.

**არჩეული იქნა მუშა პრეზიდიუმი:** თავმჯდომარე-დ. გაიაშვილი, მდივანი- ბ. ჭედია.

**სიტყვით გამოვიდა დ. გაიაშვილი,** რომელმაც აღნიშნა რომ მგზავრთა ნაკადის მომატებასთან და ტურისტული მიმოსვლის გაზრდასთან დაკავშირებით აუცილებელია თვითმფრინავების შესყიდვა. ავიაკომპანიას სურვილი აქვს შეისყიდოს ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე არსებული „იაკ-42 (4L-AAM)" და „იაკ-42 (4L-AAR)" თვითმფრინავები. ბატონმა დ. გაიაშვილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია რომ, ავიაკომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომები თვითმფრინავების შესაძენად.

კრების მონაწილეებმა ერთხმად 100%-ით დაუჭირეს მხარი ბატონ დ. გაიაშვილის წინადადებას.

**დაადგინეს:** შეძენილი იქნას ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე არსებული „იაკ-42 (4L-AAM)" და „იაკ-42 (4L-AAR)" თვითმფრინავები. მათ შესყიდვასთან დაკავშირებული იურიდიული და ფინანსური საკითხების მოგვარება, გადაწყვეტა დაევალოს ავიაკომპანიის გენ. დირექტორს ბატონ ბ. ჭედიას.

კრების თავმჯდომარე — დ. გაიაშვილი

მდივანი — ბ. ჭედია


საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA
UNITED TRANSPORT ADMINISTRATION

15 . 05 2009წ. № 06/722


საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

04 . 10 2004 წ № 16/1463/3-4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 2 ოქტომბრის №01-22/437 წერილი და არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს თქვენს წერილში მითითებული იაკ-42 ტიპის საჰაერო ხომალდების (საბორტო ნომრები 4L-AAM და 4L-AAR შესაბამისად) პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მინისტრის პირველი მოადგილე — ნ. თურნავა


საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

**„ჩვენი დიდი მიღწევაა, რომ მთავრობა არ ჩამოიშალა“, — ისეთი სიამაყით აცხადებს პრეზიდენტი სააკაშვილი, გულუბრყვილოდ იფიქრებ, რომ მთელი ერის ოცნება „ამათი“ მდგრადობაა. ყველას კარგად ახსოვს გაპრეზიდენტებული რევოლუციონერის დაპირება დემოკრატიის აშენებისა და სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ. ბევრმა დაიჯერა, რომ ეს ლოზუნგური პოლიტიკა გულწრფელობით იყო ნაკარნახევი და „მემანქანის“ პირველსავე მოწოდებაზე — ვინც მოასწრებთ, მატარებელს შემოახტითო — ზოგიერთმა ნიფხვისამარა ტუცა თავი... ვაგონში. ეს ის დრო იყო, როცა ვაზელინს ცეცხლის ფასი დაედო. მერე დემოკრატიის პირველმა ტალღამ უქონელი ნიფხვიანები ახალ მოდაზე გამოპრანჭა, ბრიყვი შეძლებულები კი იმ „გაქანებული მატარებლიდან“ უნიფხვოდ გადმოუძახეს.**



# ვაი ჩვენს პატრონს!

## წერილი პირველი

ბევრი იძახეს, მოგვატყუესო, შევცდითო, არ გვეგონაო, რას ვიფიქრებდითო, მაგრამ მემანქანე მატარებლის „გუდოკს“ ისე აყვირებდა „ლაივში“, მათი მოთქმა-გოდება ქვიშაზე დასხმული წყალივით ჩაიკარგა დემოკრატიის უდაბნოში. სამაგიეროდ, სააკაშვილის ამფსონები შავი დედლებივით გაკეთდნენ. თვით უავგუსტესს კი თამამად შეუძლია თქმა — „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები...“

**ნუ შეეცდებით ფრაზის დასრულებას: მისთვის გლახაკთათვის საჭურჭლის მიცემა ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც გათავისუფლება იმ მონებისა, თვალებში რომ შესციცინებენ და მთავრობას ეძახის; მთავრობას, რომელიც „არ ჩამოიშალა“ შარშანდელი აგვისტოს ომის დროს. არადა, რა დაგვავიწყებს დაზაფრული მოსახლეობის ფონზე, როცა ზოგი, როგორც ლეკიანობისას, ისე უფრთხოდა ავტომაგისტრალის სიახლოვეს ცხოვრებას, თბილისელებმა კი კახეთისკენ გაჭიმეს ქარავანი, ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათი ოჯახის წევრები თუ ნათესავ-ახლობლები როგორ გარბოდნენ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრისკენ ჯიპკიდულით.**

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, 1945 წელს ბერლინში ბუნკერში გამოკეტილ ჰიტლერს რომ ეთქვა, მესამე რაიხის მთავრობა არ ჩამოიშალაო; იქნებ, ამბობდა კიდეც, მაგრამ არა მგონია, მისი ეს განცხადება რეალობად აღექვათ მასთან მყოფ გენერლებს. გერმანელები წლების მანძილზე ჰიტლერის ჩამოშლილ მთავრობას და ფიურერის დანახშირებულ სხეულს კი არ მისტიროდნენ, მოკავშირეების და, უპირველესად, ამერიკის მიერ შუაზე გახლეჩილი გერმანია ადარდებდათ. დარწმუნებული ვარ, იავარქმნილ ბერლინში არც ერთი გონიერი გერმანელი არ ფიქრობდა ჰიტლერის მთავრობის გადარჩენაზე, რადგან თვით გერმანიის, ერთ დროს (სულ რამდენიმე წლით ადრე!) ევროპის უძლიერესი სახელმწიფოს არსებობას საფრთხე ემუქრებოდა... თუმცა, ალბათ, დღესაც არიან გერმანიაში ჰიტლერელები, ისევე, როგორც დადგება ის დროც, როცა საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი „ნაცები“ ჩვენც შეგვახსენებენ 2008 წლის აგვისტოს „მოგებულ“ ომს და თვითონაც ხშირად გაიხსენებენ, რომ ერთხანს მათთვისაც იდგა მტკბარად ნაგემნი დრონი...

**წლეულს ომის წლისთავი ისე აღვნიშნეთ, თითქოს შარშანდელი ომი მართლა მოვიგეთ ან, სულაც, თქვენ წარმოიდგინეთ და, ეს მოგებული ომი ახლაც გრძელდება. საქართველოს ისტორიას ბევრი სიბრიყვე ახსოვს, მაგრამ ერის სიშლეგე ამაზე შორს ვერ წავა. თუმცა რატომ, შარშან აგვისტოში რუსთაველის პროსპექტზე გამართული ჩარბუზანა კიდევ არაერთხელ შეგვახსენებს თავს — მთავრობის სახლის წინ ცეკვა-თამაშისა, თუ ტუტრუცანა პოლიტიკოსებისა და არტისტების ტინგიცი სირცხვილად კიდევ დიდხანს გაგვყვება.**

ამ ჩვენს მატრაბაზობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მიშას მეგობარი პრეზიდენტებიც, თუმცა მხოლოდ სულელი თუ დაიჯერებს, რომ მათ არ იცოდნენ, რა კალო ილეწებოდა საქართველოში. ისინი ჩვენზე უკეთ ხედავდნენ, რომ კევრზე უნიათოდ იდგა შეშინებული მთავარსარდალი და მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. ამ შიშსაც ჰქონდა საფუძველი — ომი ჯერ არ იყო დამთავრებული და ჯერ არ იცოდა, რომ... მოიგო!

**ორ ზღვას შუა ძველთაგანვე საომარი ლელო ახლა ჩვენი ევრო-ამერიკელი მეგობრების აღშფოთება-შეშფოთების (პირიქითაც შეიძლება თქმა!) პოლიგონად იქცა. ენა არ მოგიბრუნდება სათქმელად „ის გადარჩაო“, რადგან, დღეს ჩვენ რომ ვხედავთ, იმას სახელად საქართველო არ ჰქვია. საქართველო ვერ გადარჩა. სამაგიეროდ, გადარჩა სააკაშვილი, რადგან მისი მთავრობა „არ ჩამოიშალა“.**

საქართველოს ბედისწერაა მისი გეოგრაფიული მდებარეობა და რომელმა ხელისუფლებამაც ეს არ გაითვალისწინა, ან თავი დაკარგა, ან... რასაც აწი დაკარგავს, ის! როდესაც სხვის თამაშს თამაშობ და შენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები მაჯაზე შებნეულ საათზე ნაკლებად გიღირს, როდესაც შენთვის მთავარი სხვათა სამსახურში ყოფნაა, ოღონდ კი სასახლეში შესვლა მოასწრო და ამით მაინც ჩაეწერო ქვეყნის ისტორიაში, ყოველთვის დაუშვებ შეცდომას (?), რომელიც სასიკვდილო საფრთხეს შეიცავს ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობისთვის.

**ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, ჩვენზე მზრუნველმა სხეფერმა არაერთხელ განაცხადა, საქართველომ, ნატოს წევრობა თუ სურს, ტერიტორიული კონფლიქტები უნდა მოაგვაროსო. ჰოდა, ბეჯითმა სააკაშვილმაც „მოაგვარა“! აქეთ „სასტიკად დამარცხებული“, „ნიღაბჩამოხსნილი“ და „სრულიად გაშიშვლებული“ რუსეთიც კმაყოფილია და იქით ყოფილი აღშფოთებული ამერიკაც ძლივს მოდუნდა, რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვას შეუდგა. ჩვენ კი, როგორც უკვე „საქართველო და მოფლიო“ წერდა, სტრატეგიულად მიგვაRESTARTეს!**

### ახლა უკვე „უკონფლიქტო“ საქართველოს, როცა გამარჯვებული სააკაშვილი დაფნის გვირგვინს მედიდურად დაიდგამს, ანუ მის მიერ მოგებულ ომს მთელი მსოფლიო აღიარებს, ნატოშიც მიიღებენ, ოღონდ აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშე!

ამ ფონზე სააკაშვილი, რა თქმა უნდა, გამარჯვებულია. მან საკუთარი ხალხი დაამარცხა. მერე ამ ხალხს გეტოები დამკვრელური რეჟიმით აუშენა და წინაპართა მიწა-წყალზე დაბრუნების ყოველგვარი იმედიც გადაუწურა. მან ისეთი წარმატებით შეძლო ნატოს წევრობისთვის აუცილებელი ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულება, ახლა ისღა დაგვრჩენია, ჩვენც ვცნოთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოებად და აღარც ქართული დემოკრატიის უმწიფარობას მოიმიზეზებენ და აღარც ქართული თემიდან თვალების პაჭუნს — აღარც მაპი დაგვჭირდება (მაინც არ მოგვცეს!), აღარც მაპზე უკეთესი (თუმცა ეს უკვე გვაქვს!), პირდაპირ ნატოში შევგრიალდებით. თუ მაინც არ მიგვიღეს, გამოვა ჩვენი ტელეეიპუცა და უტიფრად გვეტყვის — ნატოზე უკეთესში გვიღებენო. წადით მერე და არკვიეთ, ეს ნატოზე უკეთესი რა არის და სად არის.

რუსეთისა და ამერიკის „ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის“ დროს საქართველოს ადგილი კი, როგორც ნაციონალების გასაგიჟებელი წერილის — „ბაიდენმა დაგვიბარა...“ — დასკვნით ნაწილში ვწერდი, სადღაც შუაშია...

თუმცა საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს არ კმარა და სტრატეგიული პარტნიორისთვის თავის მოსაწონებლად ავღანეთში კიდევ ერთ სამშვიდობო ბატალიონს აგზავნის. თვითონ საფრთხეში მყოფი (განა მართლა მოვიგეთ!) საქართველოს მეომრები ავღანეთში შეასრულებენ სამშვიდობო მისიას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ თხოვნით (!) პარლამენტს თვით უავგუსტესმა სააკაშვილმა მიმართა და აბა, ეს გულდათუთქული მამულიშვილები უარს როგორ ეტყოდნენ გამარჯვებულ მთავარსარდალს. ნაცდეპუტატ გიორგი კანდელაკის თქმით, საქართველოს მონაწილეობა ამ მისიაში მნიშვნელოვანია იმით, რომ **„პირველი — ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები უშუალო საბრძოლო გამოცდილებას მიიღებენ, რადგან ისინი უშუალოდ საბრძოლო სიტუაციაში იქნებიან და ეს, მართლაც, შეუფასებელი გამოცდილებაა; მეორე — ეს იქნება მძიმეწონიანი არგუმენტი ნატოში გაწევრიანების გზაზე“.**

**ჩვენ რომ გვეგონა, ესენი შარშანდელმა ომმა სწორ გზაზე დააყენა, თურმე ისევ თავისას უბერავენ; მაგრამ კანდელაკს რა ჭკუა მოეკითხება, როცა თვით თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე აცხადებს: „რადგან საქართველო თავისუფალი სამყაროს ნაწილია, მან დანარჩენებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღოს სერიოზული გამოწვევების გადაწყვეტაში“.**

ნუ გაგეცინებათ, ნურც გაცვეთილ ანდაზებს გაიხსენებთ, რადგან ასეთი გადაწყვეტილება დამარცხებული ქვეყნის გამარჯვებულმა მთავარსარდალმა მიიღო, ხოლო დეპუტატი კანდელაკი არც შარშანდელი აგვისტოს დროს გახსენებია ვინმეს და არც ახლაა დიდი ხვითო. მინისტრი სიხარულიძე კი, იმ ომში გამარჯვებისას, აშშ-ში ჩვენი ქვეყნის ელჩი იყო და, რომ არა მისი აქტიურობა, ძნელი წარმოსადგენია, თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი ასე გულდათუთქულნი აღშფოთებულიყვნენ.

ჩვენთან კი უკვე ჩამოვიდა შეერთებული შტატების 85 საზღვაო ქვეითი სამხედრო მოსამსახურე. ისინი იმ ქართული სამხედრო ნაწილების სასწავლო პროგრამის ფარგლებში იმუშავებენ, რომლებიც ავღანეთში გასამგზავრებლად ემზადებიან. **„ჩვენი“ მეთიუ ბრაიზას განცხადებით (რომელიც ახლახან აშშ სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის თანაშემწეობიდან აზერბაიჯანში ელჩად გაამწესეს), ამერიკელი საზღვაო ქვეითები ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს გაწვრთნიან, მათ შორის — ახალი ტექნიკის მოხმარების კუთხით (ალბათ, პლასტმასის ავტომატების მოხმარებას ასწავლიან!), თუმცა აშშ თბილისს შეიარაღებას არ მიაწვდის.**

ცოტა ამოვისუნთქე. თუკი შეიარაღებას არ მოგვაწვდიან, არა უშავს, თორემ ეს ჩვენი „ჩამოუშლელები“ კიდევ რა ფარსაგს დაგვატეხდნენ თავს, იმ ბრაიზამაც არ იცის, პრეზიდენტმა სააკაშვილმა „ოქროს საწმისის“ ორდენით რომ დააჯილდოვა ამერიკა-საქართველოს შორის მეგობრობის ხელშეწყობისა და ამ ურთიერთობაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის. გული არ მითმენს, სააკაშვილის „ისტორიული“ სიტყვები არ მოვიხმო, რომელიც მან ბრაიზას დაჯილდოებასთან დაკავშირებით წარმოთქვა:

**„მეთიუ ბრაიზას წვლილი ჩვენი ურთიერთობების განმტკიცებაში ძალიან დიდია. ყველაზე რთულ დროში თავის კოლეგებთან ერთად ის საქართველოს გვერდით იდგა. ჩვენ აშშ-თან გვაქვს სტრატეგიული ურთიერთობები. ეს არის ურთიერთობები, რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემას და არა დიქტატს, თანასწორუფლებიანობას და არა ბატონყმურ ურთიერთობას. ეს არის სტრატეგიული ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება იმას, რომ საქართველო იყოს კარგად“.**

### დაუკვირდით სააკაშვილის სიტყვებს — „არა დიქტატს“ და „არა ბატონყმურ ურთიერთობას“. რატომ დასჭირდა საქართველოს პრეზიდენტს ამ სიტყვებისთვის ხაზგასმა, იმიტომ ხომ არა, რომ ძალიან კარგად იცის, როგორი სტრატეგიული დიქტატორები და სტრატეგიული ბატონები უმაგრებენ ზურგს?

ამიტომაც მათ მოციქულს „ოქროს საწმისი“ შეაბა (მაგრამ მას მხოლოდ „ოქროს საწმისით“ ვერ შეაბამს!) და დაემშვიდობა, თუმცა პატრონებმა ბრაიზა ისევ კავკასიაში დატოვეს — აქვე, ახლოს, ჩვენს სტრატეგიულ მეზობელთან — აზერბაიჯანში; ოღონდ ბაქოში ჩადგმით, აქამდე ევრაზიაში ჩამოტარებით იყო და დაიღალა.

დასვენებული არც მისი შემცვლელი თინა კაიდანოვია. იგი ბალკანეთის საკითხებზე მუშაობამ დაღალა, თუმცა დიდი გამოცდილებაც შეიძინა. 2008 წლის ივლისში კოსოვოში ელჩად დანიშნული კაიდანოვი იქ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ჩავიდა, ამ თანამდებობაზე კი 2009 წლის 1 ივნისამდე იმსახურა. თუკი მის ბალკანურ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ახლა საქართველოში „**домашние заготовки**“-ს რეალიზაციის დროა. რა როლს შეასრულებს ჩვენთვის საჭირბოროტო ამ პრობლემის მოგვარებაში ობამას ქალი თინაო, წინასწარ ძნელი სათქმელია, თუმცა ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ჯერ კიდევ ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საქმეებს უძღვებოდა, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა მისიებს ბელგრადსა და სარაევოში. ბრაიზასთან შედარებით, კაიდანოვის საგანგებო მისიაზე ისიც მეტყველებს, რომ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის — რიჩარდ არმიტიჯის საგანგებო მოადგილე იყო ევროპის საქმეებში.

**ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ რა ხეირი? რა და, თუკი პრეზიდენტი სააკაშვილი კაიდანოვის ამ ახალ თანამდებობაზე მუშაობის დასრულებისთანავე „ოქროს საწმისის“ ორდენს შეაბამს ყირმიზ ყელზე, მაშინ კაიდანოვის მისია კავკასიაში წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ვისთვის? ნუ ვიმტვრევთ თავს ამ შეკითხვაზე პასუხის ძიებით, რადგან, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი გვაიმედებს, „რეგიონები დაკარგულად არ მიმაჩნია. ისინი რუსეთის გარდა არავის უღიარებია. თუ გახსოვთ, საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ ევროპის შენარჩუნება 40 წელზე მეტხანს ვერ შეძლო. ვერც რუსეთი მოახერხებს ოკუპირებული ტერიტორიების შენარჩუნებას და მე მათ დავიბრუნებ“.**

კითხულობ ამ სიტყვებს და გულში სითბო გეღვრება. რა ბედნიერი ხარ, ქართველო ერო, სამოთხეში ცხოვრობ და უდაბნოებისა და შუაზე გაპობილი ზღვების გადალახვა არ გჭირდება, 2013 წლამდე არჩეული მოსე აქ, ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ბორიალს კიდევ 40 წელიწადი გვპირდება და შემდეგ დაიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. თუმცა იქნებ მანამდეც მოხერხდეს რამე — მოსემ ხომ, სააკაშვილის თქმით, 25 წელი ატარა უდაბნოში ხალხი?!

**თანაც, პრეზიდენტმა ეს ისეთი რიხით წარმოთქვა, 2049 წლამდე არსად აპირებს წასვლას. თუ ამ დროისათვის მის ასაკს გავითვალისწინებთ, დაახლოებით იმდენისა იქნება, რამდენისაც ახლა შევარდნაძეა. ახლა წარმოიდგინეთ, 82 წლის ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს როგორ იბრუნებს...**

**წარმოიდგინეთ? მერედა, რა გაცინებთ?**

**ბონდო მჭინარაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ოპოსტყაოსანი

**9 აპრილს დიდი ჭრაჭუნითა და ბაქიბუქით ჩასახულ ოპოზიციურ მოძრაობას დღეს ოთხი თვე და ორი კვირა შეუსრულდებოდა. გინეკოლოგების ენით რომ მოგახსენოთ, ფეხმძიმობის ასოცდამეცამეტე დღეზე ოპოზიციის პირმშოს სქესიც უნდა გვცოდნოდა და გულისცემაც მოგვესმინა, მაგრამ... მოგეხსენებათ, ხალხი ბჭობდა, „გრეჩიხა“ იცინოდა და აბორტმახერობაში ქეშად აღებულ კუშს ითვლიდა... ოპოზიციას მუცელი მოეშალა, საპროტესტო ტალღის პირმშო მკვდრადშობილი აღმოჩნდა, ამიტომაც მიწევს ამ თემაზე ისე საუბარი, თითქოს წასულების შესანდობარს ვამბობდე...**



**„მიტინგს ისრე დავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი, ოსებს გრადი შემოვსტყორცი, რუსებს ჩავაბარე გორი; გეგა, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი, უხვ საჭურჭლით მოვისყიდე „გრეჩიხები“ ძმანი ორი“.**

ისე, ვგონებ, უადგილო არ იქნება, სწორედ წასულების რანგში მოვიხსენიოთ ოპოზიციის ლიდერებიც, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებმაც აქციების დაწყებამდე თავიანთი განცხადებებით ჯერ ლამის ფანატიზმამდე აიყვანეს საზოგადოების რწმენა, ხოლო აქციების დასრულების შემდეგ კი, ასევე, ფანატური ნიჰილიზმი გააღვივეს საზოგადოებაში.

არა მგონია, ხალხს დავიწყებოდა პირწმინდა დემაგოგების სახელები, მაგრამ ნათქვამია: „გამეორება ცოდნის დედააო“ და მეც, თქვენის ნებართვით, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, თუ რა განცხადებებს აკეთებდნენ ოპოზიციის მესვეურები 9 აპრილამდე. მაგალითად, 6 აპრილს ტელეკომპანია „კავკასიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კობა დავითაშვილმა განაცხადა, **ხელისუფლების შეცვლას თვეები და წლები კი არ დასჭირდება, — საკმარისია, ერთი-ორი კვირა ქუჩაში დავდგეთ, სააკაშვილი თავქუდმოგლეჯილი გაიქცევაო.** ამავე ტელეკომპანიის ეთერში დაახლოებით იგივე შინაარსის განცხადება გააკეთა ოპოზიციის მამამთავრად წოდებულმა „გრეჩიხამაც“, რომლის სიტყვასაც, დამერწმუნებით, განსაკუთრებული ძალა და ეფექტი ჰქონდა. საზოგადოებამაც ბრმად ირწმუნა ეს პრიმიტიული დემაგოგია და სამი თუ ოთხი დღის შემდეგ (9 აპრილს) ერთობ ოპტიმისტური შემართებით ქუჩაში მოიყარა თავი. დღევანდელი გადმოსახედიდან, ალბათ, სასაცილოა ეს ყველაფერი. ამიტომაც ეცინებათ ხოლმე ხელისუფლების წარმომადგენლებს, როცა ბრაზისაგან პირზე დუჟმომდგარი ლიდერების ბაქიაობას ისმენენ.

**არადა, რა დამაჯერებლად გვატყუებდნენ ეს ოჯახქორები. ჩვენც გულუბრყვილოდ გვჯეროდა მათი. ჰოდა, მივიღეთ კიდეც, რასაც „ვიმსახურებდით“ ამ ბრმა და მიამიტური რწმენის გამო, მაგრამ საკითხავი, ალბათ, ის უფროა, თავად ოპოზიციამ რა მიიღო ცრუპენტელობით. მხოლოდ ის, რომ საზოგადოებამ ზურგი აქცია, ხელისუფლებამ კი კიდევ ერთი „ხოშიანი“ პანღური ამოჰკრა სირაქლემის პოზიციაში მყოფ ლიდერებს.**

**თუმცა ოპოზიციის რიგებში ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც პანღურს სხვა რამე ამჯობინეს; მაგალითად, დიალოგზე წასვლა, რითაც არა მარტო თავიანთი უკანალები იხსნეს, არამედ ხელისუფლებისგან კომპლიმენტებიც კი დაიმსახურეს.**

უწინარესად, ეს ირაკლი ალასანიას და მის გაერთიანებაში შემავალ სუბიექტებს ეხება. მათ აქციების დასრულებისთანავე წინა პლანზე წამოწიეს დიალოგის საკითხი და ერთგვარი შესაშური მონდომებით შეუდგნენ „ნაცებთან“ საერთო ენის გამონახვას; მიზანსაც მიაღწიეს — დღეს ისე შეხმატკბილებულად საუბრობენ „ვარდოსნებთან“, სიამის ტყუპებსაც კი შეშურდებოდათ მათი სიამტკბილობა. ერთმანეთისთვის ხოტბას არ იშურებენ, დითირამბებს უგალობებენ თავიანთ გაბზარულ სახელებსა და ავტორიტეტს. სხვა რა უნდა დავარქვათ იმ ტაკიმასხარაობას, რომელსაც ალასანიას ალიანსი ყბადაღებული დიალოგის უნიჭო პროპაგანდით წარმოგვიდგენს.

**— არა, ბატონო, არ გვინდა ქუჩა და ტრანსპარანტები, დროა, პრობლემები ცივილიზებულად მოვაგვაროთ,** — რომ გვიჩიჩინეს პრესითა თუ ტელევიზიით, ხელისუფლების წისქვილზე წყლის მიშვებაა, აბა, რა ჭირსა და უბედურებაზე უნდა მეტყველებდეს ეს დემაგოგია?!

ზოგადად, დიალოგის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ბუნებრივია, საკითხების მშვიდობიანად გადაჭრა ჯობია, მაგრამ ამ ხელისუფლების მოშორება დიალოგით რომ შეუძლებელია, ნუთუ ეს დღემდე ვერ გაიგო ჩვენმა რაინდმა ალასანიამ?! თუ ამისთვის ჭკუა-გონება თვითონ არ ჰყოფნის, ნუთუ ალიანსში მაინც არ მოეძებნება ისეთი ვინმე, რომელიც ეტყვის, რომ მერაბიშვილთან, თარგამაძესთან, ადეიშვილთან და ერის სხვა „საყვარელ“ მაღალჩინოსნებთან „მოლაპარაკებათა მაგიდასთან“ ჯდომით საკუთარი იმიჯისა და რეიტინგის სასიკვდილო განაჩენს აწერს ხელს?!

ან, იქნებ (და დარწმუნებული ვარ), ამას თავად ბატონი ალასანიაც მშვენივრად ხვდება და ყველაფერს შეგნებულად აკეთებს?

რატომ?

**თუნდაც იმისთვის, რომ მსოფლიოს თვალში დასავლური ყაიდის ლიდერის იმიჯი შეიქმნას და მხარდაჭერა მოიპოვოს ან, თუნდაც, იმისთვის, რომ 2013 წელს (ეს უარეს შემთხვევაში) ოკეანისგაღმელი პატრონების ფავორიტი იყოს. თუ ამ მიზანს მიაღწევს, სულ ფეხებზე არ კიდია, რას იფიქრებს საზოგადოება?! განა ჩვენს დროში ქართველ ხალხს ვინმე ეკითხება, ვინ იქნება საქართველოს ხელისუფალი?! — რა თქმა უნდა, არა... ამიტომაც დაძრწიან ალასანიას დამქაშები ხელისუფლებიდან ქუჩაში, ქუჩიდან — ხელისუფლებაში.**

სხვათაშორის, ამ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და ალასანიას ალიანსის წევრმა დავით უსუფაშვილმა ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა: **9 აპრილის აქციებმა დაგვანახა, რომ არასწორი სტრატეგიით ვმოქმედებდით; ხელისუფლების შემოთავაზებულ დიალოგზე უარის თქმა კი ყველაზე დიდი შეცდომა იყოო.** დაახლოებით იგივე, მაგრამ უფრო მწვავე განცხადება გააკეთა მისმა მეორე ნახევარმა — თინა ხიდაშელმა: **უშიშროების საბჭოს სხდომას პიარს არ დავარქმევდი, ძალიან შედეგიანი და საინტერესო საუბარი გვქონდა... უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციას მოუგოო.**

მოკლედ, როგორც იტყვიან, ამ ხალხს ჭკუა უკუღმა აქვთ შემოტრიალებული — ხან ერთს გაჰყვირიან, ხან — მეორეს. საბოლოოდ კი გული ყოველთვის იქით მიუწევთ, სადაც მეტ სარგებელსა და თავიანთი ტყავის უფრო იოლად გადარჩენის გზას ხედავენ.

**დიახ, სწორედ ასეა, ოპოზიციის ამ ნაწილს პოლიტიკური ასპარეზი მძლეოსანთა სარბიელი ჰგონია, სადაც ერთ დღეს შეიძლება დამარცხდე, მეორე დღეს კი — პირიქით. ის კი არ იციან, რომ „სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობია“, თუმცა, ვისაც არც ერთი აქვს და არც მეორე, როგორ შეიძლება, რომელიმე გაუტყდეს?!**

ალბათ, ყველას გახსოვთ ბატონ დავით უსუფაშვილის მიერ 9 აპრილამდე რამდენიმე დღით ადრე გაკეთებული განცხადება: **სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ წლის ბოლომდე ხელისუფლება შეიცვლებაო**. ნეტავ, ახლა სად გაქრა მისი ესოდენ მტკიცე ოპტიმიზმი, რწმენა და სიმამაცე, რომელიც ხალხს საბრძოლველად აღანთებდა?! სად გაქრა ის რადიკალური შემართება, რომლითაც ღრმად პატივცემული დავითი მთელი სამი თვის მანძილზე საველე ტრიბუნიდან გვმოძღვრავდა?!

პასუხი, ალბათ, ისევ და ისევ ოპოზიციის უნიათობაში, უსუსურობასა და უპრინციპობაშია, რამაც საზოგადოება იმედგაცრუების საშიშ ზღვრამდე მიიყვანა, თავად ოპოზიცია კი პანღურის მომლოდინე წაკუზულ საცოდავ მონას დაამსგავსა.

**რაც შეეხება მიხეილს, მას ოპოზიცია, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა შემო-ე-ტყა-ვა... მიხეილსაც რა უნდოდა, ადგა და შე-მო-ტყა-ვე-ბუ-ლი ოპოზიციით დაიფარა სასირცხვო ადგილები (თავს რომ სჭრიდნენ შინ და გარეთ), ანუ ვისაც გახადა, ის ჩაიცვა... დგას ახლა ოპოზიციისტყაოსანი სააკაშვილი და მთელი მსოფლიოს გასაგონად ღაღადებს — ახლა მაინც ხომ დარწმუნდით, რომ ჩემს მჯობნ გამტყავებელს აბორიგენ ქართველებში ამაოდ ეძებთო...**

**დაბოლოს, მონებისა და წაკუზვის შესახებაც მოგახსენებთ — მათ პანღური არც ერთ შემთხვევაში არ ასცდებათ, საკითხავი მხოლოდ ის არის, წაკუზვა რაში დასჭირდათ — ჭიტლაყის ძალის ამორტიზაციისათვის, თუ კვლავ მიხეილს შეუქმნეს კომფორტი — მოქნეული წიხლი უკეთ რომ მოერტყა?!**

**ჯაბა ჟვანია**

# ზუგდიდელმა ღვთისმსახურმა ზაგორსკში დისერტაცია დაიცვა

**ორიოდე თვის წინათ აფხაზეთიდან (ოჩამჩირედან) დევნილმა ეკლესიის მსახურმა მამა ფრიდონმა, ამჟამად ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დეკანოზმა ფრიდონ ასათიანმა დიდი ხნის ოცნება აისრულა — მოსკოვის სასულიერო აკადემიაში (ზაგორსკში) ღვთისმეტყველებაში დისერტაცია დაიცვა. რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ფონზე ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია. სწორედ ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ თავად მამა ფრიდონი ესაუბრება.**



— 1984 წელს მცხეთის სასულიერო სემინარია დავამთავრე და პატრიარქს სწავლის გაგრძელების ნებართვა ვთხოვე. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, 1986 წელს პატრიარქმა სასწავლებლად ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში გამგზავნა, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა.

**— რამ შეგიშალათ ხელი?**

— ბერობას ვაპირებდი (მამაჩემი ამჟამად საპატრიარქოში არქიმანდრიტია), მაგრამ მოულოდნელად ცოლი შევირთე და ჩემი ლენინგრადში წასვლაც ჩაიშალა. ძალიან განაწყენდა პატრიარქი, მამაც გამიჯავრდა. ვგრძნობდი ჩემს დანაშაულს და ვწუხდი ჩემი საქციელის გამო.

**— ამის შემდეგ ღვთისმსახურებისთვის თავის დანებება ხომ არ გიფიქრიათ?**

—რა თქმა უნდა, არა. სანამ აფხაზეთში მშვიდობა იყო, სოხუმში (ილორში) ვმსახურობდი, 1993 წლიდან, აფხაზეთიდან გამოდევნის შემდეგ, ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში გადავედი; ვიყავი წინამძღვარიც. გავბედე და ისევ ვთხოვე პატრიარქს, ჩემთვის სწავლის გაგრძელების ნება დაერთო. უწმინდესი ჯერ ორჭოფობდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამთანხმდა და მოსკოვის სასულიერო აკადემიაში (ზაგორსკში) გამგზავნა.

**— რატომ რუსეთში და არა საქართველოში?**

— ჯერ ერთი, საქართველოში დაუსწრებელი განყოფილება არ იყო, თანაც ქართულად სწავლა გამიჭირდებოდა. ასე რომ, პატრიარქის ნდობა გავამართლე და 2003 წელს აკადემიაში ჩავირიცხე. წელიწადში ორჯერ ჩავდიოდი სესიებზე. ზაგორსკის აკადემია 2006 წელს დავამთავრე. ჩემ გარშემო იყო საქართველოზე ფანატიკურად შეყვარებული ხალხი. რექტორმაც შეასრულა ჩემი თხოვნა და სადისერტაციოდ ჩემ მიერ შერჩეული თემა ,,თამარის მეფობის ხანა“ დამიმტკიცა. 3 წელი ვმუშაობდი დისერტაციაზე და 2009 წლის 4 ივნისს – დავით გარეჯელის ხსენების დღეს მქონდა დაცვა და შედეგად ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მომენიჭა.

**— აგვისტოს მოვლენების გამო რაიმე წინააღმდეგობებს ხომ არ წაწყდომიხართ?**

— აგვისტოს მოვლენებს არ უმოქმედია დაცვაზე. ვიზა სასულიერო აკადემიამ გამომიგზავნა. აღფრთოვანებული ვიყავი მათი ჩემდამი დამოკიდებულებით. როცა რექტორის კაბინეტში მოვხვდი, რექტორს ჭიქა მივუჭახუნე და დავით გარეჯელის დღე მივულოცე. მას ძალიან გაუხარდა, როცა ვუთხარი, რომ ვერანაირი ვითარება ვერ შეცვლიდა ჩვენს ურთიერთობას, რაზეც რექტორიც დამეთანხმა – ასეთი ურთიერთობები და ტრადიციები უნდა გაგრძელდესო.

**—კონკრეტულად რა ჰქონდა მხედველობაში?**

— თემა, რომელიც მე დავიცავი, შეეხებოდა იმ ერთმორწმუნეობას, იმ ურთიერთობას, რომელიც ოდითგანვე ჰქონდა ქართველებსა და რუსებს. თუნდაც, თამარ მეფის პირველი ქმარი ხომ რუსი იყო და მასზე ერთმორწმუნეობის გამო შეჩერდა არჩევანი. ჩვენს ეკლესიებს შორის ამჟამადაც კარგი ურთიერთობაა. ვფიქრობ, ეს იმის გარანტია, რომ საერო ცხოვრებაშიც დამკვიდრდება ნორმალური კავშირები. რუსეთი ჩვენი მეზობელია და მეზობელთან აუცილებლად ახლო ურთიერთობაა საჭირო.

**— მამა ფრიდონ, თქვენ აშკარად გამორჩეული ბრძანდებით სხვა სასულიერო პირთაგან თქვენი სისადავის გამო...**

— მე ჩემი სისადავის გამო სალოსად მთვლიან, რაც ამქვეყნიურ გიჟს ნიშნავს. სამწუხაროდ, ჩვენი მრევლი მომზადებული არ არის — სისადავე სალოსობას არ ნიშნავს. პატრიარქი ეფრემ II მათხოვართან იჯდა და 20-კაპიკიანი აჩუქეს. მას პური და შაქარი თვითონ დაჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქი იყო. სისადავის მიღმა აუცილებლად უნდა იყოს ინტელექტი. ახლა თუ კარგად არ გაცვია, ,,მერსედესი“ არ გყავს, სალოსად გთვლიან. ძალიან ცუდია, რომ მრევლი სადა კაცს და სალოსს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ჩემთვის ხარისხის მინიჭება ვერაფერს შეცვლის, მთავარი ისაა, რომ პატრიარქის ნდობა გავამართლე და მას ჩემი სადისერტაციო წიგნი ვაჩუქე.

ესაუბრა **ლადო ქირია**

**ზუგდიდი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# აქეთ მოიხედეთ, სულელებო!

ძვირფასო მკითხველებო! საიდუმლო არაა, რომ ტერმინ **„დოტ“**-ს დღეს ჩვენთვის ორი მნიშვნელობა აქვს:

პირველი — **ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი (Долговременная Огневая Точка — ДОТ )** — აბრევიატურა, რომელიც კაპიტალურ რკინაბეტონის ნაგებობა-საფარს ნიშნავს *(იხ. ფოტო №1);*




მეორე — **ამერიკელი პორნომასაჟისტი დოქტორი დოტი**, რომელმაც პრეზიდენტ სააკაშვილს რელაქსაცია გაუკეთა (ლათ. relaxatio), ანუ ღრმა კუნთოვანი მოდუნება, რომელიც ფსიქიკურ დაძაბულობას ხსნის *(იხ. ფოტო №2).*

თავისთავად ცხადია, მეორე მნიშვნელობა გაცილებით სასიამოვნოა პირველზე, მაგრამ თუ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დადგება, რასაკვირველია, უპირატესობას პირველს მიანიჭებენ...

**არადა, სააკაშვილის ხელისუფლებისა და მთელი ქართული პოლიტისტებლიშმენტის** (ფსევდოოპოზიციის, პროქტოპოლიტოლოგებისა და „ჯიბის“ ჟურნალისტების, რომლებიც სულიან-ხორციანად ვაშინგტონს მიეყიდნენ და დღემდე უსინდისოდ გვირევენ თავგზას!) **წყალობით, სწორედ ასეთი დილემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს მთელი მოსახლეობა, როცა „ცხელსისხლიანი“ ქართველი მამაკაცებისთვისაც კი კაპიტალური რკინაბეტონის აღჭურვილობა უფრო სასურველი და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო გახდება, ვიდრე სექსუალური დოქტორ დოტის მასაჟი!..**

***როგორ მოხდა ეს ყველაფერი?*** — მერე გაკვირვებით ვკითხავთ ერთმანეთს, მაგრამ **გვიან იქნება:**

### ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის მოკავშირედ (შესაბამისად, მთელი ისლამისტური ფუნდამენტალიზმის მტრად!) ქცეული საქართველო განადგურებას დაქვემდებარებულ საბრძოლო მიზნადაც იქცა

**— რაკეტებით მოხდება ეს თუ ტერაქტებით — სუვერენიტეტ- და ტერიტორიებდაკარგული პატარა ქვეყნისთვის, უმწეო ეკონომიკითა და ძალზე მცირერიცხოვანი მრავალეროვანი მოსახლეობით — დიდი მნიშვნელობა არ აქვს...**

მოდი ყველაფერს წესისა და რიგისამებრ მივყვეთ. მაშ, ასე:

***„რისთვის სჭირდებათ საქართველო ამერიკელებს? სამი ინტერესია. პირველი*** — მილსადენის გაყვანა; **მეორე — საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენება ირანთან ომის შემთხვევაში, რაც დღის წესრიგში დგას, რადგან ახლომახლო სხვა არავინ დაუთმობს ინფრასტრუქტურას; მესამე** — რუსეთის სამხრეთით ნეგატიური პროცესების, ყველანაირი ექსცესის ინსპირირება... **ამ როლის შესრულებას აიძულებდა საქართველოს შევარდნაძე და აიძულებს სააკაშვილი...**

**ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც პროამერიკული არ იქნებოდა.**

ამერიკელების ნებართვით, შევარდნაძის დამხობისას სააკაშვილი აკრიტიკებდა მას ყველაფრის გამო, გარდა **საგარეო პოლიტიკისა!**

დღევანდელი ოპოზიციონერებიც გაჰყვირიან „ძირს!“ მაგრამ არ ეხებიან **საგარეო პოლიტიკურ კურსს!**

ამერიკელები აკონტროლებენ საქართველოში მთელ პოლიტიკურ სპექტრს, საერთაშორისო ორგანიზაციების 90 % მათი ფულით ფუნქციონირებს“, — მერამდენედ აღნიშნა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** (თავის ონლაინკონფერენციაზე **«Аргументы и Факты»** - ში 2009 წლის 7 აგვისტოს).




ხოლო მიმდინარე წლის ივნისში სტატიებში: **„საქართველოს მოსახლეობას არ სურს ნატოში გაწევრება, მას რუსეთთან და რუსებთან მეგობრობა სურს!“ „პოლიშინელის საიდუმლო, ანუ ჯორჯია — ტრანზიტით“** დავსვი საკითხი: ***„ვარდების რევოლუციის“*** შემდეგ დღევანდელ რადი**კალ**ებს, ხოლო მაშინ — სახელმწიფოს უმაღლეს პირებს: პარლამენტის თავმჯდომარე **ბურჯანაძეს**, პრემიერ-მინისტრ **ნოღაიდელს,** თავდაცვის-შინაგან საქმეთა მინისტრ-გენერალურ პროკურორ **ოქრუაშვილს** ჩვენთვის, **ჭეშმარიტი პატრიოტებისთვის**, და არა **ლენგლის ბიჭებისა** და სამეფო კარის **პროქტოპოლიტოლოგებისათვის,** რომ მოესმინათ, **განა საქართველო დაკარგავდა თავისი ტერიტორიის 20% და 175 ჯარისკაცს? და კიდევ რამდენი დაიღუპება იმ 500 მებრძოლიდან, ამ დღეებში საომრად რომ აგზავნიან ავღანეთში, ყველაზე სახიფათო რაიონებში?! საერთოდაც, რატომ ებრძვის ქართველი ავღანელს?!**

საქართველოს პარლამენტში სანამ ხმას მისცემდა ამ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას, ვინმე ერთხელ მაინც ესტუმრა პარლამენტის ბიბლიოთეკას და წაიკითხა, უძველესი დროიდან როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ ავღანელი მმართველები და მეომრები მამაც გურჯებს?! **საინტერესოა, რა რეაქცია ექნებათ ამაზე უსამა ბინ ლადენს, ალ-ქაიდას და თალიბანს?“**




**თუმცა ეს ყველაფერი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა: 2009 წლის 6 აგვისტოს,** აშშ-ის გადაწყვეტილების კვალად, ავღანეთში დამატებით 21 000 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნისა (იქ მყოფი 75 000 კაცის გარდა) და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის **ანდერს ფოგ რასმუსენის** განცხადების — ***„ავღანეთში წარმატებების მისაღწევად, ნატოს კონტინგენტის შემდგომი გაფართოების საჭიროების შესახებ“*** პასუხად, **საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ავღანეთში სამხედრო მოსამსახურეთა დამატებითი რიცხვის (თავდაპირველი სავარაუდო 500-ის ნაცვლად) გაგზავნის საკითხი!** გასაგებიცაა, რატომ — ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე კოალიციის ჯარებმა **განსაკუთრებით ბევრი ჯარისკაცი** დაკარგეს იმიტომ, რომ თალიბმა ბოევიკებმა ავღანელი ამომრჩევლების ზეგავლენის მიზნით საბრძოლო მოქმედებები გაააქტიურეს **ხვალისთვის (2009 წლის 20 აგვისტოსთვის) დანიშნული საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნების წინ.**

**განა მართალი არ ვიყავი, როცა 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა განვაცხადე: „დედამიწაზე მხოლოდ ორი ერია — ჭკვიანებისა და სულელების?! რომელ ერს განეკუთვნებიან ისინი, ვინც მართლმადიდებელ საქართველოს მართლმადიდებელ რუსეთსა და მთელ მუსლიმანურ სამყაროს უპირისპირებს?! საქართველოს, სადაც დაახლოებით 50 მეჩეთი და 400 000 მუსლიმანია** (აზერბაიჯანელები — განსაკუთრებით ქვემო ქართლის რეგიონში, ქართველები — აჭარასა და კახეთში)**?! საქართველოს, რომლის მეზობლადაც მუსლიმანური ქვეყნები მდებარეობს — მოძმე აზერბაიჯანი, საქართველოს გაზით რომ ამარაგებს, და თურქეთი, რომელთან საზღვარიც დღეს სიმბოლურია?!**

შეიძლება შემედავონ: **საქართველო ხომ ტერორიზმს ებრძვის ავღანეთში და ამაში აშშ-სა და ნატოს რუსეთიც ეხმარება!**

ვუპასუხებ: **არსებობს კი მკაფიო ზღვარი მეამბოხე-ტერორისტებსა** და **საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხს შორის, რომელმაც, ქართული ოპოზიციისგან განსხვავებით, ბრძოლის არაკონსტიტუციური მეთოდები აირჩია?! ფანატიკოს-ფუნდამენტალისტებსა** და **რევოლუციონერ-პატრიოტებს შორის, რომლებიც ქართველი „ვარდების რევოლუციონერებისგან“ განსხვავებით, ეროვნული** და **არა ამერიკული** **ინტერესებით ხელმძღვანელობენ?! როგორ უნდა გაივლოს აქ მკაფიო გამყოფი ხაზი და რა ნიშნებით უნდა განასხვავონ (განსაკუთრებით — ღამით!) ავღანელი (მოლა აბდულა გან ბარადარისა) და პაკისტანელი (ბაიტულა მეჰსუდის) თალიბები პრეზიდენტების — ყარზაისა და ზარდარის სამთავრობო ჯარებისგან?! ვინ იყვნენ ჩვენ მიერ დუშმანებად წოდებული ის ავღანელი პარტიზანი — მოჯაჰედები, 10 წელი რომ იბრძოდნენ საბჭოთა არმიის წინააღმდეგ — გმირები თუ ბანდიტები?!**

რაც შეეხება **რუსეთს** — მისმა ამჟამინდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ბევრი უნიათო პოლიტიკანისგან განსხვავებით, **1979-1989 წლების ავღანური კამპანიის მძიმე გაკვეთილები გაითვალისწინა,** ხოლო პრეზიდენტმა **დიმიტრი მედვედევმა** აფრიკის ქვეყნებში (ეგვიპტე, ნიგერია, ნამიბია, ანგოლა) ამასწინანდელი მოგზაურობის შემდეგ განაცხადა: ***„რუსეთს არ სჭირდება მუსლიმანურ სამყაროსთან დამეგობრება, რადგან ჩვენი ქვეყანა თავისთავად წარმოადგენს ამ სამყაროს ორგანულ ნაწილს. რუსი მუსლიმანები — 20 მილიონამდე, ჩვენი მოქალაქეები არიან. ეს ციფრი კი მეტყველია. სწორედ ამიტომ ვაფასებთ ჩვენს ფართო ურთიერთთანამშრომლობას ორგანიზაცია „ისლამის კონფერენციასთან“, სადაც ჩვენი მეგობრების მხარდაჭერით დამკვირვებელთა სტატუსი მივიღეთ“.***

და კიდევ: **რუსეთი,** აშშ-ს, კანადის, ნიდერლანდების, ეგვიპტის, ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, **ლიბანის გასამხედროებულ ორგანიზაცია „ჰეზბოლაჰსა“** და **პალესტინურ ისლამისტურ მოძრაობა „ჰამასს“** (რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა) **ტერორისტულ ორგანიზაციებად არ მიიჩნევს,** რადგან ამ ორგანიზაციების ბოევიკებს **რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტები არ მოუწყვიათ!**

რაც შეეხება აშშ-ს დახმარებას საჰაერო კორიდორის დათმობის სახით, ეს **ხელსაყრელია რუსეთისთვის** ბევრი მიზეზის გამო:

— პირველ რიგში, შევთანხმდეთ, რომ ეს **ქველმოქმედება** კი არა, **პრაგმატული „ბარტერია“:** საპასუხოდ, რუსეთი აშშ-გან **რუსეთის სტრატეგიული ინტერესების აღიარებას ითხოვს პოსტსაბჭოთა სივრცეში და ჩაურევლობას მოვლენების ნებისმიერი განვითარების შემთხვევაში — როგორც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში;**

— არანაკლებ პრაგმატული და ეკონომიკურად ხელსაყრელია **აშშ-სა და ნატოს ხელით ნარკოტრაფიკის გადაკეტვა;**

— სანამ აშშ და ნატო **ირანს** ემუქრებიან, ომობენ **ავღანეთსა და ერაყში (ვერც იმარჯვებენ და ვერც მიდიან...),** უნებურად ერთვებიან თანდათან გაღვივებულ შიდა კონფლიქტში **პაკისტანში (რომელსაც 80 ბირთვული ქობინი აქვს და რომელიც ახალ კონტინენტთაშორისო რაკეტას (7000 კმ რადიუსით) ქმნის!). ჯიჰადის ვექტორი,** მილიარდობით მუსლიმანის სიძულვილი, რომელთაც დიადი ისლამური რევოლუცია და შარიათის კანონების გამარჯვება სწყურიათ, **ნატოს წევრი-ქვეყნებისა და ერაყისა და ავღანეთის ომებში მათი მოკავშირის – საქართველოსადმი იქნება მიმართული,** და საქართველო, **ა. ჭაჭიას** თქმით, **ირანზე** იერიშის განხორციელების შემთხვევაში, ***აშშ-თვის ინფრასტრუქტურას დათმობს და საბრძოლო პლაცდარმად გადაიქცევა...***

აქვე შეგახსენებთ, რომ წლეულს, აპრილში საქართველოში ჩამოვიდნენ საბრძოლო ობიექტების მშენებლობისა და მოდერნიზაციის სპეციალისტები კონცერნ **„ჰალიბერტონიდან“ («Halliburton»),** რომლის ხელმძღვანელიც აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **დიკ ჩეინია.**

### ნატოს ოფიცრებთან ერთად მათ ყურადღებით შეისწავლეს საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის შესაძლებლობები და აეროდრომების, პორტების, საგზაო ქსელის მდგომარეობა. რისთვისაა საჭირო ასეთი შესწავლა, თუ არა სამხედრო მოქმედებათა მზადყოფნისთვის?!

— რაც უფრო ღრმად „ჩაეფლობა“ აშშ ომებში მეზობლად **ბირთვული იარაღის მქონე პაკისტანში, ჩინეთში, ინდოეთში, ისრაელსა** (რომლებიც ყოველ წამს მზად არიან, სარაკეტო იერიში მიიტანონ **ირანზე, ბირთვული იარაღი დღე-დღეზე რომ ექნება!**) და **ქურთისტანში (**თავისი ტერიტორიული პრეტენზიები **თურქეთთან, ირან-**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**თან, ერაყსა და სირიასთან), რუსეთს,** რომელსაც ამ რეგიონში ავტორიტეტი, ხოლო ზემოჩამოთვლილ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობები აქვს, უფრო ადვილად შეეძლება ნატოსთვის **პრობლემების შექმნა.** მაგალითად, **დაკეტოს საჰაეროსატრანსპორტო კორიდორი ავღანეთზე,** ანდა **დასახული ამოცანა პირდაპირ გადაქრას** ჩრდილოეთ ალიანსის ლიდერის, ავღანეთის ნაციონალური ისლამისტური მოძრაობის თავმჯდომარის, უზბეკი გენერლის **აბდულ რაშიდ დუსტუმის** მეშვეობით, რომელიც **ვლადიმერ პუტინს თავის პატივცემულ მეგობარს უწოდებს,** ხოლო მოსალოდნელ არჩევნებში **ჰამიდ კარზაის** კანდიდატურას უჭერს მხარს.

მაგრამ თუ ეს **ელემენტარული, საბაზო ლოგიკა** (როგორც ამერიკელები ამბობენ — «back to normal») გაუგებარია **უნიჭო ქართული პოლიტელიტისთვის,** შევეცდები, შედარებით გასაგები მაგალითით ავუხსნა: **რატომაა, რომ ლოტები და ბომბსაფარები მალე შესაძლოა საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის „ბედნიერ ნავსაყუდელად“** («safe harbor» — როგორც მათი ამერიკელი მეგობრები ამბობენ) **იქცეს**:

**ყურადღებით დააკვირდით № 3 ფოტოს** *(არა, ვამპირე ალუკარდისა და „რკინის ლედის“ ინტეგრა ფეირბრუკ უინგეიტს ჰელსინგის თავგადასავლებზე გადაღებული იაპონური ანიმესერიალის სკრინშოტებს კი არა!):* როგორც ხედავთ, ესაა ინტერნეტსაიტ **www.nnm.ru-ის № 10 გვერდი,** რომლის **მარცხენა კუთხეში პირველ განცხადებას** ვკითხულობთ:

**«Купим карты Грузии (довоенные), Купим карты, (страны и городов)Схемы канализаций, Водоводов, газо и электро websrm.ru**

ინტერნეტში მითითებულ მისამართზე (**websrm.ru**) დევს მოკლე ტექსტი (რუსულ ენაზე):

**«Купим каты Грузии (довоенные) Купим карты, (страны и городов) Схемы канализаций,Водоводов,газо и электро проводов. оплата от 100 долларов за хороший экземпляр только аригеналы,копии и электронные версии дешевле, но тоже предлогайте то что есть в интернете не предлогайте он у нас тоже есть. за содействие отблагадарим дополнительно. эксклюзивные можно предлогать дороже (просто называете цену мы оцениваем и платим) всем спасибо мой телефон 8(918)907-75-77 сергей»**

დავამატებ, რომ ეს განცხადება **20-ზე მეტ სხვადასხვა საიტზეა** განთავსებული.

ახლა დავფიქრდეთ, ვინაა ავტორი?

**რუსეთის სპეცსამსახურები? გამორიცხულია:**

— მოკლე ტექსტში უამრავი გრამატიკული შეცდომაა (შვიდი!), ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური;

— **გრუ-**სა და **ფე-ეს-ბეს** განკარგულებაშია საქართველოს ყველანაირი რუკა, საქართველოს შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს რომ არ დასიზმრებიათ:

— შეგახსენებთ, რომ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა 60 წელზე მეტხანს სსრ კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ხოლო თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ЗакВО) ობიექტი იყო (თბილისის გარნიზონის სპეცნაწილების პოლიტგანყოფილებას ექვემდებარებოდა);

— თბილისიდან 30 კმ-ში რუსეთის ჯარები დგანან, ხოლო ყველა რუკა, მით უფრო, „ომამდელი,“ მრავლად არის სარაიონო სასკოლო ბიბლიოთეკებში, რომ აღარაფერი ვთქვათ სოხუმისა და ცხინვალის ბიბლიოთეკებზე;

— თბილისის ყველა ელექტრო და საწყლოსნო სისტემა (**„თელასი“** და **„თბილწყალი“**), რუკიან-სქემიანად დღეს რუსული კომპანიების საკუთრებაშია, ხოლო გაზგამანაწილებელი — მათი მეგობარი ყაზახი ბიზნესმენების ხელში (**„ყაზტრანსგაზი“**), აღარაფერს ვამბობ ჰიდროელექტროსადგურებზე, წყალსაცავებსა და სხვა სტრატეგიულ ობიექტებზე, რომლებიც რუსული ბიზნესის საკუთრებაა საქართველოში.

**თავგზას გვიბნევენ? ესეც გამორიცხულია** — როგორც (სტრაამბობენ, მითითებულ ნომერზე დარეკეს, მეიდელი რეალური და არა — ვირტუალური.

**ტერორისტები აღმოსავლეთიდან? ძალიანაც შესაძლებელია!..**

აი, ეს კი ჟურნალ «**Newsweek**»-ის (2009 წლის 30 ივლისის) კითხვებზე **ავღანელ მეამბოხეთა რეგულარული მეთაურის მოლა აბდულ განი ბარდარას** პასუხებია: ***„ჩვენი დანაკარგები უმნიშვნელოა.*** ყველა ავღანელისთვის უკვე ნათელია, რომ უცხოელები ჩვენს ქვეყანაში დამპყრობლებად და არა ავღანელების საკეთილდღეოდ მოვიდნენ. **მთელ ავღანეთში ჯიჰადის სული მრისხანებს... ჯარების რიცხოვნობის ზრდის შესახებ განცხადება აინუნშიც არ ჩაუგდიათ მოჯაჰედებს.**

## ფაქტობრივად, ამერიკელები ავღანეთში დემორალიზებული არიან და არ იციან, რა ილონონ.

„თალიბანს“ განზრახული აქვს, ამერიკელებს მაქსიმალური დანაკლისი მიაყენონ, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ თავისი დაცული საფარის გარეთ დიდი რაოდენობით იქნებიან... ავღანეთის ისტორია გვიჩვენებს, რომ ავღანელები არასდროს იღლებიან თავიანთი ქვეყნის სრულად გათავისუფლებისთვის ბრძოლით. **ჩვენ გავაგრძელებთ ჯიჰადს ჩვენი მიწიდან მტრების სრულ განდევნამდე!“**

**და ამ სასაკლაოზე ხელისუფლება ჩვენს ბიჭებს აგზავნის?! აქეთ მოიხედეთ, სულელებო! იქნებ გგონიათ, რომ თალიბები რუსეთის 58-ე არმიაა, რომელიც 08.08.08 „თეთრი ხელთათმანებით“ იბრძოდა? ერთხელ მაინც შეყავით ცხვირი აღმოსავლეთში, თურქეთის კურორტების (ბოდრუმისა და ანტალიის) მიღმა?!** ჰო, მართლა, **რატომ ერთხელ მაინც არ ჩაფრინდა ჩვენი პრეზიდენტი ერაყში?!** თავად პრეზიდენტმა **ბუშმაც** კი, რომელმაც იქ სამარცხვინო ომი გააჩაღა, რამდენჯერმე მოინახულა თავისი ჯარისკაცები და ფოტოებიც გადაიღო მათთან ერთად!

## ესტუმრება კი პრეზიდენტი სააკაშვილი ავღანეთს — კოალიციის კონტინგენტის შემადგენლობაში მყოფი ქართული ბრიგადის საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად?

**P.S.** დავაზუსტე: თურმე **რკინაბეტონის ლოტ**ი ვერ დაგვიცავს სარაკეტო-ბირთვული იერიშისა და ტერაქტისაგან...

იქნებ, **დოქტორი ლოტი** გვიშველის?! თუმცა, იმის მერე, რაც **№ 4** ფოტოზე იხილავთ **მის ფეხს,** რომელიც სასტუმრო ***„კოპალას“*** აივნიდან გადაიღო **ჩვენი სიწმინდეების ფონზე** (თბილისის ისტორიულ ნაწილში მდებარე ეკლესიების, რომლებიც, როგორც Dr. Dot ბლოგზე აღიარა, თურმე სძულს!), **მიხვდებით, რომ მას, როგორც ჭეშმარიტ ამერიკელს, ჩვენ ცალ ფეხზე ვკიდივართ!..**




# რუსეთის მოსახლეობის აზრით, საქართველო უკეთესი პრეზიდენტის ღირსია



**მოხვდა სააკაშვილი საოცრებათა ქვეყანაში და მოხდა საოცრება: მიშამ რუსებთან დაახლოება განიზრახა.**
**— Ты меня уважаешь? — უნდა ეკითხა რუსებისთვის.**
**პასუხს ამ შეკითხვაზე, ჩვეულებრივ, არყის მესამე სირჩის შემდეგ იძლევიან, როგორც წესი, იმავე შეკითხვის შებრუნებით:**
**— А, ты меня уважаешь?**
**სუშის მოყვარული პრეზიდენტი კაცი „ზაბეგალოვკაში“ ხომ არ ჩავიდოდა ან „პივნაიაში“ ხომ არ მიუჯდებოდა მაგიდას?**

რა უნდა ექნა?

ნინო ბურჯანაძეს რჩევას ვერ ჰკითხავდა — რუსეთის ნომრიანი აგენტია, კოკოც, ლეიბორისტებიც — დიდიან-პატარიანა.

„გრეჩიხებს“ მხოლოდ სახელი აქვთ რუსული, ხოლო პარლამენტის უმრავლესობის წევრები ჯერ თბილისის ქუჩებში ვერ გარკვეულან და მოსკოვისა და რუსეთის მხოლოდ გინება იციან.

ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, შარლ პეროს ჩექმებიან კატასთან ერთად მიადგა გრაფინიას „სუპერქართველი“ დეპუტატის ნუგზარ წიკლაურის ჯინაზე საქართველოდან დეპორტაციას გადარჩენილი პუშკინის „პიკის ქალიდან“.

— Тройка, семерка, туз-ით პუშკინი რომ მოატყუე, ისიც გეყოფა! — შეუყვირა — მე ჩემი რეიტინგის ციფრები მითხარი რუსეთის მოსახლეობაში! — და თვალები გადაუბრიალა.

ხმას არ იღებს კუდიანი დედაბერი.

მაშინ მიშამ ჯერ ვანოთი შეაშინა, შემდეგ — „სპეცნაზით“.

შედეგი — ნული!

მაგრამ საკმარისი იყო, ზონდერბრიგადები ეხსენებინა, რომ გატყდა გრაფინია: ასპროცენტიანი ხარო, მიახარა და სავარძლიდან იატაკზე ისე ჩამოიშალა, ვითარცა საქართველოს ჩამოშლის მსურველთა გაცრუებული იმედები.

სული განუტევა, ანუ „იზდოხლი“ ეროსი მანჯგალაძისა არ იყოს, „სავსემ იზდოხლი!“

დიდი ამბავი, თუ ერთიც მიემატა უსახსრობითა და უიმედობით საქართველოში გარდაცვლილ პენსიონერთა ფანტასტიკურ რაოდენობას.

ფანტასტიკას და მაგიას ახლავე ნახავთ, როცა, როგორც ეშმაკი სათუთუნიდან, ტუზის ნაცვლად პიკის ქალი ამოხტება!

სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა გამოიკვლია პრობლემა **„Ты меня уважаешь?“** და ასეთი ფანტასტიკური ციფრები დადო:

გამოკითხულ რუსეთელთა უდიდეს უმრავლესობას (**79 პროცენტი**) მიაჩნია, რომ საქართველოს „სხვა, უფრო ღირსეული პრეზიდენტი“ სჭირდება, — გვამცნობს ამ ინსტიტუტის მიერ გასულ კვირაში გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგები.

ქართველი ხალხის არჩევანს პატივს სცემს რესპონდენტთა **11 პროცენტი**, თუმცა, აქვეა აღნიშნული, რომ ამათ პიროვნულად მიხეილ სააკაშვილი გულზე არ ეხატებათ.

რუსეთელთა მხოლოდ **2 პროცენტი** სიმპათიითა და პატივისცემითაა გამსჭვალული საქართველოს ლიდერისადმი. **9 პროცენტს** უჭირს პასუხის გაცემა.

თუ ოთხი წლის წინათ, **2005 წელს,** გამოკითხულ რუსეთელთა **40 პროცენტი** მიიჩნევდა, რომ სააკაშვილის დროს შესაძლებელი იყო საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია, **2009 წელს** მათი რაოდენობა **14 პროცენტამდე** შემცირდა. ახალი მონაცემებით, რესპონდენტთა **78 პროცენტი** ფიქრობს, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია. სოციოლოგებს არ უპასუხა **8 პროცენტმა.**

ცენტრის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ იმ **2 პროცენტს** შორის, რომლებიც სიმპათიურად არიან მიხეილ სააკაშვილისადმი განწყობილი, **75 პროცენტს** მიაჩნია, რომ მეგობრული ურთიერთობის აღდგენა შესაძლებელია, **21 პროცენტს** საწინააღმდეგო აზრი აქვს, **4-მა პროცენტმა** თავი შეიკავა.

მათ შორის, ვინც საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის შეცვლის მომხრეა (**79 პროცენტი**), **88 პროცენტი** დარწმუნებულია, რომ ორ ქვეყანას შორის კარგი ურთიერთობის დამყარება შეუძლებელია. სხვაგვარად ფიქრობს **8 პროცენტი**, თავი შეიკავა **5-მა პროცენტმა.**

**სრულიად რუსეთის მასშტაბით ეს გამოკითხვა ცენტრმა 25-26 ივლისს ჩაატარა. გამოიკითხა ათას ექვსასი რესპონდენტი რუსეთის 42 ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის 140 დასახლებული პუნქტიდან.** სტატისტიკური ცდომილება 3,4 პროცენტს არ აღემატება.

— ოო, ეს ცბიერი დედაბრები და ცბიერი ციფრები! — თქვა ჩექმებიანმა კატამ...*

როდის იყო სააკაშვილი პეტროგრადელ გრაფინიასთან და იყო თუ არა, საერთოდ, თავს ვერ დავდებ. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რას ეუბნებოდა ეკატერინე II თავის ვაჟ პავლეს: **ჭეშმარიტი ღირსება კედელთანაა ატუზული, თვალში არავის ეჩხირება. ეძებეთო ჭკვიანი და ღირსეული ადამიანები.**

* * *

ამასობაში პოლონეთის ქალაქ ბიალა-პოლსკას ლტოლვილთა ბანაკში 20-მა ქართველმა ადგილნაცვალმა შიმშილობის აქცია მოაწყო. ეს გაჭირვებულები იმედოვნებენ, რომ ამით აიძულებენ პოლონეთის ხელისუფლებას, მისცეს მათ ლტოლვილთა სტატუსი: არ სურთ ამ ადამიანებს იმ ქვეყანაში დაბრუნება, რომლის პრეზიდენტს ისეთივე ავტორიტეტი აქვს საქართველოში, როგორიც ლეხ კაჩინსკის პოლონეთში.

**ლაშა გიორგიძე**

*** ახლახან გაირკვა, რომ ჩექმებიან კატას პეროსთან საერთო არაფერი ჰქონია: ბულგაკოვის ეშმაკეული კატა ბეჰემოტი ყოფილა მესირ ვოლანდის ამალიდან. ეს ცნობა აზაზელომ მიაწოდა რედაქციას.**

# ნინო ბურჯანაძეს Миллион с чем-то დაეკისრა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრისა და სხვათა მიმართ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, რის საფუძველზეც მოსარჩელეს დაეკისრა 1 251 487,6 ლარის გადახდა.**

საქმის სასამართლო განხილვისას დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 8 მაისის განკარგულებით ნინო ბურჯანაძეს სიმბოლურ ფასად (1 ლარად) მიეყიდა დაბა წყნეთში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 12 109 997 ლარის ღირებულების სააგარაკე სახლი მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით. ნინო ბურჯანაძემ შეისყიდა რა უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად და მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად წარმოეშვა ვალდებულება, საგადასახადო ორგანოებში წარედგინა წლიური დეკლარაცია და, ამასთან, 2009 წლის 1 აპრილამდე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საშემოსავლო და სხვა გადასახადებში გადაეხადა შესაბამისი თანხა, ასეთი არ შეასრულა. იმის გათვალისწინებით, რომ ნინო ბურჯანაძემ სრულად და დროულად არ შეასრულა კანონის მოთხოვნები, კერძოდ 2009 წლის 21 აპრილის და 2009 წლის 11 მაისის საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 1 251 487,6 ლარის (მათ შორის, ძირითადი — 1233360 ლარი, საურავი — 18127,66 ლარი) გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილება მხარეთა მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით მოტივირებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში.

## მაია ნათაძე:

# სახელმწიფო ხარჯით უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების მაგისტრატურაში გაგზავნილ სტუდენტებს უფლება ეძლევათ, სამშობლოში არ დაბრუნდნენ

**განათლების რეფორმის შედეგებსა და მიზეზებზე გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დასავლეთ ევროპის ლიტერატურის, თარგმნის თეორიისა და ზოგადი ენათმეცნიერების სფეროში, 6 სამეცნიერო ნაშრომისა და უამრავი სტატიის ავტორი მაია ნათაძე.**
**ქალბატონი მაია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრიც იყო.**




**— ქალბატონო მაია, კარგა ხანი გავიდა განათლების რეფორმის ჩატარების შემდეგ, რას გვეტყვით რეფორმის მიერ მოტანილ შუქჩრდილებზე?..**

— მთელი ცხოვრება უნივერსიტეტში გავატარე, ახლაც სიამოვნებით ვიმუშავებდი, თუ არა რეფორმასთან დაკავშირებული სამი წლის წინანდელი სამარცხვინო კონკურსი, რომლის შედეგად უნივერსიტეტიდან გაქრნენ წამყვანი პროფესურა და იმედისმომცემი ახალგაზრდა მეცნიერებიც, რადგან რეფორმაში იდეოლოგიურად არ იყვნენ ჩაბმულნი. ეს არ იყო აკადემიური ხასიათის კონკურსი. მე მას იდეოლოგიური კონკურსი დავარქვი და მასში მონაწილეობაც არ მიმიღია. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რეფორმა მხოლოდ პროექტის სახით არსებობდა, პოტენციურად ჩანდა ის, რაც დღეს ხდება. სულ პირველი საპროტესტო სტატია რეფორმის წინააღმდეგ 2004 წლის ოქტომბერში გაზეთ „ახალ 7 დღეში“ ჩემი ავტორობით დაიბეჭდა, მას მოჰყვა ჩემი და მერაბ ჯიბლაძის ერთობლივი სტატია „ლიტერატურულ საქართველოში“. მე და მერაბი „202“-ის სატელევიზიო დებატებში ვმონაწილეობდით, სადაც ოპონენტად ლომაია უნდა მოსულიყო, მაგრამ ვერ გამოცხადდა. მის მაგივრად გიგი თევზაძეს შევხვდით და ვეპაექრეთ რეფორმაში მიზნობრივად ჩადებულ ტენდენციებზე. რეფორმით საქმე ისე მიდიოდა, რომ უნდა დანგრეულიყო ქართული კულტურა, თვითმყოფადობა და ეროვნული ცნობიერება, თუმცა პროექტში არაერთგზის მეორდებოდა სიტყვა „ეროვნული“.

2004 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე, რომლის წევრიც ვიყავი, გამოვთქვი აზრი, რომ რეფორმის პროექტი საპანიკოა და უნივერსიტეტმა ზომები უნდა მიიღოს. უნივერსიტეტში საპროტესტო მუხტი გაჩნდა. სხდომებიც ხშირად იმართებოდა. რეფორმაზე მსჯელობის დროს სააქტო დარბაზი დამსწრეებით იჭედებოდა. მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვიტყვი — რეფორმა არის ფორმის შეცვლა არსის შენარჩუნებით, თუ არსს გავაქრობთ, ჩიტი ღამურად გადაიქცევა. სიტყვა „განათლება“ კავშირშია ნათელთან, რაც გულისხმობს საფუძვლიანი ცოდნის მიცემას, სულიერ განვითარებას, სამყაროს კანონზომიერებებისა და მათი გამოვლენის გაცნობას, მეცნიერული მიღწევების შესწავლასა და ცნობიერების განვითარებას. რეფორმას კი უკვე „კოჭებში“ ეტყობოდა, რასაც მოიტანდა. ერთხელ ლომაიასა და მის კომპანიას კუდით ქვა ვასროლინეთ, მაგრამ ლომაიამ მაინც ჩაატარა ბრწყინვალე მენეჯმენტი განათლების სისტემის დასანგრევად და მისი სრული დეფორმისთვის.

**— რას გვეტყვით დღევანდელ სკოლებსა და სახელმძღვანელოებზე, მათ პროგრამებზე?**

— რეფორმის დამანგრეველი პოლიტიკა სკოლიდან იწყება. პროგრამებიც და სახელმძღვანელოებიც აბსურდულია, ხელოვნურად არეულ-დარეული, სხვადასხვა სფეროს ელემენტებით დატვირთული. პროგრამები არაა გათვლილი სისტემური ცოდნის მისაღებად. მაგალითად, გეოგრაფიასა და ისტორიას ერთად ასწავლიან. ეს ორი სხვადასხვა მეცნიერებაა. ერთი ჰუმანიტარული საგანია, მეორე — საბუნებისმეტყველო. მათი ერთ სახელმძღვანელოში გაერთიანება ალოგიკურია. ფიზიკა და ქიმიაც საერთო სახელმძღვანელოთი ისწავლება. მართალია, ისინი ერთსა და იმავე მოვლენას შეისწავლის, მაგრამ — სრულიად სხვადასხვა მხრიდან.

ქართული ენა-ლიტერატურა დასავლეთის კლასიკოსების ნაწარმოებების მიხედვით ისწავლება იმ მიზნით, რომ მოსწავლემ ნამდვილი მხატვრული ნაწარმოების ანალიზი შეძლოს, რაც მშობლიური ლიტერატურის დონეს ამცირებს, რადგან ასე გამოდის. მის საფუძველზე ნაწარმოების ანალიზი შეუძლებელია.

ლომაია იმასაც ამბობდა, რუსთაველი პროგრამიდან უნდა ამოვიღოთო. პრაქტიკულად, რუსთაველი სასწავლო პროგრამიდან ამოღებულია. მე-7 კლასში მშობლიური ენა-ლიტერატურის ასეთი სახელმძღვანელოა, სადაც ერთდროულად ასწავლიან ფრაგმენტს „ვეფხისტყაოსნიდან“, გოგლა ლეონიძის ლექსსა და რეზო ინანიშვილის მოთხრობას ან ფრაგმენტს გურამიშვილიდან, დოჩანაშვილის მოთხრობასა და ანა კალანდაძის ლექსს. მოსწავლეს არც ერთის შესახებ წარმოდგენა არ ექმნება, ანალიზს როგორ გააკეთებს?.. ლიტერატურის განვითარებაში თითოეულს ხომ თავისი ადგილი აქვს. გამიზნულადაა დამახინჯებული სახელმძღვანელოები, პოლიტიზებულია ფაქტების მიზანმიმართული გადაკეთებით, მასალის შესასწავლად საათებიც კატასტროფულად მცირეა. ყველაფერი კი განათლებისა და ცოდნის ამოძირკვისკენაა მიმართული.

**— ამგვარი სკოლადამთავრებული უმაღლეს სასწავლებელში როგორ აბარებს მისაღებ გამოცდებს?**

— განათლების სტრუქტურა აწყობილია გაუნათლებელი თაობების აღზრდაზე. სკოლის ატესტატში ნიშნები არ იწერება, მხოლოდ ატესტატის სახით ეძლევათ სკოლის დამთავრების ცნობა. მოხსნილია გამოცდები სპეციფიკურ საგნებში. ინსტიტუტებში ჩასაბარებლად წამყვანი საგანი უნარებია. მოსწავლეს სკოლაში არ უსწავლია ზოგადი საგნები, რომ გაერკვეს, რომელი საგნისკენ აქვს მიდრეკილება და ფაკულტეტიც იმის მიხედვით აირჩიოს. უფრო უარესი ხდება, როდესაც აბიტურიენტი განცხადებაში წერს არა ერთ გარკვეულ სპეციალობას, არამედ რამდენიმეს — ან ეს, ან ის. „ან“ კი გამორიცხავს ინტერესსა და სწრაფვას, რომელიც პროფესიის არჩევაში უმთავრესია. რეფორმის სიახლე სტუდენტებში კლავს მისწრაფებას და იქ უშვებს სასწავლებლად, სადაც მისწრაფება არ აქვს, ამით ბათილდება მისი შემოქმედებითი უნარი და მექანიკურ სპეციალისტად მზადდება.

ისეთი ფაქტებიც ვიცი, როცა აბიტურიენტი ისე ხვდება უმაღლეს სასწავლებელში, საერთოდ არ გადის გამოცდებზე, სამაგიეროდ, იხდის თანხას, ელემენტარულად, ქრთამს, მაგრამ ამ ფულს გამსწორებლები კი არ იღებენ, ეს თანხა უფრო „მაღლა“ მიდის. გამოცდების ჩატარების დღევანდელი მექანიზმი ამის საშუალებას იძლევა, რადგან საგამოცდო პროცესი არაა გამჭვირვალე.

ქართველი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში. ლომაიას მინისტრობის ჟამს ქართველებმა საზღვარგარეთ ამგვარ კონკურსებში 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 ადგილები დაიკავეს, მაგრამ მისაღებ გამოცდებს ვერ ჩამოუსწრეს. სამინისტრომ მათ დამატებითი დრო არ მისცა გამოცდების ჩასაბარებლად. რუსეთმა კი გამორჩეულად ნიჭიერი ქართველი ბავშვები წაიყვანა და ყველა პირობა შეუქმნა ცოდნის მისაღებად.

წელს კონკურსი ყაზახეთში ჩატარდა და იგივე განმეორდა. ახალმა მინისტრმაც ანალოგიურად გაიმეორა წინა შემთხვევა. პრობლემა პიროვნებაში კი არა, საგანმანათლებლო პოლიტიკაშია. ახალმა მინისტრმა ისიც დააკანონა, რომ სახელმწიფოს დაფინანსებით განათლებამიღებული ქართველისთვის უკან დაბრუნება აუცილებელი პირობა არ ყოფილიყო. მან საჯაროდ განაცხადა: „სახელმწიფო ხარჯით უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების მაგისტრატურაში გაგზავნილ სტუდენტებს უფლება ეძლევათ, სამშობლოში არ დაბრუნდნენ“. ფული, რომლითაც მიემგზავრებიან, ბიუჯეტისაა, ე.ი. — ჩვენი. ფულს იმისთვის ვიხდით, რომ მიღებული ცოდნა თავიანთ ქვეყანას მოახმარონ. ხელისუფლება კი ამბობს: „საუკეთესოებო, ნუ დაბრუნდებით!“

წელს უნივერსიტეტში ჩამოსულმა ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გვკითხეს: „როგორ მოახერხეთ ამ რამდენიმე წელიწადში უნივერსიტეტის გადაგვარება ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც კიო?“

**— მაინც, რა არის ამგვარი რეფორმების მიზეზი და მიზანი?**

— მიზეზი მსოფლიოს დიდი პროცესი — გლობალიზაციაა, მასონური ორგანიზაციების მიერ შემოტანილი ჭირია, რითაც ხდება ერების დაშლა და კულტურების ჩაკვლა. გლობალიზაციაში ჩნდება დიდი და დაუნდობელი კონკურენცია კულტურებს შორის. ზოგი მოისპობა, ზოგი გადარჩება. მასონები მიზნის მისაღწევად შიდა ძალებს იყენებენ, იციან, გარე ძალებით ერებს იოლად ვერ მოერევიან. ჩვენი ხელისუფლება და სამარცხვინო რეფორმატორები ჩვენს კულტურას სპობენ და ამაში ფულს იღებენ. ჭიაბერაშვილს მერობისას გრანტი ჰქონდა აღებული იმ მიზნით, რომ ებრძოლა ქართული ტრადიციების, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის მასწავლებლების, ქართული ტრადიციული ოჯახების წინააღმდეგ.

გლობალიზებულ-შემჭიდროებულ მსოფლიოში ყველა კულტურის ადგილი აღარაა. დღეს ტექნოლოგიების ომია, რომელიც კულტურის შედეგია. ჩვენში განათლებას იმ მოტივით სპობენ, რომ, მიუხედავად სიმცირისა, კონკურენტუნარიან ერად მიგვიჩნიეს. ღვარცოფის შემთხვევაში გლეხი კარმიდამოს გადასარჩენად ჯებირს აღმართავს და ნიაღვარს მიმართულებას უცვლის. ევროპა ცდილობს ჯებირების აღმართვას. ფრანგებმა სოროსი თავიანთი ქვეყნიდან სასამართლოს ძალით გააძევეს. ჩვენი ხელისუფლება და ე.წ. „რეფორმისტები“ კი ჯებირებს უფართოესი მიმღეობით ხსნიან და იქით ემუდარებიან — „მოდი, წალეკე ეს ქვეყანა, ოღონდ ამაში ფული და ძალაუფლება მომეციო“. და ეს სისტემა დღეს უკვე კანონის დონეზე განდევნის ქვეყნიდან ინტელექტუალურ ძალებს საზღვრებს გარეთ. ხოლო აქ დარჩენილებისთვის ცოდნის მიცემის სისტემას ყირაზე აყენებს. მათი წნეხის ქვეშ იდრიკებიან კულტურის შექმნის პოტენციით დაჯილდოებული ქართველები.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# შენი ჰებელსობისა



**პოლიტიკური პროცესები ე.წ. რადიკალური ოპოზიციის მიერ აგვისტოს „მკვდარ სეზონად“ გამოცხადების შემდეგ ისე ვითარდება, გეგონება, ქვეყანა აშენდა და აღორძინდა. ოპონენტების გარეშე დარჩენილმა „ვარდოსნებმა“ ბურთიც დაისაკუთრეს და მოედანიც... თავლაფდასხმული ოპოზიცია კი გაწკეპლილ ფინიასავით გაეცალა პოლიტიკურ არენას. შესაბამისად, გაუგებარია — ვის კარში გააქვთ მოედანზე მარტოდ (ანუ ფსევდოოპოზიციის ამარა) დარჩენილ „ნაცებს“ გოლები... ალბათ, საკუთარი სინდისისა და ზნეობის, მაგრამ ხელისუფლებას რომ არც ერთი გააჩნია და არც — მეორე?! ამიტომ ლოგიკური ის უფრო იქნებოდა, რომ გვეთქვა — ხელისუფლებამ არა ოპოზიციას ან საკუთარ თავს, არამედ საზოგადოებას დაასხა თავსლაფი და ნასყიდი ფსევდოლიდერების ხელშეწყობით უკვე მერამდენედ პირშიჩალაგამოვლებული დატოვა იგი. ახია ჩვენზე! რატომ?!**

საპროტესტო გამოსვლების დასრულების შემდეგ ნაცმოძრაობამ არაერთი მზაკვრული ნაბიჯი გადადგა და ამით, უწინარესად, პროტესტანტ მოსახლეობას შეაყარა თვალში ნაცარი. მათ შორის, ალბათ, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენდირექტორის არჩევნებთან დაკავშირებული დავიდარაბა, რითაც „ვარდოსნებმა“ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ სიტყვის თავისუფლებაზე არც უნდა ვიოცნებოთ... დიახ, სწორედ ამის შეხსენება იყო „პირველი არხის“ გენერალურ დირექტორად გიორგი ჭანტურიას დანიშვნა...

**მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ ხელისუფლებამ მაინც ვერ მიაღწია საწადელს, რადგან საზოგადოებამ კარგად იცის, რომელი ხვრელიდან გამომძვრალ გიაურებს ჩაბარდა „პირველი არხი“... ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი მიდგომა, რამეთუ „ვარდოსნებს“ სულ ფეხებზე ჰკიდიათ, რას ფიქრობს ხალხი...**

ამას მოწმობს თავად ბატონ ჭანტურიას მიერ გენდირექტორად „კურთხევის“ დღესვე გაკეთებული განცხადება; როცა მას ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რა ცვლილებების გატარებას აპირებო, ასე უპასუხა: **„პირადად მე „პირველი არხის“ სამაუწყებლო პოლიტიკით უკმაყოფილო არასდროს ვყოფილვარო“.**

მგონი, ამ განცხადებით ყველაფერია ნათქვამი — „მაუწყებლის“ ახალი შეფი იმდენად გულახდილი ადამიანია, რომ ეს თვისება უკვე თავხედობაში გადასდის. **ისე, ლევან ყუბანეიშვილის ნამოადგილარისგან დიდად გასაკვირი არ არის მსგავსი განცხადება, მაგრამ მაინც ჩნდება კითხვა:**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მცირეწლოვანი შვილების თვალწინ ქმარი ცოლს თავის ჩამოხრჩობას აიძულებდა

**საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებასა და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრებას არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ემსახურება. შიდა ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის ფაქტების საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას ჩვენი ეროვნული შეგნება თავს არიდებს. თუ არა და... ადამიანური ტრაგედია შეიძლება სულაც აქვე, ჩვენ გვერდით ტრიალებდეს და, არც თუ იშვიათად, მოწმეთა გარეშე. გაყიდული, შეურაცხყოფილი და ნაწამები მსხვერპლი ჩვენი საზოგადოების წევრია. არავის უნდა ეპატიოს მძიმე დანაშაული, რომლის ცენტრში ადამიანის უფლებებისა და პირადი ღირსების ხელყოფაა.**
**შიდა ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის ფაქტებზე გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ რეგიონული კოორდინატორი ელისო ამირეჯიბი და ამავე ორგანიზაციის იურისტი მანანა ფურცხვანიძე.**



— **ქალბატონო ელისო, თქვენამდე მოსატან ფაქტებს ხშირად თან სდევს პრინციპული დუმილი, არც იძულებითი დუმილია გამონაკლისი. თუ შეიცვალა რამე ამ მიმართულებით?**

— ძნელია, მსხვერპლმა გადააბიჯოს იმ ზნეობრივ ზღვარს, რასაც ეროვნული მენტალიტეტი ჰქვია და ჩვენამდე მოვიდეს. ქართველებს ოდითგანვე გვწამს, რომ ჭუჭყიანი სარეცხი არ უნდა გამოვფინოთ, ოჯახის ამბავი გარეთ არ უნდა გავიდეს. ასეთი ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა. მართალია, ერცხვინებათ ჭირის გამხელა, მაგრამ, ხომ გაგიგიათ, „...ჭირმა თავი არ დამალაო“. ხშირად მსხვერპლისათვის მიყენებული ზარალი იმდენად მძიმეა, რომ დაგვიანებული გამოაშკარავებისას ჭირს მსხვერპლის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის აღდგენა, მიჩქმალვით კი სავალალო შედეგებს ვიღებთ.

ჩვენი ორგანიზაცია 2003 წელს დაარსდა, 10 რეგიონული კომიტეტითა და ორი თავშესაფარით, რომელიც თბილისსა და ახალციხეში მდებარეობს. რეაბილიტაციის ცენტრებში ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთ სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ დახმარებას ვუწევთ და, როდესაც მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა აუცილებელია, თავშესაფრებში ვათავსებთ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ მსხვერპლთა უმრავლესობამ არ იცის, სად და ვის მიმართოს.

— **მაინც, რატომ და რა მიზეზით ხდება ამგვარი დანაშაულებანი. რომელიმე ფაქტს ხომ ვერ გაიხსენებთ?**

— უამრავი პრობლემით დატვირთული ჩვენი რთული ყოფა ძალადობაზეა აგებული, ხშირად ადამიანურ ურთიერთობებში უამრავ სიყალბეს ვხვდებით. ყველა ვერ ძლევს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს და ირღვევა ადამიანის წონასწორობა. ყველაზე ხშირად კი ადამიანი თავის შინაგან არსს აგრესიით ავლენს და აქედან იწყება მსხვერპლის ტრაგედიაც, რომელიც ადამიანობის საზღვრებს სცილდება.

არასოდეს დამავიწყდება ორშვილიანი ახალგაზრდა ოჯახი, ტირანადქცეული მამისაგან საშინელ ძალმომრეობას რომ განიცდიდა. ოჯახის მამას სახლში, ფარდის მიღმა სახრჩობელა ჰქონდა გამზადებული. ოჯახში თავისი დადგენილი წესებით ცხოვრობდა, გარეთ კი „სხვას“ თამაშობდა. საზოგადოებაში მათ ოჯახზე დადებითი აზრი არსებობდა — ცოლ-ქმარი ყველას მოსიყვარულე წყვილად მიაჩნდა, მეტიც, თვით ოჯახის მოსიყვარულე ნათესავებმაც არ იცოდნენ, შიგ რა „ქოთანი დუღდა“. ოჯახის დედა თუ ოჯახის უფროსის მიერ დადგენილ წესებსა და მოთხოვნებს დაარღვევდა, საღამოს ჩამქრალი სინათლის ფონზე ასეთი სცენა თამაშდებოდა: სადისტი მამა მცირეწლოვან შვილებს მაყურებლად სვამდა, ხოლო ცოლს ტკბილი, დათაფლული, მოსიყვარულე ხმით სთხოვდა, ჩადენილი დანაშაულისთვის თავი ჩამოეხრჩო. ქალი ფოთოლივით ცახცახებდა; ბავშვებს მკვდრისფერი ედოთ, შიშისაგან ენაჩავარდნილნი უცქეროდნენ სასტიკ სპექტაკლს. ამგვარი სცენა დედისა და ბავშვების ფსიქიკას ანადგურებდა, ოღონდ ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად და თუ არა ჩვენი დროული ჩარევა, თითოეული მათგანი ზეწოლითა და ფსიქოლოგიური შთაგონებით სახრჩობელის მსხვერპლი გახდებოდა.

— **ეს ამბავი უშუალოდ მსხვერპლმა შეგატყობინათ? მოძალადე კაცი, ალბათ, ავადმყოფი იყო...**

— ძნელია სიტუაციის გაანალიზება. ქალი მეგობარს გამოუტყდა არსებული ვითარების კულმინაციისას, როდესაც იგრძნო, რომ ქმრის დაჟინებულ სურვილს გადატანილით დაღლილ-დაქანცული ველარ გაუძლებდა. მეგობარმა ქალმა კი დახმარებისთვის ჩვენ მოგვმართა. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც ძალადობას ეხება საქმე, ყველას ჰგონია, რომ მოძალადე ავადმყოფია. ამ შემთხვევაში მამაკაცს სულიერი აშლილობის არც ერთი სიმპტომი არ აღმოაჩნდა. ძნელია, დამნაშავის სულში ჩაღრმავება, მისი საქციელის ახსნა. როდესაც ამ კაცს დაველაპარაკეთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს სიტყვები ყრუ კედელს ეხეთქებოდა, თითქოს ბრმა კაცის წინაშე ვიდექით, რადგან ჩვენ წინ პირქუში, ემოციაგამოფიტული არსება იდგა. ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა ფსიქოლოგიურ ძალადობასთან, რომელიც მსხვერპლზე ფიზიკურ კვალს არ ტოვებს და ყველაზე ვერაგული ხერხია. ეს აქ, თბილისში მოხდა. კარგა ხნის მანძილზე მსხვერპლი შვილებითურთ სულიერად იმსხვრეოდა, ფიზიკურად ნადგურდებოდა. ქალი მცირეწლოვანი ბავშვებით რეაბილიტაციის ცენტრში მოვათავსეთ. დედამ არ ისურვა თავისი შვილების მამის პასუხისგებაში მიცემა და მისი დასჯა. ჩვენ უფლება არ გვაქვს, ვასწავლოთ, როგორ იცხოვროს, მაგრამ ამგვარი მიდგომით ისევ თვითონ ზარალდებიან. ეს ამბავი უფრო ამიტომ დამამახსოვრდა და ხშირად ვფიქრობ მათზე. ვერაფრით ვხვდები, ასე რატომ ხდება წყვილებში: გულადს — მშიშარა, კაცთმოძულეს — კაცთმოყვარე, ბოროტს — სათნო, უნდილს — ენერგიული, ეგოისტს — ალტრუისტი, ხოლო ურწმუნოს ღვთისმოსავი უკავშირდება. ასეთი ოჯახების ბავშვებზე ფსიქიკური ზეგავლენის კვალი იმდენად მძიმეა, რომ მომავალში დიდ საშიშროებას უქადის და მათ გამოსაჯანმრთელებლად სერიოზული მუშაობა გვჭირდება.

**საუბარში მანანა ფურცხვანიძე ჩაგვერთო, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასახმარებლად სახელმწიფო ქსელში შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობს. მან შიდა ტრეფიკინგის შემთხვევაზე გვიამბო:**

— ტრეფიკინგის პროცესში განსაკუთრებულად ყურადსაღებია „სასოწარკვეთის“ ფენომენი, რომელიც იუნგის მიხედვით „შინაგანი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი მონაკვეთია“. სასოწარკვეთილი ადამიანი ყველაფერზე წამსვლელია. ხშირად ადამიანი ვაის გაეყრება და უის შეეყრება. მე და ფსიქოლოგი (ქ-ნი მანანა იურისტია) ერთად გავდივართ სავარაუდო მსხვერპლთან ინტერვიურებას. ამის საფუძველზე კომისია გადაწყვეტილებას იღებს, არის თუ არა ტრეფიკინგის მსხვერპლი კომისიაზე გასული.

იყო შემთხვევა, როცა თბილისის „ტუბდისპანსერში“ ჭლექით დაავადებული გოგონა მიიყვანეს, რომელსაც ტრეფიკინგის ნიშნები ჰქონდა.

გოგონა ობოლი იყო. მას ქართლის ერთ-ერთ სოფელში ბებია ზრდიდა. ბებია ქალაქის რკინიგზის ვაგზალში მზესუმზირას ყიდდა, გოგონა კი ყოველთვის თან ახლდა. უკონტროლობამ და უყურადღებობამ, ვაგზლის გარემომ ჯერ კიდევ ბავშვი, 12 წლის უბიწო გოგო ისე გარყვნა, რომ ბებიას ეჭვიც არ გასჩენია. ის უკვე იქ მყოფ მეძავ ქალთა გავლენით სხეულით ვაჭრობდა.

— **ქალბატონო მანანა, ვაგზალი სავსეა პოლიციელებით. განა იქ მყოფმა სამართალდამცველებმა ვერ შეამჩნიეს არასრულწლოვანი გოგოს მდგომარეობა?**

— ეს არ ვიცი, მაგრამ ვიღაც მამაკაცმა ამ გოგონას საშუალებით ფულის კეთება მოინდომა. ძალმომრეობით გოგო თბილისიდან კახეთში ჩაიყვანა და ერთ სახლში რამდენიმე ქალთან ერთად ჩაკეტა, რომელნიც მამაკაცებს ემსახურებოდნენ. მას ყველაფერი აუკრძალეს, „მომსახურებიდან“ კი დღეში მხოლოდ 5 ლარს აძლევდნენ. სექსუალური ექსპლუატაციის შედეგად გოგონა დასუსტდა, ტუბერკულოზით დაავადდა. როდესაც ჩვენ ის ვნახეთ, უკვე 16 წლის იყო. მას არ მოსწონდა თავისუფლების შეზღუდვა და ამბობდა: „კახეთიდან ამიტომ გამოვიპარეო“, მაგრამ ტუბერკულოზი აღმოაჩნდა და „ვაგზლის“ ძველმა მეგობრებმა დისპანსერში სამკურნალოდ წამოიყვანეს, სადაც მკურნალობის სრულ კურსს გადიოდა. კომისიამ ის ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნია და მისი რეაბილიტაციის ცენტრში მოთავსება გადავწყვიტეთ. მან თავშესაფარზე უარი თქვა.

ისე იყო გონებადაქვეითებული, საკითხში გარკვევა უჭირდა. უტიფრად გარე სამყაროსკენ ილტვოდა. მკურნალობა არ დაუმთავრებია, ისე გაიპარა ტუბდისპანსერიდან. შევეცადეთ, მოგვეძებნა, მაგრამ ამაოდ. მასზე ფიქრი ჩემი გონებიდან მაინც არ ქრება. რატომ ვერ შევძელით, გადაგვერჩინა „ქალაქში, მტვერში“ წაქცეული ბავშვი, რომელიც ღმერთმაც გაწირა და კაცმაც? ამგვარი შემზარავი ფაქტებით მარტო არასრულწლოვანი გოგონას სული არ სახიჩრდება, ჩვენი ეროვნული, ადამიანური ღირსებებიც ილახება.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# რა ვთქვი, გია(ურო)...

**თუ პატივცემული ჭანტურია „პირველი არხის“ საინფორმაციო პოლიტიკაში ლაფსუსებს ვერ ხედავს და ყველაფრით კმაყოფილია, რა მიზნით შეცვალა ყუბანეიშვილი და, საერთოდ, რატომ იყარა კენჭი?..** ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ წინამორბედის გზა გაეგრძელებინა?!

თუ ასეა, მაშინ კიდევ ერთხელ შევახსენებთ „ნორჩ“ გენდირექტორს, რომ მისი დაწესებულება არა **საზოგადოებრივი**, არამედ „**სოდოგადოებრივი**“ კანტორაა და თუ ამის შეცვლის აუცილებლობას ვერ ხედავს, იქნებ ენას მაინც დააჭიროს კბილი!

— **რეიტინგებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საკმაოდ პოპულარული არხიაო,** — წამოაღაღადა ჯერ კიდევ თანამდებობაზე დამტკიცებამდე გია(ურ) ჭანტურიამ, თანაც ისეთი თავდაჯერებით ამბობდა ამას, გეგონებოდათ, „წმინდა წყლის სიმართლეს“ ამბობდა.

**აფერუმ, თქვენი „ზნეობისა“ და „სინდისის“ შეუვალობას, ბატონო გენდირექტორო! ფრიად ერთგული ბუნების ადამიანი ბრძანებულხართ და მმართველი პარტიის საამებელ სორო-ხვრელებში ძრომიალის სანაქებო ნიჭიც გქონიათ. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ერთობ შესაშური თვისებაა, რომელიც მხოლოდ თქვენნაირი ნიჭით დაღდასმულ, ზნემაღალ „პიროვნებებს“ შეიძლება გააჩნდეთ.**

ერთი კია — ცოტა არ იყოს, „მეხსიერება“ გღალატობთ, გავიწყდებათ, რომ თქვენ მიერ ყველაზე მაღალრეიტინგულ არხად შერაცხულ „**სოდოგადოებრივი** მაუწყებლთან“ სულ რაღაც თვენახევრის წინათ მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია იმართებოდა; თქვენ არ გახსოვთ, რომ ყუბანეიშვილის (აწ უკვე თქვენს, ბატონო გია(ურო)) კანტორაში ყოველდღე სირცხვილის კორიდორის გავლით გიწევდათ შესვლა...

ნუთუ ფურთხი და ლანძღვა-გინება არ მოგბეზრდათ?

**ნუთუ თქვენთვის ეს ყველაფერი სრულიად უმნიშვნელო რამაა იმ დიდ სიამოვნებასთან შედარებით, რასაც ნაცმოძრაობის „ლეღვის ფოთლობა“ განიჭებთ?!**

როგორც ჩანს, მართლაც ასეა, ეს ფუნქცია თქვენ აშკარად გგვრით ესთეტურ სიამოვნებას და ღმერთმა კიდევ დიდხანს გამყოფოთ ვარდოსანთა „წინსაფრის“ მდგომარეობაში. უკეთესი რა უნდა გისურვოთ რიგითმა მოკვდავმა, მით უმეტეს, როცა თქვენთვის და თქვენი ავადსახსენებელი დაწესებულების რიგითი ლუმპენებისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საზოგადოებრივ აზრს, მთავარია მეფე გყავდეთ მოწყალე და კმაყოფილი...

ბატონო **გია(ურო),** როდესაც თავგასულობა გყოფნით და აცხადებთ, რომ დღეს საქართველოში სიტყვის თავისუფლება დაცულიაო, ატყობთ, არანაირი არგუმენტი რომ არ გაქვთ გარდა იმისა, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდს შეადაროთ „ვარდოსანთა“ ეპოქა?!

სიტყვამ მოიტანა და, შევარდნაძის დროს თქვენ „დარდუბალას“ აკეთებდით, ბატონო **გია(ურო),** გადაცემას, სადაც ერთობ მწარე იუმორითა და შარჟით თავზე ლაფს ასხამდით იმდროინდელ პრეზიდენტს. თავად შევარდნაძესაც არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ეს გადაცემა ჭკუიდან შლიდა, მაგრამ რეპრესიები არ ყოფილა.

ახლა ღრმად ჩაისუნთქეთ, შემორჩენილი ფანტაზია მოიხმეთ და წარმოიდგინეთ, ვინმემ მსგავსი გადაცემის მომზადება რომ გაბედოს თქვენს „**სოდოგადოებრივ** მაუწყებელზე“...

წარმოიდგინეთ?! რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდით საკუთარ თავს ვირის აბანოში, რადგანაც თქვენს „**სოდოგადოებრივ** მაუწყებელზე“ მსგავსი გადაცემის გასვლა თქვენთვის ავტომატურად გენდირექტორის სავარძლიდან ნესტიანი საკნის ნარებზე გადაბარგებას ნიშნავს... ახლა არ გაჯიუტდეთ და არ მოყვეთ მტკიცებას, საქართველოში სიტყვის თავისუფლებაა და მიხეილის გაკრიტიკებისათვის ვირის აბანოში თავს ვერავინ მიკრავსო!

ნებისმიერ სანაძლეოზე თანახმა ვარ — სცადეთ და დარდუბალასაც მაშინვე ნახავთ. პირობას გაძლევთ, სანაძლეოს მოგების მიუხედავად, ყოველკვირა მოგიტანთ „პერედაჩს“ სასჯელის მოხდის ადგილზე...

კიდევ ერთხელ ნუ მიწყენთ, ბატონო **გია(ურო),** თქვენივე სიტყვებს შეგახსენებთ — „**სოდოგადოებრივი** მაუწყებლის“ გენდირექტორად ახლადდანიშნულმა (უკაცრავად, არჩეულმა?!) განაცხადეთ, რომ არხზე ცვლილებებს „ჰორიზონტალურად“ განახორციელებდით... ჰოდა, ნუ გაგიკვირდებათ, თუკი ამიერიდან საზოგადოებამ „ხოტბა“ და „ქება-დიდება“ არც ვერტიკალურად და, რა თქმა უნდა, არც ჰორიზონტალურად მოგაკლოთ...

**მძიმეა გენდირექტორის ქუდი, გია(ურ) ბატონო, მძიმე...**

ეჰ, ვატყობ, რომ მგლის თავზე სახარებას ვკითხულობ. ეს კი, მოგეხსენებათ, ფუჭი საქმეა, რამეთუ, ვისთვისაც მორალი და უზნეობა სინონიმებია, იმისთვის არც ერთი ფასობს და არც — მეორე...

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## მეფისნაცვალი მოკვდა, ვინც მოვა, გაუმარჯოს!

# საქართველოს დანაწევრების გეგმა აშშ-ში დამუშავდა?

**მეთიუ ბრაიზა, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკი, საქართველოს კურატორი, ხალხის მიერ „საქართველოს გუბერნატორად“ მოსწრებულად მონათლული, ქვეყნიდან წავიდა.**
**მერე რა?**
**„მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“ ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, რადგან მისი შემცვლელის ვინაობა ამერიკას ჯერ არ გაუმხელია. ფუყე შეძახილებითა და ყალბი ლოზუნგებით კი ისედაც ყელამდე ვართ სავსე. ამიტომ უპრიანია, გავუჩუმდეთ, დაველოდოთ და მერე ჩვენი ხელისუფლება „გაუმარჯოს მეფეს!“ ისეთივე მონდომებით შესძახებს, როგორც „მიშა მაგარია!“. სანამ ველოდებით, დავსხდეთ და გავაანალიზოთ ზოგი რამ, რაც ბრაიზასთან არის დაკავშირებული.**




უწინარესად — მოარული ხმა: ამბობენ, რომ თვალჟუჟუნა მეთიუს აზერბაიჯანში აშშ ელჩად დანიშნავენ. ზედგამოჭრილია. თანაც ასეთი გადაადგილება ბრაიზასაც ხელს აძლევს, მოსწონს, განაცხადა კიდეც: **„ძალიან მინდა, სამხრეთ კავკასიაში რომ ვიმუშაო“.** საკვანძო სიტყვებია — ხელს აძლევს, უნდა... მაგრამ პრეზიდენტს ჯერ არ დაუნიშნავს...

რატომ შემორჩა საქართველოს ამდენ ხანს მეგობარი ბრაიზა? საქმეში ჩახედული დიპლომატები ამბობენ, რომ კავკასიის საკითხებში გარკვეული სპეციალისტები სახელმწიფო დეპარტამენტში ერთი-ორი თუა. ბრაიზა კი თეორიულ და პრაქტიკულ დონეებზე დიდხანს იყო დაკავებული ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით კავკასიაში და „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ რეგიონში.

მაშინ, როცა ჩვენ, საქართველოს უბირ მოქალაქეებს, ეს ახალგაზრდა კაცი მიხეილ სააკაშვილის მეგობარი გვეგონა და მეტი არაფერი, მას თურმე საქმიანი და ახლო ურთიერთობა დაუმყარებია სამხრეთ კავკასიის ლიდერებთან. პირადი კონტაქტები კი, მოგეხსენებათ, ძალიან ხშირად გადამწყვეტი ფაქტორია, განსაკუთრებით, აღმოსავლურ დიპლომატიაში. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ИА Регнум „Новости“-ს მტკიცება, რომ სწორედ ასეთი ურთიერთობის წყალობით შეძლო სახელმწიფო დეპარტამენტის წარგზავნილმა, საკმაოდ ეფექტიანად განეხორციელებინა აშშ საგარეო პოლიტიკა ამ მნიშვნელოვან რეგიონში.

უფრო მეტიც.

ზოგიერთი ცნობით,

### მეთიუ ბრაიზა აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ე.წ. დიდი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი და დამმუშავებელია.

**ეს კონცეფცია ითვალისწინებს იმ „ჭიპლარის“ გაწყვეტას, რომელიც კავკასიის ქვეყნებს ყოფილ მეტროპოლიასთან — რუსეთთან აკავშირებდა, და „ახალ ისტორიულ გეოპოლიტიკურ განზომილებაში“ მათ გადაყვანას.**

რომელ ახალ განზომილებაზეა ლაპარაკი?

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ

### რაისის (მაშასადამე, აშშ-ს) კონცეფცია ეჭვქვეშ აყენებს ბოლშევიკების მიერ ამიერკავკასიაში დადგენილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ლეგიტიმურობას, რომლებიც სსრკ დაშლის შემდეგ სახელმწიფო საზღვრებად ჩამოყალიბდა.

მაშასადამე, რახან ბოლშევიკები არიან ჩარეული, ეს საეჭვო საზღვრები გადასახედია! როგორ უნდა ჩაეწეროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპი „არალეგიტიმური საზღვრების“ კონცეფციაში?

როდისაა ამერიკის ადმინისტრაცია მართალი — როცა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაშასადამე, საზღვრების ლეგიტიმურობას მხარს უჭერს, თუ მაშინ, როცა „ბოლშევიკების მიერ დადგენილი საზღვრების“ (რაც სამხრეთ კავკასიაში ისტორიული რეალობაა) ტრანსფორმაციით „განსხვავებულ გეოპოლიტიკურ განზომილებაში“ ჩვენს გადაყვანას ცდილობს?

ამ უკანასკნელ შემთხვევაში „ახალი განზომილება“ სხვა არაფერია, თუ არა საზღვრების გადახედვა მათი შეცვლის მიზნით.

### აქეთ მივყავართ?

თუ გავითვალისწინებთ აშშ პოლიტიკას, რომელსაც საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს აზიაში, კერძოდ, „დიდ ახლო აღმოსავლეთში“, პასუხი ამ კითხვაზე დადებითი უნდა იყოს.

**ერაყის დანაწევრება სამ ზონად — ქურთების, შიიტებისა და სუნიტების ზონებად — ობიექტური რეალობაა.** სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ავღანეთის ფრაგმენტაციაც გარდაუვალია.

დავიჯეროთ, რომ საქართველოს დაგლეჯა-დანაწევრება საკუთრივ საქართველოდ და თვითგამოცხადებულ, ახლა უკვე „ნაწილობრივ აღიარებულ“ რესპუბლიკებად „სხვა ოპერიდანაა“?

ფიქრობენ, რომ აგვისტოს ომში საქართველოს გადაგდება მხოლოდ სააკაშვილის ინიციატივა არ უნდა იყოს — მას საამისოდ უბიძგეს. ასეთ დასკვნას ომის შედეგებიდან გამომდინარე აკეთებენ: ე.წ. სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა განიმტკიცეს დამოუკიდებელი მდგომარეობა.

ხომ არ არის ეს მოვლენა პრაქტიკულად რეალიზებული „ახალ განზომილებაში“ გადასვლის კონცეფცია?

ვერ გეტყვით.

არც ბრაიზას უთქვამს რაიმე ამის თაობაზე. ბრაიზამ საქართველოს „მთავარი სტრატეგიული მიმართულება“ განგვისაზღვრა და წავიდა. **„ჩვენ ვასწავლით და გავწვრთნით იმ ქართველ ჯარისკაცებს, ვინც საკუთარ სიცოცხლეს დააყენებს ჩვენი საერთო სტრატეგიული ინტერესების და საერთო ღირებულებების დაცვის წინა ხაზზე“,** — მრავალმნიშვნელოვნად ბრძანა მან.

ამ დღეებში ამერიკელი საზღვაო ფეხოსნების დიდი ჯგუფი ჩამოვიდა საქართველოში ჩვენი ჯარისკაცების გაწვრთნის მიზნით.

„საერთო სტრატეგიული ინტერესებისთვის“ სიცოცხლის სასწორზე დადება ყოფილა ჩვენი ჯარისკაცების წმიდათაწმიდა მოვალეობა, აზრი და მიზანი?

აბა, სამშობლოს დაცვაო?

აგვისტოს შარშანდელ ომში მათ საბრძოლო ნათლობა მიაღებინეს „საერთო ღირებულებების“ დასაცავად გასამართ ომებში სხვა დროსა და სხვა ქვეყნებში.

### ცუდი ეჭვია, მაგრამ მოვლენების ლოგიკურმა განვითარებამ აქამდე მიგვიყვანა: საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის მხარდაჭერა, ისევე, როგორც რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებისკენ მოწოდება, შირმაა, რომლის მიღმა, ოო, რა ცუდი ძაღლის თავია დამარხული: საქართველოს სამ ნაწილად დაყოფა და რუსეთთან მუდმივად დაძაბული ურთიერთობის შენარჩუნება.

**მთიანი ყარაბაღის** კონფლიქტის მოგვარების ბრაიზასეული გეგმაც ხომ იმავეს ითვალისწინებს? გაგახსენებთ, რომ აქამდე ბატონი მეთიუ ამ კონფლიქტის მოგვარების მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე იყო აშშ-ს მხრიდან.

მისი განცხადება — „დღეს ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ პრეზიდენტები მზად არიან, ხელი მოაწერონ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების საბაზო დოკუმენტს“ — ისევეა ქვიშაზე ნაგები, როგორც ჩვენი პრობლემების გადაწყვეტის რაისისეული კონცეფცია, ანუ საფუძველგამოცლილი პერსპექტივაა: ყველაფერი დარჩება ისე, როგორც არის.

ბაქოსა და ერევნის ურთიერთობის ნორმალიზაციის ღონისძიებები ითვალისწინებს სომხეთის მიერ ოკუპირებული 7 რაიონის აზერბაიჯანისთვის გადაცემას, აქედან 5 — დაუყოვნებლივ, 2 — დროთა განმავლობაში — 5 ან უფრო მეტი წლის შემდეგ. დანარჩენი საკითხები და, მათ შორის, ყარაბაღის სტატუსის საკითხი გადაწყდება შემდგომ ეტაპებზე.

ამაში ცუდი არაფერია, ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი რომ არა — რეფერენდუმი, რომელმაც „ჰო“ ან „არა“ უნდა თქვას. აზერბაიჯანელი პოლიტოლოგები, მათ შორის, **ფიქრეტ სადიხოვი,** აცხადებენ, რომ თუ მომავალი რეფერენდუმის დროისთვის ყარაბაღში შენარჩუნებული იქნება ეთნიკური პროპორცია — 76 პროცენტი სომხები, 23 პროცენტი — აზერბაიჯანელები, რაც კონფლიქტის დაწყებამდე იყო დაფიქსირებული, რეფერენდუმის შედეგი თავიდანვე ცხადი იქნება: სტატუსკვო შენარჩუნდება.

დაყოფა-დანაწევრების დამოკლეს მახვილი **თურქეთის** თავზეც დაეკიდა. თურქული გაზეთის **„ჰურიეთის“** ანალიტიკოსი **უნსელ სელიმი** სტატიაში **„დემოკრატია თურქეთში“** ეძებს პასუხს კითხვაზე — „რატომაა, რომ იმ დროს, როცა თურქეთი ეკონომიკურად გამოუვალ მდგომარეობაშია, წალეკილია უმუშევრობით, დღის წესრიგში მოულოდნელად ჩნდება ქურთების საკითხი?“ მას მიაჩნია, რომ ქურთების გარკვეული უფლებების აღიარება იმის საფუძველია, სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა, ასევე, მოითხოვონ მათი უფლებების აღიარება.

**„როცა დღეს ლაპარაკობენ ქურთების საკითხის მოგვარებაზე, ვფიქრობ, რომ ხვალ მოგვთხოვენ სომხების, შემდეგ ბერძნების, ლაზების და სხვათა საკითხების გადაწყვეტას“,** — არ მალავს შეშფოთებას სელიმი.

„ჰურიეთის“ კორესპონდენტი ასკვნის, რომ **არსებობს თურქეთის დანაწევრების პროგრამა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისთვის ავტონომიების მინიჭების გზით. ათვლის წერტილი — ქურთები.** თურქი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ აშშ პროგრამა ქურთული სახელმწიფოს შექმნის შესახებ ჯერ ერაყში, შემდეგ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში შემუშავდა 1997 წელს. იგი წერს: „1997-ში, როცა დანიის სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ერაყიდან დაბრუნდა, მას შეეკითხნენ, როგორ ჩაიარა ვიზიტმა. დეპუტატმა უპასუხა, რომ ჩრდილოეთ ერაყში იგი შეხვდა ქურთების ჯგუფს, შემდეგ ჩავიდა ანკარაში და შედეგები თურქეთში **აშშ ელჩს მოახსენა. ელჩმა უთხრა, რომ**

### დამუშავებულია ქურთების სახელმწიფოს შექმნა ერაყის ჩრდილოეთით, რომელსაც შემდეგ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს შეუერთებენ.

**ელჩის განცხადებით, სურს თუ არა თურქეთს, ქურთისტანი მაინც შეიქმნება“.**

საეჭვოდ ბევრი დამთხვევა ხომ არ არის?!

**ბრაიზა წავიდა. ცოტა ხანში ჩვენი ხელისუფლება მკლავებგაშლილი შეხვდება მის შემცვლელს: ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!**

**და არაფერი შეიცვლება.**

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# ნიკა გილაური ვერ მიხვდა, რომ ბოსთან ლაქიაობა ცხოვრების წესად ექცა

**2003 წლიდან დღემდე საქართველოს მთავრობამ ხუთჯერ გამოიცვალა პრემიერ-მინისტრი. რევოლუციური ტრიუმვირატის წევრი ზურაბ ჟვანია საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, ხოლო პრემიერ-მინისტრად მისივე გუნდის წევრი ზურაბ ნოღაიდელი მოგვევლინა. 2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ ნოღაიდელმა, მისივე თქმით, თანამდებობა დატოვა და ოპოზიციაში გადავიდა. დღეს ის პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერია, თუმცა ხალხმა კარგად იცის, რომ ნოღაიდელმა თანამდებობა არა საკუთარი სურვილით, არამედ სააკაშვილის მითითებით დატოვა. ნოღაიდელის თანამდებობრივი მემკვიდრე ბანკირი ლადო გურგენიძე გახდა, რომელმაც პრემიერობის ჟამს მხოლოდ ის მოასწრო, თავისი ბანკი უმსხვილეს კომპანიად ექცია. აგვისტოს მოვლენების შემდეგ პრემიერად თურქეთში საქართველოს ყოფილი ელჩი გრიგოლ მგალობლიშვილი დაინიშნა. მისი ზეობა უდღეური აღმოჩნდა პრეზიდენტთან გახმაურებული დაპირისპირებისა და თავში მობილურისა თუ საფერფლის სროლასთან დაკავშირებული სკანდალის გამო.**

**2009 წლიდან კი სააკაშვილის მთავრობაში რიგით მე-5 პრემიერი დაინიშნა. ეს გახლდათ ნიკა გილაური, რომელიც მაშინვე მოექცა საზოგადოების გამძაფრებული ინტერესის სფეროში — რამდენ ხანს შეძლებს პრემიერთა „ცვენაში" ამ პოსტზე ყოფნასო.**

**ნიკა გილაურის ფსიქოპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ნიკა გილაურის ფსიქოსტრუქტურის ძირითად მახასიათებლებზე. რა როლი ითამაშა მისმა ხასიათმა, ტემპერამენტმა და უნარებმა სამსახურებრივ კარიერაში?**

— გილაური სანგვინიკია, რაც ტემპერამენტის მსუბუქი ფორმაა. სანგვინიკები გამოირჩევიან გრძნობადი ტკბობის უნარით, უმთავრესად ფუქსავატნი და მერყევნი არიან. შეუძლიათ, მდგომარეობასთან მისადაგებით უცებ შეიცვალონ, ლავირების გასაოცარ ნიჭს ფლობენ. ზერელე განცდებით ღრმა, სერიოზული გრძნობებისგან შორს დგანან. შემიძლია, ვთქვა, ნიკა გილაურის ფსიქომახასიათებლები ისეთივე ფასადურია, როგორც ვარდოსნების მთელი პოლიტიკა. ნიკა გილაურმა მოახერხა, ახალ დროებას შერწყმოდა თანდაყოლილ უნართა დათრგუნვით, ხოლო სულიერების კარი ხელოვნურად ამოექოლა. კარგად შეისწავლა, სად როგორ მოიქცეს. იცის, პოლიტიკა ყინულის მოედანზე სრიალს ჰგავს, მას კი შუშის ფეხები აქვს, საჭიროა სიფრთხილე, ფეხები რომ არ დაემსხვრეს. ეს კი მის გონებრივ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს — არსებული სიტუაციის სწორად შეფასებასა და სულიერ უნარზე, ანუ სიმტკიცეზე — თავშეკავება შეუძლია. ამას ფაქტებიც გვიდასტურებს, მისი მისამართით ბენდუქიძის გამოხდომებს თავი რომ გავანებოთ, სააკაშვილმა მას მთავრობის სხდომაზე „უძველესი კომპიუტერი" უწოდა, ხოლო პრემიერად წარდგენისას — „ილიჩის ნათურა". ორივე შემთხვევაში დუმდა. ეს კი მიგვანიშნებს, რომ საკუთარი თავის ფლობის უნარით — მოთმინებით გილაური აღემატება ჭკვიან ჟვანიას, ხისტ ნოღაიდელს, ეგოცენტრისტ გურგენიძესა და ფიცხ მგალობლიშვილს. მისმა გონებამახვილობამ და სიტყვიერი რეაგირების უნარმა, რაც მთის შვილთა კოდში დევს, გარემოებათა გავლენით ტრანსფორმაცია განიცადა. მას დიდი ხანია, სამსახური შემხუთველ სიცრუესა და აღმაშფოთებელ ტენდენციურობაში უწევს, ამიტომ ფსიქოლოგიური თვისობრიობით ახალ პოლიტიკურ სახედ ჩამოყალიბდა — გახდა ხელოვნური, მოთამაშე და ცდუნებათა სამყაროში ჩაძირული.

ხალასი გონება სანგვინიკებისთვის ბუნების საჩუქარია. ახალგაზრდა გილაური მიხვდა, რომ „მთა და ბარს" ვერც დემოკრატია გაასწორებდა და შინაგანი სილაღით ისევ „მთაზე" ყოფნა არჩია, ამიტომ გაიარა მაღლა ასაცოცებლად ყველა რგოლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ლიმერიკისა და ფილადელფიის ტემპლეს უნივერსიტეტამდე. ფილადელფიის ელექტროპროდუქტების მენეჯერობიდან საქართველოს ტელეკომში გადმოინაცვლა; იყო ესპანური „იბედროლასა" და საქართველოს ენერგობაზრის კონსულტანტი; 2003-2004 წლებში ირლანდიურ კომპანია „იესბიში" — საქართველოს მენეჯმენტ-კონსტრუქტორი და ირლანდიიდან ჩამოფრინდა, რათა ენერგეტიკის მინისტრი გამხდარიყო.

**— მაშინ ეს მეტად საპასუხისმგებლო პოსტი იყო, რადგან წლობით ჩაბნელებული საქართველო მუდმივ განათებას ელოდებოდა. რა როლი ითამაშა მინისტრმა თავისი უნარებით ამ საკითხის მოგვარებაში?**

— გეთანხმებით. როგორც ახალგაზრდა და სიტყვამოსწრებულმა მინისტრმა თვითონ ბრძანა, „ეს ყველაზე ჩასვრილი, ჩა...ული მეურნეობა" იყო. მან ამ „ქაქში" სამი წელი გაძლო. სააკაშვილის პრეზიდენტობის ჟამს სახელისუფლებო კარუსელების ტრიალში მინისტრობის 3 წელი „სარეკორდო" დროდ იქცა. სწორედ ამ წლებში მოხდა ნიკა გილაურის სულიერი „წარწყმედა" და ნებელობის ანულირება. ქვედინებებში, საშიში მეჩეჩებით მოფენილი ფსკერის პირას მიცურავდა. მან ენერგეტიკის მამებთან ურთიერთობებში გამაოგნებელი მოხერხებულობა გამოამჟღავნა — ორმხრივად გამჭოლ პოლიტიკას თამაშობდა, ცბიერებას ძირითად ბერკეტად იყენებდა, პრობლემებზე არ კამათობდა, ყველა კანონდარღვევას ვითომ „სერიოზულად" უდგებოდა. გილაური „ლაქიას" თამაშობდა ექსცენტრიკულ „ბოსთან" და ვერ მიხვდა, ლაქიაობა რომ ცხოვრების წესად ექცა. მწვავე შეჯახებებში ფანტომივით შეუძლია გაძვრეს და გაიპაროს, ზერელე განურჩევლობით — „თავში ქვა უხლიათ".

თავისი „მოქნილობით" ის დიდი პოლიტიკური სპექტაკლის მუდმივ პერსონაჟად რჩება. მან იცის, ვის განუდგეს და ვის დაუპირისპირდეს, თანაც — რა სახით და რა მასშტაბით. 2009 წელს, როდესაც ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარადგინა, თავდაცვის ხარჯები 1,5 მილიარდიდან 1 მილიარდამდე დაიყვანა, რადგან აგვისტოს ომის შემდეგ თავდაცვის ბიუჯეტს დაუნდობლად აკრიტიკებდნენ, სამაგიეროდ, გაზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის ხარჯები (518 მილიონით). 100-დოლარიანი პენსიის დაპირებისაგან თავისდასაძვრენად მსოფლიო კრიზისი და აგვისტოს ომი მოიმიზეზა. მისი ეშმაკურად გათვლილი პროექტი ისე ორგანულად შეერწყა და შეენივთა სათავეში მყოფთა სურვილებს, რომ პოლიტიკურ კოზირად და ტრამპლინად ექცა ფინანსთა მინისტრს და მას პრემიერობისკენ „მწვანე შუქი" აუნთო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მისმა საფინალო დასკვნებმა მოახდინა: „აგვისტოს აგრესიის შემდეგ, სექტემბერში საქართველოს უკვე ჰქონდა ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრის გეგმა, დანარჩენ მსოფლიოს კი ოქტომბერში დაატყდა კრიზისი" ან „ქვეყნის ეკონომიკამ ორი სერიოზული დარტყმა განიცადა: აგვისტოს მოვლენები და ოქტომბრის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ ვთვლით, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად სახარბიელო მდგომარეობაში ვართ". ის ქვეტექსტურად, ალბათ, ხაზს უსვამდა ამას — „მსოფლიოში პირველნი". ფსიქოანალიზით გილაური იმ კაცთა მოდგმას ეკუთვნის, რომელიც ფიქრობს: „დათვი რომ მოგერევა, ბაბაია უნდა დაუძახოო". მისი სულიერება იმდენად შერყვნილია, რომ მასში რამის შეცვლის სურვილი მთლიანადაა გარიყული. ის სწორად აფასებს სიტუაციას, მაგრამ მისი გამოსწორების ან შეცვლის არავითარი ნებელობა და შინაგანი მოთხოვნილება გააჩნია, რადგან სწამს, უსამართლობას თვით ბუნება წარმოშობს. დიდი ფსიქოლოგები ამგვარი ფილოსოფიის მქონე ფსიქოტიპებში მისტიკური კოდის არსებობაზე მიგვითითებენ. ამგვარი რწმენა გილაურს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი უპირატესობითა და პრივილეგიით ისარგებლოს, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დატკბეს ცხოვრებით. მას „ყავის უფლისწულსაც" უწოდებენ, რადგან მისმა ოჯახმა წარმატებით გაართვა თავი ყავის სახლების ბიზნესს.

> **ნიკა გილაური არაფრითაა გამორჩეული — გონებრივი და სულიერი უნარებით საშუალო დონის სუბიექტია, ოღონდ მოხერხებითა და პრაგმატიზმით თავის გონებრივ შესაძლებლობებსა და ენერგიულ პოტენციალს შესაშური ინტუიციით შესაფერის გზას უძებნის.**

ესეც სანგვინიკური ტემპერამენტის მახასიათებელია, ხვდება, მისგან რას მოითხოვენ. ქალაქში გავრცელებული ჭორით, ნიკა გილაურმა ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრობისას გრიგოლ მგალობლიშვილს და ლაშა ჟვანიას გაოცებით ჰკითხა, „თქვენ თავი მართლა მინისტრები ხომ არ გგონიათო". ამგვარი ფსიქოანალიზის შედეგია, რომ იგი არავითარ ინიციატივას არ იჩენს, ხოლო საკითხებზე შოუს მსგავს მსჯელობებს მართავს. ფხიზელი ინტუიციითა და ჩინებული წარმოსახვის უნარით იცის, დღეს რომ დირექტივას მიიღებს, დაწყებული საქმიდან მეორეზე ისე გადაიყვანენ, პირველი აღარც გაახსენდებათ. იცის, მეორეც განწირულია, რადგან მესამე იწყება და ა.შ. ასეთმა მიდგომებმა და ამაო ფაცი-ფუცმა ყოველგვარი ინტერესი დაუკარგა და ენთუზიაზმი გაუნელა პასიურ, უსაქმურ და პარაზიტულ ყოფას შეაჩვია. ჰარმონია თუ დაირღვა, შეუძლია გამოფხიზლდეს, სიტუაცია იუმორით შეარბილოს, არსებული დაძაბულობა ხალისით განმუხტოს და „ბოსი" კეთილად განაწყოს. მან ხომ თანდაყოლილი ანალიზის უნარი ჟონგლიორობით შეცვალა, ამიტომ ხშირად ეუფლება ნიჰილიზმით შეზავებული უნიათობა, რადგან ცხოვრებასთან შეჯახებაში საკუთარ თავში სულიერი სილაღე ჩაკლა. ნებელობით იქცა ვილაცების მიზნის მისაღწევ, გამოსადეგ კაცად. ამით ის, როგორც პიროვნება, წაიშალა და გაცრეცილ მარიონეტად გარდაიქმნა, თუმცა საინტერესო თავისებურებების ინდივიდი იყო. ბუნებრივი მონაცემების თანახმად, დღეს მას ემოციური ველი დაქვეითებული აქვს და ბუნებრივი ჩარჩოებიდან სრულიად ამოვარდნილია.

**— გილაურმა პრემიერმინისტრობა აქტიურობით დაიწყო. ხალხს მოეწონა ჩინოვნიკთა „ქამრების შემოჭერის" პოლიტიკა...**

— ეს მხოლოდ „ახალი ცოცხის" პრინციპით გაკეთდა. შემდეგ ამ საკითხს ამგვარი შეფასება მისცა: „ადმინისტრაციული ხარჯები შემცირებულია, თუმცა კიდევ არის გარკვეული რეზერვები, ასევე, უნდა შემცირდეს მაღალი რანგის ჩინოსანთა ხარჯები". ეს კი ცნობილი ანეკდოტური ტრიადის ანალოგია: „საქმე გაკეთებულია, მიმდინარეობს და დროებით შეჩერებულია".

პრემიერს დაძაბული სამუშაო რეჟიმი და ათასი ინტრიგული ხლართი ღლის, უაზრო და უშედეგო ვიზიტები განწყობას უფუჭებს; ოპოზიციის ჯინაზე, როდესაც „ნაცები" რეგიონებში გაიჭრნენ, ნიკა გილაურს სამიზნედ გურჯაანი შეხვდა. ნიკა გილაურმა გურჯაანელებს მიმართა: „ჩვენი მიზანია, ყველა სოფელში, ქალაქსა და რაიონში ჩავიდეთ, მოსახლეობას ვკითხოთ, რა უჭირს და რა ულხინს, რა პრობლემები აქვს და რაში შეიძლება დავეხმაროთ". უსმინეს თურმე გურჯაანელებმა პრემიერს, რომელიც რთველში დახმარებასაც კი შეჰპირდათ, და გაოცებულები დაიშალნენ: „ამ კაცმა თუ დღემდე არ იცის, რა გვიჭირს... ეგ, ჯო, ველარაფერსაც ველარ გაიგებს, ტყუილია მაგის გონზე მოყვანაო".

ეს კი ხალხის მხრიდან უხეშობამდე მისული კახური პირდაპირობით ამ პიროვნების მაღალი ფსიქოლოგიური შეფასებაა, რასაც მე, როგორც პროფესიონალი, სავსებით ვეთანხმები.

ფსიქოლოგიური გადაგვარებით მისი უნარები ავთვისებიან უჯრედებს ემსგავსება, რაც პიროვნებას ანგრევს და მისი თანდაყოლილი თვისებების საშინელ დეგრადაციას იწვევს, ბოლოს კი ამაოების მძაფრი და ავადმყოფური განცდა ეუფლება. შეძენილი იმდენად ჯაბნის ჩაკლულ ბუნებრივ უნარებს, რომ მას, შინაგანი ჭიდილის მიუხედავად, უკან დაბრუნება აღარ შეუძლია; ამიტომ ემორჩილება „რეჟისორს", რომელიც მას სხვადასხვა „როლს" აძლევს, მას კი უმნიშვნელო რამის შეცვლაც არ შეუძლია. ისიც, უზრუნველი და ლაღი ამ მდგომარეობით, ხალისით ირგებს ახალ „კოსტიუმირებულ" თანამდებობას და გარდასახვის უნარით დაჯილდოებული შთამაგონებლად თამაშობს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

## ამერიკაში CBG-ბანკს ხურავენ

**აშშ საბანკო ანაბრების დაზღვევის ფედერალურმა კორპორაციამ (FDIC) დაადგინა, რომ ბანკი „Colonial Banc Group" უნდა დაიკეტოს. ეს 2009 წლის განმავლობაში შტატებში ყველაზე დიდი საბანკო კრახია.**




„Colonial Banc Group" ერთ-ერთ უმყარეს რეგიონულ ბანკად ითვლებოდა, კრედიტირებას უძრავი ქონების სფეროში ახორციელებდა და მისი აქტივები 25 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. 1981 წელს დაფუძნებული ბანკი ფლორიდისა და ნევადის დეველოპერების უმსხვილესი კრედიტორი იყო, მაგრამ უძრავი ქონების ბაზრის რღვევის პარალელურად მასაც რთული პერიოდი დაუდგა. FDIC-მა 22 მილიარდი დოლარის აქტივების კორპორაცია „BB&T"-თვის მიყიდვაზე თანხმობა გასცა, Colonial-ის 346 განყოფილება ხელახლა გაიხსნა, როგორც „BB&T"-ს ოფისები. 2009 წლის მაისში ძველი პრეზიდენტის სამსახურიდან წასვლის შემდეგ ბანკმა თითქოსდა მოახერხა, თავი დაეძვრინა მოსალოდნელი კრახისგან და საინვესტიციო კომპანიებისგან 300 მილიონი ინვესტიციის თაობაზე მოილაპარაკა, მაგრამ გარიგება, რომელიც ბანკს კიდევ 550-მილიონიან სახელმწიფო დახმარებაზე პრეტენდენტობის შანსს მისცემდა, არ შედგა. ფლორიდის ერთ-ერთ ოფისში ბუღალტრული აღრიცხვიანობის წარმოებაში დაშვებული დარღვევების გამო Colonial-ის წინააღმდეგ ფედერალური გამოძიება დაიწყო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ამერიკოსოვო, ანუ პრიშტინიდან ცხინვალამდე

**„პირველად იყო სიტყვა“ (იოანე, 1,1) უმაღლესი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ პირველად იყო „ოტპორი“, შემდეგ — „კმარა“: „ფერადი რევოლუციების“ მოსამზადებელი ახალგაზრდული „დამკვრელი ბრიგადები“, გნებავთ, „მფრინავი კავალერია“.**
**გადატრიალება ჯერ იუგოსლავიაში მოხდა, შემდეგ — საქართველოში.**
**ჯერ ბალკანეთი დანაწევრდა, შემდეგ — საქართველო.**


სეპარატისტული ექსტაზი

ანალიტიკოსები ამბობენ: სერბეთი დღეს — ესაა საქართველო ხვალ ან პირიქით: საქართველოს ხვალინდელი დღე დღევანდელ სერბეთშია განსახიერებული. შაგრენის ტყავივით დაპატარავებული საქართველო ისევე განიცდის გარე ძალების ზემოქმედებას, როგორც ციცქნა სახელმწიფო სერბეთი, რომელსაც ჩამოაცალეს კოსოვო და ერთ დროს ერთიანი იუგოსლავიის შემადგენლობაში შემავალი ეს მხარე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს.

**კოსოვოს დამოუკიდებლობა რომ არ ეცნო დასავლეთს, არ მოხდებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკურ ქართა სისტემამ მაინცდამაინც დედამიწის ამ ორ კუთხეში დაატრიალა ქარბორბალა.**

როგორია დღევანდელი სერბეთი? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ჟურნალისტ **კირილ ფირსანოვის** მოგზაურის ჩანაწერები, რომლებიც ეს-ესაა გამოქვეყნდა მრავლისმეტყველი სათაურით — **„დანაწევრებული სერბეთი, ანუ ქვეყანა ამერიკოსოვო“.**

## მორალური აკრძალვებისგან „გათავისუფლება“

ვოევოდინის მხარის ყველაზე დიდი ქალაქი ნოვი სადია, რომელიც ავსტრო-უნგრეთის დიდი იმპერიის მცირე ჩამონათალია. და მიუხედავად იმისა, იმ იმპერიის სახსენებელი ისტორიას ჩაბარდა, უნგრელებისადმი დაძაბული დამოკიდებულება რომ არ ვთქვათ, მტრული განწყობილება სერბებს დღემდე შემორჩათ.

**მაგრამ ადგილობრივებს თუ ვინმეს გადახარშვა უჭირთ, ბოშებია, რომლებიც ამ ქვეყნის ჭირი და უბედურებაა. რუსეთელი „ბომჟებივით“ ისინი ჯურღმულებში ცხოვრობენ, მაწანწალობენ და საარსებო სახსარს სანაგვე ყუთებში ქექვით „პოულობენ“... ზუსტად ისევე, როგორც გასაცოდავებული ქართველები თბილისის მერიის მიერ ახლად დადგმულ ვერცხლისფერ სანაგვეებში.**

რუსეთისგან განსხვავებით, ბოშები აქ არ ასოცირდებიან ნარკოტიკებთან, რადგან ეს ბიზნესი, რომელიც კოსოვოსა და ალბანეთზე გამავალი არხებით ყვავის, მთლიანად სერბთა ხელშია, ხოლო საქართველოში ვისია ეს ბიზნესი, თქმაც საშიშია.

სერბები, რომელთა უდიდესი უმრავლესობა ქრისტიანია, ამ ცოდვიან საქმეს, ეგებ, იმიტომაც მისდევენ, რომ სარწმუნოება ფეხქვეშ აქვთ გათელილი. ერთ დროს აქ არსებული 150 მონასტრიდან დღეს მხოლოდ თექვსმეტია შემორჩენილი: ასეთია ჯერ თურქთა, შემდეგ კომუნისტების ბატონობის შედეგი. ახალმა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივმა წყობილებამ და „დასავლურმა“ იდეალებმა ხომ საერთოდ „გაათავისუფლა“ ხალხი მორალური აკრძალვებისგან.

ნარკოტიკებმა საქართველოშიც რომ გახრწნა ჩვენი გენოფონდი, ალბათ, ასეთივე მიზეზითაა, თორემ ეკლესიები ლამის ყველა ქუჩის კუთხეში შენდება.

ველიკა რემეტას უძველესი მონასტრის ბერთაგან ერთ-ერთი ამბობს: „რუსები დემონიზირებულ ჰყვეს, ასევე მოექცნენ სერბებს, აბრალებენ, რომ მათ კომუნისტურ მემკვიდრობაზე დაფუძნებით განახორციელეს მუსლიმანთა გენოციდი. თითქოს საუკუნეების განმავლობაში ჩემი ხალხი არ გმინავდა თურქების უღელქვეშ“.

და მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის გავლენა აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ნოვი სადის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში ერთმანეთს მიჰყვება გოგოლის, პუშკინის, ჩეხოვის, ტოლსტოის ქუჩები. აზრად არავის მოსვლია სახელების გადარქმევა, როგორც ერთმა აგურისთავა დეპუტატმა თბილისში მოინდომა.

## ციხესიმაგრესავით გამაგრებული საელჩო

**ნოვი სადი მაინც პროვინციაა, დინჯი და ბლანტი ცხოვრებით. ბელგრადი კი სწრაფი ტემპითაა გამორჩეული. ტემპითა და იმ დაძაბულობით, რასაც ამ მიმართულებით გამავალი ნატოს ინტერესთა ვექტორი იწვევს. თბილისისთვის ნატოა მიუწვდომელი, თორემ მისი ინტერესებით გამოწვეული დაძაბულობა დასაშვებზე მეტია.**

ამ დაძაბულობამ ფეხბურთის გულშემატკივართა ქცევაშიც იჩინა თავი: სერბი ფანატების მძვინვარება ევროპაში გამორჩეულია. ამბობენ, რომ სწორედ ამიტომ — ახალგაზრდების არაპროგნოზირებადი მოქმედებისგან თავის დასაცავად აშშ დიპლომატიურმა მისიამ საელჩოს ფანჯრებს ფარები ააკრა. ეს შენობა ციხესიმაგრეს ჰგავს, გამაგრებულ ობიექტს, რომელიც აღმართულია „დემოკრატიის გამავრცელებელთა“ მიერ დაბომბილი შენობების გვერდით. ნანგრევების გაწმენდას არავინ ჩქარობს — საგანგებოდ არ აღადგენენ 1999 წლის მოვლენების შედეგად მიწასთან გასწორებულ ამ „ფაქტობრივ დოკუმენტებს“: ნატოს ხელწერა სრულად და უცვლელად არის შენარჩუნებული.

აქ მოწყობილ გამოფენაზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ნახოს კასეტური ნაღმი, გაეცნოს მისი მოქმედების პრინციპს. ეს ის იარაღია, რომელიც ნატოელებმა სერბების წინააღმდეგ გამოიყენეს, მიუხედავად იმისა, რომ კასეტური ნაღმები საერთაშორისო სამართლით აკრძალულია. ქართულმა არმიამ კი (ჩვენი ხელისუფლების აღიარებით) შარშანდელი აგვისტოს ომის დროს გამოიყენა.

**იმ გამოფენის ფრიად საინტერესო ეგზემპლარია ამერიკული უჩინარი თვითმფრინავის F-117 „Stealth“-ის ნამსხვრევები. სერბებმა მოახერხეს იმ თვითმფრინავის ჩამოგდება. კირილ ფირსანოვი წერს, რომ სუვენირების ნებისმიერ ჯიხურში იყიდება მაისურები F-117-ის გამოსახულებითა და წარწერით: „უკაცრავად, არ ვიცოდით, რომ უჩინარია!“**

ნებისმიერ სუვენირს სერბეთის გერბი ამშვენებს — არწივი ფარით, რომელსაც ახატია ჯვარი და სერბების ეროვნული დევიზი აქვს წარწერილი — „Само слога Србие спашава“ (მხოლოდ ერთობა გადაარჩენს სერბეთს). ფარი, ჯვარი, დევიზი — ხომ ძალიან ჰგავს საქართველოს გერბს?

**ხელისუფალთა მოქმედებაც მსგავსია. სერბეთის ხელისუფლება მონდომებით ცდილობს „მსოფლიო დემოკრატიის“ გულის მოგებას და მონაწილეობს საქართველოში გამართულ ნატოს სამხედრო სწავლებაში, ცდილობს თავის ქვეყანაში ყოველივე სერბულის ამოძირკვას — ახლახან მიღებული კანონით იკრძალება ეროვნული სიმბოლოების ხმარება.**

სერბეთის დედაქალაქში, ისევე, როგორც თბილისში კვირის ნებისმიერ დღეს, რესტორნები სავსეა, განსაკუთრებით, ღამის საათებში. მიუხედავად იმისა, რომ ვერ იტყვი, მაღალი იყოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება: 300-400 ევრო აქ კარგ ხელფასად ითვლება.

## ამერიკოსოვო

**როცა საგზაო ჩანაწერების ავტორი ალბანელებით დასახლებულ სერბეთის ტერიტორიაზე გაივლის, პალესტინისა და ჩეჩნეთის ასოციაცია უჩნდება — მშობლიური კერებიდან აყრილი ადამიანები, რომლებსაც უმოწყალოდ ხოცავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ დასახლებულ პუნქტებს, მოკლედ, განახორციელებდნენ გენოციდს, ისევე, როგორც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ ქართულ სოფლებში.**

აქაური სერბები, ისევე, როგორც იმ ქართულ სოფლებში ჩარჩენილი ქართველები, აცხადებენ, რომ მათ უკვე აღარაფრის ეშინიათ და არაფრისდიდებით არ დათმობენ მამაპაპისეულ სამკვიდროს.

აქ გადის მათი თავდაცვის წინა ხაზი, რადგან მეზობლად კოსოვოა, ხელოვნური წარმონაქმნი, რომლის სტაბილურობის შენარჩუნება, როგორც ყველაფრის, რაც ძალის გამოყენებითაა შექმნილი, ისევე ძალით თუა შესაძლებელი.

„ამიტომაა, რომ მიტროვიცის რაიონიდან მოყოლებული, — ხაზს უსვამს ფირსანოვი, — ხშირად შეხვდებით „კოსოვოს ძალების“ — KFOR-ის სამშვიდობო კონტინგენტის პატრულს. ამასთან, მშვიდობისმყოფელთა დამოკიდებულება მოსახლეობისადმი თვალშისაცემად განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანას წარმოადგენენ. მაგალითად, იმ ქვეყნების კონტინგენტი, რომელიც კოსოვოს მაღიარებელ ქვეყნებს (საფრანგეთი, გერმანია) წარმოადგენს, დაუფარავი სიმპათიით გამოირჩევა ალბანელების მიმართ. ბერძნები, იტალიელები და სლოვაკები, რომლებმაც ამ მხარის დამოუკიდებლობა არ ცნეს, სიმპათიით ეკიდებიან სერბებს. უკუქმედებაც შესაბამისია.

**და აქაც იგივე ყბადაღებული დაყოფა-დანაწევრებაა: ნატოს მეთაურობით მოქმედმა საერთაშორისო ძალებმა კოსოვო 5 ოპერატიულ ზონად დაყვეს — საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ზონებად.**

მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის საოკუპაციო ზონებად დაყოფის შემდეგ ასეთი რამ ევროპაში, ეგებ, პირველად ხდება. ამჟამად კოსოვოში 34 ქვეყნის 16 ათასამდე მშვიდობისმყოფელია, უწინ მათი რაოდენობა 50 ათასს აღწევდა.

**კოსოვსკა მიტროვიცაში მდინარე იბორზე გადებული ხიდის ბოლოს, სახლების სახურავებზე სნაიპერები სხედან, ხიდის თავში კი გამაფრთხილებელი პლაკატია: ნებისმიერ პროვოკაციულ ქმედებას ცეცხლის გახსნა მოჰყვება.**

ასეთი უჩვეულო უსაფრთხოების ზომები იმიტომაა მიღებული, რომ ეს ქალაქი ორადაა გაყოფილი: სერბულ და ალბანურ უბნებად. დაპირისპირება აქ უშუალო შეხებაშია. მაგრამ თუ ამ სიტუაციას მეტ-ნაკლებად ანელებს საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მცდელობა, ქრისტიანულ ეკლესიებს სალოცავის ფუნქციას უუქმებენ ალბანელები, რომლებიც წმინდა ადგილებს „არქეოლოგიურ ძეგლებად“ არეგისტრირებენ.

**მაგრამ საოცარი ის არის, რომ იმ ადგილებში სასწაულებრივი ამბები ხდება. ბანის მონასტრის ბერის მონათხრობს თუ ირწმუნებთ, ალბანელების ერთი სოფლის მოსახლეობა პირწმინდად დაბრმავდა იმის გამო, რომ მეზობელ სერბულ სოფელში დაანგრიეს ეკლესია, დახოცეს ყველა მცხოვრები და ყველა სახლი მიისაკუთრეს.**

**ადამიანები აქ დანის პირზე ცხოვრობენ და ყოველდღიურად მზად არიან, მოწამებრივი სიკვდილით დაასრულონ ამქვეყნიური ყოფა. „ჩვენმა ბავშვებმა დაივიწყეს ღიმილი, — ჰყვებიან ბერები, — სიცილი კი საერთოდ არ შეუძლიათ“.**

კოსოვოს ჰაერში საფრთხის სუნი ტრიალებს და ნებისმიერმა ნაპერწკალმა შეიძლება ომის ხანძარი გამოიწვიოს.

ზუსტად ისეა, როგორც ჩვენს დაკარგულ ტერიტორიებზე.

**არმაზ სანებლიძე**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა წერია კანონში აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ

# და როგორ აისახება იგი გალში მცხოვრებ ქართველებზე

**სანამ ჩვენი ხელისუფლება აგვისტოს ომში „გამარჯვებას“ გვაზეიმებს, რუსეთის ხელისუფლება მოქმედებს. მედვედევი ჩადის ცხინვალში, პუტინი — სოხუმში.**
**ეს ვიზიტი მხოლოდ მხარდაჭერის დემონსტრაცია რომ არ იყო, ცხადია. ეს ჩვენ გვყავს დროშების ფრიალისა და ეკრანზე გამოჩენის ტრფიალი მეთაურები, სამწუხაროდ.**
**პუტინმა სოხუმში ბაღაფშს დაუდასტურა, რომ რუსეთი აფხაზეთისთვის 20 მილიარდ რუბლს დახარჯავს. აქედან 15 მილიარდს — სამხედრო ბაზის მოსაწყობად და საზღვრის გასამაგრებელ სამუშაოებზე.**
**ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს არ იქნება „მაჟინოს ხაზი“, არამედ საზღვარი რუსეთთან და საქართველოსთან დასაკავშირებლად — საურთიერთოდ.**
**ეს ულტრასამშვიდობო განცხადება რომ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისთვის იყო გაკეთებული, ცხადია, მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ არც „კუდით ქვას ვასროლინებთ“ ტრაბახს, არც აფხაზეთის, როგორც აუღებელი ბასტიონის აგების მუქარას არ შეიცავდა.**



დანარჩენი 4 მილიარდი ტრანსპორტის მიმოსვლასთან დაკავშირებულ პროექტებსა და სასაზღვრო გამშვები პუნქტების მოსაწყობად დაიხარჯებაო.

ეს ჩვენს გასაგონადაც ითქვა...

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ **შარშანდელი „კოდორის ოპერაციის“ განხორციელებით აფხაზეთმა თვითგამორკვევის გზაზე სერიოზული ნაბიჯი გადადგა და კიდევ უფრო დასცილდა საქართველოს.** მაგრამ სწორედ ამიტომ დადგა ხარისხობრივად ახალი პრობლემების წინაშე, რომლებიც, თუ უფრო მეტად არა, ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის მისთვის. საქმე ისაა, თუ რომელი მიმართულებით განვითარდება პროექტი „დამოუკიდებელი აფხაზეთი“: **შეეცდებიან ეთნოცენტრისტული მოდელის რეალიზებას, თუ „სამოქალაქო ერის“ პროექტს აირჩევენ?** ესაა საკითხავიც და გადასაწყვეტიც.

ამ დღეებში სწორედ ამ პრობლემამ იჩინა განსაკუთრებით თავი: მოქალაქეობის კონცეფციის **დადგენა აფხაზეთის ელიტის წინაშე პრიორიტეტულ ამოცანად ჩამოყალიბდა.** მისი გადაწყვეტის გარეშე ძნელი იქნება, ფიქრობენ თეორეტიკოსები, აფხაზეთის პოლიტიკური იდენტურობისა და სახელმწიფოებრიობის განსაზღვრა, რომელსაც არ აქვს პრეტენზია, შეერწყას რუსეთს, როგორც ეს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას სურს.

31 ივლისს აფხაზეთის პარლამენტმა ხმების მცირე უპირატესობით მიიღო **„კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონში“ ცვლილების შეტანის შესახებ“.** 2009 წლის 5 აგვისტოს კი სოხუმის ცენტრში გაიმართა ამ შესწორების საწინააღმდეგო მიტინგი, რომლის მონაწილეებმა სერგეი ბაღაფშს სხვა საკითხებთან ერთად მოსთხოვეს, შეეჩერებინა პასპორტების გაცემა გალის რაიონში და იქაური მოსახლეობისთვის მიეცათ მხოლოდ დოკუმენტები ცხოვრების უფლების შესახებ.

ამავე დღეს ქუჩის ოპოზიციამ აქცია გამართა სახალხო კრების შენობასთან, სადაც ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებული პრესკონფერენცია მიმდინარეობდა.

პროტესტის შედეგად **ბაღაფშმა კანონი დასამუშავებლად პარლამენტში დააბრუნა. 6 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა 31 ივლისს მიღებული კანონის დასახვეწად სამუშაო ჯგუფი შექმნეს. საქმე შესწორების ამოღებისკენ მიდის.**

ეს კი ნიშნავს, რომ გალის რაიონში დაბრუნებულ აფხაზეთის ლტოლვილ მოსახლეობას სამკვიდრო ადგილებიდან აყრის ახალი ტალღა დაემუქრება.

## აფხაზეთის პასპორტების მიუცემლობა, სავარაუდოდ, პირველ ეტაპზე გადაიფარება დროებითი მოწმობების გაცემით და შემდეგ — მეორე ეტაპზე — კიდევ საკითხავია, მისცემენ თუ არა პასპორტებს, ანუ დართავენ თუ არა ნებას, იცხოვრონ გალის რაიონში. შედეგად — დეპორტაცია...

მძიმე საკითხია, რომელსაც განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ **საქართველოს ხელისუფლებას ზემოქმედების რეალური ბერკეტები არ აქვს, პრაქტიკულად უძალოა.**

ახალი ომი კი, თქვენს მტერს, თუ წამოიწყო...

**„აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“** პირველი კანონი აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ომის დამთავრების შემდეგ — 1993 წლის 10 დეკემბერს მიიღო; 1995 წლის 5 იანვარსა და 2002 წლის 29 ნოემბერს დამატებები და ცვლილებები შეიტანეს, ხოლო 2005 წლის 8 ნოემბერს მიიღეს ახალი კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, რომლის ძალითაც ყველა ადრე მიღებული აქტი გაუქმდა, თუმცა ორი განმსაზღვრელი პრინციპი უცვლელი დარჩა. **პირველი** — მოქალაქეობას არ მიიღებს არავინ, ვინც აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა. **მეორე** საკანონმდებლო ეთნოცენტრიზმია, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა, როგორც **აფხაზთა სახელმწიფოს განვითარებას ითვალისწინებს.**

თუ პირველი პრინციპი, ასე თუ ისე, შესაძლებლობას იძლევა, რომ არააფხაზმა, უწინარესად, ქართველმა, რომელიც ომში არ მონაწილეობდა, შეიძლება მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა, მეორე პრინციპი ამასაც გამორიცხავს. სამაგიეროდ, 2005 წლის 8 ნოემბრის პრეამბულაში საგანგებოდ ხაზგასმულია დიასპორის წარმომადგენელთა რეპატრიაციის შესაძლებლობა. იგულისხმება მუჰაჯირების შთამომავლები, რომლებიც მეფის რუსეთმა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გააძევა აფხაზეთიდან. კანონის ტექსტში მითითებულია, რომ მათ არა მხოლოდ უფლება აქვთ, ჩამოვიდნენ, არამედ მათი ჩამოსვლა ყოველმხრივ წახალისებულია.

„მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით სახელდებულია 3 ჯგუფი, რომელთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ, გახდნენ აფხაზეთის მოქალაქეები.

**პირველი ჯგუფი** — ეთნიკური აფხაზები (იმის მიუხედავად, თუ სად ცხოვრობენ და ფლობენ უცხოეთის პასპორტებს);

**მეორე ჯგუფი** — სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ 1999 წლის 31 ივლისის აქტის მიღების მომენტისთვის არანაკლებ 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდა აფხაზეთში.

და **მესამე**, ვინც აფხაზეთის კანონმდებლობის საფუძველზე მიიღო აფხაზეთის მოქალაქეობა.

31 ივლისს მეხუთე მუხლს უაღრესად მნიშვნელოვანი შესწორება დაემატა, რომელმაც გამოიწვია ცხარე კამათი პარლამენტშიც და ქუჩაშიც. შესწორების ავტორებმა — დეპუტატებმა, მეხუთე მუხლში მოქალაქეთა **მეოთხე კატეგორიის** დამატების წინადადება წამოაყენეს. ლაპარაკია **ეთნიკურ ქართველებზე**, რომლებსაც აფხაზები მეგრელებს უწოდებენ. 2009 წლის 31 ივლისის კანონპროექტში ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც პირები, რომლებიც **„თავიანთ უწინდელ საცხოვრებელ ადგილებში, გალის რაიონში, დაბრუნდნენ, დაბრუნების შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე“.** გამონაკლისი იყვნენ ისინი, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა აფხაზეთის წინააღმდეგ, **„ანტიკონსტიტუციური მეთოდებით გამოდიოდა აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენული სტატუსის შესაცვლელად“** და ა.შ.

კონტინგენტის დადგენა, რომელზეც ვრცელდება ეს შეზღუდვა, ძნელია, რომ არ ვთქვათ, შეუძლებელია. **საომარ მოქმედებაში ჩაბმული მებრძოლების სიას (თუ ასეთი სია საერთოდ არსებობს) არც ერთი მხარე მეორეს არ მიაწვდის, ესე იგი, ოფიციალური დადასტურება (დოკუმენტური) გამორიცხულია. ყველა სხვა პროცედურა, მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით, იქნება სუბიექტური, რისი ფაბრიკაციაც მარტივად შეიძლება.**

ამდენად, ეს შეზღუდვა ორმაგი დატვირთვის მატარებელია — ფორმალურის და სუბიექტურის, სამართლებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელია.

გთხოვთ, ეს შენიშვნა დილეტანტის მოსაზრებად მიიღოთ. მეტის პრეტენზია ავტორს არ აქვს.

სამართალმცოდნეების დასკვნით კი **„მოქალაქეობის შესახებ კანონის“** მიღების პროცესში ფორმალურ-სამართლებრივი ყველა მოთხოვნა დაცულია. მით უფრო, რომ სამხრეთ ოსეთისგან და მთიანი ყარაბაღისგან განსხვავებით, სადაც დომინირებული ეთნიკური თემები არსებობს, აფხაზებს საომარი მოქმედებების დასრულების და ქართველთა განდევნის შემდეგაც, არ აქვთ მნიშვნელოვანი უპირატესობა მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით. **სომხების რაოდენობა პრაქტიკულად იმდენივეა, რაც აფხაზების (სხვადასხვა შეფასებით, — 70-80 ათასი კაცია. ოფიციალური სტატისტიკა, რა თქმა უნდა, უფრო დიდ რაოდენობას ასახელებს, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მისი ციფრები გაბერილია). ამ ორ თემს ოდნავ ჩამორჩება რუსების რაოდენობა (35-40 ათასი კაცი). ქართველები თავმოყრილნი ძირითადად გალის რაიონში არიან, 55-60 ათასს ითვლიან და მცირედით თუ ჩამორჩებიან „სატიტულო ეთნოსის“ — აფხაზების რაოდენობას.**

20 აფხაზი დეპუტატის ინიციატივაზე ოპოზიციის რეაქცია უკიდურესად უარყოფითი იყო. მაქსიმალისტებმა მათი ნაბიჯი შეაფასეს როგორც აფხაზეთის ეროვნული ინტერესების ღალატი.

აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირინა აგრბამ ოპოზიციონერთა მოქმედება ასე შეაფასა: **„როგორი გადაწყვეტილებაც გინდა მიგველო, 20 დეპუტატი, ვინც ხმა მივეცით შესწორებას, ოპოზიციის მცდელობით, მაინც „მოღალატეებად“ დავრჩებოდით. ჩვენ იმდენად დაგვამცირეს, რომ მუშაობის გაგრძელება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება უაღრესად გაგვირთულდება“.**

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ ზემოთქმული დაპირისპირებიდან?

უწინარეს ყოვლისა, რომ **დაპირისპირება რეალურად არსებობს.**

ანალიტიკოსები ამის ახსნას შემდეგი არგუმენტებით ცდილობენ. **აფხაზეთის საზოგადოებრიობა უაღრესად მგრძნობიარეა ყოველივე ქართულისადმი ტოლერანტობის გამოვლენის მიმართ**. სხვა საქმეა, რომ ამ **„მგრძნობიარობას“,** რაც გარკვეულ ფენებში რელიქტურია, მხარს უჭერს და მუდმივად გაღვივებულ მდგომარეობაში ამყოფებს გარკვეული ძალები. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ტოლერანტობა პრაგმატულად გამართლებულია, უკიდურესი უარყოფითი მუხტი არ ცხრება. ხომ არ უწყობს ხელს **„დაძაბულობის ველს“** ასეთ სტაბილურობას ის დაუფიქრებელი რიტორიკა და შეხების წერტილების დაუფიქრებელი უგულებელყოფა, რაც ჩვენი ხელისუფლების კონფლიქტური რეგიონებისკენ მიმართულ „პოლიტიკას“ ახასიათებს?

ახლახან დეპუტატმა და აფხაზეთის მესამე სექტორის ცნობილმა აქტივისტმა ბათალ კობახიამ განაცხადა: **„თუ საზოგადოებაში ორი დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულება არსებობს, ერთმანეთი კი არ უნდა ვლანძღოთ, არამედ ისეთი გადაწყვეტილება უნდა შევიმუშაოთ, რომელიც მაქსიმალურად მისაღები იქნება. ამასთან, ნაუცბათევი გადაწყვეტილებები არ უნდა მივიღოთ“.**

მიაქციეთ ამ პოზიციას ყურადღება.

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ **„გალის საკითხის“ გადაწყვეტის არცთუ ბევრი ვარიანტი არსებობს:** ან აპარტეიდი (კონფლიქტის დამთავრების შემდეგ ეს ვარიანტი იყო განხორციელებული), ან ინტეგრაციის მცდელობა **(რისი ფრთხილი განხორციელება აფხაზებმა 2005 წლიდან დაიწყეს).**

საინტერესოა ერთი გარემოებაც: **„დაუსახლებელი ტერიტორიის“** ათვისება აფხაზებს გაუჭირდებათ, **ამიტომ რაღაც ფორმით გალელთა ინტეგრაცია მათ მაინც მოუწევთ.**

აფხაზებს სჭირდებათ გალის რაიონის ათვისება მისი მოსახლეობის ინტეგრაციით.

საქართველოს სჭირდება გალის რაიონი როგორც ნაბიჯი კონფლიქტის მოგვარების გზაზე.

## ხაზს ვუსვამ, ეს სჭირდება საქართველოს, მაგრამ როგორც მოქმედებიდან და რიტორიკიდან ჩანს, აღნიშნული საკითხის მოგვარება ნაკლებად ადარდებს საქართველოს ხელისუფლებას, ან მათ, ვის დირექტივებსაც ეს ხელისუფლება ასრულებს.

თუ ვინმეს ამ საკითხზე კამათის სურვილი აქვს, ანუ თვლის, რომ სააკაშვილის რეჟიმიც და მისი პატრონებიც დღენიადაგ აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე ზრუნავენ, პასუხს მოკლედ გავცემ: ჰა — ბურთი, ჰა — მოედანი!

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ხათუნა ზარიძე:

# ბერიკაცმა, რომელსაც ვუვლიდი, კუთხეში მიმიმწყვდია და ხელჯოხით გამეტებით მცემა



**დღეს ემიგრაციაში ორ მილიონამდე ქართველი იმყოფება, ჩვენს მშვენიერ მიწა-წყალს კი უცხოელები (ჩინელები, არაბები, ინდოელები, აფრიკელები და სხვა ჯურის ადამიანები) ეპატრონებიან.**
**მთავრობა ვალდებულია, დაიცვას ემიგრაციაში მყოფნი და საარსებო პირობების შექმნით სამშობლოში დასაბრუნებლად გზა გაუხსნას. საკანონმდებლო ორგანო კი ემიგრანტების მიმართ კანონს ამკაცრებს. რამდენიმე დღის წინათ მოვისმინეთ, რომ ბიუჯეტის შესავსებად საჭიროა უცხოეთიდან შემოსული საფოსტო გზავნილების დაბეგვრის ფასის გაზრდა. ამასთან, თუ წლობით წასული ემიგრანტი მცირე კაპიტალს დააგროვებს სამშობლოში დაბრუნებისას საქმის დასაწყებად, მას საამისო პირობები აქ არ ხვდება. ეს კი პატარა ერების არსებობაში ჩადებული ნაღმია, რომლის შედეგებს სამომავლოდ მოვიმკით. ამჯერად რუბრიკის სტუმარია იტალიაში მყოფი ემიგრანტი ხათუნა ზარიძე.**

**— ქალბატონო ხათუნა, რამ გაიძულათ სამშობლოსა და ოჯახის დატოვება და ემიგრაციაში წასვლა?**

— ეროვნული მოძრაობის დაწყებისთანავე ჩემი ოჯახი აქტიურად ჩაება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, შევტრფოდით საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. ორი გოგონა მყავდა და მესამე შვილის ყოლას აღარ ვაპირებდი. ეროვნული მოძრაობის მოწოდებამ ერის გასამრავლებლად მეც ამიყოლია და მესამე ბიჭი შემეძინა, რომელსაც ჩვენი პირველი პრეზიდენტის პატივსაცემად ზვიადი დავარქვი. საქართველოს მალე კაენის ჩრდილმა გადაუარა... ჩემი მეუღლე აფხაზეთის ომში მოხალისედ წავიდა, იქიდან კი ჯანმრთელობაშერყეული და ნერვებდაწყვეტილი დაბრუნდა. მიღებულმა ფიზიკურმა და სულიერმა ტრავმამ დაასნეულა.

სკოლაში ინგლისურ ენას ვასწავლიდი, მაგრამ მცირე ანაზღაურება, რომელიც თვეობით იგვიანებდა, არ გვყოფნიდა. შიმშილის ზღვარზე მყოფთ სოფელში მცხოვრები დედამთილ-მამამთილის დახმარება გვშველოდა. მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავით, ამიტომ უცხოეთში გამგზავრება გადავწყვიტე. ქმარი სოფელში დედ-მამასთან დავტოვე, ბავშვებზე მზრუნველობა კი ჩემს უშვილო დას დავაკისრე. ჩვენი ბინა (ერთი ოთახი სათავსოების გარეშე იტალიურ ეზოში) ბანკში ჩავდე, ბანკიდან აღებული ფული წასასვლელად არ მყოფნიდა და იტალიაში მყოფი ნაცნობი ქალბატონისგან სესხი ავიღე. ასე დაინგრა და დანაწევრდა ჩემი ოჯახი. მე კი მძიმე გზით ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ რეჯო ემილიაში, ჩავაღწიე.

**— ცნობილია, რომ იტალია გადატვირთულია უცხო ქვეყნებიდან ჩასული იაფი მუშახელით, სამსახურის შოვნა ხომ არ გაგიჭირდათ?**

— თავდაპირველად ვცდილობდი, ძიძის ადგილი მეშოვნა. ვფიქრობდი, ინგლისური ენის ცოდნა, პედაგოგიური გამოცდილება და სამი შვილის დედობა ძიძის ადგილის შოვნაში დამეხმარებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იტალიელები უცხოელთა ძიძად აყვანას გასროლილ ტყვიასავით ერიდებიან. იმდენად პატრიოტები არიან, ინგლისური ენის ცოდნას არავითარ უპირატესობას არ ანიჭებენ. იძულებული გავხდი, ქალაქის გარეუბნებსა და მეზობელ სოფლებში დღიურ სამუშაოზე მევლო, თან ბინის ქირა მეხადა. აღებული კაპიკებით უნდა გადამეხადა ბანკის და ნაცნობი ქალბატონის ვალის პროცენტები და ოჯახისთვისაც საარსებო თანხა მეგზავნა. ამისთვის დღე და ღამე უნდა მემუშავა და ნახევრად მეშიმშილა. სწორედ შიმშილმა მიმიყვანა ქალაქში მდებარე კათოლიკური ეკლესიის კარამდე, სადაც ემიგრანტებს უფასო სადილით უმასპინძლდებოდნენ. ამით თავის გადარჩენა კი შევძელი, მაგრამ ღირსება შემელახა. ჩემი სული სახლს გარეთ გაგდებული ძაღლის სევდით წკავწკავებდა.

ღმერთს მადლობა შევწირე, როდესაც ქალაქის მახლობელ დასახლებაში რომელიღაც ოჯახმა სულიერად აშლილი მოხუცის მომვლელად დამიქირავა. გასამრჯელოდ, რაც ღირდა ამგვარი სამსახური, შედარებით მცირე შემომთავაზეს, მაგრამ მაშინ ამას არ დაგიდევდით.

### მალე დავრწმუნდი, რომ უცხოელებისთვის ჩვენ სამომხმარებლო, ფუნქციური საქონელი ვართ და ჩვენი არსებობა მათ ქვეყანაში იმათ ნებასურვილზეა დამოკიდებული.

ჩემი ბატონი ნახევრად შეშლილი იყო, ავადმყოფი. ხშირად კარგავდა წონასწორობას. ერთ წუთს თუ ამპარტავნულად, ზეაწეული განწყობით მედიდურად და ლორდივით იქცეოდა, მეორე წუთს მისი ავადმყოფობა კულმინაციას აღწევდა და ირგვლივ ყველაფერს ამსხვრევდა, სახლს თავდაყირა აყენებდა, ყველასა და ყველაფერს მუსრავდა და შეიძლება ეს აგრესია ჩემკენ მოემართა. შეშინებული ვიმალებოდი და მალულად ვადევნებდი თვალს, ვიდრე არ დაშოშმინდებოდა. დაცხრომის შემდეგაც ეჭვით მიყურებდა, საჭმელსაც ერიდებოდა და წყლის ჭიქასაც აქცევდა, არ მენდობოდა. მისმა ასეთმა ქცევამ მისი ახლობლები დაღალა, ხოლო მომვლელთა მთელი არმია დატანჯა. მე სხვა გზა არ მქონდა, უნდა გამეძლო. ხანდახან მთელი დღეების განმავლობაში საცოდავად მოკუნტული იწვა საწოლში და ხმადაბლა მაფრთხილებდა: „არ მოხვიდე, არ მომეკარო!“ სანახავად მოსულ მის ახლობლებს შევჩიოდი. ისინი ინგლისურად მპასუხობდნენ: „ჩვენ შენ ამაში ფულს გიხდით, სამწუხაროდ, ვალდებული ხარ!“ არსებულ სიტუაციას, რაც შეეძლოთ, არბილებდნენ, წასვლისას კი ნდობას მიცხადებდნენ.

ამ მოხუცის გადამკიდე დღე და ღამე არ მეძინა. დამამშვიდებლებს ვაძლევდი, მაგრამ მაინც ცუდად ეძინა, ხმამაღლა ვიღაცას ეკამათებოდა. ერთხელ დილით ყავარჯნის მომარჯვებით წამოდგა და რაღაცას ძებნა დაუწყო, ყველაფერი იატაკზე ყრიდა. მე ჩუმად დავყვებოდი და ვუთვალთვალებდი. შემინიშნა, ჩემკენ წამოვიდა, თითქოს გამოფრინდა, კუთხეში მიმიმწყვდია და ბოროტი, აგრესიული გამომეტყველებით ხელჯოხით გამეტებით მცემა. ტკივილით გამწარებულმა ბერიკაცს მთელი ძალით ხელი ვკარი და ტანსაცმელშემოხეული, გასისხლიანებული ღია ჭიშკარში გავვარდი; არ ვიცოდი, სად მივდიოდი. ასე მივადექი ნაცნობ კათოლიკურ ეკლესიას და ჩავიკეცე. წმინდა დებმა მომიარეს, მიპატრონეს. მეტ ყურადღებას ვერ ვინატრებდი. რამდენიმე დღე მაღალი სიცხე მქონდა, გამომაჯანმრთელეს, თანამოძმეებთან დამაკავშირეს, რომლებიც უქმეებზე რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში იკრიბებოდნენ; მოხუცის პატრონები მოძებნეს და აიძულეს, ჩემთვის საკომპენსაციო თანხა გადაეხადათ; ახალი სამსახურიც მიშოვეს და ახალ მეპატრონესთან ჩემს პირობებს ტელეფონის საშუალებით იგებენ.

ამჟამად ლოგინადჩავარდნილ 96 წლის ინვალიდ ქალბატონს ვუვლი — ვასმევ, ვაჭმევ, ვვარცხნი, თეთრეულს ვუცვლი და პამპერსებსაც... თოთო ბავშვივით ველოლიავები. ისიც ცრემლჩამდგარი თვალებით მადლობას მიხდის და ხელებზე მკოცნის. მისი ახლობლები სოლიდურ გასამრჯელოსთან ერთად უამრავ ნივთსაც მჩუქნიან. ღრმად მორწმუნე ოჯახია. უბედურებამ კი მაინც არ დამტოვა, ცხოვრებამ გადაწყვიტა, ჩემთვის სულიერი სიმტკიცის გამოცდა მოეწყო...

**— ნუთუ ისევ აირია სიტუაცია?**

### — დეპორტაციის კანონმა მთელი სათვისტომო აგვაფორიაქა. ზოგს სურს სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ასეთნი ცოტანი არიან; ზოგიც ცდილობს სხვა ქვეყანაში გადასვლას, რადგან ფიქრობენ, დაბრუნება კარგს არაფერს მოუტანს.

ახლა მე რომ დეპორტით სამშობლოში დამაბრუნონ, ბინა არ მაქვს გამოსყიდული და არც ვალი — გადახდილი, რომლის 5% ეკონომიკური კრიზისის გამო ქართველმა ქალბატონმა 7%-მდე გამიზარდა. ჩემი დაბრუნებით ოჯახი ისევ მშიერი დამრჩება, ქმარი კი — უწამლოდ. ჩემმა დამ მითხრა, საქართველოს საპატრიარქოს ჯანმრთელობის დეპარტამენტში ვიყავი, შენი ამბავი მოვუყევი და შენი ქმრის ავადმყოფობის შესახებ ვუამბეო. დამპირდნენ, დიაგნოზი და მედიკამენტების სია მოგვიტანე და დაგეხმარებითო. კათოლიკური ეკლესიის დები კი, რომელთა რეკომენდაციით ამ სახლში მოვხვდი, ჩემი მდგომარეობით შეწუხდნენ და მითხრეს, იქნებ როგორმე ლეგალიზაცია მოგიხერხოთ და მოქალაქეობა მოგცეთო, რათა ეკონომიკურად ფეხზე დაგაყენოთ და მერე წახვიდე სამშობლოშიო.

1 ოქტომბერს დეპორტაციის კანონი ძალაში შევა, არ ვიცი, თუ შევძლებ საქმის მოგვარებას.

**— ჩვენი წარმომადგენლობა იტალიაში დეპორტაციის კანონს როგორ ხვდება, თუ გაქვთ კონტაქტები?**

— მათი მხრიდან ემიგრანტების მდგომარეობაზე მუხანათური წაყრუებაა. მე პირადად არასოდეს მიმიმართავს მათთვის.

სახელისუფლებო ძალების ცვლამ სიკეთე ვერ მოგვიტანა. გადაულახავ ბარიერად გვექცა, სამართლიანი არჩევნებით ქვეყნის სათავეში ღირსეული ხალხი მოგვეყვანა. ერი სამადაა გაყოფილი — ერთნი ფუფუნებაში არიან ჩამხრჩვალნი, მეორენი — ლუკმის საშოვნელად გადახვეწილნი, მესამენი — მყვლეფელთა წინააღმდეგ შიშველი ხელებით საპროტესტო მანიფესტაციებს მართავენ. სამწუხარო ისაა, რომ ძლიერ წინააღმდეგობებში მოქცეულნი, ყველანი ჩვენი ქვეყნის შვილები ვართ. საქართველო კი სულისშემძვრელი სოციალური უთანასწორობით, დაკარგული ტერიტორიებით, შეთხელებული მოსახლეობით, აწიოკებული ლტოლვილებით, დანგრეული ოჯახებით, თავის შვილთა უბედობით გაცრეცილი უფსკრულისკენ მიექანება. დროა, თვალი გავუსწოროთ ისტორიულ სიმართლეს და ერთად შევეცადოთ ქვეყნის ფეხზე წამოყენებას.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

---

## 2050 წელს ევროკავშირში ყოველი მეხუთე მუსლიმანი იქნება



**ამერიკის მიგრაციული პოლიტიკის ინსტიტუტის უახლესი ანგარიშის მიხედვით, 2050 წლისათვის ევროკავშირის მოსახლეობიდან ყოველი მეხუთე მუსლიმანი იქნება.**

მისივე მონაცემებით, ევროკავშირის მოსახლეობაში მუსლიმანთა რაოდენობა საუკუნის შუაწლებში ახლანდელი 5 პროცენტიდან 20 პროცენტს მიაღწევს. ექსპერტების აზრით, ამის მთავარი მიზეზი ემიგრანტების შთამომავლობის მაღალი შობადობა და ევროპელთა შობადობის მცირე მაჩვენებელი იქნება. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებში საცხოვრებლად ყოველწლიურად 2 მილიონამდე ადამიანი ჩადის. მათი ძირითადი ნაწილი ისლამური ქვეყნებიდანაა.

---

## პროხოროვი „რომას“ და პავლიჩენკოს ყიდულობს



**რუსი მილიარდელი მიხეილ პროხოროვი „რომას“ ყიდვას და კლუბის შესყიდვა-ინვესტირებაზე 330 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს. ის უკვე შეუთანხმდა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს და რომაელთათვის რომან პავლიჩენკოს იყიდის.**

როგორც ჩანს, „ჩელსის“ მფლობელ რომან აბრამოვიჩს და „არსენალის“ ერთ-ერთ აქციონერ ალიშერ უსმანოვს მსოფლიო მილიარდელთა რეიტინგის მე-40 ადგილის მფლობელი მიხეილ პროხოროვიც შეემატება. ამბობენ, რომ ბიზნესმენი კლუბის შესაძენად 250 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, კიდევ 80 მილიონ ევროს კი საფეხბურთო ბაზარზე ინვესტირებისათვის დახარჯავს. ამით რომაელთა პოტენციურმა მეპატრონემ განაცხადა, რომ ძვირადღირებული, მაგრამ ძლიერი ფეხბურთელების შეძენისას არ იძუნწებს.

პუტინმა „რომას“ შეძენის იდეა უკვე მოიწონა, ახლა კლუბის პრეზიდენტის როზელა სენსის ჯერია. 2004 წელს „რომას“ შეძენა ცნობილ ბიზნესმენს სულეიმან კერიმანს სურდა, მაგრამ მაშინ პოტენციური მფლობელის მაფიასთან კავშირის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია და იტალიელებს მასთან საქმის დაჭერისა შეეშინდათ.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

# პოლიტპატიმარ მერაბ რატიშვილის წერილი №6 საპყრობილიდან

### გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას

ბატონო ირაკლი, მაქვს პატივი, მოგესალმოთ და ჩემი გულწრფელი პატივისცემა გამოვხატო თქვენდამი, თქვენი რედაქციის და გაზეთის მიმართ. როგორც თქვენი გაზეთის დაარსებიდან მისმა მუდმივმა მკითხველმა, მინდა, მთელი პასუხისმგებლობით და კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მან ძალიან მოკლე დროში მოიპოვა საზოგადოების ნდობა და თავისი დამსახურებული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მედიასივრცეში. ამას თქვენი რედაქციის ჟურნალისტების, პროფესიული გუნდის მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და მკაფიო ეროვნული პოზიციის დამსახურებად ვთვლი. ამას ემატება შესანიშნავად გააზრებული საინფორმაციო, ანალიტიკური, პოლიტიკური და ისტორიული მასალები, გაზეთის ინდივიდუალური სტილი, რაც მაფიქრებინებს, რომ თქვენ მიერ არჩეულ რთულ გზაზე წარმატება გელით.

მოგეხსენებათ, მედიის წინააღმდეგ ხელისუფლების აგრესიულმა პოლიტიკამ და ცალმხრივმა პოლიტიკურმა აზროვნებამ სერიოზული დაღი დაასვა მედიისადმი საზოგადოების ნდობას. ელექტრონულ მედიაზე განხორციელებულმა ზეწოლამ და ტერორმა შედეგი გამოიღო, მისი უმეტესი ნაწილის კაპიტულაცია და თვითშეზღუდვა მოახდინა, რამაც პრესას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე მეტი პასუხისმგებლობა დააკისრა, მაგრამ ნახევრადთავისუფალი მედია ისეთივე ტრაგედიაა ქვეყნისთვის, როგორც თავისუფალი სიტყვის იმიჯით შენილბული თუ ანგაჟირებული; ან ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანა. ამიტომ პასუხისმგებლობის სიმძიმე ათმაგდება, როდესაც ახალი, დამოუკიდებელი მედიასაშუალება (ამ შემთხვევაში თქვენი გაზეთი) საკუთარ თავზე იღებს ისეთ სიმძიმეს, რომ დამოუკიდებლად გაიკვლიოს გზა ჯუნგლებში და საზოგადოებამდე მიიტანოთ ჭეშმარიტად თავისუფალი აზრი და სიტყვა, რაც ჩემში თქვენდამი



ღრმა პატივისცემას იწვევს.

ბატონო ირაკლი, მე, მერაბ რატიშვილი, თქვენი ერთგული მკითხველი, წელიწადი და მეცხრე თვეა მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში ვიმყოფები, სადაც შეზღუდული მაქვს ყველა ელექტრონულ მედიასაშუალებებთან გაცნობა (სამაგიეროდ ვისვენებ და დაცული ვარ მისგან), ამიტომ დღეს მხოლოდ ქართული პრესაა ჩემი მეგობარი და მეგზური ქვეყანასა და მსოფიოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. გამოგიტყდებით, ჩემდაუნებურად მოპოვებულ თავისუფალ დროს უქმად არ ვკარგავ და ვცდილობ, ზოგიერთი ჩემი ნააზრევი თუ მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელიც აქაც ვერ შემიზღუდეს, საზოგადოებას მივაწოდო. ამას, სხვათაშორის, თქვენი მეშვეობითაც ვახერხებ, რისთვისაც მადლობას გიხდით. იმედს ვიტოვებ, მომავალშიც შევძლებთ თანამშრომლობას და, ჩემი მდგომარეობის მიუხედავად, ურთიერთთანადგომას.

თუ საჭიროდ ჩათვლით, გთხოვთ, თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

მინდა, კიდევ ერთხელ გისურვოთ წარმატება თქვენს რთულ და ეკლიან გზაზე.

**პატივისცემით**

**მერაბ რატიშვილი**
**პოლიტპატიმარი,**
**პოლიტოლოგი**
**ქ. რუსთავი,**
**№6 საპყრობილე**
**08.07.2009 წელი.**

სამწუხაროდ, ოპერატიულად თვალყურს ვერ ვადევნებდი — ტელევიზორი და რადიო არ მაქვს საკანში, მაგრამ იმ ინფორმაციით, რაც პრესის საშუალებით მივიღე, შეიძლება გითხრათ, რომ ბატონმა ბაიდენმა ჩაგვიტარა დიპლომატიის 24-საათიანი მასტერკლასი, როცა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც კმაყოფილი დატოვა, მაგრამ ხელში არც ერთს არაფერი უჭირავს. დანარჩენი იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელ მხარეს როგორი ინტერპრეტაციის და პიარის უნარი აღმოაჩნდება — სათავისოდ რომ გამოიყენოს ბაიდენის ფორმულირებები და ქვეტექსტები. ქართველი საზოგადოება კი, ჩემი აზრით, ცოტა გაოგნებული და იმედგაცრუებული დარჩა იმიტომ, რომ ბატონმა ბაიდენმა მიშა თან არ წაიყვანა და იმედი გაუცრუა.

*საკაშვილმა კი 24-საათიანი მლიქვნელობის კლასიკური მაგალითი გვიჩვენა, რომლის საფასური მილიარდი დოლარი და ხელისუფლებაში დარჩენის იმედი იყო. თუ ასეთი სტუმარმასპინძლობა და ამგვარი მლიქვნელობა შეეძლო, მეასედი რომ პუტინთან და მედვედევთან გამოეყენებინა, არც ეს ე. წ. ომი იქნებოდა, არც რუსულ ბაზარს დავკარგავდით, ამდენ ხალხსაც არ დავაქცევდით, არც ურთიერთობა გაფუჭდებოდა — აფხაზეთიც და ოსეთიც აქეთ დაგვიწყებდა ხვეწნას.*

*საინტერესოა, რა იფიქრა იმ დროს ბატონმა ნიკოლა სარკოზიმ, როდესაც ბაიდენს, როგორც გმირსა და სამყაროს პრეზიდენტს ხვდებოდნენ. მაშინ როგორღა უნდა დახვდნენ ნიკოლას, რომელმაც მოქალაქეობრივი და პოლიტიკური გმირობა რეალურად ჩაიდინა, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარემ, როცა რუსული ტანკები თბილისთან გააჩერა. შემდეგ კი ევროკავშირიდან ჩვენთვის 2-მილიარდიანი დახმარებით დაგვასაჩუქრა. მაგრამ, ვფიქრობ, ნიკოლა სარკოზი ამას არ დაუშვებდა, განა იმიტომ, რომ ადამიანური სისუსტეები არ აქვს. არა, უბრალოდ ევროპული მენტალიტეტიც, დემოკრატიაც და ჩვენ მიმართ მიდგომაც სხვა აქვს, ვიდრე შეერთებულ შტატებს. ევროპელები არ გვიყურებენ, როგორც თავის ახალ კოლონიას, ამიტომ არც იმის უფლებას მოგვცემენ, მშიერ ქვეყანაში მათ მიერ გამოყოფილი ფული ერთდღიან მარიაჟობას დავახარჯოთ. სარკოზის თავშეკავებულობა კი შარშან აგვისტოში ვნახეთ.*

ის მილიარდი, რომელიც ბატონმა ბაიდენმა რამდენჯერმე შეგვახსენა, არავინ იცის, სად წავიდა და რას მოხმარდა. არც არავის შეუწუხებია თავი, ბოლომდე ჩასძიებოდა. რაში მოიხმარა სააკაშვილმა ეს ფული? და მეორე — ეს ფული მათ ბიუჯეტს არ მოჰკლებია. ამ ფულის რეალური ფასი მათთვის ევროპელებისგან განსხვავებით მხოლოდ ერთი მილიონ ასი ათასია, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ ფულის დაბეჭდვა მოუწევთ, მანამდე, მათთვის მხოლოდ ელექტრონული ვერსიაა, ანუ ელექტრონული ფული. ამის მიუხედავად, მადლობა ნამდვილად ეთქმის.

ბატონი ბაიდენი „ვარდების რევოლუციის“ დაუსრულებლობაზე, დემოკრატიის განვითარებასა და გაგრძელებაზეც საუბრობდა, არც ჩვენი უსაფრთხოების და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები გამორჩენია, რაც ჩვენთვის, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ აქაც ბევრი რამ დასაფიქრებელი და გასაანალიზებელია. მათ ხომ ჩვენზე კარგად იციან, რა რევოლუცია იყო და რა დემოკრატიაა დღეს საქართველოში. როგორ შეიძლება, განავითარო და გააძლიერო ის, რაც არ არსებობს. თუ ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი საარჩევნო გარემო, დამოუკიდებელი სასამართლო, თავისუფალი მედია, არიან პოლიტიკური პატიმრები, უკაცრავად, რომელ დემოკრატიაზეა საუბარი?! ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი დემოკრატიისგან და ამავე მიმართულებით გაძლიერებისაკენ. სხვათაშორის, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტიც აღიარებს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური რეპრესიები მიმდინარეობს და პოლიტპატიმრები გვყავს. ჰილარი კლინტონის 2008 წლის თებერვლის ანგარიშში, რომელშიც მოხსენიებული ვარ, როგორც პოლიტპატიმარი, აქცენტი და მითითებებიც სწორად არის გაკეთებულ. რა უნდა გამოასწოროს საქართველოს ხელისუფლებამ? ახლა მე გეკითხებით, თუ იციან და აღიარებენ საქართველოში პოლიტპატიმრებს, რატომ არაფერი გააკეთეს? აგერ ივლისი დამთავრდა, თუ რაიმეს გამოსწორება უნდოდათ, 6 თვე ჰქონდათ, ვინ შეუშალათ ხელი? რა გამოკვეთა ამ ხნის მანძილზე პატივცემულმა აშშ ელჩმა, ბატონმა ტეფტმა, თუნდაც ამ საკითხთან დაკავშირებით, როდესაც მისი პირადი ხელმძღვანელის მოხსენებასაც და დასკვნებსაც იგნორირება გაუკეთა? რატომ არ მოსთხოვა სააკაშვილს პოლიტპატიმრების გათავისუფლება? დასკვნები თვითონ გააკეთეთ. მათ ხომ ჩვენზე კარგად იციან, რომ თუ დემოკრატიას ერთი კომპონენტი მაინც აკლია, უკვე დემოკრატია აღარ არის. მაშინ დავარქვათ თავისი სახელი, რომ ქვეყანაში დიქტატურის პირობებში არსებობს დემოკრატიის ელემენტები, დემოკრატიული სეგმენტები, რასაც დემოკრატიას ეძახიან ზოგიერთები.მსგავსი რამ ყველა ქვეყანაში არსებობს, მათ შორის აფრიკის დიქტატორული რეჟიმებისა და კაციჭამია პრეზიდენტების პირობებშიც, რადგან ფორმალურად იმათაც აქვთ ე. წ. სასამართლო, ე. წ. არჩევნები და ე. წ. პარლამენტი.

აქ მინდა, ისევ ოპოზიციას გადავწვდე და ვუთხრა, როდესაც აიტაცებთ და კომენტარებს უკეთებთ სააკაშვილის გამოსვლებს დემოკრატიის მეორე და მესამე ტალღაზე, მეტ დემოკრატიაზე და მეტ თავისუფლებაზე, თქვენ შეგნებულად თუ უნებლიედ იმეორებთ იმავე ფრაზებს, რომ მართლაც გინდათ ახალი დემოკრატიული ტალღები და მეტი დემოკრატია. თქვენ ამით „აპრავებთ“ მის მიერ ჩატარებულ არჩევნებს, უზურპატორის რეჟიმს და, პრაქტიკულად, აღიარებთ, რომ ქვეყანაში დემოკრატია არსებობს, ოღონდ ამას არ ჰყოფნის სამართლიანი არჩევნები, სამართლიანი სასამართლო და ა.შ. თუ ეს ყველაფერი რეალურად არ არსებობს, მაშინ სადაა დემოკრატია, ანუ ხალხის მმართველობა? ვინ, როდის და სად მიუშვა ხალხი სამართავად? ამით თქვენვე ქმნით ხაფანგებს და მერე თქვენვე ებმებით შიგ, თუნდაც — როდესაც სააკაშვილს მოიხსენიებთ პრეზიდენტად, ამით ხომ აღიარებთ მის ლეგიტიმურობას; რამ განაპირობა თქვენი პოზიციის შეცვლა, მეგობრებო? ჯო ბაიდენის ვიზიტის უფრო საფუძვლიანი შეფასება შესაძლებელი უფრო მოგვიანებით იქნება, ვინაიდან გარე, საჩვენებელი ღონისძიებების გარდა რეალურად ინფორმაციას თითქმის არავინ ფლობს. ვინც ფლობს, აღთქმა აქვს მიცემული და ბოლომდე არ საუბრობს. არ ესმით, ახლა თუ არ თქვეს, მერე ამას ის ფასი აღარ ექნება, მაგრამ რას ვიზამთ, ეს თუ მათი არჩევანია. ამიტომ ჯობია, დაველოდოთ, როგორ ჩაივლის აგვისტო და მერე, შეიძლება, სხვა საკითხზეც ვისაუბროთ, განსაკუთრებით უსაფრთხოების და ტერიტორიული პრობლემების საკითხებზე. თუ გაგახსენდებათ, მე მზად ვიქნები სასაუბროდ.

დამერწმუნეთ, რომ ამერიკულ დემოკრატიას და დემოკრატიულ ფასეულობებს ეჭვქვეშ არ ვაყენებ; პირიქით, ვთვლი, რომ მხოლოდ ჭეშმარიტად დემოკრატიული განვითარების პირობებში მიაღწევს ჩვენი ერი და ქვეყანა დამოუკიდებლობას და გამთლიანებას. ჩვენს ერს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. ეს კარგად იციან რუსებმაც და ამერიკელებმაც, იციან ჩვენი ზნე-ჩვეულებები და ხასიათი. ეროვნული თავისუფლება ხომ პიროვნული თავისუფლებით იწყება, რაც ჩვენში, ერის უმეტეს ნაწილში, ნამდვილად ჭარბობს. ზუსტად ამის შეზღუდვას ცდილობენ ჩვენთან, ადვილი სამართავები რომ ვიყოთ. ქვეყანაში, სადაც მონები ცხოვრობენ თავისუფალი ვერ გახდები, ამიტომ მათთვის — მეგა სახელმწიფოებისთვის ჩვენი თავისუფლება, დემოკრატია და დამოუკიდებლობა მხოლოდ პირობითი მცნებებია. თუ საქართველოს მუდმივად ენდომება, ამერიკული და თუნდაც რუსული კრედიტები მიიღოს, მათთვის ჩვენ „მეგობარი ქვეყანა“ ვიქნებით იმის მიუხედავად, თუ რა სტატუსი ექნება ჩვენს სახელმწიფოს, როგორი რეჟიმი იქნება ქვეყანაში და რა გვარის იქნება ქვეყნის მმართველი. ამაზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ.

## რატომ დააპატიმრეს 86 წლის ელა ბებო?

**აშშ ილინოისის შტატის პოლიციამ 61-ედ დააკავა 86 წლის ქალბატონი, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნეა მაღაზიების ძარცვის საქმითაა გატაცებული. ამჯერად ქურდს მაღაზიიდან 250 დოლარის ღირებულების საქონელი მიჰქონდა.**

ქრონიკულ კლეპტომანს მაღაზიაში ნაოჭების საწინააღმდეგო მალამო შეურჩევია და მისი ორი ფლაკონის საცვალში დამალვას აპირებდა. იმავე მისამართზე უკვე გადამალული ჰქონდა ელემენტების 11 შეკვრა, კონსერვირებული ლოსოსის ხუთი ქილა, 8 ცალი სახის კრემი და 4 კოლოფი ხსნადი ყავა.

ელა ორკო ციხეში გაამწესეს და 10 000-დოლარიანი გირაოს გადახდის შემთხვევაში გაშვებას დაჰპირდნენ. ელა ბებოს „კრიმინალური“ კარიერა 1956 წელს დაიწყო. მაშინ ის პირველად წვრილმანი ქურდობისათვის დააპატიმრეს.

1958 წელს კი უკვე მსხვილმან ქურდობად შეუფასეს ნამოქმედარი. ბოლოს ორკო 2006 წელს გაასამართლეს და ციხეშიც ჩასვეს, მაგრამ მომდევნო წელს ვადამდე პირობით გაათავისუფლეს.

## როგორ გავხადოთ პოლიტიკა სექსუალური?

**ავსტრალიის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა ახალი პოლიტიკური პარტია სახელწოდებით Australian Sex Party (ავსტრალიის სექსუალური პარტია). პარტია ავსტრალიაში ჯერ კიდევ 2008 წლის ნოემბერში დაფუძნდა, მაგრამ რეგისტრაციის პროცესი რატომღაც გაჭიანურდა.**

მისი ლიდერის, ქალბატონ ფიონა პატენის განცხადებით, სექსუალურ პარტიას დაარსების წუთიდანვე უამრავი მოწინააღმდეგე და მაკრიტიკებელი გამოუჩნდა.

მიუხედავად ამისა, თავად ფიონა 2011 წლის 16 აპილის ავსტრალიის სენატის არჩევნებზე სწორედ ამ პარტიიდან იყრის კენჭს. რამდენად აქვს 76 სენატორს შორის მოხვედრის იმედი, ქალბატონ პატენს არ დაუკონკრეტებია.

ავსტრალიის სექსუალური პარტიის დევიზია „ჩვენ სერიოზული მიდგომა გვაქვს სექსისადმი“. მისი წევრების აზრით, ადამიანებმა სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები გახსნილად უნდა განიხილონ.

გარდა ამისა, ისინი მოითხოვენ სკოლებში სავალდებულო სექსუალური განათლების მიღებას და „ვიაგრას“ შეტანას შეღავათიანი ღირებულების სამკურნალო საშუალებათა სიაში.

19 - 25 აგვისტო, 2009 წელი. №26
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# როგორ აღვზარდოთ შვილი ქრისტიანულად

**უკიდურესად გამწვავებული ოჯახური ურთიერთობების გადარჩენა და ბავშვის სულიერ-ზნეობრივი აღზრდა ეკლესიის საზრუნავია. სამწუხაროდ, მცირედმორწმუნე მშობლებს ხშირად არ ესმით ქორწინების ჭეშმარიტი არსი, რის გამოც ბედნიერი, ღვთისმოშიში ოჯახების რიცხვი თანდათან მცირდება. ბევრმა არც კი იცის, როგორ აღზარდოს შვილი ქრისტიანულად. დღეს სწორედ ამ საჭირბოროტო თემაზე გვესაუბრება წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა ზურაბი:**



— ჩვენდა სავალალოდ, დღეს ოჯახის დანგრევის ერთ-ერთი მიზეზი ალკოჰოლიზმია.

**— მამაო, ეს პრობლემა ქართველებს ნაკლებად გვაწუხებდა...**

— მართალი ხართ, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა. სოციალური პრობლემებისა და მასობრივი უმუშევრობის გამო ქართველი საზოგადოების ნაწილი ალკოჰოლს მიეძალა.

**— კი მაგრამ, რელიგია ხომ კრძალავს ლოთობას?**

— გული მტკივა, მაგრამ მათ შორის ბევრია ისეთი, ვინც თითქოსდა ეკლესიურად ცხოვრობს. სამწუხაროდ, ქრისტიან მშობლებშიც კი ჯვრისწერისადმი დამოკიდებულება ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც მრუშობის მიზეზი ხდება. ჯვარდაწერილი მამაკაციცა და ქალიც ხშირად მომაკვდინებელ ცოდვას ჩადის, ღალატობს კანონიერ მეუღლეს..

**— როგორი უნდა იყოს, მართლმადიდებელი დედის აზროვნება?**

— სამწუხაროდ, თანამედროვე დედის აზროვნება, თავისი არსით, დასცილდა მართლმადიდებელი დედის აზროვნებას. ღვთის მოშიში ქალი რელიგიურ ტრადიციებზე ზრდის შვილს, ბავშვს ღვთის რწმენასა და სიყვარელს ასწავლის. დიდი ძალა აქვს დედის ლოცვას. შვილის კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე ზრუნვა ქალისთვის უმთავრესი უნდა იყოს, ძალასა და ენერგიას არ უნდა იშურებდეს ბავშვის სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვისათვის.

**— მამაო, ქალები დღეს მამაკაცების დარად მუშაობენ, ოჯახებს არჩენენ, შვილების აღსაზრდელად დრო აღარ რჩებათ...**

— თანამედროვე დედის მიდგომა შვილისადმი სხვაგვარია. ხშირად ქალი ბავშვებზე არ ზრუნავს იმ მოტივით, რომ მუშაობს. გახსოვდეთ, ამ დროს დედა-შვილს შორის გაუცხოება ხდება, სულიერი სიცივე ისადგურებს მათ ურთიერთობაში. ქალს შვილისადმი ყურადღების, მზრუნველობისა და სულიერი სითბოს გამოჩენა სამსახურის შემდეგაც შეუძლია, სანაცვლოდ კი შინდაბრუნებული ეჩხუბება, ადანაშაულებს და წყევლის საკუთარ პირმშოს, რაც ბავშვის სწორად აღზრდისთვის ყოვლად დაუშვებელია. სამწუხაროდ, თანამედროვე ქალებს დაავიწყდათ, რომ მათი უპირველესი დანიშნულება შვილების აღზრდაა.

**— სამწუხაროდ, ხშირად მამებიც პასიურობენ...**

— შვილების სწორ აღზრდაზე, ხშირ შემთხვევაში, არც მამაკაცები ზრუნავენ. რა გასაკვირია, რომ თავის ნებაზე მიშვებული მოზარდები ადვილად მიიდრიკებიან ცოდვისკენ და დანაშაულს ჩადიან. დასანანია, როცა მშობელი გულცივად აცხადებს, შვილს ვერ ვუგებ და ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნიო.

**— განა ეს შესაძლებელია, როცა შენი პირმშო საფრთხეშია?**

— წმიდა მამა იოანე ოქროპირი წერდა:

## „დავისჯებით უკიდურესად მძიმედ, თუ არ ვიზრუნებთ შვილების გადარჩენაზე. არ გვეპატიება, თუ ისინი გარყვნილები იქნებიან“. ამიტომ უნდა დავძლიოთ საკუთარი სულიერი სისუსტეები და გონივრულად წარვმართოთ ბავშვის სულიერი აღზრდა.

**— რატომ იზრდება დანგრეულ ქრისტიანულ ოჯახთა რაოდენობა?**

— ოჯახი რთული ფენომენია და ხშირად სხვადასხვა სახის უთანხმოება წარმოიქმნება ხოლმე. მეუღლეთა გაყრის მიზეზი მოუგვარებელი პრობლემები ხდება. ასე რომ არ მოხდეს, გირჩევთ, შრომა გაინაწილოთ, ყველა საზრუნავს ნუ აჰკიდებთ ერთ ადამიანს. ოჯახი, შეიძლება, საყოფაცხოვრებო პრობლემების გამოც დაინგრეს.

**— ზოგჯერ მეუღლეები ხასიათით ვერ ეწყობიან ერთმანეთს. ამ შემთხვევაში რას გვირჩევთ?**

— ხშირად წყვილმა ქორწინებამდე იცის, რომ ხასიათებით ვერ ეწყობა ერთმანეთს, მაგრამ ამ მიზეზს სერიოზულად არ აღიქვამს, ჰგონია, რომ თანაცხოვრებაში ეს ხელს არ შეუშლის, მაგრამ ჯვრისწერის მერე უმნიშვნელო ნაკლის ატანაც ეძნელება და ოჯახს ანგრევს.

**— მაშ, რა ქნან, თუ ვერ იტანენ ერთმანეთს?**

— შეგახსენებთ, რომ ხასიათებისა და ინტერესების თანხვედრა ავტომატურად არ ხდება, მეუღლეებმა წლობით უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, ამას საფუძვლად უნდა დაუდონ ღვთის რწმენა და ურთიერთსიყვარული.

**— ზოგჯერ მშობლების უხეში ჩარევის გამოც ინგრევა ოჯახი. სიდედრი სიძეს იწუნებს, დედამთილი — რძალს...**

— არის შემთხვევები, როცა მომავალი მეუღლეები სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ გარემოში იზრდებიან, მაგრამ ამ განსხვავებამ ცოლ-ქმარს შორის პრობლემები არ უნდა წარმოშვას. მშობლებმა პატივი უნდა სცენ შვილების არჩევანს. თუ ცოლი ოჯახში დაიკავებს მეორე ადგილს, ხოლო ქმარი ოჯახის თავის მძიმე პასუხისმგებლობას იტვირთებს, ღმერთი ყოველთვის დაეხმარებათ, მაგრამ თანამედროვე ოჯახში სიყვარულის, ინტერესთა ერთიანობისა და თანამშრომლობის ნაცვლად ცოლ-ქმარს შორის ლიდერობისთვის დაუსრულებელი ბრძოლაა გამართული.

**— როგორი უნდა იყოს ქრისტიანული ოჯახი?**

— ოჯახი მყარია, როცა ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვარს, საერთო მისწრაფებები და ინტერესები ამოძრავებს. მოსიყვარულე, ბედნიერ ოჯახში ბავშვებიც ღვთის რწმენით იზრდებიან. მშობლების ლოცვა შვილებზე გადადის, ავსებს მათ სულს და რწმენაც ადვილად ღვივდება ბავშვებში. მეუღლეებს შორის მუდმივ კონფლიქტსა და უთანხმოებას მოზარდები ძალიან მტკივნეულად განიცდიან, რაც მათი ნერვულ-ფსიქიკური აშლილობითა და ჯანმრთელობის დარღვევით ვლინდება; ასეთ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები ისტერიკულები, ადვილად აღგზნებადები არიან ან პირიქით, ასთენიურები, დეპრესიისკენ მიდრეკილები. უსიყვარულო გარემოში გაზრდილი პატარების სულში სიცივე ისადგურებს, არ აქვთ სიკეთისა და მადლიერების გრძნობა, გარშემომყოფთა მიმართ აგრესიასა და უნდობლობას ავლენენ, თანდათანობით სულიერად იფიტებიან და ბოროტდებიან, ეწყებათ სულიერ-ზნეობრივი კრიზისი ადამიანებთან ურთიერთობაში.

**— თქვენი აზრით, მშობელი მკაცრი და მომთხოვნი უნდა იყოს?**

— სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მშობლებს სურთ ხოლმე, ბავშვებს ჰქონდეთ ის თვისებები, რაც თვითონ არ აქვთ, მოითხოვენ იმ წესების შესრულებას, რასაც თვითონ არ ასრულებენ.

**— მაგალითად, რას?**

— ბავშვისგან გაწონასწორებულ, მშვიდ ქცევას ითხოვენ, მაშინ, როცა თვითონ გამუდმებით აგრესიას ამჟღავნებენ; ცდილობენ, სწორად აღზარდონ შვილები, მაგრამ იმაზე არ ფიქრობენ, როგორი აღმზრდელები არიან. სამწუხაროდ, ხშირად არასწორად ესმით ამ სიტყვის არსი და ისეთ მეთოდებს ირჩევენ, რომ ბავშვს ზიანს უფრო აყენებენ. ზოგჯერ მშობლები, საკუთარი არასწორი მიდგომის გამო, შვილებზე ბრაზობენ. ბავშვები გრძნობენ ამას, ამიტომ უქრებათ მშობლის ნდობა და სიყვარული.

**— გამართლებულია თუ არა შვილის ეკლესიაში ძალით წაყვანა წირვა-ლოცვაზე დასასწრებად?**

— ქრისტიანი მშობლები ზოგჯერ აიძულებენ ბავშვებს, საათობით იდგნენ წირვაზე, ილოცონ, იმარხულონ. მათ, რატომღაც, ავიწყდებათ, რომ მოზარდის სულში ღვთისნიერების აღზრდა იძულებით კი არა, სიყვარულითაა შესაძლებელი. ნებისმიერ ადამიანს ღვთისგან მინიჭებული აქვს თავისუფლება, ამდენად, მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ მისი პირმშოც თავისუფალი პიროვნებაა. თვით ღმერთიც კი არ გვაიძულებს გადარჩენას და თავისუფალი არჩევანის უფლებას გვაძლევს, მშობელი კი საკუთარი ძალის დემონსტრირებას ცდილობს შვილის წინაშე, არ აქვს მოთმინების უნარი და სურს, მართოს მოზარდი, ამიტომაც ექმნება პრობლემები ბავშვთან ურთიერთობაში. საერთოდ, კონფლიქტები შვილებსა და მშობლებს შორის იმის გამო წარმოიშობა, რომ მშობლები ეგოცენტრიკები არიან. მათთვის ბავშვის აღზრდა მძიმე ტვირთია, მოზარდი ველურ მცენარესავით თავის ნებაზეა მიშვებული, დედ-მამისგან უყურადღებობას გრძნობს.

**— ზოგიერთი მშობელი, პირიქით, თავისი ყურადღებითა და მზრუნველობით სულს ხდის ბავშვს...**

— მართალი ხართ, ეს მეორე უკიდურესობაა... მშობელთა ნაწილი აღზრდას მძიმე და საპატიო მოვალეობად მიიჩნევს, ამიტომაც უფრო მკაცრები და მომთხოვნები არიან. ბავშვი არ უნდა აიძულოთ, გააკეთოს ის, რაც არ სურს. საერთოდ, კონფლიქტის მიზეზი შვილებსა და მშობლებს შორის არასწორი სულიერი დამოკიდებულებაა. დედ-მამის მხარდაჭერის გარეშე ბავშვის სული ავადდება და მოზარდი ცხოვრებისადმი ინტერესს კარგავს. შვილისთვის მხოლოდ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება მის სულს არაფერს აძლევს.

**— ბავშვის განებივრებაზე რა აზრის ხართ?**

— ისევე არასწორია, როგორც შვილის თავის ნებაზე მიშვება. გარეგნულად მშობლები დიდ სიყვარულსა და მზრუნველობას ავლენენ ბავშვის მიმართ, მოზარდს მადლიერების გრძნობა უჩნდება დედ-მამისადმი, ოჯახი მშვიდად ცხოვრობს, უკონფლიქტოდ, რადგანაც პატარას ყველა სურვილს უსრულებენ. მაშინაც კი, როცა ბავშვის ქცევა ზნეობრივ ნორმებს სცილდება, მშობელი თვლის, რომ მისი შვილისთვის ყველაფერი დასაშვებია და შეუძლია აკეთოს, რაც სურს. აღზრდის ამგვარი მეთოდები უარყოფით შედეგს იძლევა, კერძოდ, ბავშვი იზრდება ინდიფერენტული, არ გააჩნია სულიერი ფასეულობანი, ხშირად ექცევა ქუჩის მეგობრების ცუდი ზეგავლენის ქვეშ.

**— მომთხოვნი მშობლებიც სცოდავენ?**

— რა თქმა უნდა!.. „შენ ეს უნდა გააკეთო!“ თრგუნავს ბავშვს და მის ფსიქიკაზე დამანგრევლად მოქმედებს; პროტესტის გრძნობა განსაკუთრებით გარდამავალ ასაკში უჩნდება, რაც სახლიდან გაქცევაში გამოიხატება. მოზარდი ხდება შებოჭილი და საკუთარ თავში იკეტება. შვილი მშობლებს აგრესორებად აღიქვამს. როცა რამეს აშავებს, დედ-მამა მას შეურაცხყოფს, მკაცრად სჯის, რითაც თავმოყვარეობა ელახება, მშობლების მხრიდან შეუწყნარებლობას, უსიყვარულო დამოკიდებულებას გრძნობს.

**— ამართლებს თუ არა აღზრდაში მშობლის ავტორიტარიზმი, ანუ „ჰიპერმეურვეობა“?**

— ასეთ მშობლებს შვილი ადრეული ასაკიდან დაჰყავთ ცეკვაზე, უცხო ენაზე, იძულებით ასწავლიან მუსიკას, ბავშვს თავისუფალი დრო არ რჩება, მაგრამ გარდატეხის ასაკში იგი აცხადებს: „დამანებეთ თავი, თქვენი არაფერი მინდა“. მომთხოვნი მშობლები ცდილობენ, სასურველ შედეგს დირექტივებით, მითითებებითა და დარიგებებით მიაღწიონ. ასე ხშირად იქცევიან მარტოხელა დედები, რომლებიც ოჯახის სარჩენად 2-3 ადგილას მუშაობენ. ზოგიერთი მშობელი ყველაფერს აკეთებს შვილისთვის და აქტიურად ერევა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სანამ ბავშვი არაფერს აშავებს, ჰგონია, რომ დედ-მამას უყვარს, მაგრამ როგორც კი რამე შეეშლება, საყვედურებით ავსებენ, აყვედრიან, რაც გაუკეთებიათ, ბავშვისთვის ეს დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია და მშობლების მიმართ პროტესტის გრძნობა უჩნდება, რადგანაც ამაგის გადახდა არ შეუძლია. გავიხსენოთ, რას ეუბნება ქრისტე თავის მოსწავლეებს: „მსხვერპლი, რომელიც გაღებულია სიყვარულისა და წყალობის გარეშე, ის ყოველთვის მადლს მოკლებულია“.

**— სადაა ოქროს შუალედი, როგორ აღვზარდოთ შვილი ქრისტიანულად?**

— ჭეშმარიტი რწმენისა და ღვთის მოშიშების გარეშე მშობელი ვერ მოიპოვებს შვილის კეთილგანწყობას. ბავშვის სწორ აღზრდას საფუძვლად სიყვარული უნდა დაედოს. გახსოვდეთ, შვილი ღვთის წყალობაა დედ-მამისთვის. მშობელი ბავშვის შინაგან სამყაროსაც უნდა ხედავდეს. ქრისტიანული აღზრდის მეთოდები მეგობრული სიყვარულით გამთბარ ურთიერთობას ითვალისწინებს მშობლებსა და შვილებს შორის. პავლე მოციქული ამბობს: „მამებო, ნუ გაალიზიანებთ თქვენს შვილებს, რათა თავი არ მოაბეზროთ“. წმიდა წერილის მიხედვით, დედას განსაკუთრებული როლი ეკისრება შვილების აღზრდაში. მან უნდა შთაუნერგოს ბავშვს ღვთისადმი რწმენა, მოყვასის სიყვარული. დედა თავისი შვილების ნამდვილი მეგობარი უნდა იყოს, რომელიც მათ ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება, დაფარავს შვილების ნაკლსა და სისუსტეს, როცა ისინი გუნლატკენები და უძლურები იქნებიან. დაუყვავო ნიშნავს, შვილს აგრძნობინო, რომ მაშინაც გიყვარს, როცა შეცდომა დაუშვა ან რაიმე დააშავა. ეს რჩევა გაითვალისწინეთ განსაკუთრებით ვაჟიშვილებთან ურთიერთობის დროს, რადგანაც მათ გარდატეხის ასაკში ხშირად ეცვლებათ ხასიათი, აგრესიულები, უხეშები და ჯიუტები ხდებიან. უთუოდ გაითვალისწინეთ ეს ასაკობრივი თავისებურებანი და მოზარდებს სიფრთხილით მოექეცით. მისაღებია მხოლოდ აღზრდის ქრისტიანული მეთოდები. სათამაშოების ჩუქებაზე მნიშვნელოვანია შვილისადმი მეგობრული დამოკიდებულება და თანაგრძნობა. ამასთან, აუცილებლად ილოცეთ მისთვის. ბავშვის სწორი აღზრდა მშობლის სულის ცხონების საწინდარია. თუ იხელმძღვანელებთ ქრისტიანული ეკლესიის სწავლებით, შეძლებთ, მშვიდად და აუღელვებლად მოაგვაროთ აღზრდის პროცესში წარმოშობილი რთული პრობლემები. თავადაც გამოიწრთობით სულიერად, უფრო ნათლად დაინახავთ საკუთარ ცოდვით დაცემას და ეცდებით, მოიპოვოთ საღვთო მადლი, რათა კეთილად წარმართოთ თქვენი შვილების სულიერი განვითარება.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

# ღვთის ნებით ავთვისებიანი სიმსივნისგან განვიკურნე

**მედიკო საყევარიშვილი, მარტოხელა შინაბერა, ცხოვრებაზე დაბოღმილი ადამიანი, მონათლულიც კი არ იყო ქრისტიანად. იგი ათეისტი კომუნისტების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ურწმუნო ქალს ღმერთი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა ექიმებმა საშინელი დიაგნოზი დაუსვეს.**



— ჩემი მშობლები პარტიული მუშაკები იყვნენ და გულწრფელად სჯეროდათ, რომ ადამიანი ბუნების გვირგვინი, ყოვლისშემძლე არსება იყო; ხოლო ღმერთი — თეთრწვერა მოხუცი, ექსპლუატატორთა მონაჩმახი, ანუ ოპიუმი ხალხისთვის. უზენაესს ისინი კლასობრივი მტრის რანგში განიხილავდნენ და მეც ამ სულისკვეთებით გამზარდეს.

**— თქვენც კომუნისტური პარტიის წევრი იყავით?**

— რა თქმა უნდა! ჯერ ოქტომბრელთა რიგებში მიმიღეს, მერე — პიონერულ ორგანიზაციაში გავწევრიანდი, მოგვიანებით კომკავშირელი გავხდი. სკოლის დამთავრების მერე ქარხანაში დავიწყე მუშაობა და კომპარტიის რიგებშიც შევედი. პარალელურად უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარე, დღისით ვშრომობდი, საღამოს ვსწავლობდი. პარტიის წევრობა მაშინ ძალიან პრესტიჟული იყო, ვამაყობდი საკუთარი მიღწევებით, სხვებიც ასე იყვნენ, ჩემსავით ულმერთოდ უამრავი ადამიანი ცხოვრობდა, ათეიზმი ქვეყნის იდეოლოგია იყო.

**— მაგრამ კომუნისტებიც ხომ ნათლავდნენ შვილებს, თუნდაც ჩუმ-ჩუმად და ქრისტეს არ უარყოფდნენ...**

— ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა პიონერს წითელი ყელსახვევის ქვეშ ჯვარი აღმოუჩინეს, მთელი სკოლა ფეხზე დადგა. საბრალო გოგონა საერთო კრებაზე გამოაჭენეს და პიონერთა რიგებიდან გარიცხეს. თავში აზრადაც არავის მოსვლია მისი დაცვა. ბავშვის ქრისტიანად მონათვლას ყველა როდი ბედავდა. ჩემს მეგობრებსა და ამხანაგებში რელიგიისადმი ინტერესი არ შემინიშნავს.

**— ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულისათვის ოჯახში კვეცხებს წითლად არ ღებავდით, მიცვალებულთა საფლავებზე არ გადიოდით?**

— ჩემს მშობლებს არასოდეს შეუღებავთ კვერცხები, არც სასაფლაოზე გასულან... ბედნიერი ხანა სტუდენტობასთან ერთად დამთავრდა.

**— ასეთი რა შეგემთხვათ?**

— 24 წლის ვიყავი, როცა მამაჩემის მანქანით ავარიაში მოვყევით. ჩემ გარდა ყველანი დაიღუპნენ...

**— რამდენი და-ძმა გყავდათ?**

— ერთი ძმა და ერთი და, ჩემზე პატარები. მეც ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, ექიმებს არ ეგონათ, თუ გადავრჩებოდი. მარტო დავრჩი დედამიწის ზურგზე, სიცოცხლე აღარ მინდოდა, გავბოროტდი ცხოვრებაზე. მთელი ძალა და ენერგია სამსახურისკენ მივმართე, ვირივით ვშრომობდი. ავარიის მერე დავსახიჩრდი, სახეზე საშინელი იარები დამრჩა, ხალხში გამოჩენის მრცხვენოდა, თანატოლებს გავურბოდი. სახლიდან ყველა სარკე გავიტანე, შიგ საკუთარი სახე რომ არ დამენახა. სამსახურში წარმატებებს მივაღწიე. სახლიც მქონდა, ქონებაც, ფულიც, მაგრამ მარტო ვიყავი, ხმის გამცემი არავინ მყავდა. გათხოვებაზე არც ვოცნებობდი, ვინ შემირთავდა, ქალად არავინ აღმიქვამდა, მეგობრებიც შემომეფანტნენ, რადგან მათთან ურთიერთობას გავურბოდი, ეწყინათ და მიმატოვეს.

**— როგორ გაუძელით მარტოობას?**

— საშინლად ვიტანჯებოდი, მაგრამ სიამაყე, ამპარტავნება ძალას მაძლევდა და თხუნელასავით ვცხოვრობდი. სხვებს ვერ დავადანაშაულებ, არჩევანი თავად გავაკეთე. ასაკში რომ შევედი, მივხვდი, საშინელი სიბერე მელოდა, ხმის გამცემი და წყლის მომწოდებელი არავინ მეყოლებოდა. შემებრალა საკუთარი თავი და გადავწყვიტე, ბავშვი ამეყვანა.

**— რამდენი წლისა იყავით მაშინ?**

— 55-ის ვხდებოდი, ამიტომაც 7 წლის გოგონა ვიშვილე. პედაგოგებმა მითხრეს, ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვიაო.

**— მშობლები არ ჰყავდა?**

— არა, ისიც ჩემსავით უპატრონო იყო, რამაც კიდევ უფრო გამიმძაფრა ნანაზე ზრუნვის სურვილი. მართლაც, არაჩვეულებრივი გოგონაა. მშობლების სითბოს მოკლებული და ალერსს მონატრებული ბავშვი გვერდიდან არ მშორდებოდა. მოკლედ, ორი მარტოობა ერთმანეთს შეხვდა... თავს ბედნიერად ვგრძნობდით. შევამჩნიე, რომ ძალიან ხშირად ხატავდა ეკლესიებს, ჯვარს, ანგელოზებს. ერთხელ, ქუჩაში სეირნობის დროს, ტაძართან ჩავიარეთ და მთხოვა, შევიდეთო. სანთლები მაყიდვინა, თვითონაც დაანთო და მეც დამანთებინა.

**— ვისგან ისწავლა?**

— შინაგანად არის რელიგიური, თბილი, მზრუნველი ბავშვი.

**— არ მონათლეთ?**

— მაშინ პატარა იყო, თვითონ არ უთხოვია, მე კი ღმერთი გვიან გამახსენდა... ბოლო ხანებში კუჭი ძალიან მტკიოდა ხოლმე და ექიმთან მივედი. ცუდს არაფერს ველოდი, მაგრამ ონკოლოგთან რომ გამგზავნა, ვიფიქრე, ალბათ, რაღაც უსაშველო მჭირს-მეთქი... ავთვისებიანი სიმსივნე აღმომაჩნდა და ოპერაციის გაკეთება მირჩიეს. ნანა მაშინ უკვე 12 წლისა იყო. ბავშვმა საშინლად განიცადა ჩემი მდგომარეობა და აღრიალებული მუხლებზე დაემხო, ფეხებზე შემომეხვია და მთხოვა: ილოცე, ღმერთი გადაგარჩენს, უფალი შენს თავს არ წამართმევსო. რაღაც გადამიტრიალდა გულსა და გონებაში, სხეული ენითაუწერელი სითბოთი ამევსო. გოგონას თხოვნით, ორივენი ერთ დღეს მოვინათლეთ. მერწმუნეთ, სხვა ადამიანად ვიქეცი. ოპერაციაზე უარი ვთქვი და გადავწყვიტე, უფალს მივნდობოდი.. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წავედი სალოცავად, 12 ტაძარს შევავედრე ჩემი ჯანმრთელობა.

**— ვისი რჩევით მოიქეცით ასე?**

— სიზმარში ვნახე 12 ტაძარი, სადაც უნდა მელოცა და ღმერთისთვის ცოდვების მიტევება მეთხოვა. სამი თვის განმავლობაში ვმარხულობდი და ვლოცულობდი, თითქმის არაფერს ვჭამდი, რამდენიმე დღე მხოლოდ წყალზე ვიყავი.

**— არ გშიოდათ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა! ფიზიკურად ვგრძნობდი, როგორ შემოდიოდა მაცოცხლებელი ენერგია ჩემს ორგანიზმში. ნანაც დღედაღამ ლოცულობდა, ღმერთს შეწევნასა და ჩემს გამოჯანმრთელებას სთხოვდა. ხატები შეიძინა, სახლში სამლოცველო კუთხე მოაწყო. სასწაული მოხდა, შიმშილობის მიუხედავად, თავს უკეთ ვგრძნობდი, ენერგია მომემატა. გოგონამ მთხოვა, ექიმთან წავიდეთ, ხელმეორედ გაესინჯეო. დიდება უფალს! ექიმი ანალიზების პასუხს არ უჯერებდა... ქალბატონო, სიმსივნე აღარ გაქვთ, ალბათ, რაღაც შეგვეშალა და სწორი დიაგნოზი ვერ დაგისვითო, მითხრა. მე და ჩემმა შვილმა ერთმანეთს ეშმაკურად გადავხედეთ და გახარებულები წამოვედით ონკოლოგიური საავადმყოფოდან, ექიმისთვის არაფერი გვითქვამს.



გილოცავთ ფერისცვალებას!

## კითხვა-პასუხი

**რატომ ითვლება ცოდვად ნაყროვანება?**

— ნაყროვანება ცოდვაა, რადგანაც ადამიანი ვნების გამო იღებს იმაზე მეტ საზრდელს, ვიდრე ორგანიზმს სჭირდება. ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილება არ არის. ნაყროვანება სულსაც ვნებს და ხორცსაც. უამრავ ადამიანს, ვისაც ძალიან უყვარს ჭამა, ჰგონია, რომ არაფერს აშავებს. სხვებიც ღიმილით უყურებენ მის სისუსტეს, არადა, ცოდვაში ვარდება, საკვებს ემონება და თავისუფლებას კარგავს, ქრისტიანისთვის კი თავისუფლება, პირველ რიგში, ცოდვისგან განთავისუფლებაა. თუ ის აკეთა, რაც სურს, კაცი „მინდას“ მონად იქცევა.

**რამდენად გამართლებულია ჩვილის მონათვლა. ხომ არ აჯობებს, გაიზარდოს, აზრზე მოვიდეს და თვითონ აირჩიოს სარწმუნოება?**

— უგუნურად მსჯელობს, ვინც ამბობს, თითქოს ბავშვს ყველაფრის ნახვისა და შეცნობის უფლება უნდა მივცეთ, რაც კი ამქვეყნად არსებობს, რათა თვითონვე აირჩიოს სარწმუნოება და ცხოვრების გზა. სწორედ იმავეს სთავაზობს მაცდუნებელი ქალწულს: შენ ხომ იცი, რაზე ამბობ უარს, ჯერ გამოცადე და გადაწყვეტილება ისე მიიღეო. ლოგიკურ მსჯელობას ჰგავს, მაგრამ თუ ერწმუნება, ქალწულებრივ უმანკოებას ველარასოდეს დაიბრუნებს.

**როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს მარხვა და ავადმყოფობა?**

— ამგვარ შემთხვევებში მოძღვარი კარგად უნდა იცნობდეს მრევლის თითოეულ წევრს. ორსულობის ან ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში, ასევე, ანემიისა და ზოგიერთი ქრონიკული დაავადების დროს, როცა აუცილებელია განსაკუთრებული კვებითი რეჟიმი, ადამიანს ეძლევა ლოცვა-კურთხევა, ჭამოს, რაც მისი ჯანმრთელობისთვის უმჯობესია. მარხვა, უპირველეს ყოვლისა, სულიერი მდგომარეობაა და არა დიეტა. მართალია, ადამიანი იღებს სახსნილო საკვებს, რომლის ჭამის ნებართვასაც მოძღვარი აძლევს, მაგალითად, ხორცს ან თევზს, სულიერად მაინც მარხულობს, ლოცულობს და იცავს მარხვის კანონებს.

**რა ასაკიდან შეიძლება იმარხულოს ბავშვმა?**

— ეკლესია ამ საკითხს ინდივიდუალურად უდგება. მოძღვარი ითვალისწინებს ბავშვის ასაკს, მის ჯანმრთელობას, ხასიათს და, აქედან გამომდინარე, აძლევს ლოცვა-კურთხევას, ჯერ ოთხშაბათ-პარასკევს იმარხულოს, მერე კი ყველა მარხვა შეინახოს. უმეტესწილად, ბავშვები 8 წლიდან მარხულობენ და თანდათან ეჩვევიან ვნებებისგან თავის შეკავებას, სწავლობენ იმ სასიამოვნო ემოციათა საკუთარი ნებით დათრგუნვას, რომელთაც ვიტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იწვევს.

**როგორ დავძლიოთ ცდუნებები?**

— ცდუნებათა დასაძლევად ყურადღებას ნუ მიაქცევთ ქცევას, უფლის სიტყვა შეისმინეთ და მიიღეთ. მაცხოვრისა და მისი რჩეულების ცხოვრებას მიბაძეთ, თვალი და ყური მოარიდეთ გარყვნილებას, ვინაიდან მათგან, როგორც კარიდან, ისე შემოდის გულში ყოველგვარი ბოროტება.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

## სულისთვის სასარგებლო რჩევები



● გაღიზიანებული კაცის ლოცვა საზიზღარი საკმეველია, განრისხებულის ფსალმუნება კი — უსიამოვნო ხმა. მრისხანებას, ამ გაშმაგებულ ვნებას, სულიერი ადამიანებიც კი ადვილად გამოჰყავს მდგომარეობიდან. იგი ამძვინვარებს კაცს და მეგობრული ურთიერთობებისგან განაშორებს. თუ სიყვარულში მყარი საფუძველი გაქვს, მასზე უფრო მეტი იფიქრე, ვიდრე შენს შეურაცხმყოფელზე, ცუდად მრისხანე კაცი სათნოებას ვერ მოიღვაწებს და თუ მოიღვაწა, თავისი რისხვითვე დაარღვევს.

● შვილებრივი კადნიერებით სთხოვე დედა ღვთისმშობელს მფარველობა, კურთხევა და ანგელოზის სიტყვებით მოიკითხე: „გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ“ და სხვ. უქმად არ ჩაივლის ლოცვა-ვედრება.

● ბიბლია არის ამოუცნობი სიბრძნე, ღმერთისგან ბოძებული და ღმერთთან მისასვლელი.

● ჭეშმარიტად დიდებულია სულიერი მოღვაწეობა და ამ ღვაწლში მოსაგრეთ მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავთ. ვისაც ნამდვილად სურს, სრულყოფილებას მიაღწიოს, ბოროტს არ უნდა დაემონოს. ვინც ემონება, იგი ძალიან შორს არის სულიერი სრულყოფილებისგან.

● სნეულება ხორციელი შრომის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ, სამაგიეროდ, სულიერი შრომა შეგვიძლია.

● ხორციელი ფიქრი სიკვდილია, სულიერი — სიცოცხლე და მშვიდობა, რადგან ხორციელი ფიქრი ღმერთის მტრობაა და არ ემორჩილება ღვთის სჯულს.

● ნუ დაემგვანებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალენით გონების განახლებით, რათა შეიცნოთ ღვთის ნება — კეთილი, სასურველი და სრულყოფილი.

## სამარხვო კერძები

**ჭარხლის სალათა ნიგვზით:**

ჭარხლის ძირხვენა კარგად გარეცხეთ და მოხარშეთ. როცა გაცივდება, კანი მოაშორეთ, წვრილ ღერებად დაჭერით, შეურიეთ დანაყილი ნიგოზი და ნიორი, შეაზავეთ ძმრით, მარილით, კარგად აურიეთ და სასალათეში მოათავსეთ, ზედ სამარხვო მაიონეზი მოასხით და მწვანილის ფოთლებით გაალამაზეთ.

**მასალა:** ჭარხალი — 1 კილოგრამი, ნიგოზი — ნახევარი ჩაის ჭიქა, ნიორი — 2-3 კბილი, ძმარი — 1 სუფრის კოვზი, სამარხვო მაიონეზი — 4-5 სუფრის კოვზი, მარილი — გემოვნებით, მწვანილის ფოთლები — გემოვნებით.



**კარტოფილის კატლეტი კომბოსტოთი**

მოხარშეთ კარტოფილი, გაფცქვენით და ნაჭრებად დაანაწილეთ. ზეთში მოშუშეთ დაჭრილი ხახვი და კომბოსტო. დაჭრილი კარტოფილი და მოშუშული კომბოსტო ხორცსაკეპში გაატარეთ. შეაზავეთ მარილით, შავი პილპილით და ერთმანეთში კარგად აურიეთ. პატარ-პატარა ულუფები ორცხობილას საფანელში ამოავლეთ, კატლეტის ფორმა მიეცით და მდუღარე ზეთში შეწვით.

**მასალა:** კარტოფილი — 500 გრამი, კომბოსტო — 500 გრამი, ხახვი — 2-3 თავი, დაფქვილი ორცხობილა — 1-1,5 ჩაის ჭიქა; მარილი, შავი პილპილი — გემოვნებით, ზეთი — რაც შეწვას დასჭირდება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქართველოს ხელისუფლება უარს არ იტყოდა, საკუთარი თავისთვის ძეგლი დაედგა, თამარ მეფის ძეგლისთვის კი თბილისში ადგილი არ გამოინახა

**„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან, — ცნობილმა ქართველმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში მოთხრობა „თავსაფრიან დედაკაცში“ დაწერა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში თითქმის ყველა ქალაქსა თუ სოფელში აუცილებლობას წარმოადგენდა დიდი ბელადების, სტალინისა თუ ლენინის ძეგლების არსებობა. იქნებოდა ეს პიედესტალზე შემომჯდარი, ფეხი-ფეხზე შემოდებული იოსებ ბესარიონის ძის, თუ ცალ ხელში ქუდმომარჯვებული და უაზროდ ცას მიშტერებული ვლადიმერ ილიას ძის მონუმენტები. ამასთან, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, არამედ მის დედაქალაქშიც მრავლად მოგვეპოვება იმგვარი „საზოგადო მოღვაწეების“ ბიუსტები, როგორებიც გახლავთ: დიმიტრი გულია (შსს მიმდებარე ტერიტორია), სულ ახლახან გახსნილი სომეხი პოეტის საიათნოვას მემორიალი...**



საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, ალბათ, უარს არ იტყოდა, საკუთარი თავისთვის ძეგლი დაედგა. მას ამისთვის არც ადგილის გამონახვა გაუჭირდებოდა, მაგრამ, რატომღაც, საქართველოს უწმინდესი მეფე თამარის ძეგლის დასადგმელად ვერც დედაქალაქში და ვერც მის ფარგლებს გარეთ ადგილი ვერ გამოინახა. არადა, თამარის თაბაშირში ჩამოსხმული ძეგლი ბრინჯაოში ჩამოსასხმელად უკვე მზად არის და თბილისში ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთ საამქროში ინახება. ცხენზე ამხედრებული თამარ მეფის სკულპტურული კომპოზიცია, რომლის სიმაღლე ექვსნახევარი მეტრია, თაბაშირშია ჩამოსხმული და ექვსი წელია, ხარაჩოებშია ჩასმული. მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი თბილისის ცენტრში 2004 წელს უნდა დადგმულიყო, მაგრამ ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმა ვერ მოხერხდა.

## მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი თბილისის ცენტრში 2004 წელს უნდა დადგმულიყო, მაგრამ ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმა ვერ მოხერხდა.

საამქროს დაზიანებული სახურავიდან ქანდაკებას აწვიმს და ათოვს, არსებობს საფრთხე, რომ თაბაშირის მოდელმა დეფორმაცია განიცადოს. სამწუხაროდ, გამორიცხული არ არის, მეფე თამარის ძეგლი ისე დაზიანდეს, რომ მისი ბრინჯაოში ჩამოსხმა ვეღარც მოხერხდეს.

თამარ მეფის ძეგლი ბრინჯაოში უნდა ჩამოისხას, პიედესტალი კი მუქი ფერის გრანიტის მასიური ქვით უნდა მოპირკეთდეს.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლებისა და მონუმენტების სამხატვრო-საექსპერტო საბჭომ 2002 წლის 12 ივნისს თამარ მეფის ძეგლის მოდელი და პროექტი მოიწონა და მის დადგმაზე თანხმობა განაცხადა. ძეგლის მოდელს დადებითი შეფასება მისცა თბილისის არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითმა საბჭომაც 2002 წლის 27 ივნისს.

გადაწყდა, რომ ძეგლი სასტუმრო „აჭარის“ წინ აღიმართებოდა. ექსპერტების აზრით, ძეგლის ამ ადგილას დადგმა სრულყოფდა მოედნის არქიტექტურულ-სივრცობრივ სახეს. ადგილის შერჩევის შემდეგ პროექტი შეთანხმდა თბილისის საგზაო უსაფრთხოებისა და დედაქალაქის ყველა საინჟინრო სამსახურთან. დღეს თავად სასტუმრო „აჭარის“ შენობა და ტერიტორია შესყიდულია და კერძო საკუთრებას წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, ტერიტორიის ახალ მფლობელებს ეკუთვნით გადამწყვეტი სიტყვა. არ არის გამორიცხული, რომ უარი განაცხადონ მათ საკუთრებაში არსებულ მიწაზე აღნიშნული ძეგლის დადგმაზე, მაგრამ, თუ ხელისუფლების ნება იქნება, თამარის მონუმენტისთვის დედაქალაქში ადგილის გამონახვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. კეთილი ნება რომ არის განმსაზღვრელი, ამას ისიც მოწმობს, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლმა „ვარდების მოედნიდან“ (ყოფილი „რესპუბლიკის მოედანი“) დიღომში გადაინაცვლა, ბერძნული მითოლოგიის გმირის — პრომეთეს ძეგლმა კი (საერთოდ, რა საჭირო იყო თბილისისთვის პრომეთეს ქანდაკება, რა დამსახურება მიუძღვოდა ამ მითიურ გმირს საქართველოს წინაშე?) — მტკვრის სანაპიროდან ბორჯომში.

თამარ მეფის ძეგლის მოდელი ელგუჯა ამაშუკელის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია. მოქანდაკემ ის გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შექმნა. სამწუხაროდ, ისე გარდაიცვალა, რომ ძეგლის ჩამოსასხმელად საჭირო სამუშაოების დაწყება ვერ შეძლო.

მოქანდაკის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით ძეგლის ჩამოსხმისთვის სამუშაოები დაიწყო. ვინაიდან თავად მოქანდაკე ცოცხალი აღარ იყო, ძეგლის ჩამოსხმასა და დადგმაზე ზრუნვა სკულპტურის არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ ითავა.



## თამარის ძეგლი კი დგას ყველასგან მიტოვებული. ათოვს, აწვიმს და დღითიდღე სავალალო ხდება მისი მდგომარეობა.

თამარ მეფის ძეგლის ჩამოსხმისა და ქალაქის ცენტრში მისი დადგმისთვის საჭირო სახსრების გამოყოფა შევარდნაძემ რკინიგზის მაშინდელ ხელმძღვანელს აკაკი ჩხაიძეს დაავალა.

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 29 ივლისის №21 თათბირის ოქმის თანახმად, შპს „საქართველოს რკინიგზას“ დაევალა თბილისში თამარ მეფის ძეგლის დადგმისთვის საჭირო სამუშაოების დაფინანსება.

ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმისა და 26 მაისის მოედანზე დადგმისთვის საჭირო ხარჯებს „საქართველოს რკინიგზა“ გაიღებდა, ხოლო სკულპტურის ტექნიკურ მხარეზე მზრუნველები კი ვალდებულნი იყვნენ, ძეგლი ნატურალურ ზომებში (რბილ მასალაში — თაბაშირში) ჩამოესხათ და დაემუშავებინათ. მათ საკუთარ თავზე უნდა აეღოთ საყალიბო სამუშაობის შესრულებაც, ასევე, ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმა, ტრანსპორტირება, ადგილზე დადგმა, პიედესტალის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. გეგმის თანახმად, სამუშაოები 2004 წლის 15 ნოემბრისთვის უნდა დასრულებულიყო.

2003 წლის 17 ოქტომბერს ხარჯთაღრიცხვა მომზადდა. სამუშაოები ცხრა ეტაპად გაიწერა. სამუშაო გრაფიკით, პირველ ეტაპზე უნდა გაკეთებულიყო სკულპტურული კომპოზიციის ესკიზი და სამუშაოს მოდელი. შემდეგი ეტაპი ძეგლის არქიტექტურული ნაწილის ესკიზური პროექტის (სადემონსტრაციო მასალა ფერში, მაკეტი, ფოტომასალა და სხვა) მომზადება იყო. მესამე ეტაპზე კი უნდა ჩატარებულიყო საგამდიდებლო სამუშაოები, ანუ საყალიბო სამუშაოები რბილ მასალაში (თაბაშირში), ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსასხმელად უნდა მომხდარიყო დაყალიბება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაირღვა ანგარიშსწორების ეტაპები და წესი. შესაბამისად, — სამუშაოების ჩატარების ვადა.

დღეისათვის დამზადებულია თამარ მეფის ძეგლი საპროექტო ზომაში — 6,5 მეტრი რბილ მასალაში (თაბაშირი).

შესრულებული სამუშაოების ღირებულება (450 ათასი ლარი) დამკვეთმა „საქართველოს რკინიგზამ“ მთლიანად აანაზღაურა, ამასთან, გადაიხადა საგადასახადო ვალდებულებებიც.

**ვახტანგ დავითაია, არქიტექტორი:** „აღსანიშნავია, რომ „საქართველოს რკინიგზის“ მაშინდელი ხელმძღვანელობა თავის თავზე აღებულ ყველა ვალდებულებას, მათ შორის, ფინანსურ და ბიუჯეტის წინაშე არსებულ საგადასახადო ვალდებულებებს, პირნათლად ასრულებდა. ასე რომ, ძეგლის ჩამოსხმა თითქმის ნახევრად დაფინანსებულია“.

სკულპტურული კომპოზიციის საპროექტო ზომებში გადიდების სამუშაოები 2003 წლის ბოლოს დამთავრდა. ამ დროისათვის ყველაფერი უკვე მზად იყო თამარ მეფის ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსასხმელად, მაგრამ „საქართველოს რკინიგზაში“ ხელმძღვანელობა არაერთხელ შეიცვალა და ძეგლის დაფინანსება შეწყდა. რკინიგზის არც ერთ ახალ ხელმძღვანელს თამარ მეფის ძეგლის მიმართ ყურადღება აღარ გამოუჩენია.

**ვახტანგ დავითაია:** „ამ რამდენიმე ხნის წინათ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ დაინტერესდა წმიდა თამარ მეფის ძეგლის ბედით, თუმცა სიუჟეტი სიუჟეტად დარჩა. საქმე სრულებით არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან, არც ქალაქის მერიის წარმომადგენლებს, არც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, არც ერთ ბიზნესმენს (თუმცა მათ ვერც დაავალდებულებ ამის გაკეთებას) არ მოუმართავს ჩვენთვის. თამარის ძეგლი კი დგას ყველასაგან მიტოვებული. ათოვს, აწვიმს და დღითიდღე სავალალო ხდება მისი მდგომარეობა. ეს მხოლოდ ჩემი კაპრიზი და სურვილი არ არის. იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში მხოლოდ წმიდა თამარ მეფის ერთადერთი ძეგლია და ისიც ახალციხეში დგას, ვფიქრობ, შესაბამისი სტრუქტურები ახლა მაინც უნდა დაინტერესდნენ და თამარის ძეგლისთვის განსაზღვრული და მისთვის შესაფერისი ადგილი გამოიყოს.

ამასთან, მინდა, აღვნიშნო, რომ,

## თუ დროული რეაგირება არ მოხდება შესაბამისი სამსახურებიდან, დიდი ალბათობაა, უკვე გაწეული ხარჯი, რომელიც 450 ათას ლარს შეადგენს, წყალში ჩაიყაროს“.

ასეა თუ ისე, თაბაშირში ჩამოსხმული თამარ მეფის ძეგლი უკვე ექვსი წელია, უყურადღებოდ არის მიტოვებული. თაბაშირი დეფორმაციას განიცდის, ძეგლს სახურავიდან ჩამოსული წყალი დაედინება.

არქიტექტორი ვახტანგ დავითაია ძეგლის გადარჩენას ამაოდ ცდილობს. იგი შეხვდა ქალაქის ყოფილ მერ ზურაბ ჭიაბერაშვილს, რომელიც ძეგლით დაინტერესდა, თუმცა თანამდებობიდან გათავისუფლების გამო ამ პროექტის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. აქვე აღსანიშნავია, რომ არც თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში გაუკეთებია რამე. უფრო მეტიც, ახალი ძეგლის დადგმა კი არა, არსებული ძეგლებიც თვალებში „ებლანდებოდა“ და ქართვლის დედის ხელში არსებული მახვილი, უკაცრავად და, ფალოსად „ეჩვენებოდა“. დიდი ყურადღება ამ საკითხისადმი არც ჭიაბერაშვილის მემკვიდრეს — გიგი უგულავას გამოუჩენია, რომელმაც ვახტანგ დავითაიასგან წერილობითი მიმართვა მიიღო.

**ვახტანგ დავითაია:** „არსებობს რეალური საშიშროება, დაიკარგოს მონუმენტური ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები, რასაც არ იმსახურებს არც საქართველოს მეფე-სიმბოლო და არც მისი ძეგლის შემქმნელის, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის ხსოვნა. დარწმუნებული ვარ, მომავალში ჩვენი ქვეყანა შეიძენს მეტ სიმშვიდეს და დადგება თამარ მეფის ძეგლის რეალიზაციის საკითხიც, რისთვისაც, სულ მცირე, თამარ მეფის ძეგლის მოდელი დაზიანების გარეშე უნდა შევინახოთ“.

**ნანა ლაღაძიშვილი**

# როცა ქალაქის მერი ტყუის

## ჰქონდა თუ არა თბილისს გენერალური გეგმა?



მაოცებს, რარიგ შეესაბამება მისი ვითომდა მიამიტური გამომეტყველება ამ ბავშვურ სახელს — „გიგი“!

**სასიხარულოა, რომ თბილისმა მიიღო განვითარების გენერალური გეგმის მორიგი პროექტი (*ცნობილია, რომ მიიღეს არა გენგეგმა, არამედ მიწათსარგებლობის გეგმა,* — რედ.). მაგრამ როცა ამ გენგეგმის საკრებულოში მიღების ფონზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ (მაოცებს, რარიგ შეესაბამება მისი ვითომდა მიამიტური გამომეტყველება ამ ბავშვურ სახელს — „გიგი“!) წარმოთქვა უხეში ტყუილი, და ამით პირდაპირ შეგვეხო მეც და ჩემს ძვირფას კოლეგებსაც, გადავწყვიტე, გავცე პასუხი, თუმცა ვეჭვობ, რომ ამას ექნება რაიმე აზრი.**
**უბრალოდ, ველარ ვჩუმდები და აღარც მსურს დუმილი!**

ითქვა კი დაახლოებით შემდეგი: **თბილისმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ესოდენ საჭირო გენერალური გეგმა, რომელიც აქამდე მას არ ჰქონია, რაც ხელს უწყობდა კორუფციის გაღვივებას ქალაქთმშენებლობაში და ემსახურებოდა თბილისში იმ სიმახინჯის დანერგვას, რომელიც შავი ჭირივით მოედო ჩვენს დედაქალაქს...**

ამიერიდან, დაგვპირდა მერი, ქალაქთმშენებლობაში კორუფცია აღარ იქნება.

### მერს ბანს აძლევდა საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი, მან „დააზუსტა“, რომ თბილისს გენგეგმა არ ჰქონია 35 წელიწადის განმავლობაში (?!).

ღმერთის არ გეშინიათ, ბატონო გიგი? თქვენ ხომ, როგორც გამიგია, ყოფილი სემინარიელი ბრძანდებით?!

ნუთუ, მართლა არ იცით, რომ ჯერ კიდევ **1933 წლიდან** (მანამდეც არსებობდა განსახლების სქემები) **თბილისისთვის შედგენილი იყო 3 (ვარიანტების თანხლებით) სრულფასოვანი და სრულყოფილი გენერალური გეგმა, თითოეული მათგანის მოქმედების ვადა კი მოიცავდა 20-30 წელიწადს, ე.ი. სამივე ერთად ებჯინებოდა 2000 წელს!**

სხვათაშორის, მთელ მსოფლიოში არც ერთი ქალაქის გენერალური გეგმა არ იფარგლება ერთი წლით, როგორც ეს „გამოითვალა“ ბატონმა სამადაშვილმა. ეს აბსურდია!

თბილისის ბოლო გენგეგმის მოქმედება მკვეთრად შეიზღუდა საქართველოში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის და შემდგომი სტაგნაციის პერიოდის გამო.

საბედნიეროდ, ამ დროისთვის თბილისი უკვე ვითარდებოდა გენგეგმის მიხედვით დასახული მიმართულებებით. არჩევანი განპირობებული იყო თბილისის დინამიკურად მზარდი მოსახლეობისთვის ახალი საუკეთესო ტერიტორიების მოძიების აუცილებლობით.

ძიების შედეგად, როცა შეუძლებელი შეიქნა ისეთი ძლიერი, ბუნებრივი და მიმზიდველი ფაქტორის უგულებელყოფა, როგორიც თბილისის ზღვაა, მასთან მიმდებარე კლიმატურად საუკეთესო ტერიტორიებითურთ (ე.წ. ზედა ტერასები), გენგეგმით მიღებულ იქნა თამამი გადაწყვეტილება და იგი შეიტანეს კომპაქტური ქალაქის ახალ საზღვრებში, რაც, უდავოდ უნდა ჩაითვალოს თბილისის რიგით მესამე გენერალური გეგმის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად.

სწორედ ამ ახალ საზღვრებში, გენერალური გეგმის ძირითად დებულებებზე დაყრდნობით, თბილისის საპროექტო სახელოსნოებში, კერძოდ, სსი „თბილქალაქპროექტის“ ქალაქგეგმარებით განყოფილებაში (სადაც დამუშავდა თბილისის სამივე გენერალური გეგმა), შეიქმნა მრავალი ქალაქგეგმარებითი პროექტი, რომელთა მიხედვით, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც თბილისი თანდათან ახალ სახეს იძენდა...

**გარდატეხის პერიოდის დადგომისთანავე შეზღუდვა, ძირითადად, შეეხო იმ განუხორციელებელი პროექტების დანერგვას, რომელთა მნიშვნელობა დღესაც არ შემცირებულა და რომელთა განხორციელებაც უდავოდ წაადგებოდა ქალაქს.**

დამუშავებული იყო თბილისის შემადგენელი ტერიტორიების განაშენიანების, კეთილმოწყობის, ქალაქგეგმარებითი მოწესრიგების მრავალი პროექტი, თბილისის ცენტრის განვითარების უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი, ქალაქის საგარეუბნო ზონის, მასში შემავალი კურორტების ტურისტული და დასვენების ქვეზონების პროექტი, რომლის მიხედვით საგარეუბნო ზონა თბილისს გარშემოერტყმებოდა მძლავრ მწვანე სარტყლად. მისი მთავარი ფუნქცია ბუნების, ლანდშაფტისა და ეკოლოგიის სისუფთავის დაცვა და გაუმჯობესება იყო (დღეისთვის ეს ყველაფერი კატასტროფის პირას დგას).

**1994 წელს დამატებით შეიქმნა თბილისის განვითარების კონცეფცია — რეკომენდებულ იქნა თბილისის რკინიგზის ფართო ზოლის ამოღება ქალაქის ცენტრიდან და გამოთავისუფლებული ტერიტორიების ქალაქის განაშენიანებაში ჩართვა და სხვა.**

ამ დროისთვის „ტენდერის“ პრინციპით როდი შეარჩევდნენ ხოლმე პროექტებს, ანუ პრიორიტეტი ეძლეოდა ხარისხს და არა სიიაფესა და შესრულების სისწრაფეს.

ნუთუ არ იცოდით, ბატონო მერო, ამ პროექტების არსებობა? თუ არ იცოდით და ერთხელაც არ დაინტერესებულხართ, **საკითხავია, შეესაბამება თქვენი კომპეტენცია თბილისის მერის თანამდებობას?**

თუ იცოდით, ესე იგი, განზრახ მოიტყუეთ, რათა დაგეფარათ დანაშაული, რომელიც მიგიძღვით თბილისელებისა და თბილისის წინაშე: ეს ხომ თქვენი ქმედებით, უფრო სწორად, უმოქმედობით გახდა დასაშვები ქალაქის შუაგულში, ვიღაცების მიერ თვითნებურად არჩეულ ნაკვეთებზე მაღლივი ეგრეთ წოდებული პრესტიჟული საცხოვრებელი სახლების ფარივით აღმართვა, რითაც **სავსებით გადაიხერგა გარშემომრტყმელი მწვანე ფერდობებიდან სუფთა და გრილი ჰაერის ნაკადების დინება და უაღრესად გართულდა ვიწრო ხეობაში განლაგებული ქალაქის ტერიტორიების ისედაც რთული ეკოლოგიური მდგომარეობა...**

რაღა ითქმის **„ესთეტიკის ეკოლოგიაზე“** — არის ასეთი ცნებაც ქალაქგეგმარებაში — მოქალაქეთა სულიერი სიმშვიდის მომტან თბილისის სილამაზეზე, რომელსაც ყველა „ხუროთმოძღვარი“ უგულებელყოფს.

რა შეიძლება ვთქვა ქალაქის მართლაცდა უნიკალურ ამფითეატრულ განლაგებაზე, მის განუმეორებელ ხედებზე, განსაკუთრებით, ქალაქის უმშვენიერეს პანორამაზე, რომელიც დაგვირგვინებულია მამადავითის წმინდა მთის კონტურით მოხაზული მწვანე კალთებით? მამადავითი უფრო და უფრო პატარავდება — მას კლავს მისკენ მცოცავი „ახალი განაშენიანების“ უხეში მასშტაბი...

მჯერა, რომ თბილისი არავის აპატიებს ამ მკრეხელობას!

### აბსოლუტურ ქაოსამდეა მიყვანილი თბილისის სატრანსპორტო სისტემა.... გენგეგმაში კი სატრანსპორტო სქემის პროექტი სრული პაკეტით იყო წარმოდგენილი.

**ტრანსპორტის ურთულესი საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ფრაგმენტულად (როგორც ეს დღეს ხდება) მატებს ქალაქს გადაუჭრელ პრობლემებს და ძალიან მალე გამოიწვევს თბილისის სატრანსპორტო სისტემის სრულ კოლაფსს...**

გასაგებია, რომ ამ ყველაფრის რეალიზაცია მოითხოვდა კოლოსალურ კაპიტალდაბანდებებს, მაგრამ ქალაქგეგმარებითი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლო და აუცილებელიც იყო, სამომავლოდ მათი გამოყენების მიზნით, სქემაში მონიშნული წითელი ხაზების, სატრანსპორტო კვანძების, სხვა მნიშვნელოვანი გეგმარებითი ელემენტების გათვალისწინება და დაცვა.

წლების მანძილზე არაფერი ამის მსგავსი არ კეთდებოდა.

**თქვენამდეც, სხვა მერების მართვის დროსაც, დედაქალაქის აღმშენებლობის პროცესში მკვიდრდებოდა უკიდურესი უწესრიგობა, უჩვეულო ფორმაციაში ცხოვრების ახალი სიძნელეები, მათ შორის, ანგარებით განპირობებული ზოგიერთი აღმშენებლის ექსპანსია...**

ამას დაემატა სრულიად გაუგებარი „რეორგანიზაციები“ თბილისის არქიტექტურის მთავარ სამმართველოში: არქიტექტორებს არავინ არაფერს ეკითხებოდა, მოკლე დროში რამდენჯერმე შეიცვალა სამსახურის უფროსი, მათ შორის იყვნენ: **ფირმა „ნაბელლავის“ მენეჯერი, ბანკის თანამშრომელი, იურისტი...**

**საქართველოს დედაქალაქს დღემდე არ ჰყავს მთავარი არქიტექტორი!**

**ამაში თქვენც ხომ მიგიძღვით, ბატონო მერო, ბრალი!**

ისიც ხომ თქვენი ბრალია, რომ მერად თქვენი დანიშვნისთანავე (გასაგებია, რომ ეს ინერციით გრძელდებოდა) არნახული მასშტაბი მიიღო უკანონო მშენებლობამ. საქმე ეხება არა რამდენიმე თვითნებურად აგებულ შენობას, არამედ „საჭირო საბუთით“ აღჭურვილ, მაგრამ ელემენტარული ქალაქგეგმარებითი წესების დარღვევით მასობრივ განაშენიანებას... თქვენ კი წინ ვერ აღუდექით (ან არ აღუდექით) ამგვარ მახინჯ მოვლენებს.

უფრო მეტიც,

### სწორედ თქვენი უმოქმედობით გახდა დასაშვები ქალაქის ნებისმიერ უბანში (განსაკუთრებით, ქალაქის ცენტრის ზონაში), სტიქიური „სამშენებლო ბუმის“ ფონზე ნებისმიერი მასშტაბისა და სახის მშენებლობის თვითნებურად წარმართვა...

შენდება ბევრი, განსაკუთრებით, — საცხოვრებელი სახლები, „პრესტიჟული“ ბინებით (მნიშვნელობა არ ეძლევა შენობის არქიტექტურას, მით უმეტეს, შიდა დაგეგმარებას), ათვისებული ტერიტორიების ყოველგვარი წინასწარი გააზრების გარეშე, ე.ი. მისასვლელი გზების, სახანძრო გასასვლელების, მანქანების სადგომების და კეთილმოწყობის სხვა ელემენტების გაუთვალისწინებლად, რაც მთავარია, — ელემენტარული სანიტარიული ნორმების დაუცველად.

**აი, ამ სახის ქაოტური აღმშენებლობა,** რაც ეყრდნობა სპეკულატიურ, კორუფციულ საწყისს, იქცა თანამედროვე თბილისის ქალაქგეგმარების ლაიტმოტივად! სირცხვილია!

თქვენ კი, ბატონო გიგი, აცხადებთ, რომ ეს სიმახინჯე თბილისში გენერალური გეგმის აქამდე უქონლობის ბრალია!

აქამდეც მომისმენია საკმაოდ „მაღალი რანგის“ პირებისგან ამგვარი უაზრო განცხადებები, მაგრამ ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ამას ამბობდნენ დილეტანტები...

ახლა კი თბილისის მერიც ამბობს იგივეს!

### ბატონო გიგი, ნუთუ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ წაშალოთ წლების განმავლობაში ჭეშმარიტი პროფესიონალების თბილისის საკეთილდღეოდ გაღებული შემოქმედებითი შრომის ნაყოფი და ნამოღვაწარი?

მაგრამ ხომ გაგიგიათ ბრძნული გამონათქვამი: ხელნაწერები არ იწვის! ჰოდა, თბილისის განვითარების რიგით მესამე გენერალური გეგმა იყო და არის, არ დამწვარა! და ჩვენც, ამის მოწმენი, ჯერ ცოცხლები ვართ!

დაბოლოს, **ნებისმიერი ქალაქის გეგმა, როგორც ასეთი, ვერანაირად ვერ გადაელობება კორუფციას — მის წინაშე დგას სულ სხვა ხასიათის ამოცანები.**

ყველა შემთხვევაში ქალაქგეგმარებაში კორუფციის დაძლევა ძალუძს მხოლოდ ქალაქის მესვეურთა პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებას...

**მადლენა კომახიძე,**
არქიტექტორთა კავშირის წევრი, არქიტექტორ-ქალაქმგეგმარებელი



**P.S. ქალაქგეგმარება უწყვეტი პროცესია, იგი რეალური დროის სივრცეში მიმდინარეობს და განვითარების სათანადო ეტაპს შეესაბამება, ამასთან, ყოველი ახალი გენგეგმა არ აღმოცენდება ცარიელ ადგილზე, მით უმეტეს, ისეთი ძველი ქალაქისა, როგორიც არის თბილისი... იგი მონაცვლეობითია და აუცილებლად ითვისებს ყველაფერს, რაც იყო კარგი და უკუაგდებს იმას, რაც მოძველებულია.**

**მ.კ.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მოისმინეთ, უპასუხეთ და დაივიწყეთ!

## ზაზა შიხაშვილი: საჩვენოდ, გლეხებისა და მუშა ხალხისთვის, არც ხელისუფლებაა და არც კიდენა ესენი — ვითომ ოპოზიცია!

**„ნაციონალების“ სურვილი — საქმე ლაპარაკის ნაცვლად, რეალობად ვერ იქცა. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ჯერ ისევ ლაპარაკის დროა და პრეზიდენტმა ხალხთან დიალოგი დაიწყო. საკუთარ თვალებს და ყურებს არ ენდო და უფრო კარგად რომ დაინახოს და გაიგონოს, მთავრობის სრული შემადგენლობა მალემსრბოლებით დარაზმა. მათაც არ დაიზარეს და მოედნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონს. ხელისუფლებას ბევრი არაფერი აქვს სათქმელი, ხალხს კი მართლა ბლომად დაუგროვდა. ეს პოლიტიკური კალმასობა კი არაა ხალხის პრობლემების გასაცნობად, არამედ შერყეული იმიჯის რეაბილიტაციისთვის უფროა გათვლილი. მოისმინეთ, უპასუხეთ და დაივიწყეთ! ხშირად ასეთი პრინციპით მოქმედებს ხელისუფლება და ახლაც დიდი ალბათობაა, რომ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩეს. ხელისუფლების ეს აქცია საეჭვოდ დაემთხვა აქციებისგან ხელმოცარული ოპოზიციის რეგიონულ ვოიაჟს და ფაქტია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ნიუანსები იკვეთება. არჩევნებამდე ჯერ შორია. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება საბიუჯეტო ხარჯებს საარჩევნო ინტერესებისთვის იყენებს, რაც არა მარტო საზოგადოების აზრით, არამედ ქართული კანონმდებლობის შესაბამისად აშკარა კანონდარღვევას წარმოადგენს.**



*საზოგადოება არა ერთხელ დარწმუნდა, რომ ხალხთან დიალოგი პრეზიდენტს შერყეული იმიჯის აღსადგენად სჭირდება. ასეთი შეხვედრების დროს მოსახლეობა მას პირადი პრობლემების შესახებ წერილობით მიმართავს ხოლმე, რის შემდეგაც პრეზიდენტი ავალებს რაიონის გამგებელს, პრობლემები მოაგვაროს. ეს, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფს ხმების გარკვეულ რაოდენობას „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ. არადა, ქვეყნის პრეზიდენტი იქნება თუ რომელიმე სხვა სახელმწიფო მოხელე, მათი მგზავრობის თუ განთავსების ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნაზღაურდება, თუმცა, როდესაც საუბარია საარჩევნო პროპაგანდაზე ან მასთან დაკავშირებულ პროცედურებზე, ამ შემთხვევაში, ბიუჯეტის თანხის ხარჯვა კანონდარღვევაა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის პირველი პირის დაპირებები, იქნება ეს წერილობითი თუ სიტყვიერი თხოვნის საფუძველზე, სავსებით გაუმართლებელია. ასე რომ, პრეზიდენტის ვოიაჟი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობისთვის „თავის მოქონვის“ ფუნქციას იძენს.*

*ხალხს ამ „მოქონვის“ ნაკლებად სჯერა. ამდენად, შეიძლება ითქვას, ამ გზით ხელისუფლების მიერ დახარჯული თანხები ქარსგატანებულია. საჩხერის რაიონის სოფელ გორისას მკვიდრი ანზორ მიქაბერიძე მიიჩნევს:*

— ჩვენ, გლეხები, ვცდილობთ, ერთმანეთს ხელი გავუმართოთ, თუმცა ხშირად ეს არც გამოგვდის. მხოლოდ ცარიელი სიტყვით და საუბრით ჩვენს სატკივარს არაფერი ეშველება. ხელისუფლების წარმომადგენლები რომ გაიძახოდნენ, — საქმე ლაპარაკის ნაცვლად! — რა გამოვიდა აქედან? ჩვენ მარტო ლაპარაკი შეგვრჩა და ის საქმე სადაა, ასე ბევრს რომ საუბრობდნენ და ყურები გამოგვიჭედეს?

***გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის მკვიდრი ლაშა მირიანაშვილი:***

— მაგათა ჰგონიათ, რაკი ერთხელ ჩამოვლენ ჩვენს სოფელში და ტკბილი სიტყვებით გაგვიქარვებენ გულსა, ამით ყველაფერი კარგა იქნება. ეგრე არ არის...

***რა თქმა უნდა, ამა თუ იმ რეგიონში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების სტუმრობა პრობლემებს ვერ მოაგვარებს და შესაძლოა, მოსახლეობის გაღიზიანებაც კი გამოიწვიოს. „ნაციონალების“ ცნობილი ლოზუნგი „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ დღესდღეისობით მხოლოდ სიტყვების „რახარუხადაა“ ქცეული.***

***სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის მცხოვრები ზაზა შიხაშვილი:***

— სეტყვამ ისე გაანადგურა ჩვენი ვენახიცა და სახნავსათესიც, ამ ზამთარს თავს რით გავიტანთ, წარმოდგენაც კი არ გვაქვს. ესენი კიდე ჩამოდიან აქა, ჩვენთანა და ყველაფერი კარგად იქნებაო. აბა, ეგ რა ლაპარაკია? სიტყვები და ცარიელა ლაპარაკი კუჭს რომ აძღობდეს, მაშინ მიშასა 2012 წელში კი არა, 2030 წლისთვისაც ავირჩევდი, ეგ დალოცვილი იმდენსა ლაპარაკობს... განა მარტო ეგა? მე „პოლიტიკანი“ არა ვარ და ვერც ვერკვევი, მაგრამ ეს ოპოზიციონერებიც რომ ჩამოდიან და იძახიან, მაგას (მ. სააკაშვილს) ხმა არ მისცეთო, ეგენი რიღას მაქნისები არიან? აღმართი და დაღმართი – არც ერთია წაღმართიო... აბა, რაღა უნდა ვთქვა? საჩვენოდ, გლეხებისა და მუშა ხალხისთვის, არც ხელისუფლებაა და არც კიდენა ესენი – ვითომ ოპოზიცია!

***როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის რეგიონებში იმდენი პრობლემაა დაგროვილი, რომ ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები მათ მოგვარებაში უკვე ერთმანეთს ეჯიბრებიან.***

***ხალხის სადარდებლის, მათი დარდების შეგროვება გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა უკვე ითავა. ვნახოთ, ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლებიდან რომელიმე თუ შეძლებს საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სევდის გაქარვებას. პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილს კი მიაჩნია, რომ ამ შეხვედრებს სააკშვილი ბაიდენის რჩევით ატარებს:***

— ხალხთან დიალოგი ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის აუცილებელია, მაგრამ ეს არის პრაქტიკულად წინასაარჩევნო შეხვედრები.

**დიდი ალბათობაა, რომ სააკაშვილი იძულებული გახდეს, კიდევ ერთხელ დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ამისთვის ემზადება, თუმცა, მეეჭვება, რომ ამ შეხვედრებმა მის შერყეულ რეიტინგზე დადებითი გავლენა იქონიოს.**

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამ პიარაქციების გამართვა ბაიდენმა ურჩია, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გაეცნო მათ სამომავლო გეგმებს. გათვალა, რომ რეგიონებში გასვლა და მოსახლეობასთან შეხვედრები მათ წარმატებას მოუტანდა და მიუთითა სააკაშვილს, მასაც ასევე ემოქმედა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან კერძო ან ფიზიკური პირის პრობლემის მოგვარება-დაფინანსება ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ბიუჯეტის თანხებს სააკაშვილი ისე ხარჯავს, როგორც საკუთარ ჯიბის ფულს. მისი დევიზია „სახელმწიფო — ეს მე ვარ“. აქედან გამომდინარე, მის ამ საქციელში ბევრი კანონდარღვევაა.

**ნანა ლაღაძიშვილი**

# ბიძაჩემმა ჩათვალა, რომ სატანისტი გავხდი

**თბილისის ქუჩებში ხშირად შეგხვდებათ ჯაჭვებიანი, სხვადასხვა ფერად თმაშეღებილი ახალგაზრდები, იგივე როკერები, რომლებიც ჩაცმის სტილით თავიანთ ინდივიდუალურობას გამოხატავენ. როგორც ყველა მოზარდს, მათაც უჩნდებათ ამბიციები, სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, უფროს თაობას ეს დიდად არ მოსწონს.**
**სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება 18 წლის ანი სიხარულიძე, რომელსაც თავისი განსხვავებული სტილის გამო მრავალი უსიამოვნება შეხვდა.**



**— ანი, როდის მიგიზიდა როკმა და რა აზრის არიან ოჯახში შენი თმის ფერსა და უცნაური ჩაცმის სტილზე?**

— ბავშვობიდან მიტაცებდა ეს სუბკულტურა, მაგრამ სერიოზულად 15 წლის ასაკში დავიწყე როკის მსმენელებთან ურთიერთობა. მომწონდა, რომ არ იყვნენ შებოჭილები, თავისუფლად იქცეოდნენ, სხვისი აზრი ნაკლებად აღელვებდათ... დღის უმეტეს ნაწილს ამ ხალხთან ვატარებდი, სამწუხაროდ, ოჯახის წევრებმა ეს ყველაფერი რთულად აღიქვეს, რატომღაც, ბიძაჩემმა ჩათვალა, რომ მე სატანისტიც გავხდი.

**— როგორც ვიცი, ეკლესიას დასაშვებად არ მიაჩნია აგრესიული მუსიკის მოსმენა...**

— ასეა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად სატანას უნდა ვეთაყვანებოდე, ან ის, რომ როკი უეჭველად სატანურია, ეს, უბრალოდ, მუსიკაა და, ჩემი აზრით, რელიგიასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

**— არ გიცდია, რომ აგეხსნა ეს ყველაფერი მშობლებისთვის?**

— მამა გარდაცვლილი მყავს, დედამ კი ვერ გამიგო და მაგიტომაც დაუძახა ბიძას, რომელმაც ჩემი „გამოსწორება“ იმით სცადა, რომ რამდენიმეჯერ კედელზე მიმარტყმევინა თავი. როდესაც ვცდილობდი, ამეხსნა, რომ მე, უბრალოდ, მომწონს ეს სტილი, თავისუფალი ადამიანი ვარ და ვაგრძელებ ცხოვრებას, ამას უარესი რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე; არაფრის გაგება არ უნდოდათ.

**— რა მოგიტანა გარეგნულმა ცვლილებებმა და იმ გარდატეხამ, რაც დაიწყო 15 წლის ასაკში?**

— მუსიკამ და იმ ნაცნობმეგობრებმა, ვინც შევიძინე, ჩემი ცხოვრება ნაკლებად დეპრესიული გახადეს. ვცდილობდი გამხიარულებას, რასაც ჩემი ოჯახის მხოლოდ უარყოფითი ემოციები მოჰყვა... რა თქმა უნდა, არც ჩემი ჩაცმის სტილი მოსწონდათ, მაშინ ვცდილობდი, დამემალა, ჯაჭვებსა და სამაჯურებს რომ ვიკეთებდი, მაგრამ ყველაფერი მაინც გართულდა და მათი ქცევა აუტანელი გახდა. ფიზიკურ შეურაცხყოფაზე მეტად მორალური მტკენდა გულს, სახლში გაჩერება აღარ შემეძლო და ამიტომაც წამოვედი.

**— არ გიფიქრია, რომ ანგარიში გაგეწია დედისთვის? არა მგონია, მშობელს შვილისთვის ცუდი უნდოდეს...**

— ყოველთვის ასე არ ხდება. ძალიან ხშირად მშობელიც ცდება და ამას იშვიათად თუ ვინმე აღიარებს. ჩვენ ვერ ვიქნებით მშობლების ასლი, დრო იცვლება, უფროსი თაობის უმრავლესობა კი სიახლეს უარყოფს. ბავშვობიდან მიშლიდნენ ბევრ რამეს, ხშირად მკეტავდნენ სახლში, ვთვლი, რომ ასეთი მოქცევით კარგი შედეგი ვერ მიიღეს. ადამიანი თვითონ უნდა მიხვდეს, რა არის თეთრი და რა — შავი. ბავშვს რაც უფრო მეტად უკრძალავენ რამეს, მით უფრო მეტ ინტერესს იჩენს მის მიმართ. რა თქმა უნდა, არც მე ვარ ანგელოზი. ვიცი, რომ ბევრი შეცდომა დავუშვი ცხოვრებაში, მაგრამ უშეცდომო და უცოდველი არავინაა.

სამწუხაროდ, მშობლებს ვერ ირჩევენ, ჩვენ კი ერთმანეთს საერთოდ ვერ ვუგებთ.

**— და ჩათვალე, რომ ერთადერთი გამოსავალი სახლიდან გაპარვა იყო?**

— ვიცოდი, რომ არ იქნებოდა ადვილი, თუმცა სხვა გზა აღარც მქონდა, დედაჩემს ხმის აწევის გარეშე საუბარიც კი არ გამოსდიოდა ჩემთან. ერთ-ერთი მსგავსი ჩხუბის შემდეგ მივხვდი, რომ წერტილი უნდა დამესვა ამისთვის. რთული იყო, როდესაც მეგობრებთან ვრჩებოდი ღამით, ხოლო დღისით იპოდრომზე დავბოდიალობდი, ფულიც არ მქონდა და სამუშაოსაც უშედეგოდ ვეძებდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სულიერად დავისვენე, რალაცები გადავაფასე. სახლიდან ჩემი გამოპარვის შედეგად დედაჩემმაც ინერვიულა და, როგორც ახლა ვხვდები, ცოტა შეიცვალა დამოკიდებულება ჩემ მიმართ; ორ კვირაში მომნახა და სახლში დაბრუნებაზე დამითანხმა. ამჟამად დედასთან ვცხოვრობ, ბიძაჩემი საზღვარგარეთაა, ჩემთვის არ სცალია და მეც შედარებით მშვიდად ვარ, თუმცა არ ვიცი, ეს რამდენ ხანს გასტანს.

**— შენს ნაცნობ-მეგობრებს თუ აქვთ მსგავსი ოჯახური პრობლემები?**

— ჩემსავით — არ მგონია, მაგრამ საქართველოში საკმაოდ ბევრი ოჯახია, რომლებიც მოზარდებს მხოლოდ იმიტომ ვერ უგებენ, რომ სტილი აქვთ სხვანაირი. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ის შავი „მანიკურები“ ცუდს არაფერს ნიშნავს და არც არავის ვნებს. გამაღიზიანებელიც კია, როდესაც ადამიანები ქარხანაში დამზადებულ ერთნაირ რობოტებს ჰგავანან. არ შეიძლება ვინმეს განსჯა იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყურება. ჩვენ, ცხოველებისგან განსხვავებით, გვაქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და უფროსმა თაობამაც უნდა მოგვცეს უფლება, თვითონ გავიკვლიოთ გზა ცხოვრებაში.

**ნინო აბესაძე**

# რამდენად აქტუალურია თმის გადანერგვა მსოფლიოში

**თმის გადანერგვის ტექნოლოგია დღეს საქართველოშიც იმ დონეზეა განვითარებული, როგორც ევროპისა და ამერიკის წამყვან კლინიკებში.**
**ბევრი ქართველი ექიმი სწორედ ამ კლინიკების წამყვანი სპეციალისტია, რომლებიც აქაურ კლინიკებთან არ წყვეტენ ურთიერთობას და უახლეს მეთოდებს ნერგავენ ჩვენში.**
**ვესაუბრებით ჩვენს თანამემამულეს, საქართველოში კლინიკა „ჰეალაინ ინტერნეიშნლის" დამაარსებელს, ამჟამად კი აშშ ქალაქ ნიუ-იორკის ტრანსპლანტოლოგთა ცენტრის პროფესორს, ბატონ თამაზ თამაზაშვილს.**



**— ბატონო თამაზ, თმის გადანერგვის სფეროში რომელია უახლესი ამერიკული ტექნოლოგია ან რაიმე ხომ არ შეიცვალა კოსმეტიკური თვალსაზრისით?**

— ყველა პლასტიკური ოპერაციის უპირველესი მიზანი არის უკეთესი შედეგის მიღწევა ადამიანის ბუნებრივი გარეგნობის მაქსიმალური შენარჩუნებით. ანალოგიური სიტუაციაა თმის გადანერგვის თვალსაზრისითაც.

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად განხორციელდა თმის გადანერგვა შტატებში. უნდა ითქვას, რომ შედეგი თმის ამოსვლის თვალსაზრისით თავიდანვე კარგი იყო. რაც შეეხება კოსმეტიკურ მხარეს, თუ რამდენად შესამჩნევი იყო იგი, თავიდან შედეგი არ აკმაყოფილებდა არც პაციენტებს და არც ექიმებს. ყოველივე ამის მიზეზი კი ის იყო, რომ თმის გადანერგვის დროს გამოიყენებოდა მსხვილი გრაფტები, ე.წ. მაკროგრაფტები, რომლებშიც თითოეულში იყო თმის 8-10 ღერი. ამგვარად გადანერგილი თმა გარეგნულად თოჯინის ეფექტს იძლეოდა და ამოსულ თმას ჯაგრისისებური შეხედულება ჰქონდა, ანუ ერთი ადგილიდან თმა ბუჩქივით ამოდიოდა. ადრე ხალხი თმის ამოსვლით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ ასეთი კოსმეტიკური ნაკლის მიუხედავად, ამ ოპერაციამ მაინც ფართო გავრცელება ჰპოვა.

დღეს ამ პროცედურამ საკმაოდ დიდი ცვლილება განიცადა. უახლესი ამერიკული ტექნოლოგიის საშუალებით **ამჟამად უწვრილესი მიკროგრაფტები ინერგება,** საიდანაც ამოსულ თმას აბსოლუტურად ბუნებრივი შეხედულება აქვს, ისე, რომ გადანერგილი თმის გარჩევა ბუნებრივისგან პრაქტიკულად შეუძლებელია.

საქართველოში თმის გადანერგვა ჩემ მიერ 1998 წელს დაფუძნდა. თავიდანვე საქმე იმდენად წარმატებულად მიდიოდა, რომ როცა ქართველმა პაციენტებმა ამერიკაში





ყოფნისას კონსულტაციის მიზნით შეამოწმებინეს თავი, როგორც მოგვიანებით გამოტყდნენ, ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამდნენ — რომელ ამერიკულ კლინიკაში გადაინერგეს თმა. ასე რომ, ქართველი სპეციალისტების დონე, ფაქტობრივად, ისეთივეა, როგორიც დღეს აქ, ამერიკაში. სწორედ ამიტომ მიენიჭათ ქართველ ექიმებს ამერიკის წამყვან ექსპერტთა კომიტეტის საერთაშორისო სერტიფიკატი.

**— რამდენად აქტუალურია თმის გადანერგვა მსოფლიოში და რომელ ქვეყნებშია უფრო მეტი ხალხი ამ პრობლემით შეწუხებული?**

— თმის გადანერგვა იმდენად აქტუალურია, რამდენ ადამიანსაც აქვს სურვილი, იყოს ლამაზი! თმა ადამიანის გარეგნობაში წამყვან როლს თამაშობს, ამიტომაც არის ეს პროცედურა ასე გავრცელებული მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში.

**— თუ საიდუმლო არ არის, რომელ ცნობილ პიროვნებებს აქვთ თმა გადანერგილი?**

— ასეთი უამრავია. მაგალითად, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, იტალიის პრემიერი სილვიო ბერლუსკონე, აშშ ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი და ამერიკის სენატორთა თითქმის ნახევარზე მეტი. აღარაფერს ვამბობ ჰოლივუდის მსახიობებზე. მათი საიდუმლო ისაა, რომ გამოჩენილი ადამიანები ადრევე იწყებენ თმის გადანერგვას, ვიდრე მათი სიმელოტე შესამჩნევი გახდება. ამიტომაც რჩება გარეშე თვალისთვის ეს შეუმჩნეველი.

**— რა არის XXI საუკუნეში სიმელოტის ასეთი გავრცელების მიზეზი?**

— ფაქტობრივად, სრულად თმისცვენის მიზეზები უცნობია, რის გამოც პროფილაქტიკა არ არსებოს, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს.

**— რა იგულისხმება თმის გადანერგვის არაოპერაციულ მეთოდში?**

— დღესდღეობით თმის გადანერგვის ტექნიკა იმდენად ნატიფი და სრულყოფილი გახდა, რომ ის უკვე აღარ ჰგავს ტიპურ ოპერაციას, ამიტომ ჩვენ მას ვუწოდებთ პროცედურას, მას უფრო პლასტიკური პროცედურის ხასიათი აქვს.

**— შეიძლება თუ არა წინასწარი კომპიუტერული კვლევა, რომ შემდგომში მამაკაცი არ გამელოტდეს?**

— არა თუ შეიძლება, არამედ ასეთი კვლევები ამერიკაში დღეს ფართოდ მიმდინარეობს. **მე, პირადად, ამჟამად დავამუშავე თეორია უჯრედთა ფიზიოლოგიაში,** რომელიც უახლოეს პერიოდში მოგვცემს საშუალებას, სრულყოფილი წარმოდგენა შევვექმნას წინასწარ ამ მიმართულებით. ამ თეორიას და ტექნიკას აუცილებლად დავნერგავ ჩემს სამშობლოში და მალე საქართველო ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა იქნება ამ მიღწევის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.

**— რამდენად აქტუალურია თმისცვენა ქალებში და რამდენად უწყობს ხელს ამ პროცესს შამპუნები და თმის მოვლის საშუალებები?**

— ქალებში თმისცვენა შედარებით ნაკლებად გვხვდება. სწორედ ამ საკითხს შეეხება ჩემი ახალი კონცეფცია. ქიმიურ ნივთიერებებს — შამპუნებს, თმის მოვლის საშუალებებს და სხვ. მართლაც შეუძლია თმისცვენის გამოწვევა (არა ყველას, რასაკვირველია), თუმცა ის სრულად განსხვავდება ანდროგენური თმისცვენისგან. აქ მთავარია მიზეზის დროული და სწორი ამოცნობა, რათა მიზანმიმართულად და ეფექტიანად წარიმართოს შესაბამისი მკურნალობა. მეცნიერული კვლევების შედეგები მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მალე შესაძლებელი გახდება თმისცვენისა და გამელოტების წინასწარი პროფილაქტიკა.

**— ხომ არ არის დაკავშირებული თმისცვენა კვების რაიმე განსაკუთრებულ რეჟიმთან ან საკვებთან?**

— არარაციონალურ კვებას შეუძლია თმისცვენის გამოწვევა, რადგან თმის ფოლიკულების ფუნქციონირებაში ზოგიერთ საკვებ ინგრედიენტს ენიჭება დიდი მნიშვნელობა. ამ პრობლემის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე გენეტიკა და გარეშე ფაქტორები, სტრესი, დამამძიმებელი გარემოებები და სხვა.

კომპიუტერული დიაგნოსტიკით შესაძლებელია განისაზღვროს თმის ფოლიკულებში ამა თუ იმ ნივთიერების დეფიციტი, რათა შემდგომში მოხდეს კორექცია კვების რაციონში არასაკმარისი ნივთიერებების მიზანმიმართული ჩართვის გზით.

# თქვენი გამდიდრება არათითის სიგრძეზეა დამოკიდებული

**კარგი თანხის გამომუშავების შესაძლებლობა დამოკიდებულია არათითის სიგრძეზე. ის საჩვენებელზე უფრო გრძელი უნდა იყოს. ეს დაამტკიცეს მეცნიერებმა კემბრიჯის უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი).**



წინათ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. ცდებში მონაწილეობდნენ ლონდონის ბირჟის წარმომადგენლები. ამ თეორიის მიხედვით, მონაწილეებმა, რომელთაც თავიანთ პარტნიორებზე უფრო გრძელი არათითი ჰქონდათ, ვიდრე საჩვენებელი, 11-ჯერ უფრო მეტი თანხა გამოიმუშავეს, ვიდრე მათმა კოლეგებმა. მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ბიზნესმენთა თითის სიგრძეზე მოქმედებს დედის ორგანიზმში ტესტოსტერონის დონე ორსულობის დროს. ეს ჰორმონი ადამიანს ხდის მიზანდასახულსა და ანგარიშიანს, — ამბობენ ბრიტანელი მეცნიერები.



# სტრესის დროს კბილის ჯაგრისი დაგეხმარებათ

**თუ თქვენ მემარჯვენე ხართ, ანუ აქტიურად ხმარობთ უფრო მარჯვენა ხელს ყოველ საქმეში, შეეცადეთ, ყოველდღიურად შეანაცვლოთ მას მარცხენა ხელიც, ანუ ორივე ხელი თანაბრად დატვირთოთ, რათა დაეხმაროთ თავის ტვინს, მასში გამომუშავდეს ნეიროფაქტორი — BDNF, რომელიც აუცილებელია სტრესისა და დეპრესიის დასამარცხებლად.**

ყველაფერთან ერთად აუცილებელია კბილის ჯაგრისით კბილების გაწმენდა არა მხოლოდ ერთი ხელით, არამედ მეორის მონაცვლეობითაც, რაც აუმჯობესებს გუნება-განწყობას და ხსნის სტრესს, — ამტკიცებენ ბრიტანელი მეცნიერები.



# ახალი კოსმეტიკა ოპერაციისშემდგომი პერიოდისთვის

**სახის გადაჭიმვის შემდეგ ოპერაციის რეაბილიტაციას ხელს შეუწყობს კომპანია „ბაბორის" ახალი სიტყვა კოსმეტიკაში, რომლის შემქმნელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი გერმანელი პლასტიკური ქირურგი მიხაელ კენიგი.**

შედეგი მართლაც განსაცვიფრებელია, ოპერაციისშემდგომი ნაწიბურები პაციენტებს სახიდან ძალიან მალე გაუქრათ.

საკონტროლო ჯგუფის პაციენტები ამ სპეციალურ მალამოებს სახეზე ისვამდნენ პლასტიკურ ოპერაციამდეც და მის შემდეგაც. გარკვეულ შემთხვევაში ოპერაციამდე ამ კოსმეტიკას ისეთი კარგი შედეგები ჰქონდა, რომ პაციენტთა ნაწილმა უარი თქვა ოპერაციის გაკეთებაზე!



# სიყვარული მხოლოდ 4 წელიწადს ცოცხლობს

**ნებისმიერი სიყვარული ნებისმიერ წყვილს შორის მხოლოდ 4 წელიწადს „ცოცხლობს", — ამბობენ მექსიკის ნაციონალური უნივერსიტეტის მეცნიერები.**



მათი აზრით, ამ დროს თავის ტვინში გამომუშავდება განსაკუთრებული ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც 4 წლის შემდეგ მცირდება, ხოლო წყვილთა ურთიერთობა გადადის მხოლოდ სულიერ ან სექსუალურ დამოკიდებულებაში. მექსიკელი მეცნიერები თვლიან, რომ ერთი ადამიანის შეყვარება ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება! შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენის შემდეგ კი მხოლოდ ერთხელ განცდილს იხსენებ, იმატებს სულიერი ტკივილი და ნერვიულობა.

# გახდომა მედიტაციით

**ახალზელანდიელი მეცნიერები ოტაჰოს უნივერსიტეტიდან თვლიან, რომ სწორი რელაქსაციის დროს ადამიანს შეუძლია წონაში დაკლება.**



ისინი დაკვირვებას აწარმოებდნენ 225 მოხალისეზე, რომელთაც სურდათ წონაში დაკლება დიეტის გარეშე. მოდუნება ხდება განსაკუთრებული წესით, როდესაც შენარჩუნებულია სწორი სუნთქვა და წარმოსახვით ხდება რაიმეს ვიზუალიზაცია.

ამ მეთოდით მოხალისე წონაში იკლებს ნელა და თანდათან. სამაგიეროდ, მას არ ემუქრება არც დეპრესია და არც კუჭ-ნაწლავის რაიმე ტიპის დაავადება, როგორც ეს ხდება გარკვეული დიეტების დროს. მეცნიერები თვლიან, რომ მედიტაციით ყოველ წელს 3 კგ დაკლება ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება და წლების მატებასთან ერთად გასუქება პრობლემა აღარ იქნება, მითუმეტეს, რომ ამ მეთოდს არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

გვერდი მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სიმართლე ბუშების კლანის შესახებ



**განსაკუთრებით ერთგული რესპუბლიკელი ქვეშევრდომები ირწმუნებიან, რომ ბუშების გვარის პირველი წარმომადგენელი ამერიკაში ხომალდ „mayflower"-ით ჩავიდა 1620 წელს, ანუ ბუშების გვარი აშშ უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნის. ბუშისმოძულენი, რომლებიც ქვეყანაში უხვად არიან, ირწმუნებიან, რომ პრეზიდენტის წინაპრები, როგორც მამის, ასევე, დედის მხრიდან, შტატებში მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოვიდნენ.**





პრესკოტ ბუში

## პრესკოტ ბუში – ჰიტლერის ბანკირი

არა მხოლოდ სრულიად ამერიკის, არამედ მსოფლიო მასშტაბის პირველი სკანდალური ფიგურა ბუშების კლანში ჯორჯ ბუშ-უმცროსის ბაბუა პრესკოტ შელდონ ბუში (1895-1972 წწ.) იყო. სწორედ მან აქცია კლანი აშშ-ში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანად. პრესკოტი ამერიკის ისტორიაში იმის თვალსაჩინო მაგალითად შევიდა, რასაც self-made-man („კაცი, რომელმაც საკუთარი თავი თვითონ შექმნა") ეწოდება. ასე იყო 2003 წლამდე, სანამ ჟურნალისტებმა არ ამოქექეს რამდენიმე გამჟღავნებული საიდუმლო მასალა აშშ კონგრესის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან. დემოკრატების მხარდამჭერი ინტელიგენციისა და პრესის გასახარად, საარქივო მასალებიდან ნათელი ხდებოდა, რომ პრესკოტ ბუში გერმანულ ნაციზმს ასპონსორებდა.

1921 წელს პრესკოტ ბუშმა ცოლად შეირთო მსხვილი ფინანსისტის ჯორჯ ჰერბერტ უოკერის ქალიშვილი და საქორწინო საჩუქრად საინვესტიციო კომპანია brown brothers harriman & go-ს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი მიიღო. მალე ეს კომპანია მსოფლიოს ყველაზე დიდ საინვესტიციო ბანკად (UBC) გადაიქცა. UBC-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ როლანდ ჰარიმანი, ცნობილი ფინანსისტისა და დიპლომატის ავერელ ჰარიმანის ძმა, რომელიც შემდგომ, 1942-დან 1946 წლამდე აშშ-ის ელჩი იყო სსრ კავშირში. დირექტორთა შორის იყო ჯორჯ ბუშ-უმცროსის დიდი ბაბუაც — ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში.

მეწარმე ფრიც ტისენი, რომელმაც, საკუთარივე აღიარებით, არჩევანი ნაციზმის სასარგებლოდ გააკეთა, რაკილა მასში კომუნისტური საფრთხის საპირწონეს ხედავდა, 1923 წლიდან გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ მუშათა პარტიის მოღვაწეობას აფინანსებდა, თუმცა 1938 წელს ნაციზმისგან განიხიბლა, შეზარა ებრაელების, კათოლიკებისა და ყველა სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების დევნამ გერმანიაში, ყველა კავშირი გაწყვიტა ჰიტლერთან და შვეიცარიაში გაიქცა. 1941 წელს გესტაპოს აგენტებმა მოიტაცეს და რაიხის ციხეში გამოამწყვდიეს. ფინანსისტის ამერიკელი პარტნიორები კი მაინც განაგრძობდნენ თავიანთ მომგებიან კომერციულ საქმიანობას და მთელი წლის განმავლობაში ჰიტლერულ გერმანიასთან თავისი კავშირის დამალვას ლამობდნენ.

1942 წლის ზაფხულში სკანდალი ატყდა. გაზეთი „newyorkherald"-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ჰიტლერის ანგელოზებს აშშ ბანკში 3 მლნ დოლარი აქვთ". ჟურნალისტები წერდნენ, რომ ადოლფ ჰიტლერმა, იოსებ ჰებელსმა და ჰერმან გერინგმა „კვერცხები ამერიკულ ბუდეში დადეს", ხოლო UBC დასახელდა მთავარ ორგანიზაციად, რომელიც ნაცისტურ ფულს ათეთრებდა შტატებში. კორპორაციის საქმიანობის გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ მისმა კაპიტალდაბანდებამ საშუალება მისცა გერმანიის ფოლადის ტრესტს, ეწარმოებინა რაიხში დამზადებული თუჯის 50%, ასაფეთქებელი ნივთიერების — 35%, მილების — 45%, გალვანიზებული ფოლადის — 38% და ფოლადის ფურცლების — 36%. „მოწინააღმდეგესთან გარიგების აქტის" შესაბამისად, 1942 წლის ოქტომბერში UBC-ს ქონება კონფისკებული იქნა. ერთი კვირის შემდეგ ასეთივე ბედი ეწია კიდევ ორ კომპანიას, რომელსაც პრესკოტ ბუში მართავდა, თუმცა, 1947 წელს, როცა ევროპა გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა გავლენის ზონებად დაყვეს, ხოლო ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალ მოკავშირეებს შორის „ცივი ომი" დაიწყო, სკანდალი მიჩქმალეს და მიივიწყეს.

1952 წელს პრესკოტ ბუშმა აშშ კონგრესში ადგილი მიიღო კონექტიკუტის შტატიდან და ეს პოსტი 1963 წლამდე ეკავა, რითაც ბუშების ოჯახის ტრიუმფალურ არსებობას ჩაუყარა საფუძველი ამერიკის პოლიტიკაში. ერთადერთი წიგნი, რომელიც დეტალურად აანალიზებს UBC-ს საქმიანობას, უებსტერ ტერლისა და ანტონ ჩეიტკინის კვლევაა: „ჯორჯ ბუში: აკრძალული ბიოგრაფია", სადაც ნათქვამია: „პრეზიდენტის ოჯახმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰიტლერის დაფინანსებასა და შეიარაღებაში ხელისუფლების სათავეებთან მისი აღმასვლისას და ხელი შეუწყო ნაცისტების სამხედრო ინდუსტრიის გაძლიერებას, იმ ნაცისტებისა, რომლებიც ამერიკის წინააღმდეგაც იბრძოდნენ".

ჯორჯ ბუშ-უფროსმა — ნავთობის შეიხთა, გენერალ ნორიეგასა და სადამ ჰუსეინის მეგობარმა, პრესკოტ ბუშის ვაჟმა, აშშ 41-ე პრეზიდენტმა, 1989 წლის იანვარში პოსტზე ასვლამდე სახელი გაითქვა ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის დიქტატორულ რეჟიმებთან კავშირებით. ჯერ კიდევ 1964 წელს, როცა ბუში-უფროსი კენჭს იყრიდა ტეხასის შტატის სენატში, მისმა ოპონენტმა, დემოკრატმა რალფ იარბორომ მას ქუვეითელ შეიხთა დაქირავებული პირი უწოდა და არცთუ უსაფუძვლოდ: ბუშს ნავთობის ჭაბურღილების მთხრელი სხვადასხვა ქუვეითური კომპანიის ვალი ჰქონდა, თუმცა მაშინ იარბოროს რემარკას არავინ მიაქცია ყურადღება. ბუშის ოპონენტებმაც კი მიიჩნიეს, რომ ეს განცხადება ზედმეტად ემოციური იყო, კანონით ხომ არავის ეკრძალებოდა უცხოურ კომპანიებთან ერთად ბიზნესის წარმოება.

1975 წელს ბუში ცე-რე-უს პირველი დირექტორი გახდა, რომელიც ამ პოსტზე ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობიდან მოვიდა. როგორც კევინ ფილიპსი ირწმუნება თავის წიგნში „ამერიკული დინასტია", ასეთ მაღალ და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით აგრერიგად გამორჩეულ საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელის პოსტზეც ბუში განაგრძობდა არაერთმნიშვნელოვანი საქმეების წარმოებას BCCI ბანკთან, რომელზეც ამერიკულ სპეცსამსახურებს ეჭვი ჰქონდათ, რომ შეიარაღებული ექსტრემისტების დაჯგუფებებს აფინანსებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბანკი პირდაპირ აფინანსებდა უსამა ბინ ლადენს, „ალ-ქაიდას" შემქმნელს. იმავე ავტორის მტკიცებით,

**ბუში, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ცსს-ს საქმიანობას ირანში, ავღანეთში, პაკისტანსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამერიკას კანონიერად მიეწოდებინა ამ ქვეყნებისთვის იარაღი.**

ეს ისტორია, რომელიც 70-იან წლებში დაუჯერებელი ჩანდა, ხელახლა გაცოცხლდა 1985 წელს, როცა ჟურნალისტებმა შეძლეს იმის დამტკიცება, რომ რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ბუშის (რომელსაც ვიცე-სპიკერის სავარძელი ეკავა) ადმინისტრაცია ფარულად მიჰყიდდა იარაღს ირანს, რაკილა მასში ერაყის საპირწონეს ხედავდა.

1977 წელს თეთრი სახლი დემოკრატმა ჯიმი კარტერმა დაიკავა. ერთ-ერთი პირველი საიდუმლო მოხსენება, რომელსაც ახალარჩეული პრეზიდენტი გაეცნო, ცე-რე-უს დირექტორის ჯორჯ ბუშის დასმენა იყო. აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როცა სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ საგარეო საქმეთა უწყება პანამის დიქტატორულ რეჟიმს გმობდა, ბუში არა მხოლოდ ხვდებოდა პანამას დიქტატორს, გენერალ მანუელ ნორიეგას, არამედ აფინანსებდა კიდეც. უფრო მეტიც, ნორიეგა, ფაქტობრივად, ხელფასს იღებდა ბუშისგან, როცა ყოველთვიურად აშშ ბიუჯეტიდან 110 ათასი დოლარი ერიცხებოდა. ფული მისკენ პირდაპირ კი არა, ჯაჭვურად მიემართებოდა და ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი ბანკი BCCI იყო. კარტერმა, როგორც კი მონაცემთა სისწორეში დარწმუნდა, დაუყოვნებლივ გაათავისუფლა ბუში, თუმცა პრესტიჟის შესანარჩუნებლად გამოძიება არ ჩაუტარებია და ცე-რე-უს ექს-დირექტორისა და პანამას პრეზიდენტის განსაკუთრებულ ურთიერთობათა მოტივები ამოცანად დარჩა.

1981 წელს სახელმწიფოს მეთაური რესპუბლიკელი რონალდ რეიგანი გახდა, რომელმაც ჯორჯ ბუშის ხილვა ვიცე-პრეზიდენტად ისურვა. 1986 წელს 1985 წლის სკანდალი არა მხოლოდ რეანიმირებული, არამედ სიახლეშეძენილი იყო: ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ რეიგან-ბუშის ადმინისტრაციამ მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ერაყის დიქტატორ სადამ ჰუსეინთან. ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ამერიკის სპეცსამსახურები ბაღდადს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ინფორმაციას უზიარებდნენ ირანში არსებული ვითარების შესახებ, რომელთანაც ერაყი ომობდა. უფრო მეტიც, პენტაგონი აწვდიდა ერაყს შეიარაღებას. როგორც საარქივო ინფორმაციიდან ჩანს,

**აშშ ერაყში აგზავნიდა ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვების მმართველ დანადგარებს. ერაყისთვის იარაღის გადაცემა ხორციელდებოდა „იარაღის ექსპორტზე კონტროლის აქტის" დარღვევით, რომელიც ითხოვს, რომ იარაღის მიწოდება კონგრესის მიერ მოწონებული, პრეზიდენტის წერილობითი ნებართვით ხდებოდეს.**

ბუშ-უმცროსის პირადი ქონება 11-დან 20 მლნ დოლარამდეა შეფასებული. ასეთი დიდი რიცხვობრივი სხვაობა იმით აიხსნება, რომ ამერიკის კანონების მიხედვით, ქონების ზუსტი რაოდენობა და შემოსავლის წყაროები ცნობილია მხოლოდ საგადასახადო სამმართველოსთვის. ზუსტი მონაცემების მოპოვება ექს-პრეზიდენტისა და ბუშების მთელი ოჯახის ყველა აშკარა მოწინააღმდეგესაც არ შეუძლია.

1933 წელს, დიდი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ბუში-უფროსი ბიზნესში დაბრუნდა და ამჟამად სხვა კომპანიების შემსყიდველ და გადამყიდველ კომპანიაში მუშაობს. გაიხსენეთ, როგორ მუშაობს ელექტრომაგნიტური იარაღი ასეთი გარიგებების დროს. ეს ბიზნესმენებისა და ბიზნესის მკვლელი ფირმაა. მხოლოდ ეკრანირებული შენობის მქონე და ელექტრომაგნიტური იარაღით აღჭურვილ ფირმას მკვიდრი ფინანსური მარაგის პირობებში შეუძლია, გაუძლოს გაყიდვის ცდუნებას.

ჟურნალისტები არაერთგზის წერდნენ აშშ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ფრანკ კარლუჩის, აშშ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინისა და პენტაგონის ექს-შეფის დონალდ რამსფელდის შეხვედრების შესახებ (როცა ისინი ჯერ კიდევ თანამდებობაზე იყვნენ). მათი მოლაპარაკებები სწორედ იმ დროს მიმდინარეობდა, როცა კომპანია „კარლაილი" ახალ სამხედრო პროექტებზე მუშაობდა. „კარლაილი მჭიდრო კავშირშია ამჟამინდელ ადმინისტრაციასთან, — ამბობდა ჩარლზ ლუისი, საზოგადოებრივი სოლიდარობის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ერთ-ერთ ინტერვიუში, — იმ დროს, როცა ბუში-უმცროსი პრეზიდენტია, ბუში-უფროსი ფულს, კერძოდ, თუმცაღა მთავრობის სრული მხარდაჭერით აკეთებს." „კარლაილის" ინვესტიციების

საერთო მოცულობამ 2001 წლის ბოლოს 12 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო წლიურმა შემოსავალმა 34 პროცენტს მიაღწია. ფირმის წარმატების საიდუმლო ისაა, რომ მისი მოღვაწეობის ობიექტები რეგულირებადი და კონტროლირებადი სამთავრობო კომპანიები არიან, მისი პროექტების ორი მესამედი კი სამხედრო და სატელეკომუნიკაციო სისტემების განვითარებას უკავშირდება. გარდა ამისა, კომპანია საუდის არაბეთის ხელისუფლებისა და ბინ ლადენის უზარმაზარი, განშტოებული და მდიდარი კლანის ოფიციალური ეკონომიკური მრჩეველია.

მიუხედავად ვითომდა უსამას განხეთქილებისა enfant terrible ოჯახობასთან (რაშიც ამერიკის სპეცსამსახურებს ეჭვი ეპარებათ), ბინ ლადენის კლანი და მასთან ერთად „კარლაილიც“ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების მომზადების გარემოებების გამოძიების საქმეში გადიოდნენ. ამის საფუძველზე ლარი კლეიმანმა — ერთ-ერთი იურიდიული კომპანიის პრეზიდენტმა საჯაროდ ურჩია ბუშ-უფროსს, დაუყოვნებლივ გამოსულიყო „კარლაილ გრუპიდან,“ რადგან „თავად იდეა, რომ პრეზიდენტის მამა და თავად ყოფილი პრეზიდენტიც ბიზნესს აწარმოებს კომპანიასთან, რომლის საქმიანობასაც 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით გფბ იძიებს, საშინელია.“

### ჯებ ბუში: „კონტრასისა“ და ნარკოდილერების პარტნიორი

ბუშ-უმცროსის უფროსი ძმის, ფლორიდის შტატის გუბერნატორის ჯონ ელის ბუშის (ჯებ ბუშის) ინტერესები ცენტრალურ ამერიკაშია კონცენტრირებული. 1988 წელს ჯებ ბუში მოიხსენიეს სენატის საერთაშორისო საქმეების ქვეკომიტეტის მოხსენებაში. ქვეკომიტეტმა მოისმინა სხვადასხვა მოწმის ჩვენება აშშ-ში ლათინოამერიკელი ნარკომოვაჭრეების ფულის გათეთრების შესახებ. კონკრეტულად, რომელმა მოწმემ მოიხსენია ჯები, ჯერჯერობით გამოქვეყნებული არაა, თუმცა, როგორც ამერიკელმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ჯებს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მიგელ რეკარეისთან, რამდენიმე დიდი საავადმყოფოს გამაერთიანებელ დაწესებულებასთან. დანამდვილებითაა ცნობილი, რომ იმ დროს ჯები ჩრდილოეთ ფლორიდაში სამშენებლო ბიზნესით იყო დაკავებული. რეკარეი კი, როგორც ძიებამ გაარკვია, საბიუჯეტო სახსრებს ათეთრებდა. 1981 წლიდან 1987 წლამდე ბიუჯეტიდან ყოველთვიურად მიღებული 30 მლნ დოლარიდან დაწესებულებამ დაახლოებით 1 მლრდ დოლარი გაათეთრა. გარდა ამისა, დაწესებულების შემოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულება სამედიცინო მომსახურებას უწევდა ნიკარაგუელი დიქტატორის ანასტასიო სომოსა დებაილეს მომხრე „კონტრასის“ ლიდერებს. თავად სომოსა აშშ რესპუბლიკურ ადმინისტრაციასთან მეგობრობდა. ბევრი ანალიტიკოსის მტკიცებით, ჯებ ბუში ცე-რეუს ყოფილი ოფიცრის, ვინმე ხოსე ბასულტოს, საქმიანი პარტნიორი იყო. ბასულტომ დააარსა ეს სამედიცინო დაწესებულება და საკუთრივ ფულის გათეთრებით დაკავდა. სხვადასხვა დროს ამერიკის მასმედიაში ქვეყნდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ

**ჯებ ბუში ლეონელ მარტინესის, მაიამის მკვიდრისა და ფლორიდაში კუბური ნარკომაფიის ერთ-ერთი საკვანძო წარმომადგენლის მეგობარი იყო.**

ამერიკული სპეცსამსახურების მონაცემებით, 1985-დან 1986 წლამდე მარტინესმა ფლორიდაში 1,5 ტონაზე მეტი კოკაინი შეიტანა. 1989 წელს აშშ ტერიტორიაზე 300 კგ კოკაინის შეტანის მცდელობისას ის დააპატიმრეს.

### ჯორჯ ბუშ-უმცროსი: ბუჩქობიდან პრეზიდენტობამდე

ის ბუშების კლანის ერთადერთი წარმომადგენელია, რომელიც მხოლოდ ერთ სკანდალში გაეხვა და ისიც — ირიბად. ბუშ-უმცროსი ბიზნესში 70-იანი წლების ბოლოს მოხვდა, როცა კომპანია arbusto energy („არბუსტო“ ესპანურად ბუჩქს ნიშნავს, ისევე, როგორც ბუში — ინგლისურად). 1979 წელს ბუშების ოჯახის ჰიუსტონელმა მეგობარმა ჯეიმს ბატმა, უსამა ბინ ლადენის ძმის — სალემის ოჯახის ერთადერთმა ბიზნესწარმომადგენელმა აშშ ტერიტორიაზე, arbusto energy-ში 50 ათასი დოლარი დააბანდა კომპანიის მოგებიდან ხუთპროცენტიანი წილის სანაცვლოდ. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ასეთმა საქმიანმა კავშირებმა აშკარად ბუშის კომპრომეტირება მოახდინა. ამასთან დაკავშირებით, 2001 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ერთდროულად სამი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადება გააკეთა. პირველ განცხადებაში ის უგულებელყოფდა ბინ ლადენთან რაიმე სახის კავშირს და ამტკიცებდა, რომ ბატმა არბუსტოში საკუთარი ფული დააბანდა. შემდეგ ბუშმა დაიჟინა, რომ ბატს არავითარი კავშირი არ ჰქონდა არბუსტოსთან და, უფრო მეტიც, თვითონ მას არც კი იცნობდა. მესამე განცხადებაში ბუშმა აღიარა: ბატს ჩემს კომპანიაში წილი ჰქონდა და ისიც ვიცოდი, საუდის არაბეთის მავანი კომპანიების ინტერესებს რომ წარმოადგენდაო.

ამავე დროს, ბატის კონტაქტები ბინ ლადენის ოჯახთან კავშირით არ შემოიფარგლებოდა. მან საქმიანი ურთიერთობები დაამყარა სკანდალურად ცნობილ ბანკ BCCI-თან, რომელიც უშუალოდ ბინ ლადენს აფინანსებდა. ჯერ კიდევ 80-იან წლებში, როცა BCCI-ს ხალიდ ბენ მაფუზი ედგა სათავეში, რომელიც საუდის არაბეთის ნაციონალური კომერციული ბანკის აღმასრულებელი დირექტორიც იყო, ბანკი თაღლითობაში დაადანაშაულეს: ბანკმა მეანაბრეები მოატყუა და 10 მლრდ დოლარი აზარალა. ამ საქმეს საბანკო საქმის ისტორიაში ყველაზე დიდი თაღლითობა უწოდეს. ამავე დროს, 1986 წელს, კომპანია „არბუსტოს“ (რომელსაც უკვე harken energy corporation ეწოდებოდა) 17,6 პროცენტი საუდის არაბეთის შეიხის აბდულ ტახი ბახშის საკუთრება იქცა. ტახი ბახში არაბეთში ჰიუსტონის ბანკის — main bank-ის ხელმძღვანელის გეიტ ფარაონის ბიზნესპარტნიორი გახლდათ. აბდულა ბახშის ერთ-ერთი მთავარი საქმიანი პარტნიორი ხალიდ ბენ მაფუზი იყო (უსამა ბინ ლადენის ცოლის უფროსი ძმა), რომლის ხელშიც გადავიდა 1988 წელს გარდაცვლილი სალემ ბინ ლადენის საქმეები. მას შემდეგ ბატი ბენ მაფუზის ინტერესებს წარმოადგენდა. 1991 წელს ამერიკული გაზეთი „the wall street journal“ წერდა: BBCI-ს მენეჯერებმა ბუშების საოჯახო ბიზნესთან კავშირი იმიტომ დაამყარეს, რომ პრეზიდენტის ვაჟთან ახლოს ყოფილიყვნენ, თუმცა ვითარება გაცილებით უარესი აღმოჩნდა. 1992 წელს ბატი გფბ-ის გამოძიების ფიგურანტად იქცა: მას იმაში ადანაშაულებდნენ, რომ საუდის არაბეთის ბიზნესმენების ფულს ჰიუსტონის გავლით, რეიგანისა და ბუში-უფროსის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად რიცხავდა. 1999 წელს საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ხელი შეუშალა ბენ მაფუზს, 3 მლრდ დოლარი უშუალოდ ბინ ლადენისთვის გადაეცა.




# როგოზინმა სააკაშვილს „რუსოფობების მიერ შექმნილი კიბორგი“ უწოდა



**— 2008 წლის აგვისტოს მოვლენები რუსეთისა და ნატოს რეალური პარტნიორობისაგან შორსმყოფი ურთიერთობების ერთ-ერთი შედეგია, — განაცხადა რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოში დიმიტრი როგოზინმა.**

— ზოგიერთმა დასავლურმა ზესახელმწიფომ ნატოს ფარგლებში რუსეთისთვის საპირწონეების შექმნა მოინდომა, თანაც სავსებით შეგნებულად. საქართველოს მილიტარიზაციაც ამ მიზანს ემსახურებოდა: შეეკავებინათ რუსეთი და მისთვის დამატებითი პრობლემა შეექმნათ. შედეგად ახლანდელი სააკაშვილი მივიღეთ. იგი ნატოს ქარხანაში ცალკეული რუსოფობი ინჟინრების მიერ დამზადებული კიბორგია, — ხაზგასმით აღნიშნა როგოზინმა.

**მისივე თქმით, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა „შეგნებულად ან გაუაზრებლად, მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ალიანსში მიწვევით, ფაქტობრივად, მათი უგუნური ქმედებების ინსპირირება მოახდინა... ტყუილია, რომ ნატოში შესვლა ამ ქვეყნების რუსეთთან ურთიერთობას დაასტაბილურებს. ეს ნატოს მიერ ტირაჟირებული პროპაგანდისტური მითია“.**

როგოზინი მიიჩნევს, რომ ლიტვას „ნატოში შესვლამ და ამ ქვეყნის არაკეთილმეზობლურმა, არამეგობრულმა დამოკიდებულებამ უწყვეტ და უვიზო კალინინგრადის ტრანზიტთან დაკავშირებით რუსეთთან ურთიერთობები გაურთულა“. ლატვიისა და ესტონეთის შემთხვევაში კი „ეს ქვეყნები ეთნიკურ საზოგადოებებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების სიმბოლოების — ისტორიული ძეგლების განადგურებამდე მიიყვანა“.

უკრაინისთვის ნატოში შესვლის დაპირებამ „პოლიტიკური ცხოვრების უკიდურეს პოლარიზებას“ შეუწყო ხელი.

**— საქართველოს ნატოში მიღების დაპირება სააკაშვილმა აღიქვა როგორც თბილისისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სიცოცხლის განადგურების ინდულგენცია,** — თქვა როგოზინმა, — **შედეგად თავად საქართველო დაზარალდა. სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა დაამტკიცეს თავიანთი ეროვნული ღირსება და მოიპოვეს დამოუკიდებლობა. საქართველოს რეპუტაცია კი შეილახა და დღეისათვის ნულს უტოლდება, ხოლო სააკაშვილის რეპუტაცია მინუს უსასრულობის დონეზეა.**

# პოლონელებმა მარათონელები სტეფან ბანდერას კვალზე არ გაატარეს

**ველომარათონის „სტეფან ბანდერას ევროპულ ბილიკებზე“ მონაწილეებს არამართებულად გაფორმებული ვიზების გამო პოლონეთში შესვლის უფლება არ მისცეს.**
**მარათონის ორგანიზატორმა საქველმოქმედო ფონდ „ეკო-მოწყალების“ მმართველობის მეთაურმა პავლე სევჩუკმა აღნიშნა, რომ მარათონის მონაწილეები პოლონეთის მესაზღვრეებმა ჯერ დააკავეს, შემდეგ კი მათ პოლონეთის ტერიტორიაზე შესვლის ამკრძალავი ოფიციალური დოკუმენტი მისცეს.**



მოგვიანებით პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომაშ სემონიაკმა განაცხადა, რომ „პოლონეთის ვიზის მისაღებად განაცხადი არ შეესაბამებოდა ველოსიპედისტების პოლონეთში ყოფნის ნამდვილ მიზანს“.

სტეფან ბანდერას ცხოვრებასთან დაკავშირებულ ადგილებზე რეიდის ჩატარების იდეას პოლონეთის მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღშფოთებით შეხვდნენ. საზღვარზე პოლონეთის მხარეს ათობით პოლონელი იდგა ტრაფარეტებით „ბანდერა ფაშისტია!“

შეგახსენებთ, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში სტეფან ბანდერას ბრძანებით უკრაინელმა ნაციონალისტებმა 150 ათასამდე მშვიდობიანი პოლონელი გამოასალმეს სიცოცხლეს. მარათონის მონაწილეებს სურდათ, პოლონეთის სამხრეთით გაევლოთ და მიუნჰენში ჩასულიყვნენ სწორედ ამ ქალაქში მოკლული სტეფან ბანდერასათვის პატივის მისაგებად.

# დსთ-ს მთელ რიგ ქვეყნებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობები იძაბება

**ეკონომიკური კრიზისისა და პოლიტიკური სიტუაციის გართულების შედეგად ქსენოფობიისა და ეროვნებათაშორისი უთანხმოებების გამოვლინებები გამძაფრდება. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმერ ზორინი თვლის, რომ დსთ-ს ქვეყნებს ეს არ ასცდებათ.**

მისივე თქმით, შექმნილმა მდგომარეობამ შესაძლოა, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რომელსაც ექსპერტები „თანდათან გამძაფრებადს“ უწოდებენ, ამავე დროს, გასათვალისწინებელია მიგრაციის ფაქტორიც.

**„რუსეთის 40-მდე რეგიონში ჩატარებული მონიტორინგის მონაცემების მიხედვით, შეუწყნარებლობის გამოვლინებები ჩვეული ამბავი არაა და ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში ლოკალურ ხასიათს ატარებს“,** — განაცხადა ზორინმა იმის დასადასტურებლად, რომ რუსეთის ფედერაციაში სხვადასხვა ერებს შორის ურთიერთობის მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესადაა.

ეთნოლოგიური მონიტორინგისა და კონფლიქტების შესახებ ნაადრევი გაფრთხილების ინსტიტუტის 2008 წლის მოხსენების მიხედვით, რუსეთის ფედერაციაში ამ მხრივ დაძაბულობის დონე დაბალია და 2003 წლიდან აღნიშნული მაჩვენებელი უკეთესობისკენ მიდის.

**ზორინის განცხადებით, ეს დასკვნა ცალსახად უპირისპირდება დღესდღეობით ტირაჟირებად მტკიცებებს იმის შესახებ, თითქოს რუსეთში ქსენოფობია და ერებს შორის დაძაბულობა მატულობს.**

მისივე აზრით, შეშფოთების მიზეზს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის ბირთვში შექმნილი სიტუაცია იძლევა და ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი პრობლემების თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ყველა დონის სახელისუფლებო სტრუქტურები და მთელი საზოგადოება საკუთარ ძალისხმევას გააერთიანებენ.

19 - 25 აგვისტო, 2009 წელი. №26
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იქიდანა და ჩვენამდე პრობლემები გვაქვს ყელამდე

## პინოჩეტისა და სააკაშვილის რეჟიმების შეხების წერტილები

**დასასრული. დასაწყისი იხ. №25**

„საქართველო და მსოფლიოს“ 25-ე ნომრის პუბლიკაციაში — „იქიდანა და ჩვენამდე პრობლემები გვაქვს ყელამდე“ — მკითხველი გაეცნო იმ შეხების წერტილებს, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების პრაქტიკულ პოლიტიკასა და პინოჩეტის დიქტატორულ რეჟიმებს შორის დააფიქსირეს მკვლევარებმა.
დღეს ვაგრძელებთ ამ თემას. შეგახსენებთ, რომ ჩვენს სტატიას საფუძვლად უდევს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, აშშ სამხედრო დაზვერვის ყოფილი თანამშრომლის სტივ კანგასის ნაშრომი „ჩიკაგოელი ბიჭები და ჩილეს ეკონომიკური სასწაული“.





დიქტატორებს მოსწონთ, როცა ექიმებიან

### ასპარეზზე გამოდიან „ეკონომიკური მკვლელები“

სტივ კანგასი მიიჩნევს, რომ ჩილესთან ერთად ორი სხვა აღმაშფოთებელი მაგალითიც უნდა დასახელდეს, კერძოდ, — პერუ და ბრაზილია. ჯონ პერკინსი კი თვლის, რომ ამგვარი

### დაკაბალების მაგალითი მესამე სამყაროში უამრავია: ეკვადორი, კოლუმბია, ინდონეზია და ასე შემდეგ.

მის ბესტსელერში „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“, რომელიც ქართულად ვახტანგ ხარჩილავას რედაქტორობით გამოიცა, პერკინსი სულისშემძვრელი პირდაპირობით აცხადებს: **„ეკონომიკური მკვლელები... სხვადასხვა სახელმწიფოს მილიონობით დოლარს სცინცლავენ. ფულს, რომელსაც ეს ქვეყნები მსოფლიო ბანკისგან, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAYD) და სხვა „დახმარების“ გამწევი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან იღებენ, ისინი (ეკონომიკური მკვლელები) დიდძალ თანხას გადაქაჩავენ უმსხვილესი კორპორაციების სეიფებსა და რამდენიმე უმდიდრესი ოჯახის ჯიბეებში, რომლებიც მსოფლიოს ბუნებრივ რესურსებს აკონტროლებენ. იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა: თაღლითური მანიპულაციები ფინანსური ანგარიშებით, ჩაწყობა არჩევნების დროს, ქრთამი, გამოძალვა, სექსი და მკვლელობა. ისინი თამაშობენ სამყაროსავით ძველ თამაშს, რომელიც ახალ, გლობალიზაციის ხანაში საშიშ ფორმას იღებს“.**

ვერ გეტყვით, რამდენად ახლოს იდგნენ „ჩიკაგოელი ბიჭები“ „ეკონომიკურ მკვლელებთან“, მაგრამ მათი საქმიანობის შედეგები რომ მსგავსია, ფაქტია.

შოკური თერაპიის პირველი ფაზის განხორციელებისას ჩილეს მთავრობამ ფულადი მასა და სამთავრობო ხარჯები შეამცირა, რამაც ინფლაცია კი დაამუხრუჭა, მაგრამ 1974-1975 წლებში უმუშევრობა 9,1-დან 18,7 პროცენტამდე გაზარდა, რაც, როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, აშშ-ის „დიდი დეპრესიის“ დროინდელ დონეს აღწევს.

ალბათ, არ არის საჭირო, გაგახსენოთ საქართველოს ხელისუფლების მიერ იმავე მოტივაციით საბიუჯეტო სტრუქტურებიდან ათასობით ჩვენი მოქალაქის დათხოვნა, რომლებმაც შეავსეს უმუშევართა ისედაც დიდი არმია.

საქართველოში ეს ქირურგიული ოპერაცია კადრების გაახალგაზრდავების ლოზუნგით ჩატარდა. გარემოს დაცვის ერთმა უგნურმა მინისტრმა პრეზიდენტის ტაქტიკის მხარდასაჭერად და მიხეილ სააკაშვილისთვის თავის მოსაწონებლად ისიც კი განაცხადა, რომ 40 წლის ხეებიც კი ეზარება, არათუ თანამშრომლები.

მაქსიმალისტის უზნეობაა!

### სახელმწიფო სტრუქტურებში მივიდნენ გამოუცდელი და არაპროფესიონალი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი უვიცობითა და წრეგადასული ამბიციურობით კიდევ უფრო დაამძიმეს შექმნილი ვითარება.

სამაგიეროდ, ხელისუფლებამ გაიმრავლა და განიმტკიცა მხარდამჭერთა მასა და ზურგგამაგრებულმა დაიწყო რეპრესიები, „სატელევიზიო დაპატიმრებები“, რომლებიც კორუფციის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლად მონათლეს.

ჩილეშიც ასე მოხდა: „შოკის“ პოლიტიკური შედეგების ასაცილებლად პინოჩეტის რეჟიმმა დაიწყო კამპანია ოპოზიციის პოტენციური ლიდერების წინააღმდეგ. ბევრი მათგანი „გაქრა“. მუშებმა ეკონომიკური პროგრამა იარაღით დაშინების გამო მიიღეს.

დავაზუსტოთ: საქართველოში „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ მთავრობას ეკონომიკური განვითარების არავითარი პროგრამა არ ჰქონია, მაგრამ ეკონომიკური ზრდა მაინც შეიმჩნეოდა.

რატომ?

ჩილეს მაგალითზე განვიხილოთ.

„1976-დან 1981 წლამდე, — წერს სტივ კანგასი, — მიაღწიეს იმას, რასაც „ჩიკაგოელმა ბიჭებმა“ „ეკონომიკური სასწაული“ უწოდეს. ამ პერიოდში ეკონომიკა იზრდება 6,6 პროცენტით წელიწადში (აშშ-ში, ჩვეულებრივ, 2,5 პროცენტით). „ჩიკაგოელმა ბიჭებმა“ გააუქმეს უცხოეთიდან პირდაპირი ინვესტიციებისთვის დაწესებული თითქმის ყველა შეზღუდვა და შექმნეს „უცხოელი ინვესტორებისთვის მომხიბლავი გარანტიების პაკეტი“ „წარმოუდგენლად ხელსაყრელი“ პირობებით. უცხოური ინვესტიციები და სესხები მოზღვავდა ჩილეში... 507 სახელმწიფო საწარმოდან, რომლებიც ჩილეში ალიენდეს დროს და უფრო ადრე იყო შექმნილი, „ჩიკაგოელმა ბიჭებმა“ ხელუხლებლად მხოლოდ 27 დატოვეს“.

რას ეფუძნებოდა ჩილეს „ეკონომიკური სასწაული“? — ეფუძნებოდა უბრალო ეკონომიკურ წესს: **რაც უფრო ღრმაა დეპრესია, მით უფრო დიდია შემდგომი ზრდა.** ეკონომისტებმა იციან, რომ ასეთი ზრდა ეკონომიკას ხშირად აბრუნებს იქ, სადაც ადრე იყო. ამის დამადასტურებელ ყველაზე უტყუარ და აშკარა მაგალითად ასახელებენ აშშ „დიდ დეპრესიას“. 1936 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 14 პროცენტს მიაღწია, რაც მშვიდობიან პერიოდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო აშშ მთელი ისტორიის მანძილზე. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ დროს ამერიკელები იდეალურ პირობებში ცხოვრობდნენ. ეკონომიკამ, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, მხოლოდ **დაიბრუნა დაკარგული პოზიციები**. ასე მოხდა ამერიკის 1980-82 წლების დეპრესიის (რომელიც „დიდი დეპრესიის“ შემდგომი პერიოდის ყველაზე უარესი დეპრესია იყო) მომდევნო შვიდწლეულში, როცა დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა „რეიგანის წლების“ სახელწოდებით.

### ეკონომიკის უფასო კურსი მსურველთათვის

აქ უპრიანია ეკონომიკური განათლების ბლიცკურსის მოწყობა. მკითხველებს მივაწვდი ინფორმაციას ეკონომიკური ცოდნის საფუძვლების ორი მნიშვნელოვანი იდეის შესახებ.

**პირველი. დროის ხანგრძლივი მონაკვეთების განმავლობაში ეკონომიკა ყოველთვის იზრდება და ვითარდება.** ასე ხდება იმიტომ, რომ იზრდება მოსახლეობის რაოდენობა; ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის წყალობით მუშაკი დროის ერთეულში მეტ პროდუქციას ამზადებს. ასეთი ხანგრძლივი ზრდა ხანმოკლე რყევებით, რეცესიებითა და შემდგომი ზრდით ხასიათდება.

**მეორე იდეა არის განსხვავება რეალურ და პოტენციურ მწარმოებლურობას შორის.**

### რეცესიის დროს რეალური წარმოება ეცემა — მილიონობით დასაქმებული სამუშაოს კარგავს, ქარხნები ჩერდება, მაგრამ პოტენციური წარმოება ხელუხლებელი რჩება. აღმავლობის დროს რეალური წარმოება კვლავ უახლოვდება პოტენციურს.

სამუშაოდან გათავისუფლებულები უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს. მოჩვენებითი ზრდაა.

ასე მოხდა ჩილეშიც „ეკონომიკური სასწაულის“ დროს — გათავისუფლებული მუშები დასაქმების ადგილებს დაუბრუნდნენ. ეს იყო და ეს. სპეციალისტების გამოთვლით, ასეთი აღმავლობის წყალობით ჩილე ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ბოლოდან მეორე ადგილზე აღმოჩნდა. უარესი სიტუაცია მხოლოდ არგენტინაში იყო.

**საქართველოში ეს „მოჩვენებითი ზრდაც“ სანატრელია.**

მკვლევარები ხაზს უსვამენ, რომ ჩილეს აღმავლობის უდიდესი ნაწილი ხელოვნური და ფიქტიური იყო. 1977-1981 წლებში **ეკონომიკური ზრდა შეეხო არამწარმოებლურ სექტორებს — მარკეტინგსა და ფინანსურ მომსახურებას.** ზრდის ძალიან დიდი წილი საერთაშორისო სპეკულანტებზე მოდის, რომლებიც, როგორც ბუზები თაფლს, ისე დაეხვივნენ ჩილეს, სადაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები იყო — 51 პროცენტი.

ჩვენი მკითხველი, ალბათ, დარწმუნდა, რომ **პრაქტიკულად ჩილეში არავითარი „ეკონომიკური სასწაული“ არ მომხდარა. პინოჩეტის მმართველობის პერიოდში ჩილეზე უარესი მდგომარეობა ლათინური ამერიკის მხოლოდ ხუთ ქვეყანაში იყო.**

მაგრამ

### „ჩიკაგოელი ბიჭები“ და მათი აპოლოგეტები ისე აქებდნენ და ისე განადიდებდნენ ჩილეს ეკონომიკის მიღწევებს, როგორც მიხეილ სააკაშვილი ცდილობს კეთილდღეობის კუნძულად საქართველოს წარმოჩენას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ბობოქარ ოკეანეში.

მსგავსება და ასეთი?!

### „ეკონომიკური სასწაული“, რომელმაც გაალატაკა ხალხი

„ქვეითს ჭკუა არა ჰქონდა, ცხენზე შეჯდა და ვინლა მიაწვდიდაო“, — ასე სჩვევია მაღლა ასვლას. ახლა წარმოიდგინეთ, ეს ქვეითი ისე აიწია, რომ ქვეყნის სათავეში მოექცა. იმას მისწვდება ვინმე ჭკუის მისაწოდებლად?!

ხელისუფლების ტახტის სიმაღლიდან ყველაფერი ისე ჩანს, როგორც იქ მჯდომარეს სურს, სტატისტიკის ჭიაღუა ციფრები რა სახსენებელია!

არადა, სწორედ ეს მაჩვენებლები მეტყველებს, ჩილეს ქაოტური ეკონომიკა (საქართველოს სად აქვს ეკონომიკა?!) და მისი უმნიშვნელო ზრდა „ჩიკაგოელი ბიჭების“ საქმიანობის ყველაზე ცუდი შედეგი არ არის. ყველაზე ცუდი, თქვენც შესანიშნავად ხვდებით, ხალხის, კერძოდ, **მშრომელი ადამიანების**

**ცხოვრების დონის კატასტროფული ვარდნაა.**

**ზუსტად ისე, როგორც — ჩვენთან.**

მკვლევარების აზრით, სწორედ ეს არის რეჟიმის ისტორიის, ეგებ, ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი თავი. **ყველა პარამეტრით, საშუალო მუშა 1989 წელს (შეგახსენებთ — „ეკონომიკური სასწაულის" პიკზე) 1970 წელზე (სამხედრო გადატრიალებამდე) უარესად ცხოვრობდა. დროის ამ მონაკვეთში ეროვნული შემოსავლის წილი, რომელიც მუშებზე მოდიოდა, 52,3 პროცენტიდან 30,7 პროცენტამდე დაეცა. ეკონომიკის „მეორე ბუმის" დროსაც კი (1984-89) — კვლავ და კვლავ მცირდებოდა.**

**უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა (1989 წელს — 41,2 პროცენტი). მაშინ პინოჩეტის ხელისუფლებამ მოწყალება გაიღო და უფასო სუპის სამზარეულოები გახსნა.**

**ჩვენმა ხელისუფლებამაც სუპის სახვრეპი სასადილოები ჩამოგვირიგა.** 100 ასეთ სასადილოს ჰპირდებოდნენ ღარიბ-ღატაკებს, რამდენი გაიხსნა, არავინ უწყის.

სამაგიეროდ, ყველამ იცის და ყველა ხედავს, რომ, როგორც ტერიტორიადაგლეჯილ სერბეთში ბოშები, საქართველოში ქართველები ნაგვის ყუთებში ქექვით პოულობენ თავის გადასარჩენ „სარჩოს".

**ამასობაში მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ. მოსახლეობის უმდიდრესი ფენა (20 პროცენტი) ეროვნული შემოსავლის თავის წილს განუხრელად ზრდიდა. ღარიბები კიდევ უფრო გაღატაკდნენ.**

ჩვენი მდიდრული ფენის პროცენტული რაოდენობა, როგორც ეკონომისტი მეცნიერები ამბობენ, ჯერ არავის დაუთვლია, თუმცა ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობის 20 პროცენტზე გაცილებით ნაკლებია — **საქართველოში ხელის გულზე დევს და თვალნათელია უკიდურესი სოციალური კონტრასტი.**

ან ვინ ჩაახედებდა ელიტარულ კორუფციონერთა ანგარიშებში, ანუ ძლიერთა ამა ქვეყნისათა შემოსავალს ვინ დაათვლევინებდა?

**ჩილეში — ვიცით: უმდიდრესი 10 პროცენტის წილად 1980 წელს ეროვნული შემოსავლის 36,5 პროცენტი მოდიოდა, ხოლო 1989 წელს — „ეკონომიკური სასწაულის" „განუხრელი ზრდის" კვალზე — 46,8 პროცენტამდე გაიზარდა. უღარიბესი მოსახლეობის წილი (50 პროცენტი) კი 20,4 პროცენტიდან 16,8 პროცენტამდე შემცირდა.**

როგორ ჩამოყალიბდა ასეთი საოცარი უთანასწორობა იქაც და ჩვენთანაც?

## ეკონომისტები და პოლიტოლოგები მიდიან ერთ დასკვნამდე: ეს იყო და არის ერთიანი გეგმის წინასწარ გათვლილი შედეგი, უმუშევრობის მაქსიმალური დონის შესანარჩუნებლად განხორციელებული.

რაც უფრო იზრდება უმუშევართა რაოდენობა, მით უფრო მცირდება ხელფასი — უმუშევრები იძულებულნი არიან, დათანხმდნენ ისეთ ანაზღაურებას, რომლის დონე სიღარიბის ზღვარს მიღმაა.

შრომის ბაზარი, ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, მოთხოვნითა და მიწოდებით იმართება. გავშიფროთ მაგალითით: წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც მუშაკთა რაოდენობა ზუსტად ემთხვევა სამუშაო ადგილების რაოდენობას, რომელთაც (თითოეულს) დამსაქმებლები საათში 10 დოლარს უხდიან. რა შედეგს მივიღებთ, თუ ამ ეკონომიკას დავუმატებთ მუშაკების გარკვეულ რაოდენობას?

მოხდება ელემენტარული რამ — შემცირდება ერთ საათში იმავე მოცულობის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.

ასე განგვიმარტავენ ეკონომისტები და ამ თეორიულ გათვლას აშშ-ის 1982 წლის რეცესიის დროს განვითარებული პროცესებით ადასტურებენ. აღნიშნული წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობამ ამ ქვეყანაში 11 პროცენტს მიაღწია, შედეგად, საათობრივი ანაზღაურება სამი წლის წინანდელ დონესთან შედარებით 50 ცენტით შემცირდა. საწინააღმდეგო მაგალითია 80-იანი წლების „მასაჩუსეტსის სასწაული", როცა უმუშევრობა არნახულად დაბალ დონემდე — 2,7 პროცენტამდე შემცირდა, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ „მაკდონალდშიც" კი მაღალი ხელფასების დაპირებით ცდილობდნენ მუშების შეტყუებას. ეს ხელფასები ორჯერ აღემატებოდა ლეგალურ მინიმუმს.

სამუშაო ადგილების შემცირების პოლიტიკას ჩილეში (იგულისხმება, — საქართველოშიც, თუმცა ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს) მხარს უჭერდა მსოფლიო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.




გზაგასაყარზე: სალვადორ ალიენდე მოკლეს, ზურაბ ჟვანია...

ძალიან მიამიტი უნდა იყოს კაცი, რომ დაიჯეროს, თითქოს, 2-3 საწარმოს პიარგახსნებით ჩვენი ხელისუფლება სერიოზულად ებრძვის უმუშევრობას. უდღეური საამქროების ასეთი საჩვენებელი „ამუშავება" ნაკუწებისგან თეთრი ძაფით სახელდახელოდ შეკერილ ფარდას ჰგავს, რომლითაც უხერხულ ადგილზე გამოხეული შარვლის დამალვა სურთ.

ჰორიზონტზე კი ჩრდილოეთის ციალივით ციმციმებს ლოზუნგი — „საქართველო — სიღარიბის გარეშე".

კვლავ ჩილე: 1975 წლის კრიზისის დროს უმუშევრობა აქ 18,7 პროცენტამდე ავარდა, შემდგომ ათწლეულშიც 15,7 პროცენტის დონეზე რჩებოდა, რაც ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ყველაზე უარესი მაჩვენებელი იყო. ასეთ ვითარებაში, ცხადია, შემცირდა ანაზღაურება, რამაც, თავის მხრივ, კომპანიების რენტაბელობას შეუწყო ხელი.

ამ დროს, როგორც წესი, წარმოიქმნება უკიდურესი უთანასწორობა: პრივატიზებული კომპანიების მფლობელთა მოგება არნახულად იზრდება, ხოლო ხალხი, მისი ის ნაწილიც კი, ვისაც სამუშაო აქვს, სულს ღაფავს.

**სოციალური უსამართლობა ამბოხისწინა სიტუაციას ქმნის, რომლის შეკავება ჩილეში პინოჩეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო ტერორის საშუალებით მოხერხდა.**

## თქვენ გამორიცხავთ ამბოხის შესაძლებლობას საქართველოში? ვითომ ასე ეფემერულია „მშიერი ბუნტები" კარსმომდგარ შემოდგომაზე წელში გაწყვეტილი ჩვენი ეკონომიკის პირობებში?

ფრთხილი ანალიტიკოსები უკან-უკან იყურებიან და ორჭოფულ პროგნოზს გვთავაზობენ: გააჩნია, როგორ პოლიტიკას განახორციელებს ხელისუფლება.

პინოჩეტმა ტერორის პოლიტიკა აირჩია. საქართველოშიც ასეთი პოლიტიკის ელემენტები გამოჩნდა, — ამბობს ოპოზიცია.

### დანაშაული კაცობრიობის წინაშე

სწორედ ასე აფასებენ ჩილელი დიქტატორის პოლიტიკას, რომელიც მან თავის ქვეყანაში განახორციელა.

უწინარეს ყოვლისა, გენერალმა ოპოზიციას შეუტია, აკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია, გარდა ერთისა — მმართველი პარტიისა; გააუქმა პროფკავშირები; ნამდვილი ნადირობა დაიწყო „კუდიანებზე", ყველაზე, ვინც მის რეჟიმს არ ეთანხმებოდა.

16-წლიანი ძალადობის სისხლიანი მაგალითები: ძალოვანმა სტრუქტურებმა სიკვდილით დასაჯეს, სულ ცოტა, 1500 აქტივისტი, სამუდამოდ განდევნეს — 15000, ციხეში გამოამწყვდიეს, აწამეს და „გააქრეს" ათასობით ადამიანი. ერთ-ერთი უფლებადამცველი ჯგუფის მონაცემებით, პინოჩეტს ბრალი ედება სამოქალაქო უფლებების დარღვევის 11536 შემთხვევაში, რაც მხოლოდ 1984-1988 წლებში უტყუარად დაფიქსირდა.

**დიქტატორმა შეცვალა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი და ხელისუფლების სათავეში ყოფნა 8 წლით გაიხანგრძლივა.**

## ეტყობა, კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება ტოტალიტარული აზროვნების ლიდერების საერთო ავადმყოფობაა. საქართველოს მაგალითიც მიუმატეთ თქვენთვის ცნობილ ისტორიულ ფაქტებს.

1986 წელს პინოჩეტს თავს დაესხნენ. გადარჩა. ქვეყანაში საალყო მდგომარეობა გამოცხადდა.

თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ გარე ძალებისა და მისი თანაშემწეების ზემოქმედებისა და რჩევის გათვალისწინებით, პინოჩეტმა დიქტატორისთვის სრულიად მოულოდნელი აქტი განახორციელა: ეკონომიკა „ჩიკაგოელ ბიჭებს" გადასცა, მოქალაქეებს თანდათან დაუბრუნა პოლიტიკური თავისუფლებანი, პოლიტიკურ პარტიებსა და პროფკავშირებს საქმიანობის უფლება დართო, მაგრამ მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში და კონტროლის პირობებში. დათანხმდა ახალი კონსტიტუციის მიღებას.

იმავე გზით ხომ არ აპირებს წასვლას მიხეილ სააკაშვილი? ოპოზიციის დიალოგზე მიწვევა, პარლამენტის კარების გახსნა ოპოზიციის იმ ნაწილისათვის, რომელმაც დახია თავისი მანდატები, უშიშროების საბჭოს სხდომაზე პარლამენტგარეშე ოპოზიციის შეშვება, საკონსტიტუციო საბჭოს შექმნა და სხვა ასეთი „სიახლე" ხომ არ ნიშნავს „გადემოკრატების" პინოჩეტის ვარიანტის გამეორებას?

დრო გვიჩვენებს.

დავუტოვოთ ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს საკამათოდ დებულება, რომლის თანახმადაც, „მართალია, ეკონომიკური თავისუფლება ხელს უწყობს პოლიტიკურ თავისუფლებას, მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც დამყარდება, ეკონომიკური თავისუფლების განადგურების ტენდენციის შემცველია" (**მილტონ ფრიდმანი**) და ყოველგვარი მინიშნების გარეშე ვთქვათ, რომ **აუგუსტო პინოჩეტმა საბოლოო ჯამში საკუთარ რეჟიმს თავადვე დაუსვა წერტილი, მაგრამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცა, თუმცა საპყრობილეს წლების სიმრავლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაურჩა.**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**



სტადიონი — კოლექტიური საპყრობილე. ეს ჩილეა...




ქუჩა — მასობრივი ანგარიშსწორების ადგილი. ეს საქართველოა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ცხვარიჭამია

## საგურამო



**მდინარე თეზმის ზედა დინებაში ხერკისა და იალონის მთები ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ ტყით დაფარულ მასივებში უღელტეხილს შეუმჩნევლად გადავდივართ... ცხვარიჭამიაში შევდივართ და ამდენად, ისტორიულ ხერკში წრიული, შემოვლითი გზით ვბრუნდებით: კოტორაანთკარი — გალავანი — საგურამო — ავჭალა — გლდანი — მამკოდა — მშრალხევი — ცხვარიჭამია.**



მამკოდის ღვთისმშობლის და წმიდა გიორგის ეკლესიები

ცხვარიჭამიის ცენტრში თოვლს თავი ვერ შეუნახავს, ზედა უბნები კი ისევ თეთრ სამოსელშია გახვეული. აქ ორი უძველესი ეკლესია გვაქვს სანახავი: **ამაღლებისა** და **წმ. გიორგისა**. პირველი მათგანი სოფლის სამხრეთ უბანში, სასაფლაოს თავში დგას და ხელოვნურ ბაქანზეა აღმართული.

ჩვენს წინაშეა გარდამავალი ხანის, VIII-IX საუკუნეთა მიჯნის, ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლი — ორფერდა, ერთიანი სახურავის ქვეშ მოქცეული სრულიად ორიგინალური სამეკლესიანი ტაძარი. სანამ მის აღწერას დავიწყებდეთ, ორ საგულისხმო ამბავზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება.

**პირველი:** 787-827 წლებში, ახალშექმნილ, დამოუკიდებელ კახეთის სამთავროს სათავეში ედგა ქორეპისკოპოსი (ქორიკოზი) გრიგოლი, რომელიც არამარტო მედგრად ებრძოდა არაბ დამპყრობებს, არამედ ცდილობდა დიდი ქართლის სამეფოს აღდგენას, რამეთუ ქართლის უკანასკნელი ერისმთავრის — ჯუანშერ არჩილის ძის მემკვიდრედ მიაჩნდა თავი. ასეთივე სურვილი ჰქონდა დიდ აშოტ კურაპალატს, მაგრამ, როგორც ფეოდალურ ეპოქას ახასიათებდა, ეს ორი დიდი სახელმწიფო მოღვაწე, გაერთიანების ნაცვლად, ერთმანეთს დაუპირისპირდა. ამ ბრძოლაში, თითქოს აშოტმა გაიმარჯვა მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქართლის სამეფო ვერ აღადგინა, ხოლო გრიგოლმა დასავლეთის საზღვრებში მთელი ქსნის ხევი შეინარჩუნა. სავარაუდოა, რომ არაბებთან დამარცხებული აშოტის ტაო-კლარჯეთში დამკვიდრების შემდეგ, გრიგოლმა ქსნის მიმდებარე ხეობებშიც შეაღწია და თავის გავლენას დაუმორჩილა. როგორც ირკვევა, გრიგოლი და მისი მემკვიდრეები (ვაჩე, სამოელი, გაბრიელი, ფადლა I და კვირიკე I) დიდ სამონასტრო მშენებლობებსაც მოთავეობდნენ. გარდამავალი ეპოქის ხუროთმოძღვრული ძეგლები ხომ სწორედ VIII-IX საუკუნეებში შეიქმნა მაშინდელ კახეთის სამთავროში და აშკარად განსხვავდება მშენებლობის ხელწერით. ეს უმთავრესად გამოიხატება ერთ სახურავქვეშ მოცემული სივრცის მსუბუქი დანაწევრებით, უყელო გუმბათების შექმნით, კლდის მასივის გამოყენებით, სამშენებლო მასალაში, რიყის ლოდებთან და შირიმის გათლილ კვადრებთან ერთად, აგურის გამოჩენით. ამ ეპოქის უმთავრესი ძეგლებია რეხულის **არმაზი** (864 წ.), მეჯუდის **ბიეთი** (IX საუკუნის შუახანები), **წირქოლი** (VIII საუკუნის მეორე ნახევარი), გურჯაანის **ყველაწმინდა** (VIII საუკუნის მეორე ნახევარი), ყანჩაეთის **კაბენი** (VIII საუკუნის მეორე ნახევარი) და ა.შ. ძალიან საინტერესო იყო **კაბენის** ფრესკული წარწერა, რომელიც უკანასკნელი მიწისძვრის შემდეგ აღარ ჩანს. მასში მოხსენიებული გახლდათ ჯუანშერ ერისთავის მეუღლე, ადარნასე ბაგრატიონის ასული ლატავრა. ამ ხანებში, როგორც ჩანს, აქტიურ სამონასტრო მშენებლობაში კახეთის მთავრებს მხარში ედგნენ ყანჩაელები, რომლებიც, ქსნის ხევის სხვა ფეოდალებთან ერთად, გრიგოლსა და მის შთამომავლებს ეხმარებოდნენ ტაოელ და აფხაზ მეფეებთან დაპირისპირებაში. ყანჩაელები დიდი სასულიერო მოღვაწეებიც ყოფილან, რასაც **ბიეთისა** და **სამთავისის** წარწერებიც ცხადყოფენ.

**მეორე:** ჩვენი მეცენატების უმეტესობა ან ახალ ეკლესიებს აშენებს, ან ისეთ ტაძრებს აღადგენს, რომლებიც დიდ დასახლებულ, თვალშისაცემ ადგილებშია. მაგრამ არიან



ცხვარიჭამიის ამაღლების ეკლესია

ისეთი მამულიშვილებიც, რომლებიც გაუხმაურებლად იღვწიან ისტორიული მემკვიდრეობის გადასარჩენად. სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნებიან აწ გარდაცვლილი უთვალსაჩინოესი მეცნიერი ივერი ფრანგიშვილი და ძე მისი — პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ ფრანგიშვილი. ტყეს შეფარებული ცხვარიჭამიის **ამაღლება** ისე აღუდგენია მამა-შვილს, რომ სოფლის გარდა არავის გაუგია. მისაბაძია აღდგენის ხარისხიც.

ახლა კი, როგორც მემატიანე იტყოდა, პირველსა სიტყვასა მოვიდეთ:

**ამაღლების** შიდა ფართი სულ 67 კვ. მეტრია, მაგრამ ხუროთმოძღვარს იგი ისე გონივრულად გამოუყენებია, რომ სივიწროვეს ვერ იგრძნობთ. არადა, წარმოიდგინეთ, ერთიანი სახურავის ქვეშ მოთავსებულია სამი ეკლესია, სამკვეთლო, გარშემოსავლელი და კარიბჭე. ამათგან ყველაზე დიდი ცენტრალური ეკლესიაა, საიდანაც ცალ-ცალკე გავდივართ სამკვეთლოში და ჩრდილოეთის მცირე სალოცავში. ეს უკანასკნელი იმავდროულად გარშემოსავლელის ნაწილის ფუნქციასაც ასრულებს. ჩრდილოეთის სამლოცველოს ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი დამოუკიდებელი კარიც აქვს. სამხრეთის სამლოცველოც, თავის მხრივ, გარშემოსავლელის ფუნქციას ასრულებს და, ჩრდილოეთის სამლოცველოს მსგავსად, სწორკუთხა საკურთხევლის კედელი აქვს. სამხრეთის სამლოცველო მთავარ ეკლესიას თაღოვანი, ფართო შესასვლელით უკავშირდება. ამასთანავე ორი მცირე სამლოცველო და მთავარი ეკლესია ერთმანეთს ემეზობლება თაღედებით გახსნილი დასავლეთის კარიბჭის მეშვეობით, რომელიც უყელო გუმბათითაა გადახურული (ასეთი უყელო კამარა-გუმბათების ყველაზე ადრეულ ნიმუშებს **მცხეთის ჯვრის** ძველ ტაძარსა და სამშვილდის **სიონის** განაპირა ნავებში ვხვდებით).



**ამაღლებაში** შესვლა სამი მხრიდან შეიძლება: ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან (გუმბათიანი კარიბჭის გავლით) და სამხრეთიდან — ორთაღედით. მკითხველი, ალბათ, გადავღალე კიდეც ასეთი დეტალური აღწერით, მაგრამ ვიმეორებ, ცხვარიჭამიის **ამაღლებას** ანალოგი არ აქვს...

* * *

ჩვენი სატელევიზიო გადამღები ჯგუფის წევრები, მეტადრე კი ოპერატორი სოზარ გულბანი დიდხანს უტრიალებენ **ამაღლებას**, მე კი ვიჩქარი — შეღამებამდე 5 საათი და 5 ძეგლის ნახვა გვაქვს დარჩენილი.

ცხვარიჭამიის მეორე ეკლესიის მიგნებაში ერთი ადგილობრივი, ენაწყლიანი კაცი გვეხმარება, მხარზე თოფი გაუდევს და კურცხართან ერთად მოარღვევს თოვლს.

— ცხვარიჭამია რატომ და როდის შეერქვა ამ სოფელს? — ვეკითხები მონადირეს, რადგან ეს სახელი ვახუშტის რუკაზე აღნიშნული არ არის. მას ამ ადგილზე „ჩრდილი“ აქვს მონიშნული.

— ლეკიანობის დროს მეკობრეები თურმე ასე ჩამოყვებოდნენ ხერკს და, ცხვრებს რომ იპარავდნენ, ნაწილს აქ ატყავებდნენ ეგ ტიალები, ეგა, — ამბობს მონადირე და თან ხუმრობით თოფს მალავს, ემანდ არ გადამილოთო. — ჩემს ჯეელობაში, მახსოვს, აქაურობაში ლეკების დაკიდებული ჩანგლები შემხვედრია... მეორე ეკლესია?.. აქედან ჩრდილოეთითაა, შორი არაა, ამ ბილიკით იარეთ და ზედ წაადგებით...

...მივაგენით. ეს პატარა საყდარიც VIII-IX საუკუნეებისაა, ისიც რიყისა და შირიმის ქვით ყოფილა ნაგები, მაგრამ ძალიანაა დანგრეული, არადა სამხრეთიდან მიშენებულ თაღნარიანი კარიბჭის ფონზე კარგი სანახავი იქნებოდა. ახლა ეს კარიბჭეც დაქცეულია.

ცხვარიჭამიასა და თეზამს გავცდით და სოფელ კველიანში შევდივართ. ამ მიდამოებში 4 ნაეკლესიარია და ოთხივე ადრეშუასაუკუნეებისაა. ამათგან ყველაზე უკეთ შემონახული **ღვთისმშობელი** ზედ გზის პირზეა, დარბაზულია და აქაც რიყის, კლდისა და შირიმის ქვაა გამოყენებული. სამხრეთის ორივე შესასვლელი, რომელთაგან ერთი ამოუშენებიათ, ნალისებრი თაღით სრულდება. ჩვენდა ჭირად, მოშვავებული მიწის გამო, მეორე კარიც ლამის მთლიანადაა ამოქოლილი და ტაძარში ხოხვით გვიწევს შესვლა. საკურთხევლის ნალისებრ აფსიდში ორი ნიში და ერთი სარკმელია. კედლები მოგვიანებით შეულესავთ და მოუხატავთ, მაგრამ ახლა მცირეოდენი ლაქებიღა მოჩანს. შემორჩენილია სამხრეთის მინაშენის უმნიშვნელო ფრაგმენტები, გადახურვის ცილინდრული კამარა კი სრულიად მორღვეულია. ეკლესიაში დიდი ხეა ამოსული.

კველიანიდან ჩრდ. აღმოსავლეთით, 3 კმ-ში, მდგარ ორ ნასაყდრალამდე — **კვირაცხოვლამდე** და **წმ. გიორგიმდე** მიღწევა ძალიან გვიჭირს და ფეხით მივარღვევთ თოვლს. ხშირსა და მაღალ ტყეში ორ ბორცვზე მეზობლად მდგარი ორი ეკლესია ისეა დაქცეული, რომ დიდი დღე აღარ უწერიათ...

სოფელში ვბრუნდებით და ახლა მისგან ჩრდ. დასავლეთით, 3-4 კილომეტრში, დიდი ტყის მასივში მდგარი **ბნელასაყდრისაკენ** მივეშურებით.

მანქანა უკიდურესად ღმუის და ვხვდებით, რომ დარჩენილი გზის გავლა ისევ ფეხით მოგვიწევს თოვლში, როგორც იქნა დასახულ მიზანს მივაღწიეთ. ირგვლივ უძველესი ნასახლარებია, ცენტრში — სამეკლესიანი ბაზილიკა. რაღა თქმა უნდა, ისიც რიყის ლოდებითა და შირიმის კვადრებითაა ნაგები. ტაძარს შემორჩენილი არ აქვს კამარის უმეტესი ნაწილი და კედლების ზედა წყობა. **ბნელასაყდარი** ცხვარიჭამიის **ამაღლებაზე** ოდნავ დიდიც კია, მაგრამ გეგმარებით შედარებით მარტივი და ტრადიციულია. ინტერიერი მისტიკურად გაყურსული და უმზეოა. ერთადერთი შესასვლელი სამხრეთ მინაშენშია გაჭრილი, საიდანაც მთავარ დარბაზში, იქიდან კი სამკვეთლოსა და ჩრდილოეთ სამლოცველოში შეიძლება მოხვედრა ცალ-ცალკე.

სანთლებს ვანთებთ და ვუკმევთ...

უკანა გზაზე გაკვალულ თოვლში სიარული აღარ ჭირს, თანაც დაღმართია.

თითქოს, ლაღად მოვდივართ, მაგრამ გულის სიღრმეში დარდი ჩაბუდებულა: VIII-IX საუკუნეთა ეს ტაძარი დროულად თუ არ აღდგა, მერე გვიანი იქნება...

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



კველიანის ღვთისმშობლის ეკლესია

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ისტორიული მეხსიერება და გეოპოლიტიკური კანონზომიერება ითხოვს

## წერილი მესამე

დასაწყისი იხ. №24-25

**გეოპოლიტიკურმა კანონზომიერებამ და მართლმადიდებლურმა ერთმორწმუნეობამ რუსეთი და საქართველო ისტორიულად ერთმანეთს დაუკავშირა. რუსეთთან, მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ ქვეყანასთან, პატარა საქართველოს 800-კილომეტრიანი გეოგრაფიული საზღვარი აქვს. ასეთ დროს ცხრა მთასა და ზღვას იქეთა აშშ არაფერს ერიდება, რათა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ჩაითრიოს, თავის კლანჭებში მოაქციოს და, როგორც უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი, ევრაზიაში გაბატონებისათვის გამოიყენოს. აშშ პოლიტიკური წრეები უკიჟინებენ რუსეთს, გაიდეს სამხრეთ კავკასიიდან, კერძოდ, საქართველოდან; ეს მაშინ, როცა თვითონ უნამუსოდ იტოვებს უფლებას, ითარეშოს ერაყში, წაართვას სერბეთს კოსოვო, რუსეთის საზღვრებთან გააფართოოს ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, სისხლი ღვაროს ავლანეთში და ა.შ. ბუნებრივია, რუსეთი არ თმობს პოზიციებს და აშშ-ს საპირწონე დემარშებით პასუხობს.**



გივი გურეშიძე



ნუგზარ ავალიანი

აბა, გვითხარით, ოპონენტებო, რას მოიმოქმედებდა აშშ, რუსეთმა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა მისი მეზობლების (მექსიკის, ნიკარაგუის, ვენესუელის და სხვათა) მონაწილეობით რომ წამოიწყოს? იმედია, პასუხისთვის არ დაფიქრდებით.

დღეს ქართულ პუბლიცისტიკაში ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსთა მსჯელობაში აშკარად შეიმჩნევა ისტორიული სინამდვილის უხეში დამახინჯება და ზოგჯერ სრული გაყალბებაც კი, როცა განსხვავებას ვერ ხედავენ მეფის რუსეთისა და სოციალისტური ეპოქის საქართველოს ხალხის ცხოვრებაში, ამიტომ გამოიგონეს საქართველოს ორსაუკუნოვანი უნამუსობა — ღვარძლი და მტრობა რუსი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ავანტიურით დაგვიბრუნდა — „ვარდოსან რევოლუციონერთა“ შემოქმედებაა.

„ვარდოსან რევოლუციონერებს“ ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ რევოლუცია, კონტრრევოლუცია, გადატრიალება, ხუნტას შეთქმულება, ევოლუცია და ა.შ. ცნება-კატეგორიები. თუ სოროს-ამერიკულ დოლარკრატიულ გადატრიალებას რევოლუციას უწოდებენ, მაშინ რაღა უნდა ვუწოდოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც რადიკალურად განსხვავებული, ორიგინალური ეპოქა შექმნა მსოფლიოში? რევოლუციას, რომელმაც რეალურად განახორციელა ხალხთა სოციალური თანასწორობა; სოციალური სამართლიანობა და ადამიანის სოციალური დაცვა? დიახ, სოციალისტური სახელმწიფო სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც ჩამოთვლილი განზომილებების სრულყოფილად განხორციელებას ეურჩებოდა, ამახინჯებდა თუ აბუჩად იგდებდა.

დღევანდელი წყვდიადი და დუმილი საბჭოური სოციალიზმის მისამართით დიდხანს ვერ გაგრძელდება. დადგება ის დღეც, როცა მეცნიერების სხვადასხვა მიმართულება დაიწყებს მისი, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, ინტენსიურ კვლევას; დაიწერება წიგნები, დისერტაციები, გამოკვლევები და ასე შემდეგ; ასეთია ისტორიის გარდაუვალი განაჩენი, რომელიც უნდა გვწამდეს.

რა ვუწოდოთ დღევანდელ საქართველოს, თუ არა ევრობანკის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონა, სოროს-ამერიკული დოლარების ტყვე. სწორედ მათი დამსახურებაა ქართული წარმოების წინასწარგამიზნული ნგრევა-გაჩანაგება; ქვეყნის ჯართად ქცევა; საქართველოს გარდაქმნა უცხოეთის გასაღების ბაზრად. გაბაზრებულ საქართველოს კი არასოდეს ისე არ ჰქონია დაკარგული თავისი ეროვნული მეობა, ღირსება-სიამაყე, პატრიოტობა, ზნეობა და ჰუმანიზმი, როგორც დღეს.

ჯერ შევარდნაძის, ხოლო ამჟამად სააკაშვილის ძალისხმევით დატანჯული საქართველო ისეთ კონდიციამდეა მიყვანილი, რომ მის კონსტიტუციაში თავისუფლად ჩაიწეროს:

„საქართველო არის სავაჭრო-საგადასახადო, პოლიციური, მაფიოზური, კლანური, კრიმინალ-კორუფციული, ტერიტორიებდაკარგული, ასეულობით ათასი ლტოლვილისა და საზღვარგარეთ გადახვეწილი მილიონზე მეტი თანამემამულის ამერიკა-დასავლეთის ნეოკოლონიური რესპუბლიკა და გასაღების ბაზარი; მისი მბრძანებელ-კანონმდებელი ხელისუფალნი ვაშინგტონში, სტრასბურგსა და ბრიუსელში სხედან, ხოლო მონამორჩილი აღმასრულებელნი, სოროს-ამერიკული დოლარებით უხვად გამოკვებილები — თბილისში“. საქართველოს სუვერენიტეტზე მსჯელობა გამორიცხულია.

რას გვეტყვით, ბატონო ოპონენტებო, მ. სააკაშვილის გარემოცვიდან? ჩვენ, ამ სტრიქონების ავტორები, ჭეშმარიტად რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, მზად ვართ და მოვითხოვთ თქვენთან დიალოგის გამართვას; აკი, ბრძანა კიდეც, თანაც არა ერთხელ, თვით მ. სააკაშვილმა: „მზად ვართ დიალოგისთვის თვით ყველაზე უკიდურეს რადიკალებთანაც კიო“. მაშ, მიიღეთ ჩვენი გამოწვევა!

როცა „ნაცმოელი“ ხელისუფალნი ოპოზიციურ ძალებს ბრალდებებს უყენებენ, ჩვენში ეს ირონიას იწვევს: აქაოდა, გარედან მოზიდულ საშუალებებს იყენებთ, გარედან იმართებით და თქვენი ფინანსური სახსრების წარმომავლობა დანაშაულებრივიაო; სწორედ ასეთ დროს იტყვიან: „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“, ან კიდევ: „სხვის თვალში ბეწვს ხედავდა, თავისაში კი დირესაც ვერ ამჩნევდაო“.

რადიკალურად უკეთესობისკენ შეიცვალა ხალხის მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სოციალისტური რევოლუციის იდეების საფუძველზე საქართველომ, თუნდაც შეზღუდული, მაგრამ მაინც მოიპოვა სახელმწიფოებრიობა. ასეთივე შეზღუდული სახელმწიფოებრიობა ჰქონდა სხვა რესპულიკებსაც, თვით რუსეთის ფედერაციასაც, რომელიც სხვებისაგან მხოლოდ ტერიტორიული სიდიდით, ადამიანთა და მატერიალური რესურსების სიმრავლით გამოირჩეოდა. მერე რა მოხდა, თუ ამის გამო უფროსი ძმა ერქვა? თუ ძმებს შორის ოჯახში ერთ-ერთი უფროსია — ეს ტრაგედიაა? ვაი, მის პატრონს, უბედურს, ვინც ამას ტრაგედიად მიიჩნევს!

ხელისუფლების ის უფლება-ფუნქციები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკებს ადგილებზე არ გააჩნდათ ან შეზღუდული ჰქონდათ, სანაცვლოდ, ისინი ერთად თავმოყრილი ჰქონდათ ერთ საერთო ხელისუფლებრივ ცენტრში — სსრ კავშირში და თავიანთ ინტერესებსაც იქიდან იკმაყოფილებდნენ, კომპენსაციას ახდენდნენ.

რუსეთთან ერთად ერთიან კავშირში თანამშრომლობის ძალისხმევით საქართველო მძლავრი ინდუსტრიის და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ქვეყნად იქცა; არნახული განვითარება განიცადა ქართულმა კულტურამ, მეცნიერებამ, განათლებამ; დიდად ამაღლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონე, გამრავლდა ერი და ა.შ.

ქართველები, მოკავშირე რესპუბლიკათა ხალხებთან ერთად თანამფლობელები ვიყავით და ეფექტიანად ვიყენებდით უზარმაზარ, მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტ ეკონომიკურ სივრცეს, როგორც ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზარს. სსრ კავშირის დაშლისთანავე საქართველო ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ეს დაშლა განხორციელდა არა წინასწარი მომზადებით, არამედ ამერიკა-დასავლეთის გამოყენებით. ადრინდელი თვალუწვდენელი ბაზარი და ნედლეულის წყაროები საქართველომ ერთბაშად დაკარგა; მათ, ასევე, ერთბაშად დაეუფლენ ამერიკა-დასავლეთის ქვეყნები. თუ ადრე ქართველი კაცი რუსეთში გაყიდული ხის ფოთლითაც კი, მხედველობაში გვაქვს დაფნა, სახლს იშენებდა, ბაზრის დაკარგვის შემდეგ მას უკვე ცეცხლის შესანთებად იყენებს. კიდევ მეტი, ქართველებს საკუთარი შიდა ბაზარი და სივრცეც წაგვართვეს, მას უცხო ძალები დაეპატრონნენ.

დღეს საქართველოს სახალხო მეურნეობა დანგრეულია; მოსახლეობის 80 პროცენტი ღარიბ-ღატაკია; ათასობით უმწეო ხელგაწვდილი მათხოვრობით ცდილობს თავის გადარჩენას. არნახული უმუშევრობა, ქვეყნიდან ქართველთა მასობრივი გაქცევა, ხვალინდელი დღის უიმედობა, იძულებითი დამნაშავეობა, თვითმკვლელობათა გახშირება, ზნეობრივი დაცემა, არსებობის საზრისის დაკარგვა, ურთიერთგაუცხოება თვით ყველაზე ახლობელ ნათესავებს შორისაც კი ჩვეულებრივ ყოფით მოვლენებად იქცა.

უკიდურესად დასაგმობია დღევანდელი საქართველოს ხელისუფალთა თავანწყვეტილი ანტირუსული თეორია და პრაქტიკა. ამერიკული დოლარებით მოსყიდული ხელისუფლება იმდენად დაბრმავდა, რომ ხსნას ნატო-ევროპულ სტრუქტურებში ეძებს და ობიექტურად მოქმედ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებას უპირისპირდება, რადგან საქართველო სამხრეთ კავკასიაში კი არა, მექსიკის ყურეში ჰგონია და მას უფსკრულისაკენ მიაქანებს.

ყოველი გასული თვე, დღე და საათიც კი სულ უფრო მეტად გვაშორებს იმ უპირველეს მიზანს, საქართველოს გამთლიანება რომ ჰქვია. ამ მიზნის მიღწევა კიდევ უფრო გართულდა მ. სააკაშვილის 7-8 აგვისტოს ავანტიურის შემდეგ, რომელსაც რუსეთის მიერ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება და დამატებით 150-მდე ქართული სოფლის ოკუპაცია მოჰყვა. ვითარება დაძაბულია. რუსეთი კატეგორიულად უარყოფს მოლაპარაკების გამართვას მ. სააკაშვილსა და მის გარემოცვასთან. გამოდის, რომ 2013 წლამდე, სანამ სააკაშვილი არ შეიცვლება, რუსეთს ვერ დავეკონტაქტებით; დრო კი არ ითმენს. დასკვნით (მეოთხე) წერილში ჩვენს მოსაზრებებს კვლავაც გაგიზიარებთ, პატივცემულო მკითხველო.

პოლიტოლოგები:
**გივი გურეშიძე,
ნუგზარ ავალიანი**
*ქუთაისი, 2009 წ.*

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**




## „ცხელი აგვისტო, 2008“




**პოლიტოლოგების — ნუგზარ ავალიანის და გივი გურეშიძის წიგნი „ცხელი აგვისტო, 2008“ პირველი ორი ნაშრომით ავტორებმა ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში მოამზადეს დასაბეჭდად, მაგრამ გამოქვეყნებისგან თავი შეიკავეს იმის იმედით, რომ დაპირისპირებული მხარეები გონიერებას გამოიჩენდნენ და პრობლემებს მშვიდობიანად მოაგვარებდნენ.**

**„მაგრამ ახლა, როდესაც ვრწმუნდებით, რომ მხარეებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო იძაბება და არც ომის განახლების საფრთხეა დაძლეული, ხოლო ამ საქმეში ახლახან მოსკოვში რუსეთისა და აშშ პრეზიდენტების შეხვედრამ სასურველი პერსპექტივა რეალობად ვერ აქცია, გადავწყვიტეთ, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გამოვაქვეყნოთ ჩვენი ნაშრომი პირველყოფილი სახით და მას დავუმატოთ ჩვენი ერთობლივი წერილი, რომელიც დაიწერა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის — ნატოს შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით“, — ნათქვამია წიგნის შესავალში. ავტორები იმედოვნებენ, რომ მათი ერთობლივი შრომა მცირედ წვლილს შეიტანს საქართველოს გადარჩენის, ქართველი ერის გეოპოლიტიკური აზროვნების განვითარების საქმეში.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როგორ აშენებდნენ ცსს-ს საიდუმლო ციხეებს?

**ცე-რე-უს საიდუმლო ციხეების მშენებლობის დეტალები ნელ-ნელა ირკვევა. გაზეთ „The New York Times" ჯორჯ უილიამ ბუშის ადმინისტრაციის დროს მოქმედი წამების პროგრამის შესახებ გამოქვეყნებულ მეორე სტატიაში წერს: „2003 წლის მარტში ცე-რე-უს ორმა თანამშრომელმა ევროპაში ამ უწყების მთავარი მომმარაგებელი ბაზის ხელმძღვანელი კაილ ფოგოუ უცნაური თხოვნით გააოცეს. მათ მსოფლიოში ყველაზე საშიში ტერორისტებისთვის საიდუმლო ციხეების აშენება უნდოდათ".**



ფოგოუ ცე-რე-უში ცნობილი იყო ადამიანად, რომელსაც შეეძლო სატვირთო თვითმფრინავის პლანეტის ნებისმიერ წერტილში გადაფრენის უზრუნველყოფა ან იარაღის, ფულისა თუ ნებისმიერი სხვა რამის დაუყოვნებლივ მოძიება.

ამერიკული დაზვერვის ყოფილი თანამშრომლებისა და სხვა ინფორმირებული წყაროების მტკიცებით, ფოგოუს ხელმძღვანელობით შენდებოდა ექვს-ექვს პატიმარზე გათვლილი წინასწარი დაკავების სამი ცენტრი. ერთ-ერთი მათგანი ბუქარესტის ხალხმრავალ ქუჩაზე მდებარე რეკონსტრუირებულ შენობაში განთავსდა, მეორე — აღმოსავლეთ ევროპის მეორე მეგაპოლისის შემოგარენში და მესამე, რომელიც, როგორც ჩანს, არასდროს გამოუყენებიათ, — მაროკოს გარეუბანში. შიგნით ეს ცენტრები აბსოლუტურად არაფრით არ უნდა განსხვავებულიყო ერთმანეთისგან, რათა პატიმრებს ვერ დაედგინათ, კონკრეტულად სად იმყოფებოდნენ. ყველა დაკავებულს, ცხადია, ცალკე კამერაში კეტავდნენ.

ალ-ქაიდას უმაღლესი შემადგენლობისთვის ციხეების ქსელის არსებობის შესახებ დიდი ხანია, ცნობილია, მაგრამ დეტალები უმკაცრესად იყო გასაიდუმლოებული და მხოლოდ ცოტა ხნის წინათ სპეცსამსახურის ერთ-ერთ ყოფილ თანამშრომელთან ინტერვიუს შედეგად გაცხადდა.

ამჟამად თავად ფოგოუც პატიმარია და სასჯელს თაღლითობისთვის იხდის. ამავე თაღლითობის მონაწილე გახლდათ მისი მეგობარი ბრენტ უილქსი, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენდა საიდუმლო ციხეების მომმარაგებელი ფირმა. ციხეების მშენებლობისა და მომარაგების საქმეში დარღვევები ვერ აღმოაჩინეს. ფოგოუს ბრალი იმაში დაედო, რომ ძვირადღირებული საჩუქრებისა და სხვა გაწეული დახმარებების სანაცვლოდ ცე-რე-უსა და უილკსის კომპანიებს შორის სხვადასხვა კონტრაქტის გაფორმებას უწყობდა ხელს.

რაც შეეხება ციხეებს, უილკსის ფირმამ აშშ ტერიტორიაზე მათთვის სანტექნიკა, სტერეოსისტემები, კომპიუტერული თამაშები, საწოლის თეთრეული, ღამის ხედვის ხელსაწყოები და მუქშუშიანი სათვალეები შეიძინა. წყაროს თქმით, ცნობილ ვოტერბორდებს (*წყლის ჭავლით წამება და დახრჩობის იმიტაცია*) ადგილზევე ამზადებდნენ ხელთ არსებული მასალებისგან.

ალ-ქაიდასთან ბრძოლის პირველ ეტაპზე ცე-რე-უს პატიმრები ტაილანდისა და სხვა მოკავშირე ქვეყნების იმპროვიზებულ ციხეებში ჰყავდა გამოკეტილი, მაგრამ 2003 წლიდან ადგილობრივი ხელისუფლებები ამ საკითხისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ, რის შედეგადაც ცე-რე-უმ იზრუნა, საკუთარი ციხე ჰქონოდა. ამ ციხის შემადგენლობაში დაკავების, სულ მცირე, რვა ცენტრი იყო გაერთიანებული, მათ შორის იყო გუანტანამოს ბაზაც. ცე-რე-უ დაკავებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებს, მაგრამ, მმართველობის წარმომადგენლების თქმით, იქ სულ 100-ზე ნაკლები პატიმარი იყო.

კამერები ისე იყო მოწყობილი, რომ დაკითხვებისას დაკავებულებს ტრავმები არ მიეღოთ: იატაკის საფარზე ფეხი არ ცურავდა, დრეკადი კედლები ადამიანის მინარცხებისას დარტყმის ამორტიზებას ახდენდა. ცე-რე-უს შავნიღბიან თანამშრომლებს პატიმრები ხანდახან სასეირნოდ გაჰყავდათ. კარგი ქცევისათვის წიგნებს ან კომპიუტერის დისკებს აძლევდნენ, თუ რაიმეს დააშავებდნენ — ისევართმევდნენ, თუმცა ამ ციხეებში ცე-რე-უ აღარ იყენებდა დაკითხვის ყველაზე სასტიკ მეთოდებს, რომლებსაც მანამდე მიმართავდა, მათ შორის, აღარც ვოტერბორდინგს.

ფრანკფურტში წარმატებული მუშაობისთვის 2004 წელს ფოგოუ ცე-რე-უს აღმასრულებელ დირექტორად დანიშნეს.

2005-ში მან და სააგენტოს სხვა მაღალჩინოსნებმა ერთად მოინახულეს რამდენიმე ციხე და თანამშრომლები დაარწმუნეს, რომ მათი საქმიანობა კანონიერია.



# ვის მიაქირავა იახტა მერდოკმა?

**78 წლის ამერიკელი მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი თავის იახტა „Rosehearty"-ს კვირაში 210 ათას ევროდ გააქირავებს.**



56-მეტრიან იახტაზე რამდენიმე მდიდრული სალონი, ხუთი სასტუმრო კაიუტა, 9 პლაზმური ტელევიზორი და ტრენაჟორების დარბაზია. არენდის პერიოდში დროებით მფლობელებს იახტაზე იგივე პერსონალი მოემსახურება, რომელიც თავად მერდოკს ემსახურებოდა ხოლმე საზღვაო გასეირნებებისას. არენდატორს ბორტზე 9 სტუმრის მოწვევის უფლება აქვს. ექსპერტები ამბობენ, რომ მდიდარი ადამიანები ხშირად აქირავებენ თავიანთ იახტებს, რათა მისი შენახვის უდიდესი ხარჯები აანაზღაურონ. მერდოკის იახტას კომპანია „Charter World" მისი მფლობელის ვინაობის გაუმჟღავნებლად გააქირავებს.

# ქურდები მსხვერპლს ეცნობიან?



**ალიასკას ქალაქ ანკორიჯში ბანკში გასაქურდად მისული 34 წლის მამაკაცი ფულის მითვისებამდე მოლარეს გაეცნო.**

იმავე ქალაქის მცხოვრები ბანკ „Federal Credit Union"-ის ადგილობრივ განყოფილებაში მივიდა და თანამშრომელს საკუთარი ანგარიშის ბალანსის შესახებ მონაცემები სთხოვა. მოლარემ მამაკაცს ანგარიშის ნომერი და საბუთები მოსთხოვა. ბოროტმოქმედმა მოლარის ყველა კითხვას უპასუხა და ჯერელ პოლ არნოლდის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობაც მისცა. შემდეგ კი, როდესაც მოლარემ ანგარიში მიაწოდა, ფურცლის მეორე მხარეს დაუწერა, რომ ფული სჭირდება და იარაღზე მიანიშნა.

საწყალმა ქურდმა სულ 600 დოლარის გატაცება მოახერხა, მალევე დაიჭირეს და ახლა ბანკის გაქურდვის ბრალდებით გაასამართლებენ. არნოლდი ერთხელ უკვე იჯდა ციხეში, 2004 წელს ის მსგავსი დანაშაულისთვის გაასამართლეს და 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

# სად ღირს სასტუმროს ნომერი 1 ევროცენტი?

**ვენეციის პროვინციაში, ქალაქ კვარტო დალტინოში ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „Crowne Plaza"-ში რომანტიკული უიქენდის გატარებას „Intercontinental Hotels Group"-ის ქსელი თავის ინტერნეტსაიტზე სულ რაღაც ერთ ევროცენტად იხვეწებოდა.**

ამ შემოთავაზების გამოქვეყნებიდან ორიოდე საათში სასტუმრომ 228 განაცხადი მიიღო. ყველას ერთად სასტუმროში 1400 ღამის გათევა უწევდა. სუპერწინადადების მიხედვით ნომრები 2010 წლამდე დაიჯავშნა.

სასტუმროს „რომანტიკული უიქენდის" ფარგლებში ნომრები უნდა გაეყიდა სქემით — ორი ღამე ერთის ფასად. ვენეციიდან 25 კილომეტრით დაშორებულ სასტუმროში ერთი ნომრის სტანდარტული ფასი 90-დან 150 ევრომდე მერყეობს.

როდესაც სასტუმროს ადმინისტრაციამ საიტზე საკუთარ სარეკლამო ბანერზე ამოიკითხა „ორი ღამე 1 ევროცენტად", ჰაკერულ თავდასხმად ჩათვალა. ბოლოს გაირკვა, რომ ეს მხოლოდ „Intercontinental Hotels Group"-ის ქსელის თანამშრომელთა შეცდომა იყო. ქსელის ადმინისტრაციამ აღიარა თავისი თანამშრომლის შეცდომა და განაცხადა, რომ 1 ევროცენტად გაყიდული ყველა ნომერი სწორედ ამ ფასად და განცხადებაში შეთავაზებული პირობების სრული დაცვით მოემსახურება ყველა კლიენტს, ვინც კი მიიღო სასტუმროსგან თანხმობა შეცდომის აღმოჩენამდე. თავად სასტუმრომ ამ სუპერაქციის შედეგად 90 ათასი ევრო იზარალა.



# დამარცხებული ბოქსიორი სქესს იცვლის?

**32 წლის ბრიტანელმა მოკრივემ მანჩესტერიდან მსოფლიოს ბოქსისმოყვარულ საზოგადოებას თავზარი დასცა. გამოცდილი მებრძოლი (48 ბრძოლიდან 38 მოგება), რომელმაც წლეულს, მარტში, რიკი ბერნსისაგან მეშვიდე რაუნდში ნოკაუტი მიიღო და პროფესიული რინგი მიატოვა, რამდენიმე დღის წინათ კვლავ გავიდა რინგზე ყოფილი პროფესიონალი მებრძოლის რობ ნიუბიგინის წინააღმდეგ (15 ბრძოლიდან 12 დამარცხება).**



ამ აბსოლუტურად არაფრით გამორჩეულმა ორთაბრძოლამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია არა იმიტომ, რომ მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის კრივის შოუს დროს გომესმა მესამე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ნიუბიგინი და არც იმიტომ, რომ გომესი რინგზე მოქმედი ლიცენზიის გარეშე გავიდა. მიზეზი სულ სხვაა: გომესის მიერ დამარცხებულმა ნიუბიგინმა გადაწყვიტა, რომ უახლოეს მომავალში სქესი შეიცვალოს და სახელად მერსედესი დაირქვას.

წარუმატებელი სპორტსმენი ექვსი ოპერაციის შემდეგ ქალების კრივში აპირებს კარიერის დაწყებას და იმედი აქვს, სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იქნება. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ რობ ნიუბიგინად წოდებული მომავალი მერსედესი 2012 წელს ლონდონში გამართულ ოპლიმპიურ თამაშებშიც კი აპირებს მონაწილეობას.

ეს რაც შეეხება საოცნებო კარიერას, ამის პარალელურად კი ფულის შოვნის კიდევ ერთი გზა და პროფესია წინასწარ აქვს შერჩეული — მერსედესი მოდელად იმუშავებს. რაც შეეხება ფერწერასა და ინტერიერის დიზაინს, ეს ისეთი გეგმებია, რომელსაც სქესის შეცვლა, პრინციპში, არც სჭირდება, მაგრამ ნიუბიგინმა თავისი ოცნების ამ პროფესიებში ბედის მოსინჯვაც მერსედესობისთვის გადაინახა. ისე, ფერწერაში რობის უკვე აქვს მიღწევები. 2007 წელს სწორედ მხატვრობის ნიჭის წყალობით დაუბრუნდა პროფესიონალურ რინგს მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინათ იქიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

მაშინ, 2007-ის ზაფხულში, რობიმ ადგილობრივი მწვრთნელის ბილი გრემის ხვლიკის საცხოვრებელი აკვარიუმი მოხატა. გრემმა სანაცვლოდ უფასოდ ავარჯიშა ნიუბიგინი. ამ ვარჯიშს დიდი შედეგი რომ არ მოუტანია, ეს უკვე ცხადია, მაგრამ, როგორც ხედავთ, რობი იმედს არ კარგავს და ნებისმიერი გზით მიილტვის პირველობისკენ.

# ვისია ეს თავის ქალა?



**სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ შენობაში, რექტორის ფლიგელში, სარემონტო სამუშაოებისას ხელოსნებმა თავის ქალა იპოვეს.**

**ქალა მცირე ზომისაა, სიგრძეში — 12, ხოლო სიგანეში 6 სანტიმეტრია. უცნაური ნივთის შესახებ ხელოსნებმა მილიციას აცნობეს, მაგრამ ჯერაც დაუდგენელია, საიდან მოხვდა უნივერსიტეტის შენობაში თავის ქალა ან ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი პატრონი. აღნიშნული შენობა 1794 წელს კერძო პირისთვისაა აშენებული, მე-19 საუკუნის შუა წლებში კი ის უნივერსიტეტის საჭიროებისამებრ გადააკეთეს. ამჟამად ფლიგელში უნივერსიტეტის ადმინისტრაციაა განთავსებული.**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ ველარ ვიცნობთ ჩინელებს?

**მხოლოდ ჩვენ კი არა, ზოგიერთი შეიძლება მშობელმა დედამაც ვერ იცნოს. ორ მილიონამდე ჩინელი სახის შესაცვლელად პლასტიკური ქირურგიის გამოყენებას აპირებს. სოციოლოგები თვლიან, რომ „ჩინეთის ახალი კულტურული რევოლუციის“ მიზეზი ცხოვრების ახალი პირობებია, რომელიც თავის კანონებს ცეცხლითა და მახვილით თუ არა, პლასტიკური ქირურგის სკალპელით ნამდვილად ნერგავს. ჩინეთს დაავადებული ეკონომიკა და არნახული კონკურენცია დასავლური გარეგნობისკენ უბიძგებს და ჩინელი ხალხიც სახეს იცვლის.**



მაომდე სილამაზედ თეთრი კანი, წვრილი თვალები, პატარა პირი და მზესუმზირის მარცვლის ფორმის სახე ითვლებოდა. რევოლუციის შემდეგ ქალებიცა და კაცებიც ერთგვაროვან რუხ მასად იქცნენ, რადგაც სილამაზე „ბურჟუაზიულ დეკადენსად“ აღიქმებოდა.

ახლა 16 წლის ჩინელები საფეთქლებთან თმას ილიავებენ, კანს იმუქებენ, ჯექსონის ცხვირებს იკეთებენ, პანკებს ბაძავენ. ოფიციანტად მუშაობის დასაწყებად ზოგიერთი ფეხს იტეხავს, რათა ლითონის შტირებით ფეხები დაიგრძელოს. ბოლო სამ წელიწადში პლასტიკურ ქირურგებს კლიენტურა ოთხჯერ გაეზარდათ. ჩინეთში 11 მილიონი პლასტიკური ოპერაცია გაკეთდა — მსოფლიო რეკორდია! 2010 წლისთვის სილამაზის ბიზნესს წლიური შემოსავალი 40 მილიარდ ევრომდე გაეზრდება. გამოკითხვების მიხედვით, ჩინელთა 47% სხეულის ყველა ნაწილს შეიცვლიდა, ფული რომ ჰქონოდა. 600 მილიონ ჩინელს გარეგნობის შეცვლა უნდა.

საქმე სილამაზე არ არის, ჩინეთში მხოლოდ „ახალ ლამაზებს“ შეუძლიათ სამსახურის შოვნა და კარიერის გაკეთება. პლასტიკური ოპერაციებით შელამაზებულებს 30%-ით მეტს უხდიან, ვიდრე მშობლების ნაღვაწის ამარა დარჩენილებს.

უსახსრობა ერთადერთი წინააღმდეგობა არაა, რომელსაც გარეგნობის შეცვლის მსურველები აწყდებიან. ჩინეთში 300 ათასამდე ადამიანი პლასტიკური ოპერაციის შემდეგ სამუდამოდ დამახინჯებული ან პარალიზებული დარჩა. 25 ათას კლინიკაში შეცდომების რაოდენობა 70%-ს აღწევს, მაგრამ ეს ციფრები ჩინელებს მაინცადამაინც გულებს არ უხეთქავს, მშობლებს პლასტიკურ ქირურგებთან საოპერაციოდ 2-3 წლის ბავშვებიც კი მიჰყავთ.

ახლა ჩინეთში სიყვარულს ქორწინებაზე მეტად გარეგნობა ამყარებს. პლასტიკური ქირურგიის ახალი კულტურის სახედ ცეკვის მასწავლებელი ქალი ლი ცზია გახდა. მან 200 ათასი ევროს საფასურად 4 წლის განმავლობაში 40 ოპერაცია გაიკეთა, შემდეგ კი საკუთარი სხეული ერთ-ერთ კლინიკას მიჰყიდა და ახლა იქვე ცხოვრობს, როგორც პაციენტი. ლი პირველი ცოცხალი რეკლამაა აღმოსავლეთისა, რომელიც ნუშისებური თვალისჭრილისგან გათავისუფლებას ცდილობს.

# რა წააგო მერმა სანაძლეოში?

**ყაზანის მერმა ილსურ მეტშინმა ადგილობრივი სკოლის მოსწავლესთან ლამის ერთი წლის წინათ დადებული სანაძლეო წააგო.**

ყაზანის 146-ე სკოლა 2008 წელს რუსეთის საუკეთესო სკოლად აღიარეს და მერიც ამ საპატიო წოდების აღსანიშნავად ესტუმრა სასწავლებელს. იქ კი ერთ-ერთმა მოსწავლემ სთხოვა, სკოლისათვის სპორტული დარბაზის აღჭურვილობა გვჭირდება და დაგვეხმარეო. მერმა მიშა ილინს უპასუხა, შვედურ კედელზე 15-ჯერ თუ აიწევი, გიყიდით აღჭურვილობასო. მიშა მხოლოდ 3-ჯერ აიწია. მერმა კი სანაძლეო შესთავაზა, ერთ წელიწადში თუ ამ მაჩვენებელს 15-მდე გაზრდი, ფოტოაპარატს პირადად შენ გაჩუქებო.

რამდენიმე დღის წინათ მერი კვლავ სტუმრობდა იმავე სკოლას და ილინმა სანაძლეო გაახსენა, შემდეგ კი შვედურ კედელთან მივიდა და 15-ის ნაცვლად 16-ჯერ აიწია. როგორც თვითმხილველები ირწმუნებიან, მერმა პირობა შეასრულა და ბიჭს წაგებული ფოტოაპარატი ჩააბარა.





# სად ტარდება ნიღბიანების სილამაზის კონკურსი?



**ყაზახეთის ქალაქ სემეიში (ყოფილი სემიპალატინსკი) სილამაზის კონკურსის მონაწილეები სცენაზე ინფექციის საწინააღმდეგო ნიღბებით გამოვლენ. ასეთი სახეცვლილება მიიღო საცურაო კოსტიუმებით გამოსვლის ტურმა.**



კონკურსის ორგანიზატორები თვლიან, რომ ინფექციის საწინააღმდეგო ნიღბების ჩვენება ამ ეტაპზე ბევრად უფრო აქტუალურია, ვიდრე ნახევრადშიშველი ლამაზმანები. ამ ნაბიჯით ყაზახებს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სურთ არა მხოლოდ მსოფლიოს ახალი „შავი ჭირის“ ღორის გრიპის მიმართ, არამედ უკვე მოძველებული, მაგრამ კვლავაც აქტუალური პრობლემების — შიდსისა და ნარკომანიის მიმართაც. რა კავშირშია ნიღბები შიდსსა და ნარკომანიასთან, არავის განუმარტავს.

კონკურსანტების ნიღბები ხელით ნამუშევარი იქნება და ორნამენტებით მოიქარგება.

თურმე სილამაზის კონკურსზე ნიღბებიანი ტური ხელისუფლების მითითებით ჩაემატა. ქალაქის ადმინისტრაციამ კონკურსის ორგანიზატორებს სხვა გზა არ დაუტოვა.

მართალია, ყაზახეთში ღორის გრიპის შემთხვევები დაფიქსირდა, მაგრამ ქვეყნისა და ცალკეული ქალაქების ხელისუფლებებმა იქ მაინც გადაჭარბებული სიფრთხილე გამოიჩინეს. ახლა იქ ხელისუფლების მოთხოვნით ვირუსისგან თავდასაცავი დოლბანდის ნიღბებით მხოლოდ სილამაზის კონკურსების მონაწილეები კი არა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მაღაზიებისა თუ ხალხთან ურთიერთობის მქონე სხვა უამრავი დაწესებულების თანამშრომლებიც დადიან.

# რა არის საჭირო ხალხის დასახოცად?



**სამოცდაათიანი წლების დასასრულს თამბაქოს წარმოება კრიტიკულ პერიოდს განიცდიდა, ვინაიდან სიგარეტის მოწევასა და ფილტვის კიბოს შორის კავშირი უკვე თვალნათლივ ჩანდა. სწორედ მაშინ ბრიტანეთში სააგენტო „Campbell-Johnson“-მა შეიმუშავა მოხსენება, რომლის ზოგიერთი ნაწილი აშკარად მხოლოდ შიდა გამოყენებისთვის იყო განსაზღვრული. ამ ნაწილების შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი.**

„თამბაქო სოციალურ როლს ასრულებს — ამცირებს იმ ხანდაზმული ადამიანების რაოდენობას, რომლებსაც ეკონომიკა ინახავს“, — ნათქვამია მოცემულ დოკუმენტში. თავად მოხსენების ავტორი აღიარებს, რომ ამ არგუმენტის სახალხოდ გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ „სიცოცხლის ხანგრძლივობის საერთო ზრდის ფონზე რაღაც გვჭირდება იმისათვის, რომ ადამიანები დაიხოცონ. კიბომ, რომელიც მდიდარი და განვითარებული ქვეყნების დაავადებად ითვლება, ომის, სიღატაკისა და შიმშილის როლი უნდა შეასრულოს“, ამიტომ, ავტორისავე აზრით, სიგარეტის მავნეობის მიუხედავად, გამოყენებულ უნდა იქნეს ადამიანების განწყობა, თითქოსდა მოწევა რაიმე სიამოვნებას უკავშირდება.

ამ მოხსენების დაწერის პერიოდში, 1978 წელს, სამედიცინო დაცვა მთლიანად გარღვეული იყო, მხოლოდ სოციალური ომიღა გრძელდებოდა. მოხსენებაში წერია: „თამბაქოს ბოლი არასასიამოვნოა და მწეველთა მიერ სხვების აზრის გაუთვალისწინებლობა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია, რის გამოც მოწევის ჩვევას აკრიტიკებენ“. ამ უმთავრეს მიზეზთან საბრძოლველად კი მოხსენების ავტორებმა „მწეველის მოქმედების კოდექსის“ შექმნის წინადადება წამოაყენეს. კოდექსს მწეველები ბოროტ მარგინალებად და ნევროტიკებად კი არა, ურთიერთობის მოყვარულ ექსტრავერტებად უნდა წარმოეჩინა. ბრძოლის კიდევ ერთი მეთოდი თამბაქოს ინდუსტრიის კურთხევით მწეველთა ასოციაციის შექმნა იყო. ამ ასოციაციას მწეველთა უფლებები უნდა დაეცვა, თავად მწეველები კი უსამართლო დისკრიმინაციისგან ეხსნა და მათთვის თამბაქოთი ტკბობის შესაძლებლობა უზრუნველეყო.



# რომელია ყველაზე კომფორტული ქვეყანა?

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფონდის კვლევის შედეგების თანახმად, ყველაზე კომფორტულ საცხოვრებელ ქვეყნად მთელ ევროპაში დანია ითვლება.**

დანიელები ევროპაში ყველაზე ბედნიერი ხალხია, იმიტომ, რომ მათ ქვეყანაში ძალზე დაბალია უმუშევრობის დონე, შრომისთვის კომფორტული პირობებია შექმნილი და შესრულებული სამუშაოსთვისაც ანაზღაურება მაღალია. ბედნიერების განცდას განაპირობებს მთლიანი შიდა პროდუქტის დონის მაჩვენებელიც, რაც დანიაში ერთ სულ მოქალაქეზე 68 ათას დოლარზე მეტს შეადგენს.

კომფორტული ქვეყნების რეიტინგში მეორე ადგილზე ფინეთია, მესამეზე — ნიდერლანდები, მეოთხეზე — შვედეთი, მეხუთეზე კი — ირლანდია. შვეიცარია ამ უცნაური ტოპათეულის მეშვიდე ადგილზეა, ნორვეგია — მეცხრეზე, ხოლო მეათე ადგილი ბელგიას ერგო. ათეულში მოხვდა ორი არაევროპული ქვეყანაც — ევროპას მერვე ადგილი კანადამ წაართვა, მეექვსე კი — ახალმა ზელანდიამ.



მსოფლიოში სულ 140 ქვეყნის მოსახლეობა გამოიკითხა. 15 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტებს ერთი ჩვეულებრივი დღის ბოლოს იმ დღის მიხედვით რამდენიმე კითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი. კითხვებში, ძირითადად, ინტერესდებოდნენ, გრძნობდა თუ არა რესპონდენტი სიამაყეს რაიმე ბოლოდროინდელი ქმედების გამო ან გაიგო თუ არა დღის განმავლობაში რაიმე ახალი.

# სად შეხვდები ძებნილებს?



**ინტერნეტსერვის „YouTube“-ზე პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი პერვეზ მუშარაფი სუფიეის შემსრულებელ უსტამ ჰამიდ ალი ჰანთან ერთად მღერის.**

არადა, პაკისტანში მას სამშობლოს ღალატისთვის გასამართლება ელის. მუშარაფს კი ადარდე, ლონდონში კონცერტებს ესწრება პაკისტანიდან გადახვეწილ სხვა პოლიტიკურ ფიგურებთან ერთად და ექს-პრეზიდენტს იმავე კონცერტზე გვერდს პაკისტანის ექს-პრემიერ-მინისტრი შაუკატ აზიზიც უმშვენებდა. ზუსტად ერთი წლის წინათ, 2008 წლის აგვისტოში, პერვეზ მუშარაფი ნებაყოფლობით გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან. 31 ივლისს უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მისი ქმედებები ეწინააღმდეგებოდა პაკისტანის კონსტიტუციას, 11 აგვისტოს კი ცნობილი გახდა, რომ პაკისტანში პრეზიდენტყოფილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. თუ ყველა ბრალდება დაუმტკიცდება, მომღერალ პრეზიდენტს მშობლიურ პაკისტანში შესაძლოა, სიკვდილით დასჯაც კი შეუფარდონ.

# თემატური გეგმა — პავლე ინგოროყვას უზარმაზარ პორტფელში?

**ფოთში დაბადებულმა, სწავლას მოწყურებულმა ბიჭმა — პავლე ინგოროყვამაც 19 წლის ასაკში ზღვით თუ ხმელეთით რუსეთს მიაშურა და პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და შემდგომში უკვე ცოდნით „დაგრუზული“ თბილისში ჩამოვიდა. იგი მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო; 1924-25 წლებში ჟურნალ „კავკასიონს“ რედაქტორობდა; 1928 წელს კი გამომცემლობა „ქართული წიგნი“ დააარსა. ასე დაირწა უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის აკვანი.**






1963 წლის 1 ნოემბერს ბატონ პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, ხოლო 12 ნოემბერს მისი თხზულებათა კრებულის შვიდტომეულის პირველი ტომი გამოვიდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გამოცემა იმ დროისათვის ერთ-ერთი ფრიად სერიოზული და პოლიგრაფიულად რთული სამუშაო იყო. ამას ავტორის პრეტენზიულობაც ემატებოდა. იმ დროს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში მე ვიყავი. მეამაყება და ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა, ამ გენიოსი მეცნიერის თავდადებული შრომისთვის თვალი მედევნებინა. წელიწადში ხუთასი დასახელების წიგნი გამოდიოდა. აქედან ნახევარზე მეტის ავტორი ცოცხალი გახლდათ, მაგრამ ბატონი პავლე არავის ჰგავდა. იგი ფუტკარივით მშრომელი, მოუსვენარი, თითქმის ყველგან იყო — ასოთამწყობთან, დამკაბადონებელთან, ლინოტიპისტთან, რედაქტორთან, კორექტორთან, დირექტორთან, მაგრამ ნავსაყუდელი ჩემთან ჰქონდა. საოცრად დიდ პორტფელს დაატარებდა. რა პროფესიისაც უნდა ყოფილიყო, თავისი საქმის მცოდნე ადამიანებს დიდ პატივს სცემდა. ასოთამწყობი შოთა ვეშაპიძე, რომელიც თხზულებათა კრებულის გამოცემაზე მუშაობდა, განსაკუთრებით ემოციური და ზედმიწევნით ფრთხილი იყო. თურმე საშინლად ეშინოდა ღიტინის. ერთხელაც საამწყობო საამქროში შევედი, ბატონი პავლე საკორექტოროში იჯდა და ოთხი გვერდის ანაბეჭდს ელოდებოდა. ასოთამწყობ ვეშაპიძეს სასოებით აწყობილი ეს გვერდები ამოსაბეჭდად მიჰქონდა, უკნიდან წამოვეწიე და იღლიაში შევუღიტინე. უცებ ოთხივე გვერდი ჰაერში აყარა, იქვე მდგარ რკინის მაგიდას გადაახტა და გაიქცა. ამ ამბის გამო კინაღამ სასტიკი საყვედური მივიღე, მაგრამ ბატონმა პავლემ სიტყვა შემაწია: „ახალგაზრდაა, ეპატიებაო“ და გადავრჩი... მეორე დღეს ჩემს კაბინეტში დაწვრილებით გამომკითხა წინა დღის ამბავი.

ნათქვამია: სადაც ღვინო ისმება, იქვე იღვრება კიდეცო. ყოველი წლის ბოლოს გამომცემლობაში მომავალი წლის თემატური გეგმა მზადდებოდა. ეს მეტად სერიოზული, შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმე იყო (500 წიგნის ავტორები, დასახელება, მოცულობა, ტირაჟი, ზომა, საჭირო ქაღალდის რაოდენობა, ფასი და ა.შ.). ერთხელ თემატური გეგმა, რომელიც მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არსებობდა და სტამბას უნდა გადასცემოდა ასაწყობად, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა ჩემი მაგიდიდან გაქრა; სად არ ვეძებეთ — რედაქციაში, საკორექტოროში, დირექტორთან, მთავარ რედაქტორთან, სტამბაშიც კი, — არსად აღმოჩნდა. ყველანაირი გამოძიებითა და მოკვლევით დადგინდა, რომ თემატური გეგმა ჩემი მაგიდიდან დაიკარგა. ეჭვი ბატონ პავლეს პორტფელზე მივიტანეთ, მოკრძალებით დავურეკე სახლში, შემთხვევით თქვენი წიგნის ანაბეჭდებთან ერთად ჩვენი გამომცემლობის თემატური გეგმაც ხომ არ წაიღეთ-მეთქი. ახლავე დავძებნიო, — მითხრა, მაგრამ, სამწუხაროდ, უარი მივიღე, ჩემს პორტფელში არ აღმოჩნდაო. გამომცემლობაში განგაში იყო გამოცხადებული. ჩემი ინტუიციით და რაღაც ღრმა რწმენით, მაინც პორტფელის იმედი მქონდა. მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგე ოთარ ჭელიძე გავაფრთხილე, თქვენთან ბატონი პავლე რომ მობრძანდება, მაშინვე გამაგებინეთ-მეთქი.

სტამბაში ვიყავი გასული. თანამშრომლებმა ბატონი პავლეს მოსვლა შემატყობინეს. სასწრაფოდ გავქანდი ოთარ ჭელიძის კაბინეტისკენ. მეცნიერი იჯდა და რაღაცას ჩაჰკირკიტებდა. მოკრძალებით მივესალმე, მოვიკითხეთ ერთმანეთი. თვითონ დამასწრო და შემახსენა, რომ ეძება და ვერ იპოვა თემატური გეგმა. მე დიდი ბოდიშის მოხდით ვთხოვე, ნება მოეცა, მისი უზარმაზარი, ქაღალდებით სავსე პორტფელი დამეთვალიერებინა. უყოყმანოდ დამთანხმდა, მე კი საშინლად ვნერვიულობდი — უკანასკნელი იმედი მეწურებოდა. ბატონი პავლე ყურადღებას არ მაქცევდა, თავისი საქმით იყო გართული.

...ალბათ, კოლუმბს არ უყვირია, ამერიკა რომ აღმოაჩინა, ისე, მე რომ სიხარულისაგან ავყვირდი. ახლაც თვალწინ მიდგას გაოცებული, გაკვირვებული მეცნიერის თვალები. მადლობა უფალს, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ცნობილია, რომ ბატონი პავლე მძიმე სენით — ტუბერკულოზით იყო დაავადებული. მასთან ახლოს ყველაზე მეტად მე და ელგუჯა მაღრაძე ვიყავით — როგორც წესი, იგი ან დირექტორთან იჯდა, ან — მოადგილესთან. გამოვნახეთ თავდაცვის საშუალება — სპირტი. თითქმის ყოველი დღის ბოლოს ხელ-პირს სპირტით ვისუფთავებდით. ერთ დღეს ელგუჯას კაბინეტში შემოდის სამედიცინო ლიტერატურის რედაქციის გამგე, ბატონი სერგო საყვარელიძე. კაბინეტში სპირტის სუნი იდგა, მაგრამ, ჩვენ ფხიზლები და დაღლილები რომ დაგვინახა, იკითხა, რაშია საქმეო. ელგუჯამ მიზეზი რომ აუხსნა, დიდხანს იცინა და ბოლოს გვირჩია: „კოხის ჩხირს სპირტი კარგად ინახავს, მაგის საწინააღმდეგო ღვინის ძმარიაო“. მეორე დღეს ჩვენს კაბინეტებში უკვე ძმრის სუნი იდგა. ბატონი პავლე მშვენივრად გრძნობდა თავს და დიდხანსაც იცოცხლა.

ერთ დღეს სამუშაო საათებში ჩემთან ჩემი სკოლის მეგობარი მოვიდა. შემოაღო კაბინეტის კარი, ყოველგვარი მისალმების გარეშე ყურმილი აიღო, რამდენიმე წუთში ქ. როსტოვთან დააკავშირეს. რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე ესაუბრა როსტოვის ხორცკომბინატის დირექტორს. მოიკითხეს ერთმანეთი და საქმიან საუბარზე რომ გადავიდნენ, ბატონმა პავლემ თავი ასწია და ჩემი მეგობარი შეათვალიერა, გამომცემლობაში ამგვარ თემებზე საუბარმა მისი გაკვირვება გამოიწვია. საუბარი იყო როსტოვიდან ვაგონ-მაცივრით სახაშე მასალის, ძროხისა და ცხვრის თავ-ფეხის გამოგზავნაზე. დაუპატიჟებელი სტუმრის წასვლის შემდეგ ბატონმა პავლემ მკითხა:

— ვინაა ეს კაცი?!

— ჩემი მერხის მეგობარია, — ვუპასუხე.

— გასაგებია ყველაფერი! — დაკმაყოფილდა დიდი მეცნიერის ცნობისმოყვარეობა.

ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ გარკვეული დროის მანძილზე საშუალება მქონდა, მის გვერდით ვყოფილიყავი და მეყურებინა, როგორ იღვწოდა თავისი ერის სასიკეთოდ ბუმბერაზი მეცნიერი.

**ჟანი სიხარულიძე**

> **„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“.**
>
> **ილია ჭავჭავაძე**

## ანეკდოტები

**თუ პრეზიდენტი თავის ცოლთან არ აკეთებს ამას, თავის ქვეყანასთან აკეთებს.**

* * *

**— შენთვის ლუდი უფრო ძვირფასია, ვიდრე მე!**

**— რას ამბობ, ძვირფასო, ლუდი გაცილებით იაფი მიჯდება!**

* * *

**კრამნიკმა ხელოვნურ ინტელექტს უიმედოდ წაგებული პარტია მოუგო, როდესაც გროსმაისტერს კომპიუტერმა შამათი გამოუცხადა, მან კომპიუტერი გამორთო.**

* * *

**ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ თავი უზრუნველ ევროპელად იგრძნოთ!**

**სიყვარულით**

**თქვენი „რუსთავი 2“**

* * *

**ქალი ბაზარში დადის და ხედავს, რომ კაცი ვაშლის კურკებს ყიდის. ქალი ღიმილით ეკითხება:**

**— როგორაა საქმე, ვინმე ყიდულობს თქვენს კურკებს?**

**— რა თქმა უნდა, ვაშლის კურკები ხომ ინტელექტს მატებს!**

**— ეს როგორ?**

**— იყიდეთ და გაიგებთ, 10 ცალი — 20 ლარი.**

**ქალმა იყიდა, იქვე შეჭამა კურკები და ამბობს:**

**— ჯანდაბა, 20 ლარად ხომ ათ კილოგრამ ვაშლს ვიყიდდი და უამრავი კურკა მექნებოდა.**

**— აი, ხომ ხედავთ, უმალ დაჭკვიანდით.**

* * *

**ხალხური სიბრძნე:**

**თუ პროგრამისტი სამუშაო საათებში თამაშობს, მას ან ძალიან ცოტა საქმე და ბევრი ხელფასი აქვს, ან — ძალიან ბევრი საქმე და ცოტა ხელფასი.**

* * *

**არაფერი ინახება უფრო საგულდაგულოდ და არაფერი იკარგება უფრო უაზროდ, ვიდრე ქალწულობა.**








საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net